

ბურუსით მოცული  
გკვლელობები  
თადოშვილის ტყვეში

29

143(72) 25/X.-31/X.2001.  
3500 60 თ.

ლევან  
ლელაშვილი  
ხელოვნებით  
თვასს არჩენს,  
პრეპიერებით  
- ირას...

ირა:  
«კაცური სოტატი  
გაინს უნდა  
იყოს «ცხოველი»



ბასა ფოცხიშვილი:  
„ღღევანდელი მომდარლების  
უმეცხეობა გაუნათლებელი,  
უნიჭო და უსახური...“




**გურამ ფირცხალავა:  
.....კიდეც ღიკა ქავუარაქე  
მიყვარს ქაღიან...  
გული მწყდება, როცა ამ  
მშვენიერი ქალების  
პარტნიორობა არ მარბუნა  
ბეღმა. სართოდ კი, ეროტიკულ  
ფილმებზე ჩემი აზრი გაქვს..."**

**გვ.23**

<b>მინიატურები</b>	
„რას კი კარგი იმიჯია...“	3
<b>პოლიტიკა</b>	
რე როლი აქვს საქართველოს ანტიტერორისტულ კოალიციაში	4
<b>ავტობიოგრაფია</b>	
ბასა ფოსხიშვილი შოუბიზნესს ტოვებს და კინოში დასაბრუნებლად ემგაფება	6
<b>ტრაპეზია</b>	
„ეჭიფთა დაუღვრობის გამო, 18 წლის შვილი დამეღუპა!“	8
<b>რეპორტაჟი</b>	
„მეასტრო“ ახალი სტარტისთვის ემგაფება	12
<b>ოსტატი</b>	
ეგონისტი ფოტოგრაფი, რომელიც გოგჯერ ტალახშიც წვება	15
<b>ტალანტი</b>	
მექსიკაში გახსნილი პროდიუსერი მარიკა ქანარაშას მოტანებას უპირებს	18
<b>კრიმინალი</b>	
31 წლის მამაკაცს ორი ქალის მკვლელობისთვის ასამართლებენ	20
<b>სასარგებლო აზრები</b>	
აფორიზმების ენციკლოპედია	22
<b>მსახიობი</b>	
რაგე ოცნებობს ბურამ ფირცხალაშა?! 23	23
<b>ჭაბუკები</b>	
„არ მესროლოთ - ქურნალისტი ვარ!“	26
<b>ნამდვილი ავაკვი</b>	
გელუნი და ოპერასია „ფე-ლა-მუ-ში“	28
<b>ისტორიული მოვანიკა</b>	30
<b>ფსიქოლოგიური თამაჟი</b>	
გამოსცალეთ თქვენი შემოქმედებითი უნარი	31
<b>სამყარო</b>	
სამგზარეულოს ასტროლოგია	32
<b>წმინდანები</b>	
უსუენსი ქართველი წმინდანი	34
<b>საბანძური</b>	
სტალინის ერთმა ტელეფონის გარმა საქართველოს ბოტკინის უნიკალური კოლექცია დაუბრუნა... 35	35

# რე როლი აქვს საქართველოს ანტიტერორისტულ კოალიციაში



ოკეანის გაღმა მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენებმა საქართველოზეც იქონია გავლენა. ვფიქრობთ, აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, ყველაზე საგულისხმო, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლების - დიპლომატების პოზიცია უნდა იყოს.

4

# ეგონისტი ფოტოგრაფი, რომელიც გოგჯერ ტალახშიც წვება

ნამუშევარს შესაყვარებლად არასოდეს ვაკეთებ. მე მას უბრალოდ, ჩავიფიქრებ ხოლმე და მერე ამ ჩანაფიქრს მეთოდურად ვახორციელებ. ასე რომ, შემოდღია, მხოლოდ ის ჩამოგივთვალო, თუ როდის რა გამიკეთებია ან სად გამომიფენია...



15

# 31 წლის მამაკაცს ორი ქალის მკვლელობისთვის ასამართლებენ



ჩადენილი მკვლელობის კვალის დაფარვის მიზნით, ამ უკანასკნელის მოკვლაც განიზრახა და განზე გახდილ, ძირს დაწოლილ სულამვილსაც ქვა შუბლსა და საფეთქელში ურტყა. სწორედ ამ მომენტში, მათ თავს კვლავ მარინა თინიკაშვილი დაადგა.

20

# მექსიკაში გახსნილი პროდიუსერი მარიკა ქანარაშას მოტანებას უპირებს

მექსიკაში გავიციანი ვერონიკა კასტრო, რომელიც ახლა ბრიგნი სპირსის პროდიუსერია. მან 10 და 20 წლიანი კონტრაქტები შემომთავაზა: ვარსკვლავად გაქცევ და აქედან გავიციანოს საქართველო. დღემდე მიგზავნის ფაქსებს. ახლა 6 თვიანი კონტრაქტი შემომთავაზა.




18

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

<b>ფაქტობრივი</b>	მზრინაში მამიკლი და მისი მთავარი ღუელი	36
<b>იარაღი</b>	„მწვანე ბერებები“ – ამერიკული არმიის ლეგენდა	40
<b>ვაკსკვლევი</b>	პელენ ჰანტი ახალი ბედნიერების მოლოდინში	43
<b>რომანი</b>	თინა დალაქიშვილი, ლალო ნაპირელი. გვარაკი (დასასრული)	46
<b>აქთური-ჩიქთური</b>		48, 49
<b>ანტიდუარესანტი</b>	ინფორმაციულ-შეგნებებითი კოლაჟი გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან	50
<b>ავტო</b>		50
<b>ჯანმრთელობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უშვილობა</li> <li>• თაული – სასუნთქი</li> <li>• გვების მკურნალობა</li> <li>• მწვანე და ქრონიკული სურდო</li> <li>• კითხვა-პასუხი</li> </ul>	52, 54, 54, 55
<b>გიზანის ლეგენდა</b>	<b>BENETTON</b> – ამერიკული მასშტაბის იტალიელი მამნატი	56
<b>შაამონათ თქვენი სოფლა</b>	ტესტი ერუდისიანზე	59
<b>კალიფორსკოვი</b>		60
<b>სკანოვრი</b>		61
<b>პროსკოვი</b>	კვირის (29.X – 4.XI) ასტროლოგიური პროგნოზი	62
<b>ტანტი</b>	როგორ ეგუებით ახალგაზრდობილ აღამიანებს?	63
<b>კალიფორსკოვი</b>	ჩრქულ-ჩრქული ამბები	64

# „მეესტრო“ ახალი სტარტისთვის მზადება



სტულია „მეესტრო“ „პირველი არხიდან“ „პირველ სტარტზე“ გადავიდა. სახელმწიფო არხზე „მეესტროს“ მხოლოდ ორი გადაცემა – „პა-სეანსი“ და „ამბობენ“ დარჩა. იმასაც ამბობენ – ცოცხალი ხნის წინ კიჭასა და ირას შორის სამსახურებრივი რომანი გაჩაღდა...

12


# „ექიმთა დაუდებრობის გამო, 18 წლის უბილი დაგეგმვა!“

გასულ მაგზულს თბილისში, საბერძნეთის მოქალაქე, 18 წლის ქართველი მოცეკვავე ნინო გელსაური დაიღუპა. როგორც დედამისი – ქალბატონი მარინე გელსაური-აივაშვილი თვლის, ნინოს სიკვდილი ქართველი ექიმების უყურადღებობისა და დაბალი კვალიფიკაციის შედეგია.



8

# ამერიკული მასშტაბის იტალიელი მამნატი



ამ მოკრძალებულ და „თავშეკვეთულ ადამიანს“ მსოფლიოს 120 ქვეყანაში 7000 მაღაზია ეკუთვნის... **Benetton**-ის იმპერია წვრილმანიდან – ყვითელი სფიგერიდან დაიწყო, რომელიც ახალგაზრდობაში თავის უფროს ძმას – ლუჩანოს დამ ჯულიანამ მოუქსოვა.

56

**გარეკანზე: გიორგი შოკოლიანის კოლაჟი**

საზოგადოებრივი-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გამომცემის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზეთ „კვირის კალიტრის“ დამატება

შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
 რედაქტორი: გოჩა ტყემულაშვილი  
 მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
 შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

# გვარჯიში

– ვინ არის? – ხმამაღლა დაიყვირა. მისი მგერა ორ უცნობ მამაკაცს შეეჩხრა. იგორი უცნობისაკენ წავიდა. გამხდარმა, ქალური აღნაგობის უცნობმა იარაღი ამოიღო შარვლის უკანა ჯიბიდან და იგორს დაუმიშნა.

სროლის ხმა გაისმა.



46

# „რაც კი უნდა იმეცია...“



ჩვენ მძიმე ბავშვობა გვქონდა – ერთადერთი კარუსელი, რომელიც გვენახა, მუშტაიდის ბაღში ტრიალებდა, ცხვირმოტეხილი სირაქლეებითა და უკუდო ცხენებით. თანაც, მაშინ „მუშტაიდი“ კი არა, – „სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი“ ერქვა იმ ადგილს...

კარუსელებით, „ლუნა-პარკებითა“ და „დისნეი-ლენდებით“ არც დღევანდელი ბავშვები არიან განებივრებულები, მაგრამ სამაგიეროდ, ზოგი მათგანის მშობელი – ო-პო-პო, სიმღერა ხომ გახსოვთ: „ტრიალებს ბრუნავს, ტრიალებს ბრუნავს, კარუსელი რომ ჰქვიაო...“ ტრიალებენ და ბრუნავენ კი არა, ლამის ყირაზე დადგნენ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. მაგრამ ზოგიერთს ბედი აქვს – ბედი კი არა, ცხრა მთავრობა შეიცვალა და ვაკელების ყველაფერში პრივილეგირებულობას საშველი აღარ დაადგა: არჩევნებიც და კარუსელზე „კატაობაც“ სხვებზე ხშირად უნდათ და გამოსდით კიდევ...

გასულ კვირას მოწყობილი ასეთი „საერთო-სახალხო ზეიმის“ შედეგად, მისი ზოგიერთი მონაწილე დაახლოებით ისეთ დღეში იყო, როგორც ერთი ძველი ანეკდოტის „პერსონაჟი“, რომელიც დაბანდულ-დალილავებული მიდის ქუჩაში და შემხვედრი ნაცნობი თანაგრძნობით ეკითხება:

– რა მოგივიდა, რა დღეში ხარ?!

– რა და, სპილოდან გადმოვვარდი. გადაფოფხება მინდოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი და ჯერ ლომმა გადამიარა და მერე სირაქლეამ!

– აფრიკაში იყავი?!

– არა, კარუსელზე „კატაობადი“!

ასე „ნაკატაგები“ ხალხი ვაკის არჩევნების დასრულებისთანავე, საქართველოს სხვადასხვა ტელეარხის პირდაპირი ეთერიდან განაგრძობდა „ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას“:

– თქვენ ხომ კარუსელი დაატრიალეთ...

– თქვენ რა, არ დაატრიალეთ?!

– ჩვენსას „მატორი დაესტუკა“!

– ამ ჩემს ფეხებს!

– ხალხი ყველაფერს ხედავს!

– ხალხის დედაც ვატირე!..

და ასე დაუსრულებლად – დღემდე გრძელდება... პირადად მე, ვაკეში რომ ვცხოვრობდე, „მხედრონის“ ლიდერს მივცემდი ხმას, რადგან მან თავის ტელეგამოსვლაში განაცხადა: ჩემი ერთი ამომრჩეველი სხვის ათს სჯობს, ყველა ინტელექტუალმა მე მომიცა ხმაო. არადა, ვაკე ყველაზე ინტელიგენტური უბანი მეგონა აქამდე, სინამდვილეში კი, 98 პროცენტი „პროლეტარი“ ყოფილა – ბატონმა ჯაბამ მხოლოდ ხმების 2% მიიღო.



საერთოდ, საარჩევნო ტექნოლოგიები ჩვენში ძალზედ დაუხვეწავია და დემოკრატიის ამ ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტით საგრძნობლად ჩამოვრჩებით „განათლებულ დასავლეთს“ – მხოლოდ „კარუსელის“ მართვა და ვეებერთელა საარჩევნო პლაკატების გაკვრა არ შველის საქმეს (სხვათა შორის, „ყველაზე ეროვნული“ – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის საარჩევნო პლაკატების მთავარი დევიზი იყო: „ენა, მამული, სარწმუნოება“. ცხადია, კარგია, მაგრამ თუ დიდი ილიას ციტირებაზე აქვთ პრეტენზია მასა და მის... რა ჰქვია? – პო, იმიჯმეიკერებს, ილიასეული თანმიმდევრობით, ამ სამი სიტყვის დალაგება მაინც უნდა შეძლონ: „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ასე დაგვიბარა იმ სულგანათლებულმა).

პო, იმიჯზე და ილიაზე – და ზოგადად პოეტებზე გამახსენდა: კოტე ყუბანიეშვილს (ყველა ილია ვერ იქნება, მაგრამ პოეტია ის კაცი) აქვს ერთი სკაბრეზული სტრიქონი: „რაც კი კარგი იმიჯია, სუყველასთვის ...“

ზუსტად ასეა ჩვენი საქმე – რა დროს იმიჯია და რა დროს კარუსელზე „კატაობა“, თქვე, ბოდიში და, ჩემის გადანგრეულებო: რომელიმეს საარჩევნო პროგრამაში, იმ „ორპროცენტისანი“ ჯაბა იოსელიანის გარდა, გქონდათ თუნდაც ერთი სიტყვა აფხაზეთში ან სამაჩაბლოში დაბრუნების გზებზე ნათქვამი?!

თქვენი გაგანია ე.წ. „საარჩევნო კამპანიის“ დროს, რუსები რომ კოდორს ბომბავდნენ, რომელიმემ აღშფოთება გამოხატეთ?! არა! არ გეცალათ – კარუსელის „მატორებს აპაჩინკებდით!“

საარჩევნო უბანზე „მარშრუტკებით“ მოყვანილი ლტოლვილებისგან „მოქალაქეობრივი ვალის“ მოხდას ითხოვდით, თქვე მართლა „მოქალაქეებზე“ უარესობა, რომელიმემ ჰკითხეთ, რას ჭამენ და რას იცვამენ?!

P.S. მკითხველს ბოდიშს ვუხდი, თუ ტრადიციულად მსუბუქი და სახითხითო არ არის დღევანდელი ჩემი „პროვოკაცია“, მაგრამ როდესაც, უკვე მერამდენედ, აფხაზეთში წამოწყებული მორიგი ავანტურის შემდეგ, კულამოძუებულები გამოვრბივართ იქიდან და ამ დროს, ხალხის რჩეულობაზე პრეტენზიის მქონე ხალხი ერთმანეთს თავ-პირს ალევწავს თავისი ავადმყოფური პოლიტიკამბიციის დასაკმაყოფილებლად, სიცილ-ხითხითის გუნებაზე, მომკალთ და, ვერა ვარ ხოლმე!

პრომოკატორი

ღანი ბრეკლივილი

ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარმა ტერაქტმა ბევრი რამ შეცვალა – თვით შტატებშიც და მსოფლიო პოლიტიკაშიც.

გლობალური კატასტროფები ხალხის წარმოდგენაში ყოველთვის სამყაროს დასასრულთან ასოცირდებოდა ხოლმე. ზოგი მესამე მსოფლიო ომს წინასწარმეტყველებდა, ზოგი კი ანტიქრისტეს გამოჩენას და ამას მოყოლილ მეორედ მოსვლას.


რალა თქმა უნდა, ნიუ-იორკის დაბომბვის შემდეგ ასეთი განწყობა კიდევ უფრო გამძაფრდა – მსოფლიო საზოგადოებრიობამ მომხდარი, არა მხოლოდ აშშ-ის, არამედ ცივილიზებული სამყაროს შეურაცხყოფად და ბრძოლაში გამოწვევად მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ორ ნაწილად გაიყო – ამერიკის შეერთებული შტატების გარშემო შექმნილ ანტიტერორისტულ კოალიციაში, თითქმის ყველა სახელმწიფო გაერთიანდა, მათ შორის, მუსლიმანური აღმოსავლეთის ნაწილიც კი, ხოლო მეორე მხარეს ფუნდამენტური ისლამიზმის ქვეყნები აღმოჩნდნენ. ტერორისტული აქტი მათაც დაგმეს, თუმცა კოალიციაში გაერთიანებისგან თავი შეიკავეს.

ოკეანის ვალმა მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენებმა საქართველოზეც იქონია გავლენა – რუსეთმა ანტიტერორისტული კამპანიით ისარგებლა და ჩვენი ქვეყნის მისამართით სხვადასხვა ბრალდების ნიაღვარი წამოვიდა. ამას თან ახლავდა მძიმედინარე საბრძოლო მოქმედებებიც დაერთო, რაც, სხვათა შორის, დღემდე ვერ გავერკვევით, ვისგან არის პროვოცირებული და ვის ინტერესებში შედის...

ვფიქრობთ, აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, ყველაზე საგულისხმო, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლების – დიპლომატების პოზიცია უნდა იყოს. აშშ-ის საელჩოში პოლიტიკურ-ეკონომიკური განყოფილების ხელმძღვანელს, ბატონ ნიკ დინს და პრესისა და კულტურის ატაშეს, ქალბატონ შერონ ჰადსონ-დინს შევხვდით.

ნიკ დინი:

– უპირველეს ყოვლისა, ანტიტერორისტულ კამპანიასთან დაკავშირებით რამდენიმე ძირითად მომენტს გამოვყოფდი: ეს არ არის მხოლოდ აშშ-ის მიერ წარმოებული სამხედრო, ან სხვა სახის ოპერაცია. ყველა მოქმედება კოალიციურია – ე.ი. მასში ყველა ის სახელმწიფო მონაწილე-



# რა როლი აქვს საქართველოს ანტიტერორისტულ კოალიციაში

ობს, ვინც ამერიკაში განხორციელებული ტერაქტების სერია ცივილიზებული მსოფლიოს შეურაცხყოფად მიიღო და არა მხოლოდ აშშ-ის პირად პრობლემად. მიმდინარე სამხედრო მოქმედებები არავითარ შემთხვევაში არ არის მიმართული რომელიმე რელიგიის ან კონკრეტული ეთნოსის წინააღმდეგ. კოალიცია ტერორიზმს ებრძვის და მის არსებობას არც ერთ რელიგიასა და არც ერთ სახელმწიფოში არ შეეგუება.

– მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, ფაქტია, რომ აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში მცხოვრებმა მუსლიმანებმა მიმდინარე სამხედრო მანევრები რელიგიურ ომად აღიქვეს...

– ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სამხედრო მოქმედებებს მხოლოდ ერთი რელიგიური ნიშნით, მხოლოდ ერთი ქვეყანა არ აწარმოებს. ნახსენებ კოალიციაში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად, შედის რუსეთიც და შუა აზიაც, ასევე კავკასია და მათ შორის – საქართველოც. და, რაც მთავარია, ანტიტერორისტულ კოალიციაში არაბული, მუსლიმანური ქვეყნებიც შედის. ამიტომაც ვიმედოვნებთ, თქვენ მიერ ნახსენები საპროტესტო აქციები ელემენ-

ტარული გაურკვევლობის შედეგია და იგი მალე გაქარწყლდება...

– ტერაქტებმა მრავალი ცვლილება გამოიწვია, უპირველეს ყოვლისა – ეკონომიკური ხასიათის ცვლილებები. როგორც ცნობილია, შეერთებული შტატების რამდენიმე ცნობილი ავიაკომპანია გაკოტრდა, ბევრი სხვაც გაკოტრების პირას აღმოჩნდა. მარტო ამ მიზეზით, ორიოდ დღეში ათასობით ამერიკელი უმუშევარი დარჩა. ბუნებრივია, მიმდინარე საომარ მოქმედებებსაც უზარმაზარი ხარჯი მოჰყვება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ავღანეთში მარტო ბომბებს არ ყრიან – შეერთებული შტატები ამ ქვეყნის მოსახლეობას სერიოზულ ჰუმანიტარულ დახმარებასაც უწევს... რამდენად გასწვდება აშშ-ის ფინანსური მდგომარეობა ესოდენ დიდ ხარჯებს?

– შეერთებული შტატების კონგრესმა დაახლოებით 100 მილიარდი დოლარი გამოყო ტრაგედიის შედეგების აღმოსაფხვრელად – აქ დაზარალებული კომპანიებ-

ისა თუ მათი პერსონალის კომპენსაცია იქნება გათვალისწინებული. რაც შეეხება მოსალოდნელ საფინანსო კრიზისს, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თვითონ ამერიკელი ხალხის განწყობა ითამაშებს. ტრაგედიის დღეებში ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ეს სამყაროს დასასრული იყო, მაგრამ ძირითად მასას ასე არ უფიქრია. ხალხმა გააცნობიერა, რომ ეს იყო ტერორისტული აქტი მისი თავისუფლების, დემოკრატიის წინააღმდეგ და მიუხედავად ამით გამოწვეული დიდი მსხვერპლისა, ცხოვრება მაინც უნდა გაგრძელდეს.

**— როგორც მახსოვს, აშშ-ის თავდაცვის მინისტრიც აღნიშნავდა, რომ ამერიკის გამარჯვება, მისი ყოველდღიური ცხოვრების წესს წარმოადგენს...**

— რა თქმა უნდა. საბედნიეროდ, ტერორისტებმა მიზანს ვერ მიაღწიეს — ხალხი არ დაშინებულა, ის კვლავ ძველებურად ცხოვრობს, დადის სამსახურში, ზრდის შვილებს და ა.შ. ამერიკის ძლიერების საიდუმლოებაც სწორედ ამაში მდგომარეობს...

**— იმის გათვალისწინებით, რომ კოალიციაში რამდენიმე ქვეყანა მონაწილეობს, რამდენად რეალურია საშიშროება, რომ ანტიტერორისტული კამპანია მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდოს?**

— ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა მე პირადად გამიჭირდება — ეს არც შედის ჩემს კომპეტენციაში... თუმცა, ერთი რამ აშკარაა — შეერთებულ შტატებს ანტიტერორისტული ქედება დაუფიქრებლად, მომხდარისთანავე არ დაუწყია: თითქმის ოთხი კვირის განმავლობაში მოვლენათა შესაძლო განვითარებისა თუ ესკალაციის

დეტალური შესწავლა ხდებოდა. ახლაც, ვფიქრობ, საკმაოდ ზუსტი ოპერაცია მიმდინარეობს — ზუსტად განსაზღვრული მიზნებითა და შედეგებით.

**— მიუხედავად ზუსტად განსაზღვრული მიზნებისა, უკვე გაჩნდა ინფორმაცია მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის შესახებ. რამდენად იქნება დაცული მისი უსაფრთხოება მიმდინარე სამხედრო მოქმედებების დროს?**

— მე დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ ოპერაციას მასობრივი ომის ხასიათი არ ექნება. ყოველგვარი შეტევა კონკრეტული სამხედრო სამიზნეებისკენ არის მიმართული. თუმცა, ტრაგიკული შემთხვევებისგან, სამწუხაროდ, დაზღვეული ვერ ვიქნებით — სხვათა შორის, ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც აქვს.

**— ბოლო დროს რუსულ მასმედიაში ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ მიმდინარე ომის სამართლიანობას. თუნდაც იმიტომ, რომ ერთ დროს ტერორისტების მფარველად შერაცხული საუდის არაბეთი, დღეს ანტიტერორისტულ კოალიციაში მოიაზრება...**

— შესაძლებელია, რუსეთში ვინმე მართლაც გამოთქვამდეს ასეთ აზრს, ეს მისი ნებაა, მაგრამ ანტიტერორისტული კოალიცია, ტერორიზმის ადეკვატურად, ძალიან მასშტაბური და მრავლისმომცველია. მასში შემავალ ყველა სახელმწიფოს თავისი მისია აქვს, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კი — საუდის არაბეთს.

**— საქართველოს რა როლი ეკისრება ამ კოალიციაში?**

— რაიმეს დეტალურად თქმა ამ ეტაპზე

არ შემიძლია, თუმცა მისი როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

**— აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით რა აზრის ხართ?**

— ამასთან დაკავშირებით ცალსახად მსურს განვაცხადო, რომ შეერთებული შტატების ხელისუფლებას თავისი დამოკიდებულება, კურსი ამ სფეროში არ შეუცვლია: ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს, როგორც სუვერენულ და დამოუკიდებელ ქვეყანას.

**— საქართველოში, კერძოდ, პანკისისა და კოდორის სეოზაში ჩერჩენი მებრძოლების არსებობაზე და ამასთან დაკავშირებით, რუსულ მასმედიაში ატეხილ საინფორმაციო ომზე რას გვეტყვი?**

**შერონ ჰადსონ-დინი, აშშ საელჩოს კულტურისა და პრესის ატაშე:**

— ჩვენი მხრიდან ამაზე ლაპარაკი საკმაოდ რთულია. პანკისისა და კოდორის საკითხები საქართველოს შინაურ საქმეს წარმოადგენს, რომელში ჩარევაც შეერთებულ შტატებს არ შეუძლია. რაც შეეხება რუსეთის მასმედიას და საინფორმაციო ომს — არ ვიცი, რამდენად ვრცელდება რუსული პრესა მსოფლიოში და რამდენად მასშტაბურია იგი...

**— კოდორის სეოზაში საქართველოს ტერიტორია უცნობმა თვითმფრინავებმა დაბომბეს. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ანტიტერორისტული კამპანიით ისარგებლებს და საქართველოს დასჯას მოინდომებს, სავარაუდოა, რომ აღნიშნული კამპანიით გართული დასავლეთ ევროპის ქვეყნები და აშშ ჩვენთვის ვერ მოიცლიან...**

— ჩემთვის ცნობილია, რომ ხალხში ასეთი მოსაზრებები არსებობს... კიდევ ერთხელ ვიმეორებ: აშშ-ს თავისი საგარეო პოლიტიკის კურსი და დამოკიდებულება არ შეუცვლია. დემოკრატიული პრინციპების მიმდევარი არც ერთი ქვეყანა მართლ არ არის და მათ შორის, რა თქმა უნდა, არც საქართველო. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ანტიტერორისტულ კოალიციაში საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება და ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით მის წინააღმდეგ აგრესიას ვერავინ განახორციელებს. თუმცა, აშშ-ის ძირითადი სახელმწიფო პრინციპებიდან გამომდინარე, ქვეყნის შინაურ საქმეებსა თუ პრობლემებში ვერ ჩავერევით.



ქართულ შოუბიზნესში არსებული მუსიკალური კლიპების დიდი ნაწილი მის მიერ არის შექმნილი. რეჟისორმა, რომელმაც უამრავი ცნობილი მომღერლის განსხვავებული ეკრანული სახეები შექმნა, შოუბიზნესიდან წასვლა გადაწყვიტა. რა გახდა ამის მიზეზი და რატომ არსურს ახალი კლიპების გადაღება — ამის შესახებ თავად ბასა გვიამბობს.



## ბასა ფოცხივილი

# შოუბიზნესს ტოვებს და კინოში დასაბრუნებლად ემზადება

### რეგო კაბანიშვილი

— როგორ დაიწყეთ მუსიკალური კლიპებზე მუშაობა? თქვენ ხომ კინორეჟისორი ბრძანდებით?

— არ მიყვარს უსაქურობა, ვერ წარმომიდგენია უმოქმედოდ ჯდომა. რადგან უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორის გამო, ფილმის გადაღება ვერ შეძელი, კინოსთან ყველაზე ახლოს მდგომი დარგი — კლიპი ავირჩიე.

— რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ კარგი კლიპი გადაიღო?

— აქამდე ყოველთვის ვამბობდი, რომ აუცილებელი იყო ბევრი ფული, მაგრამ დავრწმუნდი, რომ მთავარი მაინც ნიჭი და განათლებაა. ჩემი მოვალეობაა, შევქმნა მომღერალთა ეკრანული სახეები. მუშაობის მომენტში მგონა, რაღაცას შევცვლიდი მათში, მაგრამ როდესაც ეს ადამიანები გადასაღები მოედნის გარეთ გადიან, ისევ ისეთები ხდებიან, როგორებიც იყვნენ. ასეთი ადამიანები დაჭიმულ ზამბარას ჰგვანან — შეწყვეტ თუ არა ზემოქმედებას, იმწამსვე პირვანდელ სახეს იბრუნებენ...

— რა კრიტერიუმებით ხდებოდა სახეების შერჩევა გადაღებისთვის? სილამაზე აუცილებელია?

— მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთის ქვეყნების გოგონებს შესანიშნავი სახის კანი, სრულყოფილი გარეგნობა და საუცხოო მონაცემები აქვთ, უპირატესობას ყოველთვის მაინც ქართული სახეებს ვანიჭებ: ქართული თვალებიდან ცეცხლი და გონი მოედინება, შინაგანი ენერჯია ასხივებს, რაც მხოლოდ ძველი ერების წარმომადგენლებს ახასიათებთ.

— რატომ ხდება, რომ ადამიანი ეკრანზე გაცილებით ასაკოვანი ჩანს, ვიდრე რეალურად არის?

— იმიტომ, რომ კამერა ასაკს საკმარის მატებს ადამიანს, ეს მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. რატომ არის, რომ სააგენ-



ტოები მოდელეზად 14-15 წლის ბავშვებს ირჩევენ? — მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული მიზეზის გამო.

— თქვენ მიერ გადაღებულ კლიპებში საკმაოდ უხვად არის ძალადობის ამსახველი კადრები, ალბათ ეს შემთხვევითი არ არის?

— სიმართლე რომ ვითხრათ, ამაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ ეს ალბათ ჩემი შინაგანი პროტესტის გამოხატვაა ქართული „ტკბილი“ მუსიკის წინააღმდეგ... სამაგიეროდ, ყველას აქვს მსუბუქი დასასრული. იუმორის გრძნობა ყველგან აუცილებელია — დასასრულშიც, მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი დასასრული სევდის მომგვრელია. მეც ყოველთვის ვცდილობ მოვლენების შემსუბუქებას.

— თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც კლიპის გადაღებაზე უარი გითქვამთ და როგორ მომღერალთან არ იმუშავებთ?

— კლიპის გადაღებაზე პირდაპირ უარი არასოდეს მითქვამს — ასეთ შემთხვევაში, მომღერალს ვუბნები, რომ უბრალოდ, არ მცალია, დაკავებული ვარ-მეთქი. პირდა-

პირობა არ მახსიათებს, იმიტომ, რომ კარგად აღზრდილი ვარ. რაც შეეხება ჩემს მოთხოვნებს მომღერლის მიმართ: პირველი — უნდა მღეროდეს!!! მეორე — ერთი წიგნი მაინც უნდა ჰქონდეს წაკითხული... სამწუხაროდ, დღევანდელი მომღერლების უმეტესობა გაუნათლებელი, უნიჭო და უსახურია, თან — ვერც მღერის. რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ.

— როგორია თქვენი თვალით დანახული სილამაზე?

— ჩემთვის ლამაზია უწმინდესი, აინშტაინი, პიკასო, დოსტოვესკი, ვუაჟა — ყველა მკაფიოდ გამოკვეთილი ადამიანი, რომელსაც სინათლე გადმოსდის თვალებიდან. მამაკაცის სტერეოტიპი კი, აღ პაჩინოსა და ჟან-ლუი ტრენტინიანის შუალედურია.

— სიყვარულზე რას გვეტყვი?

— სიყვარული კარგი რამეა. მე უბრალოდ, ამწუთას არავინ მყავს.

— დაგვისახელეთ თქვენი, როგორც რეჟისორის, საყვარელი მუსიკალური კლიპი და რომელია თქვენი პირველი ნამუშევარი?

— ძალიან მომწონს ანრი ბასილია-მერაბ სეფაშვილის, აგრეთვე დათო ვეგნიძე-მაია ჯაბუას კლიპები და პროექტი „სადგური 2000“.

— რამდენად განსხვავებული ხართ გადასაღებ მოედანზე და სასლში?

— გადასაღებ მოედანზე — შრომისმოყვარე, მომთხონი და მაქსიმალისტი. სასლში — უსაქური, თუმცა ყველაფერი ვიცი, რაც დიასახლისს ევალება. არ მიყვარს ქალები, რომლებსაც ეს არ შეუძლიათ. მგონია, რომ უნიჭო ადამიანები არიან.

— მოგიყვებით საკუთარი ბავშვობის შესახებ.

— ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ვიყავი ცელქი. ჩემს მუხლებს შეხორცებას არ ვაცდიდი, ისევ ვიტყავებდი. სასლში ყველა სურვილს მისრულებდნენ. განებივრებული ბავშვი ვიყავი, ოღონდ გატუტუტე-



ბული არა. ვეკონტაქტობდი საუკეთესო ადამიანებს. ამას ღვაწლი გარემო უწყობდა ხელს. სწავლაში ზარმაც ვიყავი, ვერ ვსწავლობდი ტექნიკურ საგნებს, უბრალოდ ვიზუალიზირებდი, დაფასოვანი გასულს კი მავიწყდებოდა. რომ არა ჩემი 53-ე სკოლის დირექტორი ლამარა მარგველაშვილი, ალბათ სკოლას ვერც დავამთავრებდი.

**— ბევრად თუ შეიცვალეთ ბავშვობის დროიდან?**

— თითქმის ყველა თვისება ისევ შემომრჩა, ერთი დამემატა — მძაფრად ვგრძნობ დროის სწრაფ წარმავლობას!

**— საკუთარ მანერ ჩვევებზე რას გვეტყვი?**

— სასმელს ვერ ვსვამ. სიგარეტს ვეწევი, თუმცა საერთოდ, ეს მანერ ჩვევად არ მიმაჩნია. მანერ ჩვევა ის არის, რომ ვსვამ უზომოდ ბევრ ყავას და კომფორტის მონა ვარ. მიჭირს ცუდ პირობებთან ადაპტაცია... „მანერ ჩვევა“ სამშობლოს სიყვარული... ვინც რა უნდა თქვას, ქართველი არც ევროპელია და არც აზიელი, ქართველი — ქართველია. არ მომწონს, ქართულ მენტალიტეტს რომ ებრძვიან. ჩემი აზრით, აუცილებელია იმ კომპლექსების ქონა, რომელიც გვაქვს: ეს ჩვენი ეროვნული მონაპოვარია. ამის კოდი ღრმად გვიღვეს გენეტიკაში.

**— თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ბოლო ერთი თვის განმავლობაში...**

— გამიჩნდა აფხაზეთის დაბრუნების იმედი. საერთოდ, ერთადერთი პოლიტიკური მოთხოვნა მაქვს — დავიბრუნდეს აფხაზეთი! რაც შეეხება საერთოდ პოლიტიკას — სერიოზული თვალთ ვერ ვუყურებ, რადგან იგი სწრაფად ცვალბადი და ამის გამო, არაფასეულია — ჩემი აზრით, რა თქმა უნდა.

**— არსებობს უბრალოდ ფული და დიდი ფული. რას არ გააკეთებდით დიდი ფულის გამო?**

— ფულის გულისთვის არ დავთმობდი აფხაზეთს! დანარჩენი კი ყველა და ყველაფერი იყიდება. არავინ თქვას, რომ დიდ ფულზე არ გაიყიდება.

**— რა არის ბასა ფოცხიშვილის**

**სისუსტე — ავტომანქანა?**

— მიყვარს მანქანები. მყავს ჯიპი. მინდა „პორშე 911“. რაც შეეხება სისუსტეებს — უამრავი მაქვს: ყველა ლამაზი და ნიჭიერი ადამიანი, სიცოცხლე, მზე და ზღვა, წყლის თხილამურები. წელს პირველად დავდექი წყლის თხილამურებზე და თითქმის ყოველდღე თბილისის ზღვაზე დავდიოდი. წყალიც ჩემი სისუსტეა.

**— როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი დედის როლში?**

— მე მგონი, კარგი დედა ვიქნები, ისეთივე, როგორც დედაჩემია. არავითარ შემთხვევაში არ ვიქნები მკაცრი, შვილს ყველაფერს შევესრულებ. ბავშვი არ უნდა შეზღუდო. რაც არ უნდა, არც გააკეთებს, დაუშლი და მერე მაინც გააკეთებს, ამიტომ — რაც უნდა, გააკეთოს კიდევ! ასე სვლობ.

**— რატომ?**

— რა მნიშვნელობა აქვს, საქმით რას გააკეთებს? — თუ გულით შესცოდა, ის უკვე გაკეთებული ჰქონია და დანარჩენს არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.

**— თუ დაგიკარგავთ ვინმე და რა იყო ამის მიზეზი?**

— ადამიანებს ადვილად არ ვკარგავ. ვინც მიყვარს — მართლა მიყვარს და იმ წრეში შედის, რომელსაც მეგობრებს ვუწოდებთ. ისე კი, საკმარისია ერთი უმნიშვნელო დეტალიც, რომ ადამიანზე კარგი წარმოდგენა დამეკარგოს. არ ვაგრძნობინებ, ვუღიმი კიდევ, შეიძლება, ურთიერთობაც არ შევწყვიტო, მაგრამ ის უკვე წაშლილია...

**— ადამიანებს შიში თრგუნავს. თქვენ რისი გეშინია?**

— თავვის! უკვე თავისებურ ფობიად გადაქცევა. მეშინია ყველა ექიმის, მიუხედავად იმისა, რომ მათ პროფესიას უდიდეს პატივს ვცემ.

**— რას იტყვით ქართულ შოუ-ბიზნესზე?**

— ერთი პერიოდი ის გარკვეული აღმავლობის გზით წავიდა, მაგრამ მერე გზა აებნა. ამდენი უსასური ერთად — რა თქმა უნდა, 2-3 გამონაკლისის გარდა, არც ერთ დარგში არ მინახავს. ღრმად რომ ჩაკვირდეთ, ეს ლოგიკურიც არის:



ქართველებს მსოფლიო რანგის არავინ გვყავს, ერთადერთი — ქართული მრავალხმიანი სიმღერა და ეროვნული ფოლკლორია. ქართულმა შოუბიზნესმა კი ამ ბოლო დროს მანკიერი სახე მიიღო: განშირდა პლაგიატი. მესმის, რომ მოჰპარო მოცარტს, შექსპარს, გენიოსებს, მაგრამ სასაცილოა, ეს უნიჭობი ერთმანეთს რომ ჰპარავენ.

**— თქვენი განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, შოუბიზნესის დატოვება გადაგინყვებიან, იქნებ მიზეზი დავიკონკრეტოთ?**

— პირველი, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი თანდაყოლილი თვისებაა — ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ვჩერდები, ერთფეროვნება ძალიან მალე მბეზრდება. ერთადერთი, რასაც ასეთ დროს ვაკეთებ — წასვლაა. მეორე მიზეზი, ჩემი მაქსიმალისტობაა, რაც წლებმა ვერ შეცვალა. ყოველთვის, ყველაფერს ერთად ვითხოვ! თუ ყველაფერი არ არის, მაშინ აღარაფერი მინდა. საქართველოში დღეს ყველა იღებს კლიპს. ყველასთან ერთად ყოფნა არ მინდა! თანაც ვგრძნობ, რომ ეს მათ არ ეწყინებათ...

**— შოუბიზნესის დატოვების შემდეგ რას აპირებთ?**

— ფილმის გადაღებას. მანამდე რამეს მოვიფიქრებ და სანამ ყველა იმ „რამის“ კეთებას დაიწყებდეს, იქიდანაც წავალ. რაც შეეხება მომავალ სურათს, მასზე წინასწარ არ ვსაუბრობ, მაგრამ დასასრული აუცილებლად მსუბუქი ექნება...

**— გამოდის, მუსიკალურ კლიპებს აღარასოდეს გადაიღებთ?**

— ეს არავინ იცის. გააჩნია მომლერალს. კარგი კლიპი ყოველთვის კარგია.

**— დაბოლოს — რაზე ოცნებობთ?**

— აფხაზეთის დაბრუნებასა და ბიჭვინთის პლაჟზე ნებივრობას ვნატრობ!





ნინო და რამაზი

გასულ ზაფხულს თბილისში, საბერძნეთის მოქალაქე, 18 წლის ქართველი მოცეკვავე ნინო გელხაური დაიღუპა. როგორც დედამისი — ქალბატონი მარინე გელხაური-აივაზოვა მიიჩნევს, ნინოს სიკვდილი ქართველი ექიმების უყურადღებობისა და დაბალი კვალიფიკაციის შედეგია.

საუბედუროდ, ეს არც პირველი და ალბათ, არც უკანასკნელი შემთხვევაა, როცა ექიმთა დაუდევრობასა თუ არაპროფესიონალიზმს ადამიანის სიცოცხლე ეწირება... „შვილი მომიკლეს, — ამბობს ქალბატონი მარინე, — მაგრამ არ ვაპირებ პროკურატურას მივმართო, რადგან, როგორც ჩემმა ახლობელმა მოსამართლემ მითხრა, ჯერ არც ერთი ექიმი არ დასჯილა საკადრისად დანაშაულის გამო“. არადა, როგორც ნებისმიერ შვილმკვდარ დედას, სურს, მთელ ქვეყანას გააგებინოს თავისი ტრაგედიის ამბავი.

# „ექიმთა დაუდევრობის გამო, 18 წლის შვილი დაგეღუპა!“

## ლევა ჭანკოტაძე

ნინო გელხაური ყოველთვის გამოჩენილი იყო თანატოლებისაგან. 18 წლის ისე გახდა, სურდოც არ ჰქონია. ასეთი ჯანმრთელობის გამო, ხუმრობით „მაგარას“ ეძახდნენ. უამრავი ოცნება ჰქონდა. თბილისში საკუთარი ხმის ჩამწერი სტუდიის გახსნას გეგმავდა. საქველმოქმედო საქმიანობას აპირებდა. თერაპიუტი წლის ასაკში, სიყვარულიც მოასწრო და... სიკვდილიც... საქართველოში უნდოდა დაბრუნება და სამუდამოდ დარჩენა. მთაწმინდაზე ავიშენებ სახლს — ოცნებობდა თურმე...

...დედა საწოლთან ეჯდა ნინოს. ყოველ საღამოს ზღაპრებს უყვებოდა. თავად ნინო სთხოვდა — მომიყვიო. ტკივილს უძალიანდებოდა. სიკვდილზე არც ფიქრობდა. დარწმუნებული იყო, რომ გამოჯანმრთელდებოდა... საბერძნეთში ყოფნისას, როცა ტკივილებმა უმატა, იგრძნო, რომ ვეღარ იცეკვებდა. თავისი საცეკვაო კაბები ჩამოხსნა, დაკეცა და ყუთში ჩააწყო. დეიდაშვილს უთხრა: წაიღეთ, სოფოს მიეცით, გადაუკეთეთ, თორემ ისეთი გრძელი ექნება, შეიძლება ცეკვის დროს ფეხი დაადვას და სცენიდან გადმოვარდესო...

მაღალი იყო ნინო. ამიტომ არ იცვამდა მაღალქუსლიან ფეხსაცმელს: არ მინდა, ადამიანებს ზეოდან ვუყურო.

როცა საბერძნეთში, მამა გაბრიელის საფლავიდან აღებული ზეთი ჩაუტანეს, ყოველ დილით ლოცულობდა და მტკივან ადგილებზე ისვამდა. დედას ეხვეწებოდა: ქართველ ექიმს საყვედური არ უთხრაო...

ქალბატონი მარინე რედაქციაში მოვიდა, ნინოს ფოტოსურათები და ლექსები მოგვიტანა, ის საბუთებიც, რომელიც მას საბერძნეთში, „არამიანცის“ საავადმყოფოში ჩატარებული იმ ავბედითი ოპერაციის შემდეგ გაუგზავნეს.

— ქალბატონო მარინე, როგორ დაინჯო ყველაფერი? რატომ აღმოჩნდა ნინო უთქვენოდ საოპერაციო მაგიდაზე?

— ალაიანში ვცხოვრობდით. ნინო ათი წლის იყო, საბერძნეთში რომ წავედით საცხოვრებლად. იქ მაკედონიის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა. IV კურსზე იყო, რომ გარდაიცვალა. წერდა ლექსებს, სიმღერებს. თავადვე მღეროდა საკუთარ, უფრო ხშირად კი — დეიდაშვილის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს. თერთმეტი სიმღერა ჰქონდა ჩასაწერად გამზადებული, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ნინო მაკედონიის იპურგიოსთან არსებული სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი იყო. კონცერტებს ეს ანსამბლი ძირითადად, ათენსა და სალონიკში მართავდა. ახლა კანადაშია მიწვეული. ნინოს გარემე

მოუწევთ ცეკვა... რვაწლიანი განშორების შემდეგ, ორი კვირით ჩამოვედით საქართველოში. ბავშვებმა თავიანთი თანაკლასელები დაპატიჟეს, სწორედ მაშინ გაიცნო ნინომ ჩვენივე თანასოფლელი რამაზ სანიშვილი. ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი. არ იყო მისი გათხოვების დრო, მაგრამ მივხვდი, შეყვარებული იყო და ვეღარ დაუშაღე. მათი ქორწილი ნამდვილ ზეიმად იქცა. რვა წლის უნახავმა ადამიანებმა ერთად მოვიყარეთ თავი. ყველანი ბედნიერები ვიყავით. ქორწილის შემდეგ, ჩემი შვილებით, ისევ საბერძნეთში წავედი. ნინოც წამოვიდა. ჩემი მეუღლე დარჩა სიძესთან, რომ მას ვიზის და საბუთების გაკეთებაში დახმარებოდა. რატომღაც ნინოს და რამაზის შეუღლება საელჩოში ფიქტიურ ქორწინებად ჩათვალეს, ამიტომ სიძემ სალონიკში ჩასვლა ვერ მოახერხა. სამ კვირაში ნინო თავად წამოვიდა საქართველოში ქმართან. 28 იანვარს ისინი ალაიანიდან თბილისში ჩამოვიდნენ. ვარკეთილში რამაზის დასთან დაბინავდნენ, სადაც ნინოს მოულოდნელად ორივე ფეხი დაეჭიმა და გაუშემდა. გამოიძახეს „სასწრაფო დახმარება“, რომლის ექიმმა ივარაუდა: ან საკვერცხეა გამსკლარი ან აპენდიციტია გართულებული.

— საავადმყოფოში „სასწრაფო დახმარების“ მანქანით გადაიყვანეს?

— დიან. მიიყვანეს ე.წ. „არამიანის“ საავადმყოფოში და მოათავსეს ქირურგიულ განყოფილებაში. ექიმ დიმიტრი წოტოიძეს გამოურიცხავს აპენდიციტი, მაგრამ მაინც საჭიროდ მიუჩნევია ოპერაციის გაკეთება და ექიმთა შეიდაცვიანმა ბრივადამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა პროფესორი ვია თომაძე, გაუკეთა კისტის ოპერაცია. ამოკვეთეს მარცხენა საკვერცხე, მარჯვენა საკვერცხის ნახევარი და ბრმა ნაწლავიც, რომელიც ნინოს არ სტკიოდა. მაგრამ წოტოიძეს გაუნუცხადებია: ზუთი წლის შერე, ბრმა ნაწლავი მაინც ამოსატრელი გაუხდება და სჯობს, ახლავე ამოკვეთოთო. სამწუხაროდ, ექიმთა შეიდაცვიან ბრივადამ არ შედიოდა არც გინეკოლოგი და არც ონკოლოგი. წოტოიძეს კი უთქვამს — ამხელა კისტა ჩემს პრაქტიკაში ჯერ არ შემხვედრიაო. ანალიზი ჰისტოლოგიური გამოკვლევისთვის გაგზავნეს დასათესად. პასუხი იყო 5 თებერვალს. ნინო საავადმყოფოდან გამოწერეს 6 თებერვალს, მაგრამ წამოვიდა შევიდა, სამ საათზე, რადგან გინეკოლოგს უნდა გაესინჯა. მიუხედავად ამისა, მისთვის ჰისტოლოგიის ანალიზის პასუხი არავის უცნობებია. სწორედ ამის გამო დაიღუპა ნინო...

ოპერაციიდან მეხუთე დღეს გამომიგზავნეს „ფორმა 27“, რომელსაც ხელს აწერენ როგორც ექიმი დიმიტრი წოტოიძე, ასევე კლინიკის დირექტორი ავთანდილ მეგრელიძე. „ფორმა 27“-ში წერია, რომ ნინოს „კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევებით დაუდგინდა კლინიკური დიაგნოზი: მწვავე მუცელი, დიფუზური პერიტონიტი. გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია — აღმოჩნდა მარცხენა საკვერცხის კისტოზური გადაგვარება — გიგანტური კისტა, რომელიც განიცდის მარჯვენა მხარეს განგრენოზულ ცვლილებებს. გაუკეთდა კისტექტომია. რევიზიით ინახა მარჯვენა საკვერცხის კისტის აპოპლექსია. გაკეთდა მისი რეზექცია“. „ფორმა 27“ გამომიგზავნეს ჰისტოლოგიის პასუხის გარეშე. საერთოდ, არავის გახსენებია ამ ანალიზის არსებობა. მე რამდენიმე ექიმს უჩვენებ თბილისიდან გამოგზავნილი „ფორმა 27“. ყველამ მითხრა: ნუ გეშინია, შიგ ცუდი არაფერი წერია — ყველაფერი კარგად არისო.

**— ოპერაციის შემდეგ, ნინო ისევ საბერძნეთში ჩავიდა?**

— მარტის ბოლოს ჩამოვიდა ნინო სალონიკში. წელთან, მარცხენა მხარეს იტკივებდა. გავასინჯე რამდენიმე ექიმს. ყველა ექიმთან მიმქონდა „ფორმა 27“-იც. ვინც კი წაიკითხა, ყველა გვამშვიდებდა: არაფერია, ტკივილი გაუვლისო. ვერავენ შეიტანა ეჭვი ქართველი ექიმების კომპეტენტურობასა და პროფესიონ-

ალიზმში. შემდეგ ჩატარდა კონკურსი. კანადიდან იყო ჩამოსული კულტურის მინისტრი. შესარჩევ კონცერტში ნინოს ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა. დაიწყო ვარჯიში, მაგრამ თანდათან ტკივილებმა უმატა. მეუბნებოდა — ხელს ზემოთ რომ ვწევ, ბეჭები მტკივაო. მივიყვანე საუკეთესო კლინიკაში. გამოკვლევებში გადავიხადე 600 ლოლარი. სისხლის ანალიზმა უჩვენა, რომ სიმსივნე ჰქონდა. საბერძნეთში ექიმმა ზისიადიმ გაუკეთა ოპერაცია. გაჭრეს და იმ ადგილას, სადაც თბილისელმა ქირურგებმა საკვერცხე ამოატრეს, უზარმაზარი სიმსივნე ნახეს. მეტასტაზები უკვე ზემოთაც იყო გასული და ქვემოთ — ფეხზეც ჩამოდიოდა. ოპერაცია დაგვიანებული აღმოჩნდა... სიმსივნე სწორ ნაწლავსაც აწვებოდა და ნინოს გაუვალობა ჰქონდა. ზისიადიმ შემომთავაზა: ბავშვს რომ არ შეეშინდეს, ღებინება რომ დაეწყება და საჭმელს უკან ამოიღებს, სჯობს, გაუკეთოთ ოპერაცია ნაწლავზე, რათა სანამ ცოცხალია, მშვიდად იყოსო... ონკოლოგიურში აღარ მიმიყვანია, რომ არ მიმხვდარიყო — სიმსივნე ჰქონდა. ამიტომ, ყველაზე ძვირიან კლინიკა „აიოლუკაში“ გაუკეთეთ ოპერაცია და მარტო კლინიკას და ექიმებს 5.500 ლოლარი გადაუხადეთ.

**— ჰისტოლოგიის პასუხი მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენც არ მოგიკითხავთ?**

— მეორე ოპერაცია 26 ივნისს გაუკეთეს. 23 ივნისს ჩემი ვაჟი და მახლი მივიდნენ წოტოიძესთან და მოსთხოვეს ჰისტოლოგიის პასუხი. რა გააწყვალეთ გული, რამდენჯერ უნდა გითხრათ, არაფერი არ სჭირდა იმ ბავშვსო?! — ატეხა ყვირილი. მე ისევ დავრეკე საბერძნეთიდან და მოვთხოვე, სასწრაფოდ გამოგზავნათ ფაქსით ჰისტოლოგიის პასუხი. მეორე დღეს დიმიტრი წოტოიძემ ფაქსით მაცნობა, რომ ნინოს ჰქონდა ავთვისებიანი სიმსივნე — კიბო... მართლაც, ჰისტოლოგიის პასუხში წერია: „მარჯვენა საკვერცხის პაპილური კარცინომა ვრცელი ნეკროზით“. ეს ანალიზი გაკეთდა კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში, რომლის დირექტორია თეიმურაზ ჯორბენაძე. მან მითხრა: ოპერაციის მსვლელობის დროს, შეიძლება, გაკეთებულიყო ციტოლოგია და გამოემახებინათ ონკოლოგიო... მაგრამ მე მგონია, არ უნდოდათ, ფული გაეყოთ და დამიღუპეს შვილი... საბერძნეთში 14.000 ლოლარი გადავიხადეთ მკურნალობაში. გვეუბნებოდნენ: სამწუხაროდ, ფულით სიცოცხლეს ვერ იყიდითო... საბერძნეთშივე შევიტყვეთ, რომ არსებობდა კიეველი ექიმი ვლადიმერ



**ანსამბლის წევრებთან ერთად (უკან, მარცხნიდან მეორე)**

გიორგიევიჩი, რომელსაც ბევრი ონკოლოგიური პაციენტი ჰყავდა მორჩენილი. კიევიდან საქართველოში ჩამოვიყვანეთ, რადგან საბერძნეთში ვერ ვასწრებდით ვიზის გაკეთებას. რომ გასინჯა, ძალიან დაგვიანებულიაო, გვითხრა, მაგრამ ნინო ისე ელოდებოდა, ისეთი იმედი ჰქონდა — უარი აღარ გვითხრა და მაინც უპყურნალა. მთელი ათი დღე დარჩა ჩვენთან. იწვოდა ნინოს ცოდვით. 80 წლის დედა ჰყავდა, იმას დაურეკა და უთხრა: მიდი ეკლესიაში, დაანთე სანთლები და ილოცე, რომ ეს ბავშვი გადავარჩინოო...

**— სიცოცხლის ბოლო დღეები ნინომ საქართველოში გაატარა? თუ გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას?**

— საბერძნეთიდან რომ ჩამოვედით, ნინო თბილისში დავეტოვე, ჩვენ აქ სახლი გვაქვს. მე ალაიანში წავიდი. მიწოდდა, წმინდა ნინოსა და წმინდა გიორგის ეკლესიაში სანთლები დამენთო. მთელი სოფელი წამომყვა სალოცავად. რვაწლიანი განშორების შემდეგ, მთელმა სოფელმა დაიტირა ნინო. მადლობა მათ ამ მადლისთვის!.. ღმერთს ვეხვეწებოდი: თუ არ გადარჩება, თუ ვერ იცოცხლებს, ისე მაინც წავიდეს ამ ქვეყნიდან, რომ ვერ მიხვდეს, რა სჭირს-მეთქი... კიეველი ექიმი რომ წავიდა, მართალია, ნინოს ვერ უშველა, მაგრამ 1.000 ლოლარი მაინც მივეცით. ჩვენმა ნათესავმა სახლში მამა აკაკი მოვიყვანა. მან ლახვარი დააღ

ბეჭებზე ნინოს. მტკიცა, რომ მადებო, – დაიჩვილა ჩემმა შვილმა. ყოველდღე ვივლი, რომ ამ ბავშვს ვუშველო, – დაგვირდა მამა აკაკი წასვლის წინ. მეორე დღეს ნინომ მთხოვა: დედა, მოდი, წმინდა გაბრიელის საფლავზე წავიდეთ და ვილოცოთო: ნინომ საბერძნეთში, თქვენს შურნალში ნახა წერილი მამა გაბრიელზე და იმედი გაუჩნდა, რომ ის უშველიდა. ჩემმა ქმარმა ხელში აყვანილი მიიყვანა ნინო საფლავამდე. დედა პარასკევა ჩვენს წამოვიდა: კუნძუზე დაჯექიო, – უთხრა. არ მინდა – მინდა ამ საფლავზე დავწვეო, – თქვა ნინომ და მართლაც, დაწვა საფლავზე. თავისით წამოდგა და დაინახა, რომ ზედ ხუთი-ექვსი ცალი ვაშლი ეგდო. ხილს საერთოდ არ ჭამდა, მაგრამ რატომღაც, თვალი გაექცა ვაშლებისკენ. გაუხარდა დედა პარასკევას: თუ ეს ვაშლი მოგეწონა, შეჭამე და კარგად გახდებიო, – უთხრა. ნინომ ვაშლი ჩაკბინა. თითქოს თავისი უკვდავების ვაშლი ეპოვოს... სახლში რომ დავბრუნდით, თავს კარგად გრძობდა. ისეთი ძალა ვიგრძენი, უნდა ვივარჯიშოო, – მითხრა. დილით კი, სიზმარი მიაპბო: ვიღაც უღვაშიანი კაცი მოვიდა, მითხრა – შენ აქ რა გინდა? მე უნდა წავიყვანო... ნახევარ საათში სუნთქვა გაუჭირდა, ვთხოვე – ნემსებს გაგიკეთებ, ტკივილი რომ არ დაგეწყოს-მეთქი. გამაკეთებინა. მერე ილოცა. ძალიან მორწმუნე იყო. საბერძნეთში, საავადმყოფოში სულ ბიბლიას ვუკითხავდი. შემდეგ ბებიამისს დაუწყო საუბარი, ეუბნებოდა: კარგად რომ გავხდები, წავალ საბერძნეთში, სამ დისკს ჩავწერ და დავბრუნდები, შემდეგ სამუდამოდ აქ დავრჩებიო. ამ დროს, ისევ გაუჭირდა სუნთქვა... დავავლე სანთელს ხელი და გავიქეცი ეკლესიაში. იქვეა, ჩვენ გვერდით, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. წირვა იყო. შემულილივით რომ შევვარდი, ყველამ გზა

დამითმო. ხუთ წუთში სახლში დავბრუნდი. სამარისებური სიჩუმე იდგა. ყველა გაჩუმებული იყო. ჩემი ქმარი ნინოს სასთუმალთან იჯდა, მისი ხელი ეჭირა. ჩემი შვილი უკვე გარდაცვლილი იყო...

რატომ? რატომ? რატომ?  
 გაია თომაძე და ბიძინა აფრასიძე მეუბნებიან: რადგან შვილი მოგიკვდა, ახლა ჩვენგან ოპერაციაში გადახდილი ფული გინდა დაიბრუნო და იმიტომ ყვირიო. აქ თანხებს მხოლოდ იმიტომ ვაკონკრეტებ, ვინმემ მართლაც რომ არ იფიქროს, თითქოს დახარჯულ ფულს მივტირი. მეტი ხარჯის გაღებაც შეგვეძლო, მაგრამ ფულით ჩემს შვილს ჯანმრთელობა ვეღარ ვუყიდეთ. თავიდანვე რომ გამეგო, ნინოს სიმსივნე ჰქონდა, ვუშველიდი. მაგრამ ოპერაციიდან ხუთი თვის შემდეგ, უკვე ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა. რატომ უნდა დავმალო, რომ ქართველი ექიმების გამო, შვილი დამეღუპა?!

კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, რომელშიც ნინო გელხაურის ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევა გაკეთდა, 1991 წლიდან იურიდიული პირია და ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება ზოგადქირურგიულ კლინიკას. ხელშეკრულების თანახმად, ზოგადქირურგიული კლინიკა ვალდებული იყო, ცენტრში დანაწევრების გარეშე გადაეგზავნა ბიოქსიური და ოპერაციული მასალა და შემდეგ, გაეტანა ანალიზის პასუხი. როგორც ცენტრის დირექტორმა, ბატონმა თეიმურაზ ჯორბენაძემ თქვა – ნინო გელხაურის ოპერაციული მასალა მათ მიიღეს 29 იანვარს. სანიტარს აქვს ჟურნალი, რომელშიც ლაბორატორიის წარმომადგენელი ხელს აწერს, რომ მასალა ნამდვილად ჩაიბარა. შემდეგ ისევ სანიტარს მიაქვს უკან პასუხი, თუმცა ხელის მოწერით დადასტურება, თუ რომელ რიცხვში მიაქვს მას

ანალიზის პასუხი, აღარ ხდება.

— შეიძლება, ოპერაციის მსვლელობისას, ექიმს არ გასჩენოდა ეჭვი, რომ საქმე სიმსივნესთან ჰქონდა?

ნოე ჯორბენაძე, დირექტორის მოადგილე:

– არის შემთხვევები, როცა სიმსივნე თვალთ არ შეიმჩნევა. ასეთ დროს ექიმები დამნაშავენი არ არიან. როგორც ჩანს, ამის ეჭვი არ გასჩენიათ, რადგან ამას ისინი მიმართვაში არ წერენ. კლინიკურ დიაგნოზში წერია: მარჯვენა საკვერცხის გიგანტური კისტა, დიფუზური, ჩირქოვანი პერიტონიტი, მეორადი აპენდიციტი, მაგრამ კისტა ამ შემთხვევაში, ავთვისებიანი სიმსივნე აღმოჩნდა. პასუხი ჩვენ მზად გვექონდა ორშაბათს, მეშვიდე დღეს.

— თქვენ ნახეთ, რომ 18 წლის გოგონას ავთვისებიანი სიმსივნე აქვს და დაელოდეთ, როდის ჩამოვიდოდნენ კლინიკიდან ასეთი პასუხის ნასაღებად?

– საუკეთესო შემთხვევაში, პასუხი წალბებული აქვთ ხუთ თებერვალს საღამოს, როცა ჩამოიტანეს ახალი საოპერაციო მასალა გამოკვლევისათვის. უარეს შემთხვევაში – ექვს თებერვალს. ქალბატონმა ვალია შელიავამ, რომელმაც, ბატონ თემურ ჯორბენაძესთან ერთად, ეს დიაგნოზი დასვა, დაურეკა ბატონ დიმიტრი წოტოიძეს და უთხრა, რომ მის პაციენტს ჰქონდა ავთვისებიანი სიმსივნე. ჩვენი თანამშრომლები იმის მოწმენი არიან, რომ 5 თებერვალს ქალბატონმა ვალიამ დაურეკა წოტოიძეს და აცნობა ეს ამბავი. რა თქმა უნდა, სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ჩვენ არ გვაქვს.

— უფლება თუ ჰქონდათ, რომ „ფორმა 27“ საბერძნეთში გასაგზავნად, ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის პასუხის გარეშე მიეცათ ავადმყოფის ქმრისთვის?

– არავითარ შემთხვევაში. ჩვენ ხელშეკრულებაში გვიწერია, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეგვიძლია გამოკვლევათა ვადა გავახანგრძლივოთ ერთ თვემდე, ამის შესახებ აუცილებლად უნდა ვაცნობოთ კლინიკას, მან კი – პაციენტი ჩააყენოს საქმის კურსში. ავადმყოფს ერთი თვე ზომ ვერ გაჩერებენ კლინიკაში, ამიტომ უშვებენ და ეუბნებიან, როდის უნდა მივიღეს ზუსტი დიაგნოზის წასაღებად. თუ „ფორმა 27“ სასწრაფოდ სჭირდებათ, მაშინ შეიძლება დაიწეროს წინასწარი დიაგნოზი და შენიშვნა, რომ დაზუსტება გარკვეული ვადის შემდეგ მოხდება.

ზოგადქირურგიულ კლინიკაში დირექტორის, ბატონ ავთანდილ მეგრელიძის კაბინეტში ჩემი მისვლისთანავე, თითქმის ყველანი შეიკრიბნენ, ვინც კი

გელხაურების ოჯახი



ნინო გელხაურის ოპერაციაში მონაწილეობდა ან უბრალოდ, ამ ამბით შეწუხებულია. თავიანთი კლინიკის რეპუტაციის გაფუჭებაც არ სურთ და არც იმის წინააღმდეგნი არიან, თუკი გარდაცვლილი გოგონას ახლობლები, სიმაართლის გასარკვევად, კანონიერ გზას აირჩევენ და საქმე ძიებაში გადავა.

**ზოგადქორეული კლინიკაში მუშაობს რესპუბლიკის მთავარი ქირურგი, პროფესორი გია თომაძე, ხოლო კლინიკის დირექტორი – ქელაქის მთავარი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ავთანდილ მეგრელიძე.**

**— ბატონო ავთანდილ, თქვენ, როგორც კლინიკის დირექტორს, უფლება გაქვთ, უარყოთ ან დაადასტუროთ ეს ფაქტი. ნუთუ ნინო გელხაურის დედა და კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო ცენტრი უსაფუძვლო ბრალდებებს გიყენებენ?**

— ნებისმიერი ქსოვილი, რომელიც აღამიანს ამოეკვეთება, ჩვენ მიერ იგზავნება ჰისტოპათოლოგიურ გამოკვლევაზე. თვალთ შესამჩნევი ცუდი რამ ნინოს ოპერაციის დროს არაფერი ჰქონდა. მაგრამ არსებობს უიშვიათესი შემთხვევები, როცა კისტოზური წარმონაქმნის ანალიზისას, შეიძლება პასუხად სიმსივნე მოგვდეს. თითქმის არ გვაქვს ხოლმე შემთხვევა, როცა პაციენტი გაეწერება და შემდეგ მოდის ცუდი პასუხი. მაგრამ ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ასე მოხდა. ნინო გელხაური პერიტონითი იყო აქ შემოსული. შემოსვლამდე სამი დღით ადრე, გაუსკდა საკვერცხე, ჩაეღვარა სისხლი და დაემართა პერიტონიტი. სიმსივნეზე არც ყოფილა ლაპარაკი. ბატონმა დიმიტრიმ პერიტონიტის გამო გაუკეთა ოპერაცია. ჭრილობაში ამოვარდა უზარმაზარი კისტა, რომელიც ქირურგმა მოჰკვეთა, თავისი დანამატითურთ. როცა ის მოკვეთა, მერე გამოჩნდა მუცლის ღრუში ჩირქი. ამოიღო საკვერცხე, მიაგნო მეორე გამსკდარ საკვერცხეს და ამოიღო მისი ნაწილი. ცხადია, ეს ყველაფერი გაგზავნა გამოკვლევაზე, ხოლო ოპერაციის შემდგომ პერიოდში უმკურნალა პაციენტს ისე, როგორც ეს პერიტონიტის დროს ხდება. მორჩა ეს გოგო. გახდა კარგად და 6 თებერვალს გაეწერა, აქედან წავიდა. მე პასუხისმგებელი ამ საქმეზე იმდენად ვარ, რამდენადაც ინფორმირებული ვარ ბატონი დიმიტრისგან, რა და როგორ მოხდა.

**გია თომაძე:**

— იმ ინფორმაციიდან გამომდინარე, რაც ჩვენ გვქონდა, პაციენტი იყო კარგად. რა პასუხი მოვიდოდა ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევიდან, ცხადია, ჩვენ არ ვიცოდით.

— გქონდათ უფლება, ჰისტოპათოლოგიური ანალიზის გარეშე გაგვეზავნათ საბერძნეთში „ფორმა 27“, ან აქედან ისე გაგვეწერათ ნინო — არ გაგეფრთხილებინათ მისი გულშემატკივარი, რომ ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის შედეგის გასაცნობად უნდა მოსულიყო?

**ავთანდილ მეგრელიძე:**

— რა თქმა უნდა, გვექონდა უფლება, გაგვეზავნა „ფორმა 27“, რადგან ის მოითხოვეს ნინოს გულშემატკივრებმა...

**გია თომაძე:**

— ბატონ დიმიტრის 700-800 ასეთი ოპერაცია მაინც ექნება გაკეთებული. ის თითოეული ჩვენგანის მასწავლებელია...

— რატომ მოხდა ისე, რომ პაციენტის ახლობლებმა ვერ შეიტყვეს ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის პასუხი?

— დიაგნოზი ექიმს ეხმარება პასუხისმგებლობის შემსუბუქებაში. მისთვის საზიანოა, თუ ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევიდან მოსულ ცუდ პასუხს დამალავს. ამ შემთხვევაში, პასუხი მოვიდა იმ დროს, როცა პაციენტი უკვე გაწერილი იყო.

— როგორც ნინო გელხაურის მშობლები ამტკიცებენ, მართალია, ნინო გაეწერა საავადმყოფოდან 6 თებერვალს, მაგრამ გაიყვანეს 7 თებერვალს, რადგან შვიდში იგი გინეკოლოგმა გასინჯა.

— ნინო გელხაური გაეწერა 6 თებერვალს. ექვსში ჩვენთან მოხვდებოდა ანალიზის პასუხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ლაბორატორიაში იმ საქალაქში ჩადებდნენ, რომელიც სანიტარს ამოაქვს ხოლმე. ასე არ მოხდა. ეს პასუხი ჩვენთან ამოსულია 9-10-11 თებერვალს ან უფრო გვიან.

— დაფუშვით, ერთი თვის შემდეგ მიიღეთ ეს პასუხი. მაშინ მაინც არ იყავით ვალდებულები, პასუხი გეცნობებინათ პაციენტისთვის?

— ჩვენი თანამშრომელი — ბატონი ბიძინა აფრასიძე ეძებდა მას ვარკეთილის 348-ე კორპუსში, მაგრამ ასეთი კორპუსი საერთოდ არ აღმოჩნდა — ავადმყოფის ისტორიაში მისამართი შეცდომით იყო დაფიქსირებული, სხვა მისამართი კი ჩვენ არ გვქონდა.

— რაც შეეხება თანხას, რომელიც ავადმყოფს გადაახდევინეს ამ ოპერაციისთვის: ნინოს ნათესავმა — გოგიტა თხილიშვილმა 30 იანვარს გადაიხადა 400 ლარი, ხოლო ნინოს მამამთილმა — ვაჟა სანიშვილმა 31 იანვარს გადაიხადა 450 ლარი. თქვენ მეუბნებით, რომ სულ გადახდილია 550 ლარი. არადა, როგორც გულშემატკივრები ამტკიცებენ, თავად გია თომაძემ მოსთ-

ოვა ოპერაციის დამთავრებისთანავე ნინოს ქმარსა და სიძეს 1250 ლარი. მშობლები თვლიან, რომ იმ 400 ლარის გამო, რომელიც არ გადაიხადეს, თქვენ დამალეთ ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის პასუხი...

— დღეს ექიმს ყველა იმისთვის ეღაუბება, ფულს რატომ გეთხოვთ. როგორც ხედავთ, დარჩენილი ფული ჩვენ არ მოგვითხოვია. სახელმწიფო სტანდარტით კი, 1250 ლარი იყო გადასახდელი, მაგრამ რადგან ვერ გადაიხადეს, რამდენჯერღაც უნდა გვეთქვა?! ძალა აღარ დავატანეთ...

— გადარჩენის როგორი შანსი ჰქონდა ნინო გელხაურს, თუკი დროულად შეიტყობდნენ ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის პასუხს?

— ამ კითხვაზე პასუხს ექსპერტი გასცემს. თუ დასასჯელია ვინმე, უნდა დაისაჯოს, მაგრამ არსებობს თუ არა დამნაშავე, პირველ რიგში ეს უნდა გავრკვეს.

— როცა თვეების შემდეგ, ბატონ დიმიტრისთან მივიდნენ ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის პასუხისთვის ნინოს მული, შემდეგ კი ძმა, მან მაშინაც განუცხადა, რომ ნინოს საშიში არაფერი სჭირდა. მშობლები აცხადებენ, რომ თქვენ არც სულ ბოლოს — 23 ივნისს გქონდათ პასუხი ნანახი.

**დიმიტრი წოგოძე:**

— მე არ მახსენდება ასეთი რამ. ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. მე რატომ დავმალავდი? ოპერაციის დროს ვცდილობდი, როგორმე შემენარჩუნებინა მისთვის საკვერცხის ნაწილი. ისე მეცოდებოდა... ორმოცდაერთი წელია, რაც ვმუშაობ, მსგავსი შემთხვევა მე არ მქონია.

— გამოდის, რომ პასუხისმგებლობას იხსნით?

**ავთანდილ მეგრელიძე:**

— სამედიცინო პერსონალს რა საყვედურიც შეიძლება ეთქვას, ის არის, რომ ნინო გელხაური გაეწერა და მას ვეღარ გააგებინეს, რომ ჰქონდა სიმსივნე, რომელიც სასწრაფოდ მისახელი იყო. ერთადერთი სადავო სწორედ ეს არის.

თითოეულ ჩვენგანს ხშირად სმენია მედიცინის ცალკეულ მუშაკთა დაუღვერობისა თუ გულგრილობის შესახებ, რის გამოც პაციენტს, განკურნების ნაცვლად, უფრო გართულება მდგომარეობა. ამგვარი ფაქტების გაზვიადების მომსწრენიც ყვეოფილვართ და, რა დასამალია, თავად ავადმყოფისა თუ მისი პატრონის უყურადღებობისა და გულარხეინობისაც. ერთი რამ უდავო და ცხადია: როცა საქმე აღამიანის ჯანმრთელობას და, მით უმეტეს, სიცოცხლეს ეხება, — წვრილმანსაც კი საბედისწერო მნიშვნელობა აქვს. ■

სტუდია „მაესტრო“ ტელევიზიის „პირველი არხი-დან“ ტელეკომპანია „პირველ სტერიოზე“ გადავიდა. სახელმწიფო არხზე „მაესტროს“ მხოლოდ ორი გადაცემა – „პასეანსი“ და „ამბობენ“ დარჩა. იმასაც ამბობენ – ცოტა ხნის წინ ეიჭასა და ირას შორის სამსახურებრივი რომანი გაჩაღდაო... ვინ, ვისთან, როდის, რა, სად, როგორ და რატომ – ამ ყველაფრის გასარკვევად, სტუდიის ხელმძღვანელს – მამუხა ღლონბსა და სხვა „მაესტროელებს“ მივმართეთ.



# „მაესტრო“

## ახალი სწავლების ემზადება

### ნათია თენიავილი ხატუნა ჩაპახიშვილი

— ბატონო მამუკა, უახლოეს ხანში კონკრეტულად, რა სიახლეებს შემოგვთავაზებს „მაესტრო“?

— „მაესტრო“ და „პირველი სტერიო“ გაერთიანდნენ და 29 ოქტომბრიდან, ამ არხზე ყოველდღე გავალთ ეთერში. ეს იქნება ვიწრო პროფილის ტელევიზია — მხოლოდ გასართობი გადაცემებით, არანაირი პოლიტიკა და სოციალური პრობლემები არ იქნება. „პირველ სტერიოს“ ეკუთვნის არხი, ანძა და გადამცემი აპარატურა. სამონტაჟო აპარატურა და შემოქმედებითი ძალები — „მაესტროსია“. „პირველი სტერიო“ გვენდობა და გადაცემებზე მთლიანად ჩვენ ვართ პასუხისმგებელი, ე.ი. ჩვენ გადავწყვეტთ, რა გადაცემები გავა ეთერში.

— რომელ საათებში იქნება თქვენი გადაცემები?

— დილის 8-დან 11 საათამდე და საღამოს 7-დან ღამის 1-ის ნახევრამდე. ვფიქრობ, აქ მოპოვებული თავისუფლება დადებითად იმოქმედებს ჩვენს რეჟისორებზე. თავისუფლებაში ვგულისხმობ იმას, რომ გავაკეთებთ იმას, რასაც საჭიროდ ჩავთვლით.

— „პირველ არხზე“ არ იყო ამის თავისუფლება?

— „პირველი არხი“ არის დამკვეთი: ის

დაგიკვეთს კონკრეტულ პროდუქციას და მოცემული ჩარჩოებით უნდა შემოიფარგლო. ამ შემთხვევაში კი, დამკვეთიც ჩვენ ვართ და პროდიუსირების სრული სპექტრიც ჩვენ ხელთ არის.

— გექნებათ თუ არა ახალი გადაცემები და შეიცვლება თუ არა „მაესტროს“ ჩვეული სტილი?

— ბუერი კარგი, ახალი გადაცემა მზადდება. თითოეულ მათგანზე კონკრეტულად, პრესკონფერენციაზე ვისაუბრებთ. რაც შეეხება სტილს, როგორც „მაესტროს“ სწევია, იქნება თავისუფალი, სხვაგვარად რომ ვთქვათ — სერიოზულად — არასერიოზულზე.

— აღდგება თუ არა „მაესტროს“ ის გადაცემები, რომელიც მაყურებელში პოპულარობით სარგებლობდა?

— აუცილებლად აღდგება „უცნობი“, „სველი ხაზი“ და „პოლიტიკური პოდოუმი“. ეს ის სამი გადაცემაა, რომელიც მაღალი რეიტინგით გამოირჩეოდა „პირველ არხზე“.

— გეყოლება თუ არა ახალი წამყვანები?

— შემოგვემატნენ ნანა ხაზარაძე, მამუკა ბერიკა, დაგვიბრუნდა ვახტანგ ხიდაშელი (ვაკაჭი). ჰიტ-ალბომსაც ახალი წამყვანი — სალი ეყოლება.

ოთახში „მაესტროს“ თითქმის მთელმა

შემოქმედებითმა ჯგუფმა მოიყარა თავი. ირგვლივ, ჩვეული ხმაური და მხიარულება გაბატონდა.

„ა ტალანტის“ წამყვანმა — **პაპაქიშ** საკუთარი ტალანტი ცეკვა-სიმღერით გამოავლინა.

— მეტსახელი ვინ შეგარქვა?

— ჩემმა დეიდაშვილმა — 2 წლის რომ ვიყავი: ისიც პატარა იყო, ვერ ამბობდა ჩემს სახელს და ვახტანგის მაგივრად, „ვაკაჭის“ მეძახდა.

— გარკვეული პერიოდი ეკრანიდან რატომ გაქერი?

— ეკრანიდან გაქერი? ასეთი რამ არ ხდება. ალბათ მონტაჟის ბრალია... სერიოზულად კი — უბრალოდ, ცოტა ხანი დავისკენე.

— როგორც შევიტყვევო, შოუს — „ვის უნდა 20000“-ის წამყვანის სინჯებში მიგიღია მონაწილეობა. ამის გამო ხომ არ მიატოვე შენი გადაცემა?

— ამის გამო არ მიმიტოვებია. უფრო ადრე წავედი და სხვა სამსახურს ვეძებდი. სინჯებზე ვიყავი, მაგრამ არ გამიმართლა. სამაგიეროდ, ჩემს მეგობარს გაუმართლა.

— გული ხომ არ დაგწყდა?

— სულაც არა. ალბათ არ აღმოვჩნდი შესაფერისი ტიპაჟი. ეს პერიოდი უსაქმოდ არ ვმჯდარვარ: ჩემი ხელნაკეთი, საყ-

ოფაცხოვრებო ნივთების სამი გამოფენა მოვაწყვე.

— „მაესტროში“ შენი მუშაობა „ა ტალანტით“ შემოიფარგლება?

— არა. ორი გადაცემის — „ა ტალანტისა“ და „პატარა დიდების“ ქულები გავაკეთე. ვამზადებ აგრეთვე სტუდიის დეკორაციებს.

„მაესტროლების“ მოთხოვნით, ვაკაჭი საკუთარ სტიქიას დაუბრუნდა და მისი სიმღერის ფონზე, **ინო მუშნარბიას** მივმართეთ:

— როგორც ვიცით, საავტორო გადაცემის შექმნას აპირებდით — მხოლოდ ქალებისთვის...

— მინდოდა, მაგრამ ეს ჩანაფიქრი არანაირად არ ჯდება „მაესტროს“ სტილში, ამიტომ, გონებიდან ამოვიგდე. მირჩევნია, „მაესტროში“ ვიყო და რაც მამუკა ღლონტმა შემომთავაზა, იმაზე ვიმუშაო: „მაესტრო“ ჩემი ოჯახია. შემოგთავაზებთ საინფორმაციო გადაცემას, რომელზეც მე და ბაკა (ელენე კვიციანი — სტუდია „მაესტროს“ დირექტორი. — ავტ.) ვიმუშაობთ. აქ პოლიტიკისა და ეკონომიკის გარდა, ყველანაირი ინფორმაცია იქნება.

**ნიკა ღლონტი:**

— მე დილის გადაცემას — „ტოროლას“, „პრეს-პრესისა“ და ჰიტ-ალბუმის წამყვანი ვიქნები.

— თავად, როგორ მუსიკას უსმენ?

— ყველანაირ მუსიკას ვუსმენ, მთავარია, კარგი იყოს.



— „მაესტროში“ როგორ მოხვდი?

— „მეორე არხიდან“ მოყოლებული, დღიდან დაარსებისა, „მაესტროში“ ვმუშაობ.

— „მეორე არხზე“ როგორ მოხვდი?

— სრულიად შემთხვევით. სტუმრად მივედი ტელევიზიაში და დავრჩი.

— ნებით დარჩი თუ ძალით დაგტოვეს?

— ურთიერთშეთანხმებით — ეს საერთო სურვილი იყო.

„სველი ხაზის“ წამყვანთან — სოსო თოლორაიასთან საკმაოდ მოკლე საუბარი გამოვევიდა. ამის მიზეზი, ოთახში შემოსული **ლევან ლელაშვილი** (კიჭა) გახდა. სოსოსგან მხოლოდ ის გავარკვიეთ, რომ „სველი ხაზი“ ჩვეული ფორმით გავაეთერში, კვირამი ერთხელ. კიჭას ძალიან ეჩქარებოდა და სოსომ რესპონდენტის ადგილი დაუთმო.

— გარკვეული პერიოდი „პა-სეანსი“ ეთერში არ გადიოდა. რა იყო ამის მიზეზი?

— სპონსორი ვერ ვიშოვეთ. ახლა „პირველმა არხმა“ იკისრა ფინანსური მხარდაჭერა და კვირობით, 15 წუთიან გადაცემებს შემოგთავაზებთ.

— ტელევიზიაში თქვენი მუშაობა მხოლოდ „პა-სეანსით“ შემოიფარგლება?

— „პა-სეანსის“ გარდა, ვმუშაობ „პირველი არხის“ სარეკლამო განყოფილებაში, რეკლამის მოზიდვის მენეჯერად. გარდა ამისა, „გე-პე-ის“ თეატრში მე, ცუცა, ჯინო და ალექო ვაპირებთ მინიატურების თეატრის ჩამოყალიბებას — ბიძინა მასხარაძის თამადაობითა და თანადგომით.

— ქუჩაში თქვენს დანახვაზე ხალხს რა რეაქცია აქვს ხოლმე?

— ეცინებათ. ზოგი ჩაიცინებს და გაივლის, ზოგი — საჭიფოდ გვეპატიჟება. ზოგჯერ გვთხოვენ — არ დაიმალეთ, კარგი ბიჭები ხართ: მარტო თქვენ თუ გვახალისებთ ამ ცხოვრებაში და ასე გავარბელეთო.

— ისე თქვენი ადრინდელი გადაცემები თითქოს უფრო მეტად აცინებდა მაყურებელს...

— „წნევა“ დასაწყისში ყოველთვის მეტია... მაშინ სამუშაო პირობებიც სხვანაირი იყო და მეტი ენთუზიაზმიც გვქონდა: ჩვენთვის დილა „პა-სეანსით“ თენდებოდა და დღე „პა-სეანსით“ მთავრდებოდა... ეს ისეთი სამუშაო არ არის, რომელიც შეიძლება ოჯახი არჩინო. როგორც ვითხარით, მე სარეკლამო სამსახურშიც ვმუშაობ,

კიჭა და ირა



მამუკა ღლონტი

ირაკლი ფრანგიშვილი — მსოფლიო ბანკში, მამუკაც უამრავ სხვა საქმიანობას ეწევა. მოკლედ, ნაწილებად ვართ გახლეჩილები. ამის გამო, შეიძლება ცოტა მოვლენით კიდევ. თანაც, ძალიან ძნელია, ერთი კაცი 10 წლის მანძილზე სულ „10-იანში“ ურტყამდეს.

— სახლშიც ასეთი მხიარულია ლევან ლელაშვილი?

— არა. უბრალოდ ასეთი იმიჯი მაქვს, თორემ „ბატონ ლევანსა“ და ლევანს შორის დიდი განსხვავებაა. რა თქმა უნდა, სახლში არ ვიღვიბე სიტყვებით: მოვესალმებით, ეთერშია გადაცემა „პა-სეანსი“! პირიქით — ხმას ვერ მალეხებენ. ძირითადად, ბავშვებთან ვთამაშობ ხოლმე, მაგრამ ესეც ძლიის და დასაძინებლად ვუშვებ ხოლმე...

— მკაცრი მამა ხართ?

— მე ორი ბიჭი მყავს — 9 წლის ნიკა და 4 წლის ლუკა. მკაცრი არ ვარ. მუდღეუც სულ მაგას მიჩინებ — შენიშვნა მიეცი, უფრო მომთხოვნი იყავიო. მკაცრი მარტო მაშინ ვხდები, როცა საქმე ჩიხშია მოქცეული.

— ბოლო დროს დაირბა ქორი თქვენსა და „პა-სეანსელ“ ირას შორის არსებულ საეჭვო ურთიერთობაზე...

— მინდა თქვენი ჟურნალის მეშვეობით განვაცხადო — ეს სულაც არ არის ჭორი: მე და ირა ყოველ დღით, ერთად ვვარჯიშობთ — დავრბივართ ბიჭინებში გამოწვობილები, საღამოობით, სახლის სახურავზე ვხვდებით ერთმანეთს და ყავას ვსვამთ...

— კიდევ რას აკეთებთ ხოლმე საღამოობით?

— ისევ ვვარჯიშობთ.

— არ იღლებით ამდენი ვარჯიშით?

— საქმე ის არის, რომ მე რუსული დამევიწყდა, ირას კიდევ — ქართული ცუდად „ეკერება“. ჰოდა, ვერა და ვერ გავაგებინე, ზუსტად რა მინდა.

— „პა-სეანსის“ ხელფასით, ოჯახისა და საყვარლის რჩენას როგორ ახერხებთ?

— მე პრემიაღურებსაც ვიღებ, ბატონო: ძირითადი ხელფასით ოჯახს ვარჩენ, პრემიაღურებით — ირას.

**— არ გეშინიათ, ეს ყველაფერი თქვენმა მეუღლემ რომ გაიგოს?**

— მეუღლემ იცის და ჩემთან პრეტენზია არ აქვს. მისი ღვიძლია — თუ ღალატია, კარგ ქალთან მაინც იფოსო. სხვათა შორის, „ლიცენზირებული“ საყვარელი ვარ — აღებული მაქვს ლიცენზია, რომლის ნომერია მხოლოდ 00628. შესაბამის ორგანოებს შეუძლიათ მოვიდნენ და შეამოწმონ ჩემი ლიცენზიის ნამდვილობა. ახლა მთავარია, ირას გავაგებინო, რა მინდა — იქნებ რაიმე გამოგვივიდეს.

**— თუ ვერ გააგებინეთ, რა მოხდება?**

— თუ ახალ წლამდე ვერ გავაგებინე, ახალ ლიცენზიას ავიღებ: გადაწყვეტილი მაქვს, ციცოზე (ცუცაზე) გადავიდე: ის ყველაფერს კარგად გაიგებს.

კიჭას შემდეგ ამ ჭორის მეორე მთავარ გმირს — **ირა შამგულაშვილს** მივმართეთ.

— დღეს საქართველოში ყველა ჭორით არის დაავადებული. ხალხი სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ უმრავლესობას საქმე არა აქვს...

**— ე.ი. კიჭასთან ერთად არ ვარჯიშობთ?**

— ნამდვილად არა. არც ყავას ვსვამ სახურავზე. დილაობით ვვარჯიშობ, მაგრამ კიჭასთან ერთად არა — იმიტომ, რომ ძალიან შორს ვცხოვრობთ ერთმანეთისგან. საიდან წამოვიდა ეს ჭორი, არც ვიცი. პრაქტიკულად, მხოლოდ სამსახურში ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს. შეიძლება, რესტორანშიც წავიდეთ და კაფეშიც, ოღონდ ყველასთან ერთად ან თუნდაც მარტო ჩვენც, მაგრამ ეს განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს.

**— საკუთარი ოჯახი რატომ არ გაქვთ, არაფერს გიყვართ?**

— ძველა, რომ ყველაფერი ბედის ამბავია — როცა გაგიღიმებს, მაშინ გათხოვდები. საერთოდ, არასოდეს ვლაპარაკობ ხოლმე ჩემს პირადულზე, ბოლომდე არასოდეს ვისხსნები.

**— მეოცნებე თუ ხართ?**

— შემიძლია ვიჯდე და საათობით ვიოცნებო. მე და ცუცა ხანდახან ხმამაღლა ვოცნებობთ ხოლმე — რას გავაკეთებთ, 10 მილიონი რომ მოგვცა.

**— საინტერესოა, რას გააკეთებდით?**

— თავიდან, ოცნება ერთი მილიონით დავიწყებ, მაგრამ ბოლოს, ჩვენთვის აღარ დაგვრჩა ფული და ნელ-ნელა თანხა გავზარდეთ... პირველ რიგში, მეგობრებს დაურთიებთ, მერე მშენებლობებს დავიწყებთ: მაგალითად,

გადაწყვეტილი გვაქვს, უპატრონო ბავშვთა სახლი ავაშენოთ. გვინდა, გავუღამაზოთ ამ ბავშვებს ცხოვრება. უამრავი სხვა პროექტიც გვაქვს. თუ ხარჯთაღრიცხვის შედგენა დაიწყებ, ფული არასდროს არ გვეყოფნის. არ ვიცი, ჩვენი პოლიტიკოსები როგორ ითვლიან, რომ სჭირდებათ მხოლოდ, ვთქვათ, 17 მილიონი: მე და ცუცამ ვერანაირად ვერ დაუთვალეთ.

**— ირა, როგორი მამაკაცები მოგწონთ?**

— არასოდეს მიყვარდა ლამაზი მამაკაცები. არც სიმაღლეს და არც გარეგნობას ყურადღებას არ ვაქცევ. ვფიქრობ, კაცში ცოტათი მაინც უნდა იყოს „ცხოველი“. მანერებში, ქცევებში უნდა ეტყობოდეს, რომ მამაკაცია. სინაზე მამაკაცში აუტანელია. ჩემთვის ეს მიუღებელია. მებრალეა ასეთი კაცები. ღმერთი ქმნის კაცს და აძლევს უდიდეს ძალას, ისიამოვნოს ქალით. როგორ შეიძლება, ამ დროს სხვა რაღაცით სიამოვნება?! საცოდაობაა და მეტი არაფერი.

**— პირველ სიყვარულს ხომ ვერ გაისხსენებდით?**

— ჩემი აზრით, პირველი სიყვარული სწორედ დღეს მაქვს. რა თქმა უნდა, აქამდეც მქონდა პატარა-პატარა რომანები, შეცდომები, „ფლირტები“, მაგრამ ეს სიყვარული არ იყო. არ შემიძლია ვთქვა, რომ ბაღში, 5 წლის ასაკში, როცა ბიჭმა მაკოცა, რაიმე ვიგრძენი. არც 16 წლის ასაკში. ამ ასაკში სიყვარულის ინტერესი უფროა — გინდა ყველაფერი „გასინჯო“... ამიტომ, არ მიკვირს, როცა თინეიჯერს შეცდომა მოსდის. ამ შეცდომით ის ცხოვრების სკოლას გადის. ადრე თუ გვიან, ხომ მაინც შეცდება და სჯობს, ეს 16 წლის ასაკში მოუვიდეს. მთავარია, მერე იაროს სწორი გზით. ნაადრევად შექმნილი ოჯახები მომწონს, მაგრამ არ მჯერა, რომ ეს ნამდვილი, დიდი სიყვარულია.

**— ე.ი. დღეს შეყვარებული ყოფილხართ?**

— ალბათ — თუმცა მე არც ის ვიცი, ეს

სიყვარული როგორ დამთავრდება და არის თუ არა ეს ნამდვილი, დიდი გრძნობა. ცხოვრება გვიჩვენებს. არსებობს ერთი გენიალური ფრაზა: **Не родись красивой, а родись счастливой** ლამაზი ქალის ბედი ბევრად უფრო რთულია. რა თქმა უნდა, თავს არ ვთვლი ძალიან ლამაზ ქალად — თბილისში ჩემზე უკეთესი ბევრი გოგო დადის...

**— როგორც ვიცით, მოსკოვში გამართულ ერთ-ერთ კონკურსში მიგიღიათ მონაწილეობა. რა კონკურსი იყო?**

— დაახლოებით 10 წლის წინ, მოსკოვში ჩატარდა კონკურსი — **Мисс Русская Красавица для Америки**. ხუთი ათასი გოგონადან, რამდენიმე ტურის შემდეგ, რვათა დაგრილთ. საბოლოოდ, ხუთი აირჩიეს. მე დარჩენილ სამეულში აღმოვჩნდი. მაშინ ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ბრძანა: „ვერასოდეს გავუშვებთ ქართველს რუსეთის იმპერიის წარმომადგენლად ამერიკაში“. გამარჯვებულებს ამერიკის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში რუსული ისტორიის ლექციები უნდა წაეკითხათ. სამაგიეროდ, ბოლოს, ბოროტად გამეცინა — როცა ეს გოგონები ამერიკიდან ერთ კვირაში გამოისტუმრეს...

**— როგორ ფიქრობთ, არ დადგება დრო, როცა მოგებზრდებათ „პასენანში“ მუშაობა?**

— რეჟისორზეა დამოკიდებული, მოგებზრდება თუ არა. თუ სამუშაო საინტერესო იქნება, არა მგონია, ვინმეს მოგებზრდეს. ისე, ერთ მშვენიერ დილას თუ ჩავეხედავ სარკეში და აღარ მომეწონება საკუთარი თავი, როცა მივხვდები, რომ ფორმაში აღარ ვარ და ვეღარ „ვქაჩავ“, — წავალ ეკრანიდან. ბებიის როლს „ნამის პონტი“ ვერ ვითამაშებ: გზას რომელიმე სხვა, კარგ გოგონას დაუთმობ. ჯერჯერობით კი, ნორმალურ ფორმაში ვარ და მიყვარს და მისარია იმ საქმის კეთება, რომელსაც ვაკეთებ.

წინა პლანზე ნინო მეუნარგია და ვაკაპო





ყოველთვის მეგონა, რომ გურამ ნიბახაშვილს ლამის მთელი ცხოვრება ვიცნობდი, მაგრამ როცა „გზისთვის“ მასთან ინტერვიუს მომზადება გადავწყვიტე, ჩემდა გასაოცრად, აღმოვაჩინე, რომ მასხოვრობაში საკმაოდ ღრმად ჩაბეჭდილი რამდენიმე ფოტონამუშევრის გარდა, ამ ადამიანზე თითქმის არაფერი ვიცოდი. თვითონაც თავიდანვე ცივი წყალი გადაამასხა: აბა, ჩემზე რა უნდა დანერო, ქორების ობიექტი მე არ ვარ და ინტრიგების დიდოსტატიო. რა იცოდა, რომ ამ სიტყვებში ჩემთვის უკვე დიდი ინტრიგა იყო...



# ეგონისტი ფოტობრაფი, ხოპერის ზოგჯეხ ბალახუნის ნება

რუსულან ლებანიძე

— გურამ, შენ კი დიდად არ დატყობია, მაგრამ წლები მაინც სწრაფად გაფრენილა, რამდენი ხანია, რაც ფოტოგრაფობას მისდევ?

— კიდევ კარგი, შენც ფოტოხელოვანი არ მიწოდე, თორემ თავიდანვე ვიჩნუბებდით. ეს რა ტერმინია და საიდან მოვიდა, არ ვიცი და არც მაინტერესებს. ოდესმე თუ გსმენია, ვინმესთვის, ვთქვათ, მხატვარ-ხელოვანი ან მწერალ-ხელოვანი ეწოდებინათ?! ისე, თუ ვინმეს, მაინცდამაინც, ფოტოგრაფების კლასიფიკაცია სურს, რად უნდა ამას ახალი ტერმინი?! უბრალოდ, თქვას: ეს კარგი ფოტოგრაფია, ეს კიდევ — ცუდიო და ყველაფერი გასაგები იქნება.

— ჩემთვისაც ყველაფერი გასაგებია, „პარგო ფოტოგრაფო“, ამიტომ, მოდი, ისევ ჩემს შეკითხვას დავუბრუნდეთ...

— ფოტოგრაფობა თითქმის ოცი წლის წინ, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას დავიწყე. პირველი გამოფენაც იმ პერიოდში მქონდა. თუმცა, ახლა რომ მახსენდება, რაც მაშინ გამოვფინე, მხოლოდ მოწყალებულ მემბრებია...

— ისე, ქიმიკოს კაცს ფო-

ტოგრაფობა მაინც რამ გადაგანყვეტინა?

— აზრზე არა ვარ...

— უბრალოდ, ერთხელ, ფოტოაპარატი ჩაგივარდა ხელში და შენც ადექი და ჩააჩაკუნე?

— საქმე არც მთლად ასე მარტივად იყო... საერთოდ, ძალიან მიყვარს ვიზუალური ხელოვნება: თეატრი, კინო, მხატვრობა... ერთხანს მეც მხატვრობას ვაპირებდი, თუმცა, ბოლოს, მაინც ფოტოგრაფობაზე შევჩერდი. ქიმიამ კი, როგორც იტყვიან, ჩაილურის წყალი დალია. თანაც, კიდევ კარგი, რომ ეს მანამ მოხდა, სანამ ასპირანტურასაც დავამთავრებდი... ისე, ქიმიკოსობის პარალელურად, ჟურნალ-გაზეთებშიც თავიდანვე ვთანამშრომლობდი. პირველი ფოტო კი, „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოიქვეყნეს...

— რა ფოტო იყო, არ გახსოვს?

— რაღაც კატასტროფა. მაშინ, ალბათ, საკუთარი ტექნიკის სრულყოფის ცდით უფრო ვიყავი დაკავებული, აზროვნებაში კი ეს ყველაფერი უფრო მოგვიანებით გადაიზარდა, — მას შემდეგ, რაც ეწ. „მეათე სართულის“ მხატვრები: მამუკა ცეცხლაძე, კარლო კაჭარავა, ნიკო ცეცხლაძე, ნიკო ლომაშვილი და სხვები გავ-

იცანი, რომლებიც იმ დროისათვის, საკმაოდ თავისუფალი აზროვნებით გამოირჩეოდნენ. მათ ჩემი, როგორც ფოტოგრაფის, აზროვნების ჩამოყალიბებაშიც საკმაო წვლილი შეიტანეს. ძალიან დამეხმარა ისიც, რომ საუნივერსიტეტო განათლება მქონდა მიღებული და არა სამხატვრო აკადემიის... სხვათა შორის, აკადემიაში ახლავდა შეიქმნა „ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების“ ფაკულტეტი, სადაც მეც ვასწავლი.

— კარგად გინდოდა?

— პედაგოგებს დღეს რასაც უხდინ, არ იცი?.. ფულს, ძირითადად, ჟურნალებში „მუდმივსა“ და „მარტაში“ მუშაობით ვშოულობ.

— ბევრს შოულობ?

— ბევრი ფული რომ მქონდეს, საერთოდ აღარ ვიმუშაებდი და მარტო ფოტოებს გადავიღებდი. ახლა კი ჩემი დროის 80% შეკვეთებზე მიდის. რა თქმა უნდა, ესეც ფოტოგრაფიაა, მაგრამ ისეთი, რომელიც არ მიყვარს და იბულებული ვარ, მაინც ვაკეთო, ოჯახის რჩენა რომ შევძლო.

— გამოდის, რომ სულისთვის შენი დროისა და ენერჯის მხოლოდ 20%-ლა გრჩება...

— ვერ ვიტან რა, ეგეთ ამალეებულ გამოთქმებს: „სულისთვის“... „შთაგონებისთვის“... ვფიქრობ, ყველაფერი, რასაც ადამიანი აკეთებს, პირველ რიგში, ლოგიკას უნდა ექვემდებარებოდეს და ახსნადი და საინტერესო უნდა იყოს. ხელოვნებაც მხოლოდ იმდენადაა ფასეული და საინტერესო, რამდენადაც ყველასათვის გასაგებია...

— თვლი, რომ შენი ფოტონამუშევრებიც ყველასათვის გასაგებია?

— რა თქმა უნდა. გაუგებარი რა უნდა იყოს?

— მაშინ „შპარგალკებს“ რატომღა გგაწვდი?

— თუ ჩემი ნამუშევრების ერთ-ერთ სერიას გულისხმობ, რომელსაც მართლაც „შპარგალკები“ ჰქვია — უბრალოდ, ამ სიტყვის ზუსტი ქართული შესატყვისის ვერ მოვებენე და იმიტომ — იქ, ჩემი აზრით, ყველაფერი ძალიანაც ცხადი და გასაგებია... ამ ფოტოების სახით მე შენ, დამთვალიერებელს, „შპარგალკები“ კი არ მოგაწოდე, უბრალოდ, ის გიჩვენე და იმაზე გაამბე, რამაც ჩემი, როგორც ადამიანის ჩამოყალიბებაზე, ცნობიერად



ქართული ფოტოგრაფიის გამოფენაზე ვენაში (იური მენითოვის ფოტო)

თუ ქვეცნობიერად, ძალიან დიდი გაფლენა იქონია...

— დანარჩენ სერიებში როგორღაა საქმე?

— რა ვიცი, რომელზე ვითხრა? მაგალითად, მქონდა სერია „განმარტებანი“, რომელიც „შპარგალკებზე“ აღრე შეიქმნა და ბევრად დიდიც იყო. ამ სერიაში ჩემთვის საინტერესო, კონკრეტულ თემებს ვეხებოდი. ანუ ყოველ კონკრეტულ, ვიზუალურ ნამუშევარს ლექსიკონიდან აღებულ, კონკრეტულ განმარტებას ვურთავდი, მაგალითად — რას ნიშნავს „მთა“, „ზღვა“, ანდა — „გზა“...

— გზის განმარტება განსაკუთრებით მაინტერესებს: ჩვენს ფურნალსაც ხომ „გზა“ ჰქვია...

— მართალი ვითხრა, ახლა ზუსტად აღარ მახსოვს. ისე, ძალიან თუ გაინტერესებს, აიღე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და წაიკითხე, მეც იქიდან მაქვს გადმოწერილი... ფოტოზე კი, საქართველოს სამხედრო გზის ფრაგმენტი და გრაფიკულად შესრულებული გზა არის გამოსახული... ეს არის და ეს...

— იმ ფოტოებზე, რომლითაც, ასე ვთქვათ, ყოველდღიურ პურს ჭამ, რა არის ხოლმე გამოსახული?

— ეს, ძირითადად, სარეკლამო მასალაა, სადაც, ზოგჯერ, კონკრეტული ადამიანებიც ფიგურირებენ...

— ცნობილი პიროვნებების პორტრეტებს თუ აკეთებ?

— არა. საერთოდაც, ჩემს ნამუშევრებში კონკრეტული ადამიანები, მხოლოდ როგორც პერსონაჟები,

ისე ფიგურირებენ. მაგალითად, ერთი სერია მაქვს, „ულისე“ ჰქვია. იქ პერსონაჟებად ჩემი მეგობრები მყავს გამოყვანილი, ტექსტები კი ჯოისის „ულისეიდან“ ავიღე... ვფიქრობ, საინტერესო გამოვიდა...

— იმასაც ხომ არ ფიქრობ, რომ ჯოისის „ულისე“ დღეს ბევრს აქვს წაკითხული?

— აი, ეგ უკვე ჩემი კი არაა, მაგ „ბევრის“ პრობლემაა: თუ არ წაუკითხავთ, ადგენ და წაიკითხონ... თავიდან, მეც გამიჭირდა, მაგრამ ბოლოს ხომ წავიკითხე და გავიაზრე კიდევც...

— მიგაჩნია, რომ შენი საქმის პროფესიონალი ხარ?

— თუ პროფესიონალიზმში იმას გულისხმობ, რომ ამ საქმით ვცხოვრობ და ფულსაც ვშოულობ, მაშინ, რა თქმა უნდა, პროფესიონალი ვარ...

— შენი ნამუშევრებიდან ყველაზე მეტად რომელი გიყვარს?

— ნამუშევარს შესაყვარებლად არასოდეს ვაკეთებ. მე მას უბრალოდ, ჩავიფიქრებ ხოლმე და მერე ამ ჩანაფიქრს მეთოდურად ვახორციელებ. ასე რომ, შემიძლია, მხოლოდ ის ჩამოგიოთვალო, თუ როდის რა გამიკეთებია ან სად გამომიფენია...

— სულ რამდენი გამოფენა გქონდა?

— ოთხმოცამდე მაინც, თუ მეტი არაა. მათგან ბევრი, უცხოეთშიც: ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, რუსეთში... ამერიკაში მოწყობილ ჩემს პერსონალურ გამოფენაზე ერთი ნამუშევარი სერიიდან „ალინა საოცრებათა ქვეყანა-

ში“, ბრუკლინის მუზეუმამაც იყიდა. ისე კი, ამ გამოფენების ნახევარზე მეტი ჯგუფური იყო და, ამიტომაც, ვერ დავიჩემებ, რომ, ადამიანები მაინცდამაინც, ჩემი ნამუშევრების სანახავად ან საყიდლად მოდიოდნენ...

— გამოფენა-გაყიდვებშიც ასე ხშირად მონაწილეობ?

— ვფიქრობ, რომ ყველა გამოფენა, გაყიდვასაც უთუოდ გულისხმობს. მეც ჩემს ნამუშევრებს ყოველთვის, როგორც გასაყიდ პროდუქტს, ისე ვუყურებ და გამიყიდა კიდევ თუ, რა თქმა უნდა, მყიდველი გამოძენილია.

— ხშირად გამოგჩენია?

— ხშირად არა, მაგრამ გამომჩენია. მაგალითად, ერთი ჩემი ნამუშევარი, რომელიც მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა იყიდა, მოგვიანებით, იქ გამოფენილიც ვნახე, რამაც განსაკუთრებით გამახარა. იმიტომ, რომ მუზეუმები ყოველწლიურად უამრავ ნამუშევარს ყიდულობენ, მაგრამ ძირითადად, საცავეებში ინახავენ, ექსპოზიციაში კი ადგილს, ერთეულები იმკვიდრებენ...

— რომელი ნამუშევარი იყო...

— ეს იყო ნამუშევარი სერიიდან „ქალი-ღრუბელი“. ამ სერიაში, რომელსაც „ღროის ხანგრძლივობაც“ ჰქვია, ძალიან მარტივი იდეა იდო: მინდოდა, მეჩვენებინა, რომ ამქვეყნად ყველა და ყველაფერი განიცდის ცვალებადობას — მათ შორის — ქალიც და ღრუბელიც... ამიტომ, ავიღე ეს ორი მარტივი სიმბოლო და ფოტოზე ერთად დავდე. სხვათა შორის, ეს ფოტოები საყურებლადაც ძალიან სასიამოვნოა, იმიტომ, რომ მათზე გამოსახული ქალებიც ლამაზები არიან და ღრუბლებიც. პირადად მე ორივეს ყურება ძალიან მსიამოვნებს.

— რადგან ქალის თემას თავადვე შეეხე, მინდა გკითხო...

— ვიცი, რაც უნდა მკითხო: ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ქალი არსებობს და ის ჩემი მეუღლეა.

— იქნებ, ისიც მითხრა, რომ შენს ცხოვრებაში მეტი ქალი საერთოდაც არ ყოფილა?

— არ ყოფილა!.. კარგი, კარგი, ალბათ, ოდესღაც, ვიღაც-ვიღაცებიც იყვნენ, მაგრამ მერე რა?!

— ვი. შენი მეუღლე დღემდე შენი საყვარელი ქალიცაა?

— კი. თანაც, ძალიან საყვარელი.

— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— ეს ძალიან ბანალური ამბავია: მე და მანანა უნივერსიტეტში ერთ კურსზე ვსწავლობდით. შემდეგ შემიყვარდა და...

— დიდხანს სდიე?

— დევნისა რა მოგახსენო... მე ხომ ძალიან პრაქტიკული ადამიანი ვარ... ასე რომ, პირველ კურსზე რომ შემიყვარდა, მეორეზე უკვე ცოლადაც მოვიყვანე...

— რამდენი შვილი გყავთ?

— სამი. შუაში გოგო და აქეთ-იქით ბიჭები.

— რამხელეები არიან და რას აკეთებენ?

— გიორგი უკვე სტუდენტია, ფიზიკოსობას აბირებს, მარიამი და ლალო ჯერ სკოლაში დადიან. მარიამი ცოტას ჩელოზე უკრავს, ლალოს ცოტათი ჭადრაკი იტაცებს, ცოტათი — კომპიუტერი...

— შენი ხელობით არც ერთი არ ინტერესდება?

— არა.

— არც მეუღლემ?

— მეუღლე ყოველთვის ჩემი დიდი გულშემატკივარი იყო და არის. ის კი არა და, სანამ, ასე ვთქვათ, ქიმიკოსობიდან ფოტოგრაფად „გადაკვალიფიცირდებოდი“, მეც და მთელი ჩვენი ოჯახიც მთლიანად მის კისერზე ვიყავით და ერთხელაც არ დაუწუწუნია და არც უსაყვედურია...

— ოჯახის წევრებს ფოტოებს ხშირად უღებ?

— ძალიან იშვიათად და ამის გამო, სულ მეჩხუბებიან. იცი, რა არის? ფოტოებს მე, ძირითადად, მაშინ ვიღებ, როცა ატმოსფერო, გარემოა ფოტოგრაფიული. თუ იმ გარემოში ჩემი

ახლობლებიც მოხვდებიან ხოლმე, ცხადია, მათაც ვუღებ...

— ავტოპორტრეტებს თუ აკეთებ?

— მხოლოდ მაშინ, როცა კამერას ვცდი და სხვა არავინაა, რომ წინ დამიდგეს...

— შენს ნამუშევრებს პირველად ვის უჩვენებ ხოლმე?

— არავის.

— როგორ? არავისი აზრი არ გაინტერესებს?

— რატომაც არა, ძალიან ბევრი ადამიანის აზრი მაინტერესებს. მათ შორის, გამორჩეულად რამდენიმეს დავასახელებდი. ესენი არიან ფოტოთეორეტიკოსი შალვა ყიფშიძე, ხელოვნებათმცოდნე ნონა ყიფიანი, მწერალი ზაურ ქარუმიძე, მხატვარი ანდრო ვეკუა, რომელიც, სხვათა შორის, შევიცარიაში გავიცანი...

— უცხოელი ფოტოგრაფებიდან ვის იცნობ?

— ბევრს. მათ შორის, ისეთი დიდი სახელის ფოტოგრაფს, როგორიც იოზეფ კუდელკაა. სხვებსაც ვიცნობ: ზოგს სახელიანს, ზოგსაც უსახელოს. ისე, ხანდახან, ზოგი უსახელო ბევრ სახელიანსაც სჯობს...

— საქართველოშიც ასეა?

— საქართველოშიც ბევრი კარგი ფოტოგრაფია. მაგრამ პირადად მე, მათ შორის გამორჩეულად მაინც ნათელა გრიგალაშვილი მიყვარს, იმიტომ, რომ ზედმიწევნით ფოტოგრაფიულად აზროვნებს. ძალიან მომწონს იური მეჩითოვიც. ისიც ძალიან მიხარია, რომ იურას და ბევრ სხვა ცნობილ ფოტოგრაფსაც, მათ შორის ბორია შავერდიანს და თვით იოზეფ კუდელკასაც კი, მეც ხშირად გადავუღივარ...

— ისე, ყველაფერთან ერთად, დიდი

ახალი სერიიდან „კატალოგიზაცია“



ფოტო სერიიდან „ავტობიოგრაფია დაბადებამდე“

ეგოისტიც უნდა იყო...

— და მერე როგორი! როცა კაცს თუნდაც ერთი დღე შეგიძლია ცოლის კისერზე ცხოვრება, ეგოისტზე მეტიც ხარ...

— ბოლომდე „ანცი ბიჭი“ როგორღა დარჩი?

— მართლა ასე თვლი?.. ალბათ, ჩემი პროფესიის წყალობით. სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს ხომ სხვადასხვა იერსახე უყალიბდებათ. მაგალითად, ბანკირები, როგორც წესი, სოლიდური ადამიანები არიან და შესაბამისადაც აცვიათ, ფოტოგრაფები კი ყოველთვის რაიმე პრაქტიკულ ტანსაცმელს ირჩევენ, მაგალითად, ფილეტებს... თუმცა, დღეს მსგავსი ფილეტები უკვე ნახევარ „არაფოტოგრაფ“ თბილისსაც აცვია. ალბათ, იმიტომ, რომ მართლაც ძალიან პრაქტიკულია და, თანაც, საკმაოდ იაფიც ღირს. საერთოდ კი ფოტოგრაფს რაც შეიძლება მოხერხებულად და „გამეტებულად“ უნდა ეცვას, იმიტომ, რომ ზოგჯერ, სასურველი ფოტოს გადასაღებად, შეიძლება ტალახში ჩაწოლაც დასჭირდეს...



ახალგაზრდა მომღერალი ანსამბლ „ივერიის“ „ჩხოკვთა ქორნილითა“ და სიგარეტის სარეკლამო კლიპით გავიცანით. მასზე არსებული მნიერი ინფორმაციის შევსება მარიკასთან ინტერვიუს საშუალებით გადავწყვიტეთ.

# მექსიკაში გახმოვიდი პროდიუსერი



# მარიკა ქასარავას მოფასებას უპირებს



## ხათუნა ჯავახიშვილი

— როგორ მოხვედი სარეკლამო კლიპში?

— ალბათ, სიგარეტის რეკლამას გულისხმობთ. ამ რეკლამის რეჟისორი გია გუგუშვილი ჩემი ნაცნობია. მე და მისი მეუღლე ერთად ვმღერით „კვაზ-ქორალში“. გიორგიმ შემომთავაზა რეკლამაში გადაღება და მეც დავთანხმდი.

— კმაყოფილი ხარ?

— ხალხს მოსწონს. რომ ვითხრა, ვვიყვები, ისე მომწონს-მეთქი, ტყუილი იქნება. მგონი, ნორმალურია.

— მომავალში თუ აპირებ რეკლამებში გადაღებას?

— სხვათა შორის, გია გუგუშვილმა კიდევ შემომთავაზა, მაგრამ არ ვიცი, დავთანხმდები თუ არა.

— ანაზღაურება მაღალი იყო?

— კი, რა თქმა უნდა, საკმაოდ ნორმალური თანხა იყო. ძირითადად, ანაზღაურების გამო დავთანხმდი. სიმართლე გითხრათ, სიგარეტისთვის რეკლამის გაკეთება არ მინდოდა, მაგრამ ჩემი კლიპის დასამონტაჟებლად ფული მჭირდებოდა. რეკლამაში აღებული თანხით კი ეს პრობლემა გადავჭერი.

— რა ასაკში დაინწყე სიმღერა?

— სახლში პატარაობიდანვე ვმღეროდი, მაგრამ სცენაზე პირველად რომ გამოვე-

დი, 11 წლის ვიყავი: „ფერიების კონკურსში“ ვმონაწილეობდი, სადაც პირველი ადგილი ავიღე. იმ დროს არ ვაპირებდი სიმღერას, მაგრამ მანანა თოლაძემ შემინა და ანსამბლ „პრესტიჟში“ ამიყვანა. იქ ავიღე ფეხი და ნელ-ნელა შევეჩვიე სცენას. სცენის მტკერი შევისუნთქე და ვეღარ მოვწყდი.

— სიმღერის გარდა, კიდევ რითი ხარ დაკავებული?

— თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობ, ტელე-კინო სარეჟისორო ფაკულტეტზე. მე-3 კურსზე ვარ. ვიღებ საკუთარ კლიპებს.

— რამდენადაც ვიცი, ახლახან დაასრულე პირველი კლიპის გადაღება...

— დიახ, გადავიღე და ახლახანს გავიდა ტელევიზიით. კიდევ ჩემი სიმღერების დისკი ჩავწერე.

— დისკს რომელი სტუდია უშვებს?

— ოფიციალურად „გამა-სტუდია“ უშვებს, მაგრამ ჩანაწერები, გამრავლება — ყველაფერი ჩემს სტუდიაშია გაკეთებული.

— სტუდიის გახსნაში ვინ დაგეხმარა?

— ბაბუაჩემი მექსიკაში ცხოვრობს და იქიდან გამომიგზავნა აპარატურა.

— ბაბუაშენი რას საქმიანობს?

— მუსიკოსია, მევიოლინე. 25 წლის წინ ტურისტად წავიდა მექსიკაში და დარჩა.

— შენ არ გიფიქრია მექსიკაში წასვლა?

— საცხოვრებლად ნამდვილად ვერ წავალ. ერთი წელი ვიყავი მექსიკაში და კინაღამ გავვიყვი. საქართველოს გარეშე ვერ ვძლებ.

— მექსიკაში რა მიზნით იყავი?

— 14 წლის ვიყავი და ჩვეულებრივ სკოლაში ვსწავლობდი. იქ გავიცანი ვერონიკა კასტრო, რომელიც ახლა ბრიტნი სპირსის პროდიუსერია. მან 10 და 20 წლიანი კონტრაქტები შემომთავაზა: ვარ-

სკვლავად გაქცეე და აქედან გავიცნობს საქართველო, როგორც მომღერალსო — მეუბნებოდა, მაგრამ არ დავთანხმდი. მაშინ პატარა ვიყავი, მოუშალებელი... დღემდე მიგზავნის ფაქსებს. ახლა 6 თვიანი კონტრაქტი შემომთავაზა — ჩავალ და კონცერტებს გავმართავ. საკმაოდ კარგ თანხასაც იხდის.

— გარდა ამისა, კიდევ რა გეგმები გაქვს?

— მეორე ალბომზე მუშაობას ვიწყებ და, რა თქმა უნდა, სოლო კონცერტის გამართვას ვაპირებ.

— შენი საუბროდან გამომდინარე, ძალიან დატვირთული ცხოვრება გაქვს. მეგობრებისთვის თუ გრჩება დრო?

— სულ გადარბენებში ვარ, მაგრამ საღამოებით ვიცილი ზოლმე. ძირითადად, ჩემთან ვიკრიბებით ზოლმე. ზოგჯერ არ მრჩება დრო და საყვედურებით მაკვსებენ.

— მეგობრებთან ერთად როგორ ერთობი?

— როგორც ყველა — განსაკუთრებული არაფერი.

— რამ გადაგანწყვეტინა თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება?

— ბავშვობიდან მინდოდა მსახიობობა, მერე რეჟისორობა. რატომღაც მეგონა, რომ ძალიან რთული იყო თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება და ვერასდროს ჩავაბარებდი. გადასვლა უფრო ადვილი აღმოჩნდა.

— მანამდე სად სწავლობდი?

— მანამდე ფსიქოლოგიურზე ვსწავლობდი, ფსიქოლოგიის კომპერციულ ინსტიტუტში.

— რატომ არ დაამთავრე?

— სამედიცინო ფსიქოლოგია დაგვეწყო, ასათიანზე — საოქუეთში გავდიოდით პრაქტიკას. კარგად იყავით-მეთქი — დავემშვიდობე და წამოვედი... პრინციპში, თეორიული კურსი გავიარე.

— ალბათ ცხოვრებაში გეხმარება...

— არ ვამბობ, რომ ჩამოყალიბებული

ფსიქოლოგი ვარ, მაგრამ ცხოვრებისეულ მომენტებში ძალიან მეხმარება.

— ხელოვნების მოყვარულმა, ფსიქოლოგიურზე რატომ გადაწყვიტე ჩაბარება?

— არ ვიცი. უბრალოდ, მომინდა — წავედი და ჩავაბარე. სულ ასე დავდივარ. ბავშვობაშიც, 4 წელი 51-ეში ვსწავლობდი, მერე პირველ რკინიგზელთა სკოლაში გადავედი.

— ახლა თუ აპირებ სადმე გადასვლას?

— ნამდვილად აღარ ვაპირებ არსად გადასვლას. ეტყობა, ძიებაში ვიყავი და საბოლოოდ ვიპოვე, რაც მინდოდა.

— რეჟისორობა თუ მომღერლობა?..

— ალბათ ორივე. ერთმანეთს მგონი, ხელს არ უშლის.

— შენი საყვარელი რეჟისორი?

— ფრანკო ძეფირელი, თენგიზ აბულაძე...

— საყვარელი მომღერალი?..

— უიტნი ჰიუსტონი არის ჩემი ეტალონი. კიდევ — სტივი უანდერი და „ბითლზი“ მიყვარს. ქართველებიდან — ეკა კვალიაშვილი, რომელიც ჩემი პედაგოგია: ის მამზადებდა სიმღერაში. ვფიქრობ, იგი მსოფლიო დონის მომღერალია თავისი მონაცემებით... ისე, ყველას ვცემ პატივს — ლელა წურწუმიას, მერაბ სეფაშვილს, აჩიკო მეფარიძეს... ერთი სიტყვით, ყველას, ვინც რაღაცას აკეთებს და გამოსდის კიდევ.

— ვინც აკეთებს და არ გამოდის?

— მათ ალბათ არ უწერიათ სცენაზე დიდხანს ყოფნა. ცოტა ხანი გაიხარონ...



— „ჩნიკვთა ქორნილში“ როგორ მოხვდი?

— ალექსანდრე ბასილაიას მიყვანილი ვარ: დამირეკა, დამიბარა, გამსინჯეს და დამამტკიცეს როლზე. ვერც წარმოვიდგენდი ამას.

— „ჩნიკვთა ქორნილში“ მონაწილეობა ალბათ დიდი ნაბიჯი იყო შენს პროფესიულ ცხოვრებაში...

— ვერანაირად ვერ ვიჯერებდი, რომ შეიძლებოდა ანსამბლ „ივერიასთან“ ერთად გამოვსულიყავი სცენაზე. ერთი კვირა გაოგნებული, შოკში ვიყავი. ჩემთვის ეს დიდი პასუხისმგებლობა, დიდი ნაბიჯი და კარგი რეკლამაც იყო.

— დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მომღერალმა ცოცხლად უნდა შეასრულოს სიმღერა და არ გამოიყენოს ფონოგრამა. რას ფიქრობ ამის შესახებ?

— „ჩნიკვთა ქორწილის“ 17 თუ 20 კონცერტი იყო ზედიზედ და აბსოლუტურად ყველა — ცოცხალი შესრულებით. ისე შეეცქვიე, რომ მერე პლუსით სიმღერა რაღაცნაირად მრცხვენოდა კიდევ. ცოცხალი სიმღერა სულ სხვა რაღაცაა — ცოცხალი ემოცია მოდის. შეიძლება, დღეს სხვანაირად მინდა ვიმღერო — რატომ უნდა ვამთხვო პირი ძველ ჩანაწერს? არ ვიცი, აპარატურის თუ რისი ბრალია, დღეს ხშირად მართავენ, ასე ვთქვათ, „მკვდარ კონცერტებს“. რა თქმა უნდა, ცოცხალი სჯობს.

— მარიკა, ძირითადად რომელი კომპოზიტორის სიმღერებს ასრულებ?

— მრავალფეროვნება მიყვარს. ამიტომაც ჩემს რეპერტუარში სხვადასხვა კომპოზიტორის სიმღერებია — ზურაბ მახინიაშვილის, ვია მაჭარაშვილის, ნანა დაუმვილის, ჯემალ სეფიაშვილის. ჩემი ძმის სიმღერაც მაქვს.

— რამდენიმე სიტყვით, გაგვაცანი შენი ოჯახი...

— დედაჩემი პიანისტი, მამა — მევიოლინე. 19 წლის ძმა მყავს, რომელიც სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. ყველანი ხელოვნები ვართ. მშობლები ყველაფერში მხარში მიდგანან. მათ გარეშე ვერაფერს გავაკეთებდი.

— როგორ დაახასიათებდი საკუთარ თავს? ხშირად ბრავოზობ ხოლმე?

— საშინლად არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი. ხშირად არ ვბრავოზობ,



მაგრამ თუ გამაბრაზებს, შეიძლება, თავზე დავალეწო ყველაფერი. თუ „გადაამეკეტა“...

— შენი ჰობი?..

— მანქანის ტარება. მანქანა მიყვარს ძალიან და სწრაფადაც ვატარებ ხოლმე.

— საკუთარი მანქანა გყავს?

— საკუთარი არა — მამაჩემის მანქანით ვსარგებლობ ხოლმე.

— სიჩქარის გადაჭარბების გამო, პოლიციასთან პრობლემა ხომ არ გქონია?

— ჯერჯერობით არა.

— საჩუქრების მიღება გიყვარს?

— საჩუქარი მგონი, ყველას უყვარს, მაგრამ ზოგი საჩუქარსაც არჩევს. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რას მარჩუქებენ: ნაჩუქარ ნივთს ძალიან ვაფასებ.

— გათხოვილი ხარ?

— არა და ჯერ არც ვაპირებ.

— შეყვარებული თუ გყავს?

— არა. ჯერ პროფესიას უნდა მივხედო და რაღაცას რომ გავაკეთებ, მერე შეიძლება ამაზე ფიქრი.

— თაყვანისმცემლები თუ განუხებენ?

— თაყვანისმცემლების მეტი რა არის?! როცა დრო მაქვს, ტელეფონით ველაპარაკები ხოლმე, მაგრამ შეხვედრით, არავის ვხვდები.

— რატომ?

— რა ვიცი. მეტი კი არ უნდა ხალხს: ერთხელ მეგობართან ერთად ვიყავი, დამინახეს და ეგრევე დაბეჭდეს — ცოლშვილიანი საყვარელი ჰყავსო... აღარ გავდივარ გარეთ (იცინის).

— გაიხსენე ჭორი, რომელმაც ყველაზე მეტად იმოქმედა შენზე...

— ჭორები ჩემზე არ მოქმედებს, თუმცა მარაზმული ჭორი არც გამიგონია. სხვათა შორის, ერთხელ „გამათხოვეს“ კიდევ: სახელი და გვარიც გამოაქვეყნეს იმ ბიჭის, რომელსაც არც ვიცნობ.

# 31 წლის მამაკაცს ორი ქალის გვლელრობისთვის ასაპართლეხენ

## ერთ-ერთი მოკლული მისი ნათესავი იყო

ეს საშინელი ტრაგედია შარშან, ქალაქ გორის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სოფელში — თედონინდაში დატრიალდა. 2000 წლის 18 აგვისტოს პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნული სოფლის ტერიტორიაზე, დაუსახლებელ ადგილას ორი უცნობი ქალის დასახიჩრებული გვამი იპოვეს. როგორც დადგინდა, მათ თავები ქვით პქონდათ გაჩერქვილი. გარდაცვლილები — 37 წლის მარინა თინიკაშვილი და 34 წლის ვიქტორია სულაშვილი აღმოჩნდნენ. რამდენიმე დღეში, სამართალდამცავებმა მკვლელობებში ეჭვმიტანილი — სოფელ ახალდაბის მკვიდრი, 30 წლის ვეფხია ყულიაშვილი დააკავეს.



ადვოკატი მამუკა ნომაძე და განსასჯელი ვეფხია ყულიაშვილი

### მეზი ტანავა

ვეფხია ყულიაშვილმა პოლიციელების წინაშე დანაშაული აღიარა და გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაშიც დაადასტურა, რომ ორივე მკვლელობა მან ჩაიდინა. დღეს, სასამართლოში იგი ყველაფერს უარყოფს და მოსამართლეს უცხადებს, რომ მარინა თინიკაშვილი და ვიქტორია სულაშვილი იმ დღეს, მისთვის უცნობმა მამაკაცებმა მოკლეს.

პროკურატურა ბრალდებულის ჩვენებისა და გამოძიების შედეგად მომხდარ ფაქტს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

2000 წლის აგვისტოში ვეფხია ყულიაშვილი ქალაქ გორში არსებულ ბაზრობაზე, თავის ნათესავს — მარინა თინიკაშვილსა და მასთან ერთად მყოფ ვიქტორია სულაშვილს შეხვდა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ, გადაწყვიტეს, სასადილოში შესულიყვნენ და იქ თინიკაშვილის შვილიშვილის დაბადება აღენიშნათ. ისინი იქვე მდებარე სასადილო „მეფაიტონეში“ შევიდნენ. ხინკალი შეუკვეთეს, არაყიც დალიეს. გვარიანად შეზარხომდნენ და მალე ბუნებაში გადასასვლელი და ქიფის ტყეში გაგრძელება განიზრახეს. „მეფაიტონიდან“ გამოსულები ტაქსიში ჩასხდნენ. ტაქსის მძღოლს ვეფხია ყულიაშვილმა სოფელ ახალდაბაში წაყვანა სთხოვა. ახალდაბაში მან ნაცნობ

ქალს 10 ლიტრი ღვინო გამოართვა, ჯიხურიდან შოკოლადი და ჭიქები წამოიღო, ფულის გადახდას იმ ქალს მომავლისთვის დაპირდა და კვლავ ტაქსიში ჩავდა. ამჯერად მან მძღოლს გეზი სოფელ თედონინდას მახლობლად მდებარე ტყისკენ ააღებინა. ტაქსის მძღოლმა მგზავრები მათთვის სასურველ ადგილას დატოვა და წავიდა.

თინიკაშვილმა, სულაშვილმა და ყულიაშვილმა სუფრა გაშალეს და ქიფი განაახლეს. ცოტა ხნის შემდეგ, ვიქტორია სულაშვილმა ყულიაშვილს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება შესთავაზა. ამ მიზნით იგი მოშორებით გავიდა და ტანთ გახდა დაიწყო. სწორედ მაშინ მარინა თინიკაშვილმა ყულიაშვილს ჰკითხა: რა, ორივეს გაგვიძლებო? ასეთი შეკითხვა ყულიაშვილმა ოუკადრისა, შეურაცხყოფად მიიღო და გაბრაზებულმა, თინიკაშვილს ქვა ესროლა, მერე კი, იგივე ქვა თავში რამდენჯერმე მაგრად ჩაარტყა. როცა დარწმუნდა, რომ ქალი მოკვდა, ვიქტორია სულაშვილისკენ წავიდა. ყულიაშვილმა, ჩადენილი მკვლელობის კვალის დაფარვის მიზნით, ამ უკანასკნელის მოკვლაც განიზრახა და ტანზე გახდილ, ძირს დაწოლილ სულაშვილსაც ქვა შუბლსა და საფეხქელში ურტყა. ძლიერი დარტყმების შედეგად, სულაშვილმა თავის ქალის მრავლობითი,

სიცოცხლისთვის სახიფათო მოტეხილობები მიიღო და გარდაიცვალა. სწორედ ამ მომენტში, მათ თავს კვლავ მარინა თინიკაშვილი დაადგა. ყულიაშვილმა იგი ისევ ცოცხალი რომ დაინახა, ქვა აიღო და ქალს კიდევ ესროლა, მერე ისევე, როგორც სულაშვილს, თავის არეში ქვა რამდენჯერმე ძლიერად ჩაარტყა. თინიკაშვილიც იქვე მოკვდა.

ვეფხია ყულიაშვილი ყოფილი პოლიციელია, ადრე ქალაქ გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს არასაუწყებო დაცვაში მსახურობდა. ბოლო ხანებში, ოფიციალურად არსად მუშაობდა, მაგრამ ოჯახს წვრილმანი ვაჭრობით არჩენდა. ჰყავს ცოლი და 8 წლის შვილი. ყულიაშვილი ამბობს, რომ მარინა თინიკაშვილთან ძალიან კარგი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა. მისივე თქმით, ვიქტორია სულაშვილი მას სწორედ თინიკაშვილმა გააცნო, იგი სულაშვილთანაც კარგ ურთიერთობაში იყო. იმავეს ამტკიცებენ დაზარალებულების — თინიკაშვილისა და სულაშვილის ოჯახის წევრებიც. მათი თქმით, ყულიაშვილთან მათ არც პიროვნული, არც ოჯახური კონფლიქტი არ ჰქონიათ.

დაზარალებულები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან და უარყოფენ პროკურატურის ვერსიასა და ყულიაშვილის პირველი ჩვენების შინაარსს — თითქოს

თინიკაშვილსა და სულაშვილს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება სურდათ. დაზარალებულები მკვლელობის ნამდვილ მიზეზს დღემდე ვერ ასახელებენ.

ვეფხია ყულიაშვილი ირწმუნება, რომ მან სამართალდამცავებს ორი ცრუ ჩვენება მასზე განხორციელებული ფიზიკური, ფსიქიკური ზეწოლისა და მუქარის შედეგად მისცა. ამის გამო, როგორც თავად აცხადებს, სიმართლის თქმა — თუ რა მოხდა იმ დღეს სინამდვილეში, მან სასამართლოსთვის გადაწყვიტა. „რასაც მპირდებოდნენ — აფექტს დაემტკიცებთ და მძიმე მუხლს არ მოგიყენებთო — არ შემისრულეს. სიმართლის თქმა ამიტომაც გადაწყვიტე“ — აცხადებს განსასჯელი.

**ვეფხია ყულიაშვილი:**

„იმ დღეს სახლიდან ზუსტად რომელ საათზე გამოვედი, არ მახსოვს. ბაზრობაზე წავედი. იქ დედაჩემის ნაცნობი ქალი ვაჭრობდა და მასთან ჩამოვჯექი. დედაჩემი ორჯონიკიძეში იყო წასული, რამდენიმე საათში უნდა ჩამოსულიყო და მას ველოდებოდი. ცოტა ხანში მარინა თინიკაშვილი და ვიკა (ვიქტორია) სულაშვილი დავინახე. ერთმანეთს შევხვდით, მივესალმეთ. თინიკაშვილი დედაჩემის დეიდაშვილია. სულაშვილს თან თავისი მცირეწლოვანი შვილი ახლდა. ხელში რაღაც კაბა ეჭირათ. ვიკამ მითხრა — ამ კაბის ყიდვა მინდა ბავშვისთვის, მაგრამ ფული არ მაქვს, შენ თუ გაქვს, გადამიხადეო. მე ფული არ მქონდა, ამიტომაც ვერ გადავუხადე.“

მარინას იმ პერიოდში შვილიშვილი შეეძინა და გადაწყვიტეთ, ეს ამბავი აღგვენიშნა. სულაშვილს ბავშვი უნდა გაეცილებინა, სად — არ ვიცი. შევეთანხმდით, რომ სასადილოში შევხვდებოდით ერთმანეთს. ნაცნობ ქალს, რომელიც ბაზრობაზე ვაჭრობდა, ფული გამოვართვი. სასადილოში რომ მივედი, მარინა და ვიკა უკვე იქ დამხვდნენ. ერთი ბოთლი არაყი, ლიმონათი და ხინკალი ავიღეთ. არაყი მერე კიდევ დავამატეთ. მესამე ბოთლის შემდეგ გადავწყვიტეთ, სადმე წავსულიყავით და ქეიფი ბუნებაში გავგვეგრძელებინა. სასადილოდან გამოვედით. იქვე, ახლოს პოლიკლინიკაა. მის პირდაპირ წითელი „ჟიგუ-

ლი“ — „ადინცატი“ გაჩერდა. მანქანაში ორი მამაკაცი იჯდა. მათ ვიკა სულაშვილს დაუძახეს, ცოტა ხანში, მათთან მარინაც მივიდა. არ ვიცი, რა თემაზე საუბრობდნენ, თუმცა ძალიან ხმაძლიერ ლაპარაკობდნენ და ზოგი რამ მესმოდა. ჩემზე ჰკითხეს — ვინ არისო? სად მიღიხართო? მარინამ უთხრა — ჩემი შვილიშვილის დაბადება უნდა აღვნიშნოთ და ბუნებაში მივდივართ საქეიფოდო; ეს ჩვენიანიაო — ჩემზე უთხრეს. მე მარინას და ვიკას შევთავაზე — ისინიც წავიყვანოთ-მეთქი. მათ ამ წინადადებაზე უარი არ უთქვამთ — ჯერ საქმე გვაქვს და მოგვიანებით შემოვიერთდებითო. მარინამ მათ უთხრა: ადრე საღაც ვიყავით, იმ ადგილას ვიქნებითო.

ჩვენ ტაქსიში ჩავსვდით და ახალდაბისკენ წავედით. იქ 10 ლიტრი ღვინო ავიღეთ, შოკოლადი და ჭიქებიც წამოვიღეთ და თელოწმინდისკენ განვაგრძეთ გზა. ტაქსის მძღოლმა იქ დაგვეტოვა, ვთხოვეთ, ჩვენს წასაყვანად, მოგვიანებით მოსულიყო, მაგრამ იუარა — დედაჩემი უნდა წავიყვანო საღაც და მე მგონი, ვერ მოვალაო. ქეიფი განვაგრძეთ. ცოტა ხანში, დაახლოებით 100 მეტრში, ისევ ის წითელი „ჟიგული“ გაჩერდა. მივხვდით, რომ ის ბიჭები მოვიდნენ. გაგვიხარდა, რადგან ვიფიქრეთ, რომ სახლში ფეხით წასვლა აღარ მოგვიწევდა.

როგორც მარინასა და ვიკასგან შევიტყვე, ერთს ვადიმა ერქვა, მეორეს — ზურაბა. ვადიმა მალალი, მოსული, ქერა ბიჭი იყო და თან, ოსური აქცენტით ჰქონდა. დაახლოებით ჩემი ასაკის იქნებოდა. სახეზე, მარცხენა ლოყასთან, დიდი მეჭეჭი ჰქონდა. ზურაბა უფრო სუსტი აღნაგობის, ვადიმაზე გაცილებით დაბალი გახლდათ. ჩვენს სუფრას რომ მოუახლოვდნენ, ნახეს, რომ ბევრი არაფერი გვქონდა. გადაწყვიტეს, დამატებით კიდევ რამე ეყიდათ. ამ მიზნით, მე და ზურაბა მანქანით სურსათის საყიდლად წავედით, ვადიმა კი, მარინასთან და ვიკასთან დარჩა. როცა დავბრუნდით, სუფრასთან არავინ დაგვხვდა. არც ვადიმა, არც ქალები არსად ჩანდნენ. მივიხედ-მოვიხედე. სწორედ მაშინ, კვილის ხმა მომესმა. მარცხნივ გავიხედე

და დაახლოებით 150 მეტრში ვადიმა შევნიშნე. იგი ქალს, — მაშინ ზუსტად ვერ გავარჩიე, რომელს, — რაღაცას ურტყამდა. იქითკენ გავიქეცი. ზურაბა მანქანაში იჯდა. როცა იმ ადგილს მივუახლოვდი, ვადიმას დავუყვირე — რას აკეთებ-მეთქი? მან კი ქვა, რომელიც ხელში ეჭირა, მე მესროლა. ქვა მომხვდა, ფეხი დამიციდა და ძირს დავეცი. ვადიმა მომვარდა და ხელი დამიჭირა. მისგან გაათავისუფლებას ვცდილობდი, მან კი ზურაბას ოსურ ენაზე დავუყვირა — ჩქარა, მოდი, დამეხმარეო! მე დედა ოსი მყავს და ეს ენა კარგად მესმის. კვილის ხმაზე რომ გავიქეცი, როგორც ჩანს, ზურაბაც გადმოვიდა მანქანიდან და უკან გამომყვა, რადგან ისიც მალე აღმოჩნდა შემთხვევის ადგილას. რაღაც მომენტში, ვადიმასგან თავი გავითავისუფლე და იქიდან გაქცევა მოვახერხე. იქვე სასაფლაოა, ის ადგილიც გავიზინე, მერე ლიახვში შევედი და ჭალაში გავედი. ორისამი საათი ჭალაში ვიყავი გაჩერებული და შიშით ვერსად მივდიოდი. მერე ისევ მთაზე ავედი და იქიდან იმ ადგილს გადავხედე, სადაც ვქეიფობდით. ბნელოდა და ვერაფერი გავარჩიე. მანქანა არსად ჩანდა. ძირს ჩავედი, იქაურობა მოვიარე და ორი გვაში დავინახე. ძალიან ცუდად გავხვდი და მაშინვე სახლში წავედი. მომხდარის შესახებ არავისთვის მითქვამს. რამდენიმე დღეში კი, პოლიციამ დამაკავა“.

კითხვას — რატომ არავის შეატყობინა მომხდარის შესახებ? — ყულიაშვილმა უპასუხა, რომ ძალიან ცუდად გრძობდა თავს და ასე რატომ მოიქცა, არ იცის. პროკურორის შეკითხვას — რატომ არ ეცადა იგი, თუნდაც თავისი ნათესავისთვის — თინიკაშვილისთვის ეშველა და რატომ არ გამოეძახა „სასწრაფო დახმარებას“? — განსასჯელმა უპასუხა: „მაშინ, როცა შემთხვევის ადგილს მივუახლოვდი, ორივე ქალის სიკვდილში დავრწმუნდი, რადგან არც ერთი მათგანი არ იძროდა...“

**ვეფხია ყულიაშვილი:**

„არ ვიცი, იქ რა მოხდა ჩვენი არყოფნის პერიოდში და რაში დასჭირდა ვადიმას ქალების მოკვლა. ზურაბას, ჩემი იქ ყოფნის დროს, მკვლელობაში მონაწილეობა არ მი-

რეაქციონარი



საქმიანობის შეწყვეტა – არსებობის შეწყვეტაა.

ოსკარ უაილდი

ყოველი რეგენი ცდილობს, სხვას დასცინოს.

ალექსანდრ პოპი

მწუხარისათვის არის მალამო თანამგრძობელის სიტყვა და ცრემლი.

კასია

თუ ჭორიკანამ გალესოს ენა, არ მოგეშხამოს გული და სმენა: ქვეყნად არსებობს წესი და რიგი – უვარგის ხილზე არ ჯდება ბზიკი.

გოტფრიდ აუგუსტ ბიურგერი

ბრაზი და რისხვა ყველგან უადგილოა, მით უმეტეს – მართალ საქმეში, რომელსაც ამღვრევს და ჩრდილავს.

ნიკოლაი გოგოლი

საშუალო კაცი სულ იმის ფიქრშია, დრო როგორ გაატაროს, ნიჭიერი კი – როგორ გამოიყენოს.

ართურ შოპენჰაუერი

მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია.

შოთა რუსთაველი

ადამიანმა უნდა ისურვოს მხოლოდ კარგი და ღიალი.

ალექსანდრ ჰუმბოლდტი

ყველაფრის თქმა ბოლომდე – სისულელეა, მაგრამ რასაც იტყვი, შენს ფიქრს უნდა გამოხატავდეს.

მიშელ მონტენი

ულია, მაგრამ მერე რა ჩაიდინა, არ ვიცი. ვიდრე ეს ბიჭები ჩვენთან მოვიდოდნენ, თინიკაშვილმა და სულაშვილმა იჩხუბეს. მარინა ვიკას საყვედურობდა – რატომ უთხარი იმ ბიჭებს, სად ვიყავით, ხომ იცი, მაგათი ვალი გვაქვსო. მე ორივე დავამშვიდე – ყველაფერი მოგვარდება-მეთქი, ვუბნებოდი. მაშინ მარინამ თქვა – ამ საქმეს შენ კი არა, ვერავინ მოაგვარებს: ძალიან დიდ ფულზეა ლაპარაკიო. მერე როგორც გამოვარკვიე, ვიკა სულაშვილს თურმე იმ ბიჭებისთვის სარეალიზაციოდ, ნარკოტიკული ნივთიერებები გამოურთმევია, თანხა კი აღარ მიუცია“.

აღსანიშნავია, რომ ვეფხია ყულიაშვილმა გამოძიებას ორი, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ჩვენება მისცა. პირველში იგი ადასტურებს, რომ თინიკაშვილიც და სულაშვილიც თავად მოკლა, მეორეში კი, კიდევ ერთ ვერსიასაც ავითარებს:

„ვიკამ და მარინამ ჩხუბი რაღაც რკინის კარის გამო დაიწყეს. როგორც მათი საუბრიდან ჩანდა, მათ ეს რკინის კარი მოიპარეს, გაყიდეს, მერე კი, ერთმანეთში ფული ვერ გაიყვეს. მე ღვინისა და სურსათის საყიდლად ვიყავი წასული. როცა დაებრუნდი, ვიკა მარინას ქვას ურტყამდა. მე მას ხელიდან ქვა გამოვტაცე. მერე რა მოხდა, არ მახსოვს...“

ყულიაშვილისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – მამუკა ნოზაძის თქმით, დანაშაულში ბრალდებულმა განსხვავებული ჩვენებები გამოძიებას, თავად გამოძიებლის – ზაზა ხარხელის დარიგებით მისცა. პოლიციის უფროსმა მას „ოკოკოლის“ ბოთლი ურტყა სახეში და გბილები ჩაუნგრია. ხარხელმა კი მას რაღაც აბები დააღვინა და გააბრუა. ადვოკატის თქმით, იგი ამას ბრალდებულზე ზემოქმედების მოსახდენად აკეთებდა. ზაზა ხარხელი რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა.

მამუკა ნოზაძე, განსასჯელის ადვოკატი:

„გამოძიება ძალზედ ტენდენციურად წარიმართა. გარდა იმისა, რომ პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლები ყულიაშვილზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდნენ და ატყუებდნენ მას, გამოძიებელმა ექსპერტიზის დასკვნებსაც გვერდი აუარა და ბრალეუ-

ლობის დასადასტურებლად, მტკიცებულებების მოსაპოვებლად, თავი არ შეიწუხა. იგი მხოლოდ და მხოლოდ ყულიაშვილის აღიარებით ჩვენებას დაეყრდნო. მართო აღიარება კი, ბრალის დასადასტურებლად საკმარისი არ არის, იგი სხვა საბუთებითაც უნდა იყოს გამყარებული.

როცა ყულიაშვილის სხეულზე ექსპერტიზა ჩატარდა, დადგინდა, რომ მას მარცხენა მკლავზე ნაჭდევი და სისხლჩაქცევები მართლაც აღენიშნებოდა. მაშინ ყულიაშვილი დაშინებული იყო და ამბობდა – ხელზე დაზიანებები შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე მივიღე – მეგობრებთან ერთად ვქეიფობდი და ჩხუბი იქ მოხდაო. გამოძიებამ საჭიროდ არ ჩათვალა, გადაემოწმებინა ყულიაშვილის ნათქვამი – მართლა იქეიფა თუ არა მან მეგობრებთან, მოხდა თუ არა იქ ჩხუბი და მიიღო თუ არა მან ამ ჩხუბში მონაწილეობა“.

განსასჯელის ადვოკატი ამ სისხლის სამართლის საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნებასა და ყულიაშვილის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების – პატიმრობის, ციხიდან პირობითი გათავისუფლებით შეცვლას მოითხოვს. დაზარალებულები ამის კატეგორიული წინააღმდეგები არიან და აცხადებენ, რომ მათ ვეფხია ყულიაშვილის დანაშაულში ეჭვი არ ეპარებათ.

სევერიონ თინიკაშვილი, გარდაცვლილის – მარინა თინიკაშვილის მეუღლე:

„ყულიაშვილმა ვიღაც ვადიმასა და ზურაბას შესახებ მას შემდეგ მოიგონა, რაც საქმეში ახალი ადვოკატი ჩაერთო. მანამდე დანაშაულს აღიარებდა კიდევ და ამას მას არავინ აძალებდა. სხვანაირად, საიდან, რის საფუძველზე დააკავა იგი პოლიციამ? დაადგინეს, რომ ჩემს ცოლთან და სულაშვილთან ერთად ის იყო... დღეს სიცრუის გარდა, ყულიაშვილი გარდაცვლილთა პატივისა და ღირსების შელახვასაც არ ერიდება, მათი მისამართით ათას შეურაცხყოფელ სიბილწეს იგონებს და ხმამაღლა ამბობს. ჯერ სასამართლოს განაჩენს ველოდებით, მერე კი – ჩვენსას ვიზამთ. მაგას ამ ამბავს არ შევარჩენთ...“



**მ**იყვარს ეს კაცი და რა ვქნა?! – ეს სიტყვები მთლად ჩემი არ გე-  
 კონოთ. ვანიჩკა საყვარელიძესაც  
 აღმოხდა თურმე მამინ, როდესაც  
 სცენარის მიხედვით, გურამ ფირცხალა-  
 ვასთვიის გარკვეულ ადგილას წიხლი უნდა  
 ეთავაზებინა. ამ ეპიზოდის გადაღება, გურამზე  
 პირადი შეხედულებების გამო, ბატონ ვანიჩ-  
 კას ისევე გასჭირვებია, როგორც ღურუ  
 ხუნჭუას რეჟორდში ეჭვმიტანილი ახალ-  
 გაზრდის – ვოლტა ცაყავს შევინება. თუ  
 როგორ მოხერხდა, ბოლოს და ბოლოს, ამ  
 ეპიზოდის გადაღება, ამაზე მოგვიანებით.  
 ახლა კი, იმ ჭორებს შეგახსენებთ, რომელ-  
 იც სხვადასხვა დროს, პერიოდულად ვრცელ-  
 დებოდა ხოლმე ამ მოხდენილი კაცის  
 შესახებ.

ერთ-ერთი გაზეთის მტკიცებით, ქალაქ-  
 ში დარხელი ხმები, გურამ ფირცხალა-  
 ვას და მშვენიერი ამერიკელი კინომსახ-  
 იობი ქალის – ფეი დანაუეის რომანის  
 ამბავს გვაუწყებს. „ინტერგორის“ მოკლე  
 შინაარსი კი, დაახლოებით ასეთი იყო: „გურამ  
 ფირცხალავას მშვენიერი ფეი დანაუეი თავის  
 ნომერში, „ფინჯან შავ ყავაზე“ მიუპატიუ-  
 ბია. ქალი ჯერ დაფიქრებულა, მერე კი, ვერ  
 შეწინააღმდეგებია მშვენიერ ვაჟკაცთან ჩახ-  
 უტების სურვილს და მიპატიუება მიუღია.  
 მიუღია და, როგორც მოგვიანებით „შვეი-  
 ტყეთ“; იმ კინოფესტივალიდან, დაფეხმძ-  
 იმებული გამგზავრებულა სამშობლოში. შემ-  
 დევ შვილიც გაუჩენია და ახლა, გურამ  
 ფირცხალავას იწვევს თურმე ამერიკაში,  
 ბავშვისთვის გვარის მისაცემად.

მას შემდეგ აგერ უკვე სამი წელი  
 გავიდა და ბატონი გურამი დღემდე იცი-  
 ნის ამ ჭორზე: არა ბატონო, მოგონილია ვე  
 ყველაფერი, ფეიმ კი არა – მონიკა ვიტიმ  
 და მისმა დაქვამმა დამპატიუეს თავიანთ  
 ნომერში, მაგრამ ვერც ნომერში შემოტყუეს  
 და ვერც შემაცდინეს; ისე, ბევრ უცხოელ  
 მსახიობთან მქონია ურთიერთობა, თუმცა,  
 ყოველთვის ვფრთხილობდი და ინტიმური  
 კავშირი არასოდეს მქონია მათთანო. რაც  
 შეეხება ჩემზე და ფეიზე გავრცელებულ  
 ჭორს და მის პირველწყაროს – რატომ-  
 ღაც ყველა გზა ბაბურ წულაძესთან მი-  
 დის, მაგრამ ხელალებით ხელს მაინც ვერ  
 დავადებო...

ბატონ გურამის ჭაბუკობის დროინდელმა  
 მეგობრებმა კი ის გვაუწყეს, თუ როგორ,  
 რატომ და რა ვითარებაში გადაწყვიტა  
 ფირცხალავამ დაქორწინება: „ბირჟაზე“  
 ძღვარმა გურამმა შემთხვევით ქუჩაში დაინახა  
 პირმშვენიერი ლეილა აბაშიძე. თითოთ  
 თავისთან მივიხმო და ლეილასთვის თვალ-  
 მოუცილებლად გვკითხა: ვინ არის ვე ლამაზი  
 ქალიო? ჩვენც ვუპასუხეთ: ლეილა აბაშიძე!  
 როგორ არ იცი ბიჭო-თქო. მე არ ვიცი, ვინ

**მეუღლესთან, თანგული  
 სისხარულიძესთან ერთად**



# ჩაზე ოცნებობს გურამ ფირცხალავა?!

ნანა ქიბიძაური



არის ლეილა აბაშიძე, მაგრამ ის ვიცი, ვე  
 ქალი ჩემი ცოლი რომ გახდებო... აკი  
 განდა კიდევ“.

ერთ-ერთი ჭორი ბატონი გურამისა და  
 ასევე ერთ-ერთი ცნობილი რეჟისორი ქა-  
 ლის ისეთ ურთიერთობას ეხება, რომელ-  
 საც მთლად პლატონურს ვერ დაარქვენს  
 კაცი. თამაშონატრებულ და როლის ქონ-  
 იკული არქონით განაწამებ მსახიობებს  
 გურამის ბელი უნატრიათ: შენ რა ვიჭირს,  
 ჩვენო გურამ, რეჟისორს ჰყვარობ და იმი-  
 ტომაც ვწყალობსო... გურამი მიბრუნებია  
 და თავისებური მეგრული აქცენტით უთქ-  
 ვამს: მერე, ადვილი გვინია მაგ „ყვარობა“  
 შენ? მიდი, ნახე, თუ კაია და იქნებ შენც  
 გიწყალობოს რაიმე რეჟისორმაო...

თუმცა, გვეყო ახლა ჭორების დევნა.  
 ბოლოს და ბოლოს, ესაუბრობთ კაცზე,  
 რომელსაც ტკბილი ოჯახი აქვს: ჰყავს  
 მოსიყვარულე მეუღლე – თანგული სის-  
 ხარულიძე, რომელიც ქმარს თავზე ევლება,  
 ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ამ წერილის  
 დაბეჭდვამდე და იმდეს ვიტოვებ, ჭორები-  
 სადმი ჩემი ზედმეტი მიდრეკილების გამო,  
 ოჯახური უთანხმოების მიზეზად არ ვიტყვევი.

— ბატონო გურამ, პოპულარუ-  
 ლი კაცი ლამაზი ქალივით ყოფილა:  
 ადვილად ემბება ცოროს მხეში.

— ასეა. მეც ხშირად მსმენია საკუთარ  
 თავზე ჭორი, მაგრამ ვისზეც მაჭორებდნენ  
 — გეფიცებით, ინტიმური კავშირი არც  
 ერთთან არ მქონია. სულ ტყუილია ყვე-  
 ლაფერი.

— დღევანდელი კინოინდუსტრია  
 ეროტიკამ წაღეკა. საინტერესოა, ერო-  
 ტიკულ სცენაში ვისთან ერთად ითა-  
 მაშებდით საამოვნებით?

— არის ერთი ასეთი, მაგრამ რომ ვთქვა,  
 მის ქმარს ეწყინება.

— კარგი, მაშინ ზოგადად ვთქ-  
 ვათ: როგორ ქალთან ითამაშებდა  
 ფირცხალავა საამოვნებით?

— ეს უფრო ძნელია. ისევე კონკრეტუ-  
 ლად მიჩვენია ვითხრათ როლიც და მსახ-  
 იობიც, ბოლოს და ბოლოს, მე ხომ განუხ-  
 ორციელებელ როლებზე და გადაუღებელ  
 ფილმებზე მომიწევს საუბარი... სიკვდილ-  
 ამდე ცოტა ხნით ადრე, ფარაჯანოვი აპირებ-  
 და „შუმანიკის“ გადაღებას. ამ ფილმში  
 მე პიტიასში ვიქნებოდი, სოფიკო ჭიაურე-  
 ლი კი — შუმანიკი. რაღაც სხვანაირად  
 ველოდი ამ ფილმს. ძალიან მინდოდა სოფი-  
 კოსთან ერთად მეთამაშა. ეს ოცნება დღემ-  
 დე მაწვალებს. კიდევ ლიკა ქავჭარაძე მიყ-  
 ვარს ძალიან, ლიკასთანაც ძალიან მინდო-  
 და გადაღება ფილმში. გული მწყდება, რომ  
 ამ მშვენიერი ქალების პარტნიორობა არ  
 მარუნა ბედმა. საერთოდ კი, ეროტიკულ  
 ფილმებზე ჩემი აზრი მაქვს. ფილმი, ყვე-  
 ლაფერთან ერთად, იდეოლოგიის იარაღიც  
 არის, ის მოქმედებს ადამიანზე და ჩვენ,

ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ვბაძავთ გმირებს... მასსოვს, ტარზანი რომ გამოვიდა, დღეში 10-14 ფეხმოტეხილი ბიჭი მინც მიჰყავდათ ტრავმატოლოგიურში — ტარზანივით ცდილობდნენ ხიდან ხეზე გადახტომას და იმიტომ. დღეს აღმოვაჩინე, რომ საბჭოთა კავშირის დროს თურმე ყველა გამორჩეული უცხოური ფილმი გვინახავს. გაიხსნა საზღვრები და ლამის არის, წაგვლევოს ამ კინონაგავმა. ვფიქრობ, გარკვეუბი ცენზურა, როდესაც უცხოური ფილმები შემოგაქვს, აუცილებელია. რუსები გვეუბნებოდნენ — ნუ ხოცავთ ფილმებში აძენ ხალხს, ერთ-ორიც საკმარისიაო. იმასაც ამბობდნენ — სიგარეტს ნუ მოსწევს გმირიო და მარტო ყაჩაღს, ბანდიტს და ბურჟუას ჰქონდა „უფლება“, ეკრანიდან გაებოლებინა... ახლა რუსულ ფილმებში არანაკლებ ძალადობას ვხვდებით, ქართულში კი... სადღა ქართული კინო? ის იყო და აღარ არის — გარდაიცვალა. ძალიან მეცოდებიან ახალგაზრდა მსახიობები. მაგრამ იმედი მაქვს, მოვა დრო და ისევ ავღვლებით ფერფლიდან. ქართული კინო და კინოსკოლა არ უნდა დაიკარგოს, არ უნდა „გამერიკულდეს“. 10-12 წლის წინ ყველას გვენატრებოდა ის, რასაც ამერიკული კინო ერქვა. დღეს უკვე ვიცით, რა არის ეს, იცის მთელმა ევროპამ. აღენ დელონმა თავის ანდერძში ჩაწერა, რომ სიკვდილის შემდეგ დაწვან, — რადგან ამერიკელები, რომლებმაც ძალიან კარგად იციან მისი შეხედულებები ამერიკანიზმზე, მის საფლავს წაბილწავენ...

— არ ვიცოდი თქვენი აზრი ამერიკულ კინოზე და სულ ვფიქრობდი, რომ ამერიკული ვესტერნის ჟანრს თქვენი მონაცემებისა და შესაძლებლობების მსახიობი ძალიან კარგად მოერგებოდა: საუცხოოდ ხმარობთ იარაღს, ჯიბითობთ ცხენით, წყალშიც თევზივით გრძნობთ თავს.

— აზრი იაფფასიან ფილმებსა და ერთფეროვან, უნიჭო სცენარებზე გამოთქვი — ისეთზე, რომელსაც ოჯახში ბავშვებთან ერთად ვერ უყურებ. რაც შეეხება იარაღის ხმარებასა და ცხენით ჯირითს, ამას მართლაც სხვების დაუნძარებლად ვართმევ თავს. მასსოვს, ჩემი პირველი როლი, სადაც ცხენი უნდა გამეჭვინუბნა. დამანახვეს ისეთი იორდა, ხელით რომ ძლივს აკავებდნენ და მკითხეს: ცხენზე ჯდომა იციო? არ ღავიხიე უკან — მამ მეტი რაღა ვიცი-მეთქი?! არადა, გულში ვფიქრობდი: რას შვრები, გურამ, ამ რაშზე როგორ შევვლები-მეთქი? შევვლე და ისე გავაჭვინე, რომ თვითონვე გამიკვირდა. მივაჭვინებდი და მერე იმას ვფიქრობდი: გურამ, ძმაო, ნუთუ ეს შენ ხარ და ამ რაშს ახლა შენ მიაჭვინებ-მეთქი?! წყალში თევზივით რომ არ ვგრძნობდე თავს, სირცხვილიც იქნებოდა: ფოთში დაბადებული და გაზრდილი ვარ, უფრო სწორად — ზღვაში გაზრდილი.

— როგორც ვიცი, ახლაც ხშირად ჩადისხართ ხოლმე ფოთში...

— იქ მყავს დედა, რომელიც 80 წელს არის მიტანებული და დღემდე მჭიჩინება: გვეო აწი მაიძუნობა და დროა რაიმე სერიოზულ საქმეს მოჰკიდო ხელიო.

— პირველი სიყვარულიც ალბათ ფოთში გენწვეოდათ?

— ჩემი პირველი სიყვარული ატმისლოცება რიალეტა იყო, მაგრამ ის ამბავი, თუ როგორ გკონდი რიალეტას ლოცვებზე, თითქმის ყველა ინტერვიუში მაქვს მოყოლილი. თქვენ მეორე სიყვარულზე მოგიყვებით. ისიც ფოთელი იყო, მაგრამ მე უკვე ჩხოროწყუში, სოფელ ლესიჭინეში ვსწავლობდი. ჩემთვის ლექსი არის მერვე საიცრება: დღემდე მიკვირს, როგორ წერენ პოეტები ლექსებს. ჩემი შური კი, მათ მიმართ იმ წლებიდან დაიწყო, რომელზეც ახლა გიყვებით. ჩემ წინ ერთი გოგო იჯდა. „ნუთოსანი“, თანაც გავიგე, რომ ჩუმ-ჩუმად შეკვეთილ სასიყვარულო ლექსებსაც წერდა. მათემატიკას სულ იმისგან ვიწერდი. ძალიან იყო ჩემგან თავმოებურებული. იმედი არ მქონდა, მაგრამ მაინც გავბედე და გამოვუტყვი: ერთი გოგო მიყვარს ფოთში, სახელს გეტყვი და მდი, მისთვის გასაგზავნად, ერთი ლექსი მეც დამიწერე-მეთქი. დაფიქრდა და სანაცვლოდ მომთხოვა, მათემატიკა არასოდეს გადამეწერა მისგან. შევთანხმდით. გავგზავნე ფოთში იმ გოგოს დაწერილი ლექსი, მაგრამ მალევე მოვიდა საკონტროლო წერის დრო. რა თქმა უნდა, იმის რვეულში ჩავიჭყიტე. იმან ხელი

დააფარა რვეულს, მე თმა მოვწიწე. მომიბრუნდა და მითხრა — თუ გადაიწერ, იმ გოგოს ვეტყვი, რომ ის ლექსი შენი კი არა, ჩემი დაწერილი იყო. დღემდე მასსოვს, ორ ცეცხლმუა რა უბედურად ვგრძნობდი თავს...

— მას შემდეგ აღარ შეგიკვეთავთ ლექსი?

— მას შემდეგ აღარ შემიკვეთავს და მხოლოდ საკუთარი „პროზის“ ამარა დავრჩი. თუმცა, ჩემს სიახლოვეს სულ ისეთი ქალები იყვნენ, „შთავილების წყაროებს“ რომ ეძახიან პოეტები.

— გავიგე ახალგაზრდობაში დიდი ჩხუბისთავიც ყოფილხართ...

— ჩხუბით სადებიუტო როლში გადაღების დროსვე „ვისახელე“ თავი. ეს იყო ფილმი „მაცი ხვიტია“, რომელსაც გიორგი შენგელაია იღებდა. როლიდან, რაღა თქმა უნდა, მომხსნეს. ისე, იშვიათად ვხსუბობდი და რატომღაც ამგვარი გაუგებრობები „დარიალიში“ ან „დარიალითან“ ახლოს ხდებოდა ხოლმე. საკუთარ თავზე ვერ გეტყვით, როგორ ვხსუბობდი, მაგრამ არ შემხვედრია კაცი, რომელსაც ისე ლამაზად შეძლო ჩხუბი, როგორც დოლო აბაშიძეს. ერთხელ, ეს იყო ქალაქ კალინინში, „ციმბირელი პაპის“ გადაღების დროს — მე და დოლო რესტორანში შევედით. ჩვენ გვერდით ზანგლი ისხდნენ. ორმეტრიანი ხალხი იყო, დაკუნთულები, ჩასკვნილები. ძალიან გამოძვკვედა ექციოდნენ მომსახურე რუს გოგონებს. ერთერთმა ზანგმა ხელი წაატანა გოგოს. დოლო წამოდგა. მაშინ 60 წლის იქნებოდა და ვიფიქრე, ეს კაცი არ შევაწუხო, მე ვინხუბებ-მეთქი, მაგრამ დოლომ გვერდზე გამწია. მოუქნა ზანგს და ის მთასავით კაცი ადგილიდან მოსწყდა, ჰაერში აფრინდა, დახლს დაენარცხა, მეორე ბოლომდე გაეკურდა და იქ გადავარდა. ერთ რამედ ღირდა ამის ნახვა.

— რა თვისებებს აფასებთ ადამიანში?

— ქალში — ქართულ ხასიათს, პატიოსნებას, კდემამოსილებას და არაეგროპულობას, კაცში კი — სიმართლეს. „სიაფანდ“ ხალხს ვერ ვიტან. საერთოდ კი, მიმანია — ქალი შევილბს უნდა აჩენდეს, კაცმა კი, სახლები უნდა აშენოს, — აი, ეს არის ჩემთვის ქალისა და კაცის იდეალური საქმიანობა. ვერ ვიტან გავაჟაკებულ ქალებს. ერთხელ, ქალი გადამეკიდა — მდი, ხელის გადაწევაში შევეჯიბრთო. გაიწიე, ქალი, იქით-მეთქი, ვუთხარი... აი, ასეთებს ვერ ვიტან და კიდევ ისეთებს, ყანწებს რომ ატრიალებენ და კაცებს ეჯიბრებიან.

— მეუღლე როგორ ეგუება თქვენს გამოკვეთილ აზიატობას?

— ეგუება. ამას იქიდან ვასკენი, რომ უკვე დიდი ხნის ოჯახი გვაქვს.

— როგორც ვიცი, თქვენ საერთო შვილი არ გყავთ...

— არა. თანგულის და მე (სხვათა შორის,



კადრი ფილმიდან „რობინზონიდა“



კალრი ფილმიდან „ადამიანთა სევდა“

ძლივს დავიმასხოვრე მისი სახელი...) საერთო შვილი არ გვყავს.

საუბარში **ქალბატონი თანგული გვერთუბა:**

— ჩვენ საერთო შვილი არ გვყავს, მაგრამ ვცდილობდით, ერთმანეთის შვილები-სთვის მზრუნველობა არ მოგვეკლო. გურამის გოგონა უკვე სტუდენტია, ჩემი შვილი კი, დათო დარჩია, 8 წლის იყო, მე და გურამი რომ შევეუღლდით და მას მერე სულ გურამს ბაძავს. პროფესიაც მისი აირჩია — მსახიობია. ჩემი დისშვილი, ყოფილი მუნჯი გოგონაც ერთად გავზარდეთ, ის სოფლიდან ჩამოვიყვანეთ, რადგან მხოლოდ თბილისში იყო ასეთი ბავშვებისთვის განკუთვნილი სპეციალური სკოლა. როგორც მეუღლე და როგორც ადამიანი, მაღლობული ვარ მისი. ის ყურადღებიანი, კეთილი და მზრუნველია. ყველას მიმართ ასეთია, ვინც გარს ახვევია.

— **თქვენი მეუღლე მხიარული ამბების მოყოლის დიდოსტატაც არის...**

— ეს საქმე მან ნამდვილად კარგად იცის და სჯობს, ისევ მას მოვუსმინოთ.

— **გისმენო, ბატონო გურამ.**

— მსახიობებს ჟურნალისტებთან ხშირად გვიწვევს ხოლმე ერთი და იგივე კურიოზების მოყოლა. მეც, როცა ჩემი შემომღევეა, ვანიჩკა საყვარელიძის კურიოზების მოყოლას ვიწვევ. მიმდინარეობს ფილმის „მიზნის“ გადაღება. ნავთი უნდა გავცუროთ. ლეო ანთაძე ნიჩაბს იმარჯვებს. მე ვდგავარ წელში გამართული და დამბული ვიყურები ზღვისკენ, სადაც გემი უნდა აფეთქდეს. აი, ახლა უნდა გაისმას გემის აფეთქების ხმა. უცბად — რას! — და რაღაც მაგარი მხვდება თავში. თვალთ მიბნელებდა. ეს

ლეომ ჩაიდინა: ზურგით ჩემკენ მდგომი შემოტრიალდა და ნავის ნიჩაბი მთელი ძალით მრეხვა თავში... ვბარბაცებ, მაგრამ ვცდილობ თავის შეკავენას. შორიდან მესმის რეჟისორის განწირული ყვირილი: გურამ, ვიცი ძალიან გიჭირს, მაგრამ გაუძელი! ყველაფერი კარგად მიდიოდა და თუ კაცი ხარ, კადრს ნუ გამიფუჭებ — გაუძელი! მეც გაუძელი. გავიგონე თუ არა — „სტოპ!“ ... დავეცი. მერე მებოდიშებოდა ლეო — რა ვიცოდი, ბიჭო, ამ სიმაღლე თუ იყავი... სრულიად შემთხვევით გადავუხადე ლეოს სამაგიერო: ლეო „მოკლეს“, მე კი მისი „ცხელარი“ ნაბადში უნდა გავახვიო. წელზე 15 კილოიანი მაუზური მკვიდია. ლეოსკენ ვიხრები. მაუზური მოულოდნელად წელიდან ჩამომხრიალდა და ლეოს პირდაპირ სახეში მოხვდა. ახლა ის

ლურჯდება სიშრისაგან და მართლა მკვდარს ემსგავსება. უცებ, ხელს ვაფარებ პირზე და სასწრაფოდ ვახვევ ნაბადში. მესმის ლეოს მოუღული ხმა: სამაგიეროს მიხდი, ხომ?! მკლავ, გურამ, ხომ?! სიცილისაგან მხრები მიცახცახცებს, მაგრამ როლიდან მაინც არ გამოვდივარ, მოუხედავად იმისა, რომ სიცილისაგან ძალაწართმეულს, ძალიან მიჭირს გაკოჭილი ლეოს აწევა. კადრში ჩანს ჩემი აცახცახებული მხრები, თუმცა, მაყურებელმა არ იცის, სინამდვილეში რა ხდება ამ მხრებს მიღმა...

არის ერთი ფილმი, სადაც მე პარლამენტარს ვთამაშობ, ვანიჩკა საყვარელიძე კი — გიჟ ოპოზიციონერს. სცენარის მიხედვით, მე რომ სიტყვას დავამთავრებ, ვანიჩკა ზურგიდან უნდა მომეპაროს და უკნიდან წიხლი ჩამაზილოს. მოიპარება ვანიჩკა, მოიპარება, შედგება ჩემ უკან, ასწვევს ფეხს და უცბადვე სწორდება: „არ შემიძლია მე ეს! მიყვარს ეს კაცი და რა ვქნა!“ მოკლედ, რაღა არ სცადეს, მაგრამ ვანიჩკას ჩემთვის წიხლი ვერ ამოარტყმევინეს. იხარჯება ძვირად ღირებული ფირი. რეჟისორი უკვე ჭკუაზე არ არის. მიდი, ვანიჩკა მიდი — აგულიანებენ ჩემკენ მომავალ ვანიჩკას, მაგრამ ამაოდ. ასწვევს ცალ ფეხს და ჰაერშივე გააშეშებს — ვერ ვიზამ მაგ საქმეს, მიყვარს ეს კაცი და რა ვქნაო — შლის ხელებს და დამნაშავესაგან თავჩალუნული ჩერდება. ვუყურე ამით წვალებას, ვუყურე და მერე ისევ მე ვიპოვე გამოსავალი: მივედი და ყურში ვუჩურჩულე. წავიდა გაბრაზებული ვანიჩკა ჯარისკაცული ნაბიჯებით. მერე შედგა, გამოიქცა და ზურგში ისეთი წიხლი ჩამაზილა, რომ ორი მეტრით გადამაგდო.

— **რა უთხარით ასეთი?**

— მერე ყველა ამას მეკითხებოდა... მე ვიცოდი, პოლიტიკოსთაგან ვინ ეჯავრებოდა ვანიჩკას ყველაზე მეტად. ჰოდა ვუთხარი, წარმოიდგინე რომ მე ფირცხალავა კი არა, „ის“ ვარ-მეთქი. თან დამაჯერებლობისათვის, იმისნაირი მიმიკები „მოგვერე“...

— **რაზე მუშაობთ ამჟამად?**

— 1997 წელს შეწყდა ზურბა თუთბერიძის ფილმის „ოცნება არ კვდება“ გადაღება. ასეთი კარგი სცენარი დიდი ხანია არ წამიკითხავს. მთელი გადაძლები ჯგუფი სულმოუთქმელად ვუცდით, როდის გამოჩნდება ფილმის დასამთავრებლად საჭირო ფინანსები.

— **თქვენი დიდი ხნის ოცნება?**


— ადრე ბევრ შვილზე ვოცნებობდი, ახლა კი, ძველი ოცნებებიდან, მხოლოდ ერთი შემომჩნა — მარსზე მიწა გაფრენა. მიწა ვიყო პირველი ადამიანი, ვინც ფეხს დაადგამს ამ პლანეტაზე...

— **საქმე მარსშია თუ პირველობის სურვილი?**

— მე მგონი, უფრო პირველობის სურვილი. მარსი კი, უბრალოდ, ამ შემთხვევაში, პირველობის განხორციელების შესაძლებლობა და ადგილი იქნებოდა!

— **ეს რაღაც მკვდარი ოცნებაა, თითქმის უტოპური...**

— ოცნება არ კვდება, — აი ამით ვცხოვრობ დღეს.



სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, ეთნიკური თუ პოლიტიკური დაპირისპირებით გამოწვეული შეიარაღებული შეტაკებების დროს, საქართველომ არაერთი ღირსეული შვილი დაკარგა. რომელ მხარესაც არ უნდა მდგარიყვნენ ეს ახალგაზრდები, თითოეულ მათგანს საკუთარი მრწამსი და სამშობლოს სიყვარული ამოძრავებდა. „გზის“ ახალი რუბრიკა — „ჭაბუკები“, ასეთი ქართველი ვაჟკაცების ხანმოკლე ცხოვრების გზაზე მოგიხსნობთ.



# «არ მისროლოთ — ჟურნალისტი ვარ!»

## ამ ჭაბუკს ვალად მხოლოდ ოცი ვარდი გაჰყვა იმქვეყნად...



დათო და ნინო

### ნათია ტყეშელაშვილი

32 წლის წინ ცნობილი ქართველი მეცნიერის ოთარ ბოლქვაძისა და ტელეჟურნალისტის ლია ისიანის ოჯახში ტყუპი ქალ-ვაჟი დაიბადა. გოგონას ნინო დაარქვეს, ბიჭს — დავითი. ოჯახს უკვე ერთი ქალიშვილი — 8 წლის თამარი ჰყავდა. ტყუპი გოგო-ბიჭი ისეთი ლამაზი ყოფილა, რომ ქუჩაში გამკლავდებოდათ კი აოცდებოდა. ნინო ცუდი და მოუსვენარი იყო, დათო — ძალიან მორცხვი და თავმდაბალი. დედა ტელევიზიაში, კინორედაქციაში მუშაობდა. ბავშვების დამტოვებელი არავინ ჰყავდა და შვილები ხშირად დაჰყავდა ხოლმე სამსახურში, სკოლის შემდეგ. დათო, რომ იტყვიან, ტელევიზიაში გაიზარდა, ბავშობიდანვე ეზიარა კინო და ტელემონტაჟის ხელოვნებას, თვალყურს ადევნებდა სიტყვისა თუ გამოსახ-

ულების აგების პროცესს. პატარაობიდან შეიყვარა ლიტერატურა...

**ლია ისიანი:**  
— ხშირად მაკვირვებდა პატარაობიდანვე. ის საოცრად თავმდაბალი, დამოკიდებული და, ამავე დროს, უკიდურესად თავმოყვარე იყო. მიკვირდა, როგორ ათავსებდა ამ თვისებებს ერთმანეთთან. არ მახსოვს, სუსტი დაეჩაგრეს, პირიქით — ყველას ეხმარებოდა, რითაც კი შეეძლო. ფიზ-

იკურად ძალიან ძლიერი იყო, წყალბურთზე დადიოდა, შესანიშნავად ცურავდა... სკოლაში ყველას განსაკუთრებით უყვარდა.

ბავშვობაში არქეოლოგობაზე ოცნებობდა თურმე. მთელი საქართველო ფეხით შემოუვლია. თითოეულ ქვას, ბალახის ღეროს, მოტეხილ ტოტს ეალერსებოდა. მთიდან ისეთი შთაბეჭდილებებით სავსე ბრუნდებოდა ხოლმე, თვალეზი უბრწყინავდა. ისე მოგიყვებოდა თურმე დალაშქრული ადგილების შესახებ, რომ მის თითოეულ მტკაველს შეგავყვარებდა...

საქართველოს ტელევიზიაში მუშაობა 18 წლის ჭაბუკმა — 1987 წელს დაიწყო. ნამდვილ შემოქმედებით საქმიანობამდე 4 წელიწადი იარა, ყოველგვარი „ხელის წაკერისა“ და შეღავათების გარეშე. 1991 წელს ტელეკომპანია „მორე არხზე“, რეჟისორის ასისტენტად და ტელეოპერატორად შეუდგა გზას,

რომელიც ნაყოფიერი და ხანმოკლე აღმოჩნდა: ინფორმაციისა და სპორტის მთავარი რედაქციის რეჟისორის, გადაცემა „ტაიმ-აუტის“ პირველი რეჟისორის (და ამ ყოველკვირეულის ავტორ-წამყვანთან — ნატო ონიანთან ერთად მისი სულისჩამდგმელის) დათო ბოლქვაძის სიცოცხლე, 1993 წლის 28 ოქტომბერს ტრაგიკულად შეწყდა...

1993 წელს, აფხაზეთში ისე წავიდა, რომ ამის შესახებ არავისთვის უთქვამს. ორმეტრიან ბიჭს სამხედრო ტანსაცმელი ვერ მოუძებნეს და პატარა ზომის შარვალი მიუციათ. მეგობარმა კი ოჯახში დარეკა და დათოს აფხაზეთში წასვლა შეატყობინა. დედა ამ დროს შინ არ იყო — გურიაში ყოფილა წასული.

მთელი სამი თვე წინა ხაზზე გაატარა. გადაღებულ მასალას სარელო ხაზით აწვდიდა თბილისში, „პირველ“ და „მორე არხებს“.

ავისტოს პირველ რიცხვებში აფხაზეთიდან დედასთან გურიაში ჩასულა. მაშინ გაუმხელია ქალბატონი ლიასთვის, რომ ომში იყო.

**ლია ისიანი:**  
— ძალიან შეშინებული ვიყავი და ვთხოვე, ომში აღარ წასულიყო. საშინელი წინათვრდნობა მქონდა. მალე ომიც დამთავრდა. ვიფიქრე — დემეტრის ნებით, დათო სიკვდილს გადაურჩა-მეთქი. რა ვიცოდი, რომ სულ მალე სიმართლისთვის საჯაროდ დახვრეტდნენ ჩემს უდანაშაულო შვილს?!

... 1993 წლის 24 ოქტომბერს დათო ბოლქვაძე სამუშაოდ ამერიკული სააგენტოს — WTN-ის („მსოფლიო სატელევიზიო ახალი ამბები“) კავკასიის ბიუროში მიიწვიეს: სააგენტოში მისმა მალაპრო-

ფესიულმა რეპორტაჟებმა მიიქცია ყურადღება.

**თამრიკო ბოლქვაძე,** დათოს და:

– როგორ შეიძლება WTN-ის თანამშრომლებს არ მოსწონებოდათ დათოს ნამუშევრები? ვის დატოვებდა გულგრილს ასეთი კადრები: აფხაზეთის აალებულ სოფელში ჭიშკართან აბრავლებული ძროხა; ლეკვი, რომელიც გარს უვლის გადამწვარ კარ-მიდამოს; აბუზული ბელურა, რომელიც მომარს ხელის-გულზე უზის და პურის ნამცეცებს კენკავს... ომის საშინელებით გარემოცული ბევრი ადამიანი ვერ გამოავლენს ამდენ სიფაქიზეს... ის ნამდვილი საკვლე ტელეჟურნალისტი იყო. თურმე დაჭრილი მომარიც უტარებია დიდხანს ზურვით, მაგრამ სისხლისგან დაცლილა საწყალი და ხელში ჩაკვდომია, რასაც ძალიან განიცდიდა, ომიდან დაბრუნებული დათო...

ამერიკულ სააგენტოში მუშაობის დაწყების მეორე დღესვე, დათო დასავლეთ საქართველოში, სამოქალაქო ომის გასაშუქებლად გაავზავნეს. „დათო არ შეუშინებია რისკს, რომელიც თან ახლდა ამ მივლინებას. სამწუხაროდ, მიზანს – ეთქვა სიმართლე და ფირზე აღებუჭდა ისტორიული სინამდვილე, შეეწირა მისი ახალგაზრდა სიცოცხლე“. – აღნიშნავს WTN-ის კავკასიის ბიუროს უფროსი ნიკა კვიციანიძე.

**თამრიკო ბოლქვაძე:**

– მითხრა – ხვალ პირველ დავალებაზე ხობში მივლივარ, ძმათაშვილები ომი უნდა გავაშუქო. ვიფიქრე – აფხაზეთში ფრჩხილი არ სტკენია და ხობში რა მოუვა-მეთქი. არ მეგონა, თუ აფხაზეთის ტყვიას გადარჩენილ ჩემს ძმას, ქართველი გამოასალმებდა სიცოცხლეს... უცხოეთის ტელეკომპანიების ჟურნალისტები მიხვდნენ, რომ იქ რაიმეს გადაღება შეიძლება სიცოცხლისთვის საშიში ყოფილიყო. ხობისწყალი გადმოუცურავთ და მოსახლეობისთვის შეუფარებიათ თავი... დათომ უკან არ დაიხია. პირიქით – წინ წავიდა. მას არ ეგონა, რომ ქართველი ესროდა: ის ხომ უიარაღო ჟურნალისტი იყო.

... დაიჭირეს, სცემეს, ტელეკამერა წაართვეს, წვიმაგაუმტარი ფენსაცმელები გახადეს, გულდიან წმინდა ნინოს ჯვარი ჩამოჰკვლიჯეს, ფეხშიშველა დააყენეს ხობის მოედანზე...

„ჟურნალისტი ვარ – არ მესროლოთ!“ – ყვიროდა თურმე დათო. პირველი ტყვია ლოყაში მოხვედრია...

საწერ მაგიდაზე გაუანტულ ფოტოებს დავცქერი და ვფიქრობ: ღმერთო, ნუთუ ამ უძირო, ჭკვიანმა თვალებმა ვერ შეძ-

ლო ბოროტი ტყვიის შეჩერება?! ნუთუ მისმა ხმამ მაინც არ აუკანკალა ხელი მკვლელს?! ნუთუ არ შეებრალოთ, არ დაენანათ?! როგორ გაიმეტეს სასიკვდილოდ?!

**ლია ისიანი:**

– მკვლელი აცხადებდა – მაროდირი მოვკალი და არა ჟურნალისტიო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

თვალცრემლიანი მოწმეები სასამართლოზე ჰყვებოდნენ, როგორ ლამაზად მოკვდა ლამაზი ბიჭი: მიწაზეც არ დაცემულა – ჩაიჩოქა და ისე ამოუვიდა სული. თვალები კი ღია დარჩა – უძიროდ ცისფერი თვალები ვერ დაუხუჭეს დათოს...

„... სულ ცაში დავფრინავ, რასაც არავითარი ხეირი არ მოაქვს. ეს სიყვარული არ გვენოს, ეს ნამდვილი ქაოსია... ვიდაც უჩინარი, თითქოს თვალებს მიხუჭავს და ტვინზე გაუფანტავ ბურუსს მახვევს...“ ეს სიტყვები დათოს ეკუთვნის, რომელიც 1990 წლის 7 სექტემბერს თავისი დღიურის პირველ ფურცელზე ჩაუწერია. რატომ გადაწყვიტა დღიურის წერა? ნუთუ გული ცუდს უგრძობდა ამ სევდიან ბიჭს, ისიც – ტრაგედიამდე 3 წლით ადრე?!

სიკვდილამდე სამი თვით ადრე კი, ასეთ ჩანაწერს ვნახულობთ: „... აქვს თუ არა ჩემს ცხოვრებას აზრი?... ყველაფერი გახუნდა... საწოლი ორად გაიყო, საწოლის ქვეშ უკუნი სიბნელე და უსიამოვნოდ ამოყრული გაშავებული პარკეტი...“

გუფრცლავ დათოს დღიურს და ხელეები მიკანკალებს. ნეტავი რატომ ფიქრობდა, რომ მისმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა?..

„დედა ღამის ორ საათამდე ელოდებოდა შენი ფეხის ხმას, შენი ტყუპისცალი ნინო ერთგული ლეკვივით დგას ფანჯარასთან, მე კი ბოლთას ვცემ... ჩვენთვის აღარასოდეს დადგება მშვიდობიანი ღამე... ამ სახლში აღარ შემოვა დათო ბოლქვაძე... წიგნების თაროზე აღარ დააწყობს კასეტებს და აღარ იტყვის: დედა, ხვალ დილით ადრე გამაღვიძე, გადაღება მაქვს!“ – ეს მინაწერი დღიურის ბოლო ფურცელზე ვნახე, რომელიც თურმე თამრიკოს მიუწერია.

... დათო ბოლქვაძის მამამ უბედურების მერე აქაურობა დატოვა და გამწარებულმა მშობლიურ ლანჩხუთს მიაშურა. მისთვის თბილისი დაცარიელდა, ყველაფერმა აზრი დაკარგა. იქ კი, ერთადერთ ნუგეშად, დათოს დარგული ხეები და ის კარ-მიდამოა, რომელიც მის შვილს ძალიან უყვარდა...

დათოს ერთადერთი და განუყოფელი

ბელი სიყვარული, დიანა იყო. ულამაზესი სიყვარული ჰქონიათ მათ. შეყვარებული დათო სულ თვალანთებული დადიოდა თურმე ქუჩაში, მაგრამ ერთ სიტყვასაც ვერ დააცდენინებდი სახლში... სადღეოფლო გარეგნობის გოგო ჰყვარებია. შინაგანადაც ასეთივე იყო. ერთ თვეში ბოლქვაძეების რძალი უნდა გამხდარიყო... ყველაფერი შეიცვალა... დიანა დათოს ტყუპისცალის – ნინიკოს მეჯვარე გახდა.

**ლია ისიანი:**

– დიანა ჩემი მესამე ქალიშვილია. ბევრი ქალი ვერ ატარებს გულში ხსოვნას და ვერ იგლოვებს ისე ლამაზად ბიჭს, როგორც დიანამ შეძლო ეს.

24 ოქტომბერს, როცა დათოს შეყვარებულს 20 წელი შესრულებია, დათოს 20 ვარდის ფულიც არ ჰქონია. ნაცნობები შემოურბენია და ბოლოს, ტელევიზიაში, ერთი ღვთისწინიერი კაცისგან უსესხია. ეს ვარდები დღესაც ხელუხლებლად დევს თურმე დიანას სახლში.

ამ ქვეყნიდან დათოს მხოლოდ ოცი ვარდის ვალი გაჰყვა...

აუხდენელი ოცნებაც დარჩენია დათოს: დოკუმენტური ფილმის გადაღება უნდოდა ბუნებაზე და კიდევ – პარიზის ნახვა ყოფილა მისი უდიდესი სურვილი. თურმე დიანა დღეს პარიზში ცხოვრობს თავის ქმარ-შვილთან ერთად – ის ორი წლის შემდეგ გათხოვდა და თავის ბიჭს დათო დაარქვა...

P.S. ვაშინგტონში, თეთრი სახლის ეზოში ჰილარი კლინტონმა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ცხელ წერტილში დაღუპულ ჟურნალისტებს მემორიალი აუგო. პოსტსაბჭოური სივრციდან იქ მხოლოდ ერთი – დათო ბოლქვაძის სახელია ამოტვიფრული.





აგპირდით, ბახუსის მოყვარულების კურიოზულ ამბებს შემოგთავაზებთ-მეთქი. ზომ გახსოვთ „შტუკა“ ნოდარასათვის“ („გზა“, №37)? ჰოდა, არანაკლებ სასაცილო ამბავი გადახდა გედევან ფრუიძეს, რომელსაც ბაბუსის პატივსაცემად დაარქვეს ეს დიდებული სახელი. ისე კი, შინაურობაში გედუნის ეძახიან.

სიფხიზლეში კიდევ ჰო, მაგრამ სიმთვრალეში ვერაფრით მიაძს-გავსებთ გედუნის გედს, ამ ლამაზსა და მშვენიერ ფრინველს...

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი რომ გახდა, მთელი ოჯახი შეიკრიბა და აღმზრდელით თემაზე ლექციაც კი წაუკითხა:

– ბაბუ, დიდი კაცი ხარ შენ უკვე და ზომიერება უნდა იცოდე. რასაც ბაღნობაში ცელქობდი და ტინგიცობდი, აწი ისეთივე სისულელეები აღარ შეგფერის! – დიწყო გედუნ ბაბუამ.

– კაი ახლა, რა სახსენებელია ბავშვური შეცდომები?! ენაცვალა ბებია ჩემს ჭკუით გატენილ გედუნის! – მიუაღერსა ბებიამ, რომელიც მუდამ ათამამებდა და ხელს აფარებდა ბიჭს.

– თუ თავისებურად აუშვა აფრები, არ იფიქროს, ძველებურად დაუპატრიალდე და „ჩაგუფარცხო“ არეული საქმე... რაც მაგან ჯარში მარბენინა, გახსოვთ? მაინც, რატომ მოუშარდა ლეიტენანტს იმ რკინის „კრუსკაში“, ვერ გავიგე! – გედუნის მამა, ბატონი ზაქრო უფრო მკაცრი და შეუვალი იყო და ისე ლაპარაკობდა, გეგონებოდათ, მისი შვილი იქ არ იჯდა.

– კაი ახლა, მოეშარდა და რა ექნა? იცოდა, რომ ტუალეტამდე ვერ მისწვრებდა... – გამოესარჩლა შვილს ქალბატონი ნატო.

ოჯახური კრების მერე, დიდი გედევანი წამოდგა და თავისთვის, მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა: მდაა... მაინც რა უბედურებაა ჭიქების კნეტა-ჭამა, საიდან გამოჰყვა ამ ბიჭს ეს უმსგავსი ჩვევა? ჩვენს გვარში მაგი არავინ იცოდა. ეს ზომ გადახრაა?! – და რძალს ეჭვის თვალით გახედა...

ასე იყო თუ ისე, „ლიექციამ“ გაჭრა და გედუნი სამაგალითოდ იქცეოდა კარგა ხანს. მერე, ნელ-ნელა შეეწვია გარემოს, გაიჩინა ძმაკაცები, გახშირდა ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და გედუნისმაც თანდათანობით მოიხსნა დაძაბულობის კომპლექსი.



# გედუნი და ოპერაცია „ფე-ლა-მე-ში“

მარინა ბაბუნაშვილი

პირველად, როცა მთელი კურსი ყინწვისის მონასტრის დასათავლიერებლად წავიდა, რა თქმა უნდა, იქვე ბუნებაშიც გაიშალა სუფრა. როგორც კი განსაზღვრულ ოთხ-ხუთ ჭიქას გადასცდა, გედუნი მაშინვე მოვიდა არევისა და ჭიქების ჭამის გუნებაზე. ჯერ ერთ თანაკურსელს აუხნირდა – რატომ ბაკვეს დიდი თავიო?... მეგობარი უკვე მიჩვეული იყო გედუნისგან (ამ საკითხზე) საქმის გარჩევას, ამიტომ დაჰპირდა, უახლოეს მომავალში პლასტიკურ ოპერაციას გაგიკეთებ და თავს დავიპატარავებ, ოღონდ შენ დამშვიდდო. ცოტა ხნით მართლაც დამშვიდდა გედუნი, მაგრამ მერე ისევ მოუარა სიშმაგემ: დასტაცა ორ ჭიქას ხელი და (ყველი და პურივით) ჯერ ერთი ჩაკბინა, მერე – მეორე. ხრაშა-ხრუში რომ ატეხა და შუშის ნატეხებიც გემრიელად გადაყლაპა, გოგონებმა წვილ-კვილი ატეხეს, ერთ-ერთს გულიც კი წაუვიდა. გედუნიმ, ვითომც აქ არაფერიყო, ბოლომდე ჩაახრამუნა ჭიქები (მხოლოდ ძირები დატოვა – ეტყობა, მისი კბილები უფრო სქელ შუშას ჯერ არ იყო მიჩვეული), მერე წამოხტა, იყვირა – მოზღვაგებული ენერგია რამენაირად უნდა დავხარჯო, ხეს ტოტი მოსტეხა და იქვე მდგომ ბიჭებს ხმალობა დაუწყო. ვერაფრით მოიგერიეს. ზოგმა ხელი დაახვედრა, ზოგმა – ფეხი, ზოგმაც – გაცლა

ამჯობინა... იმ დიდთავა მეგობარმა ჭკუა იხმარა (ტყუილად ზომ არ ჰქონდა იმხელა თავი?!): გედუნი ხესთან მიიყვანა და უთხრა: აი, ეს „ბიჭი“ ყველაზე ძლიერია, თუ ამასაც მოერევი, ვირწმუნებთ, რომ მართლა მაგარი ყოფილხარ, ძმაო – და „მოწინააღმდეგეს“ შეატოვა თანაკურსელი, სხვა ბიჭებიც განზე გადგნენ. თითქმის ორი საათი „ეხმაღავა“ იმ ხეს გედუნი. შიგადაშიგ ისმოდა მისი გაშმაგებული შეძახილი: ესეც შენ, ესეც შენო! ბოლოს, დაიქანცა, ენერგიაც შემოეღია და ღონეგამოცლილი, ყინწმომწყდარი, იქვე, ხის ძირში გაიშხლართა.

... როცა გამოფხიზლდა, მიხვდა, რომ სასწაული ამბები დაატრიალა, რადგან მეგობრები ცერად, დამცინავი დიმილით შეჰყურებდნენ.

ამის მერე, ორი თვე ისევ ჭკვიანად იქცეოდა გედუნი. მერე კიდევ აურია და ყველა მიხვდა, რომ ბაჯალლო გულის პატრონს, პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონდა. რა ექნათ? გედუნი მეგობრებზე გადაყოლილი ბიჭი იყო, ბოლო ლუკმას დაუფიქრებლად უყოფდა, თვითონ მოიკლებდა და სხვას მისცემდა. ეგ იყო მხოლოდ, რომ მისი აუტანელი სიმთვრალე ყველას მოსვენებას უკარგავდა.

ასე გავიდა ოთხი მშფოთვარე წელიწადი. მეხუთე კურსზე გადასასვლელ გამოცდებს რომ მორჩნენ,

ქუთაისელმა გიგა ფარუაშვილმა ექვსი მეგობარი თავისთან მიიპატიჟა. მიუხედავად ცუდი სიმთვრალისა, გედუნი ვერაფრით გამოაკლო მათ რიგს, რადგან ფრუიძეების ოჯახში ბევრი პატივისცემა ახსოვდა. თანაც, ცოდვა როგორ ვთქვა და გედუნი მისი „კროვნი“ ძმაცაი იყო...

ქუთაისში ჩასულემა, როგორც კი გედუნი მოშორდა ორიოდ წუთით, „ბლიც-დისკუსია“ გამართეს ძალზედ საჭირობოროტო საკითხზე.

– ე, ბიჭო, შეგვარცხვენს ეს შეჩვენებული ამ პატიოსან ოჯახში! – თქვა გამწარებულმა ჯონდომ.

– მე რომ არ გყავდეთ, რა გემველებოდათ? აი, რა წამოვიდე! – თქვა ეშმაკმა კუკურამ და აბების პატარა ფირფიტა ააფრიალა.

– შენ გიჟი ხომ არ ხარ? არ მოწამლოს მაგან! ძმაცაი გინდა მოკლა? – შესძახა შემფოთებულმა გივიმ.

– არა, შე სულელო! ეს სიბაზონია – ძილის მომგვრელი და დამამშვიდებელი პრეპარატი. დედაჩემს უძილობა სჭირს და ექიმმა გამოუწერა; რაც ამას სვამს, მოისვენა ქალმა. მოდი, ღვინის სმას რომ დაიწყებს, სანამ ააფრენს, დაფუშენი წამალს და ჭიქაში ჩაუყრი. თვითონაც მოისვენებს, ჩვენც ვიქნებით ტკბილად და ოჯახიც ასცდება დავიდარაბას...

ბიჭები გაჩუმდნენ. მოეწონათ კუკურას აზრი.

– ოღონდ, მასპინძლებს და გიგას არაფერი გააგებინოთ, უარზე წავლენ, ხომ იცით?!

ამ დროს გიგამ და გედუნმა ოთახის კარი შემოაღეს და შეთქმულებიც უმაღლად დედუმდნენ.

სამი ჭიქის მერე, გედუნი დაეღმებუდი, თავში ჩარტყმული კაცივით იჯდა სუფრასთან. გიგა დაძაბული იყო, ყოველ წუთს ელოდა აყალმაყალის ატეხას. კიდევ ორი სადღეგრძელო და – გედუნის ყინწი მოსწყდა, სკამზე ჩამოეძინა. ბიჭებსაც მეტი რა უნდოდათ? ხელში აიყვანეს და ციმციმ საძინებელ ოთახში „გადაასვენეს“.

– რა მოუვიდა? ასე უცებ არასოდეს დაუძინია? – ეჭვით იკითხა გიგამ.

– კაი ახლა, აბა, სულ ხმალობის გუნებაზე ხომ არ იქნება?! – დაამშვიდა კუკურამ და ბიჭებს თვალი ჩაუკრა.

ქეიფი განახლდა. გვიან დაიშალნენ. უზომოდ კმაყოფილები შევ-

იდნენ იმ დიდ საძინებელ ოთახში, სადაც უკვე დიდი ხანია გედუნის ეძინა: ყველასთვის იქ იყო ლოგინი გაშლილი. გიგას დედამ, გულითაღმა და ხელგამოშლილმა საშურა დეიდამ კარგა მოზრდილი თეფში შეაჩერა კუკურას ხელში და უთხრა: ა, დედა, თქვენ ფელამუში. სანამ დილაზე წამოიშლებით, პირი გამშრალი გექნებათ და გესიამოვნებათ აგი. გამომართვი ახლა და წაით, დაისვენეთ.

კუკურამაც გამოართვა, ჩამოჯდა საწოლზე და დააჩერდა ფელამუშს.

– არ მოვისხნით გედუნის მადლი? შეხედეთ ერთი, რა ტკბილად სძინავს! – თქვა დიდთავა კოტემ და დასაწოლად მოემზადა.

– ახლა კი სძინავს, მაგრამ ხვალ დედას გვიტირებს ყველას. ოთხი დღე კიდევ უნდა ვიყოთ აქ და სულ სიბაზონს ხომ არ დავალევივინებთ?! – ჩაფიქრდა გივი.

– არც მაქვს მაგდენი. შემეშინდა – ვაითუ, ამ გადარეულზე არ იმოქმედოს-მეთქი და ოთხი აბი დავფუშენი. ერთიღა დამრჩა. ეს არაფერს უზამს და რაღაც უნდა მოვიფიქროთ! – შუბლი შეჭმუნა კუკურამ. მერე, თითქოს გონება გაუნათდა და საჩვენებელი თითი ზემოთ ასწია:

– მე რომ არ გყავდეთ, რა გემველებოდათ? ხომ იცით, გედუნი სიმთვრალეში ნამეტანი რომ აურევს, მერე ცოტა ხანს აღარ სვამს – სიმშვიდის და სიჭკვიანის პერიოდი უდგება. ახლა, იმისთანა რამე მოვიფიქრე, ცოტა ხანი კი არა, მგონი, საერთოდ აღარ გაეკარება სასმელს!

– მაინც, რა მოიფიქრე ამისთანა? – გარს შემოეხვივნენ ბიჭები.

– რა და, ამ ფელამუშს ხომ ხედავთ? ამით გედუნის ზეწარს გავსერი რამდენიმე ადგილას და ვეტყვი – აგი რა გიქნია, ბიჭო? იმდენი დალიე, რომ აზროვნება მთლად დაკარგე და ლოგინში ჩაისვარე-მეთქი? გედუნიც გაგიჟდება და წვეთსაც აღარ ჩაუშვებს პირში... ჰა, როგორია? – თავისი მიხვედრილობით კმაყოფილმა კუკურამ მედიდურად გადახვდა მეგობრებს.

– უბოროტესი ხარ, შენი... – ჩაიბუტბუტა დიდთავა კოტემ და რადგანაც თვალს ძლივს ახელდა, საწოლისკენ წაბარბაცდა.

მეორე დილით ხმაურიანად გაიღვიძეს ბიჭებმა. მაგნიტოფონიც ჩართეს, რომ კარგი განწყობა დღის ბოლომდე გაჰყოლოდათ. მხოლოდ გედუნი იწვა საწოლში და თავს

იმძინარებდა.

– ადექი ახლა, სირცხვილია, გველოდებიან! – დააჯანჯლარა კუკურამ გედუნი. მწოლიარემ თვალები აახამზაძა, მაგრამ ადგომის სურვილი არ დაჰბადებია.

– ჰე, წამოხტი, პირზე წყალი შეისხი და გამოფხიზლდები! – შეაგულიანა გივიმაც.

– ბიჭებს და უნდა გითხრათ, რომ შევრცხვი... რაღაცა მოიფიქრეთ, თორემ ყელში დანას გამოვისვამ, – ძლივს ამოღერდა გედუნი.

ბიჭებს გაახსენდათ კუკურას ოინი და ღიმილი ძლივს შეიკავეს. გივიმ და კოტემ მას მუშტიც კი მოუღერეს. გამოფხიზლებულ კუკურას ახლა კი შეებრალა გედუნი, გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა და ცოტა შორიდან დაიწყო:

– ჩემო ძმაო, შეგვიკალი ხელში შენი სიმთვრალით, ამიტომაც გადავწყვიტეთ ჭკუა გვესწავლებინა... გაგეშაყირეთ და ფელამუშით მოგისვარეთ ზეწარი, ვითომც... ჰმ... შენც კი იცი, ზედმეტი სმა-ჭამისგან, რა მარცხიც შეიძლება მოუვიდეს კაცს. ადე ახლა, მაპატიე! ჩემი წამოწყებული იყო მაგი საქმე და მე მივიტან მაგ ზეწარს სამრეცხაოში!..

გედუნი თვალგაფართოებული მისჩერებოდა ხან კუკურას, ხან დანარჩენებს.

კუკურას მოთმინების ფიალა აეცხო:

– ადექი-მეთქი, რომ გეუბნები, არ გეყურება შენ? თუ არ გჯერა, ახლავე დაგიმტკიცებ, რომ მე გიმამამაძალე! – ამის თქმაზე გადახადა საბანი, ხელი მოუსვა მოთხვრილ ადგილებს და ის-ის იყო, პირისკენ გააქანა, რომ სახე საშინლად დაემანჭა, – ფუჰ, შენი... ამას, ბიჭებო, მართლა ჩაუსვრია და იმიტომაც არ იძვრის ადგილიდან!

ამის თქმა იყო, და ბიჭები სიცლისგან აქეთ-იქით გადაცივიდნენ. კუკურას სხვისთვის უნდოდა ოინის მოწყობა, მაგრამ არანაკლები დაემართა თვითონ. რაღა უნდა ექნა? ზეწარი გედუნმა და კუკურამ გაზეთში გაახვიეს, ჩუმად წაიღეს სამრეცხაოში, მერე კი, „გასახვანჩალებლად“, აბანოში გაუხვიეს. ისე, მას მერე, გედუნი მართლაც აღარ გათიშულა სმისგან და აღარც კუკურას დასჭირვებია ახალი ოინის გამოგონება.

### ისაალბოროი ცალფეხა ხაზმა „ისნა“

მსოფლიოში პირველი ესკალატორი 90 წლის წინ დაამოტაჟეს ლონდონის მიწისქვეშა რკინიგზის ერთ-ერთ სადგურზე, მაგრამ მოძრავ კიბეს ხალხი ისე შეეშინებინა, რომ მგზავრები კიბის თავში შეეჯგუფულიყვნენ და მასზე ნაბიჯის დადგმას ვერაფერს ბედავდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, სადგურის ადმინისტრაციამ საუცხოო გამოსავალს მიაგნო: მან ინვალიდი – ცალფეხა კაცი დაიქირავა, რომელიც მშვიდად მგზავრობდა ესკალატორით და ამით ყველას დაანახვა, რომ მოძრავი კიბე საეხებით უსაფრთხო იყო.



### როგორ გადაურა ზღვის ნიჟარამ ხელთი

ცნობილია, რომ წყლის ბინადარი სხვადასხვა ზღვაში მოგზაურობენ. ეს ბუნებრივიცაა, როცა ზღვები ერთმანეთს უკავშირდება. მაგრამ შემთხვევა, რომელიც XX საუკუნის ოციან წლებში დაფიქსირდა, ფრიად უჩვეულო იყო: კასპიის ზღვაში სწრაფად გავრცელდა შავი ზღვის ბინადარი მოლუსკი – მიტილიასტერ ლინიატუსი, მოიხფრო შავი ნიჟარა, რომელიც სულ 2-3 სანტიმეტრის სიგრძის არის. სპეციალისტებს ვერ აეხსნათ, როგორ მოხვდა იგი შავი ზღვიდან კასპიის ზღვაში, როდესაც ისინი ათასეულობით წელია, რაც გათიშული არიან ერთიმეორისაგან.

პასუხი თურმე ძალზედ მარტივი ყოფილა: ის ფოთიდან ბაქოში ხმელეთით გადაყვანილ გემს გაჰყოლია. აღმოჩნდა, რომ ამ სახეობის მოლუსკებს გემის წყლით დაფარულ ნაწილზე მიკვრა სჩვევიათ და ასე, გემზე მჭიდროდ მიკრულებს უმოგზაურიათ შავიდან კასპიის ზღვამდე.


### საქართველოს ფანა და უნიალური ნაეთობა

ქალაქ ვიატკის (ყოფილი კიროვის) საოლქო მუზეუმში ინახება ჯიბის საათი, რომელიც მთლიანად ხისგან არის დამზადებული. ამ მოვლენაზე არ შეგჩერდებოდით, რომ არა ერთი საგულისხმო ფაქტი: საათი ხის იმ ჯიშების მასალით არის გაკეთებული, რომელიც საქართველოში ხარობს.

... XIX საუკუნის მეორე ნახევარში კუსტარულ ნაკეთობათა ვიატკელი ოსტატი ნიკოლაი ბრინიკოვი საქართველოს სწვევია. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩვენებურ ბუნებას, განსაკუთრებით – ხის ჯიშებს. ერთ-ერთი ჯიშის ხის – როკისაგან მან რამდენიმე ნივთი დაამზადა. „როკი იშვიათი მასალაა, – უთქვამს ოსტატს, რომელიც როკს მღულარე წყლითა და ორთქლით ამუშავებდა. – ის სილამაზის გარდა, სრულიად განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა: არ იბზარება, არ იბერება და გაშრობის შემდეგ, მცირე დეფორმაციასაც არ განიცდის“. სწორედ ამ თვისებებმა აფიქრებინა ბრინიკოვს, როკისაგან ხის საათი დაეზადებინა. თუმცა ბევრს ეს იდეა ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა. ბრინიკოვმა მაინც განახორციელა თავისი ჩანაფიქრი. მან საჭირო მასალა შეარჩია საქართველოში და ხის საათების კეთებას მიჰყო ხელი. ამრიგად, კორპუსი როკისაგან დაამზადა, ისრები – ჩიტვიკისაგან, ზამბარა – მოქნილი ბამბუკისაგან, საათის ზოგიერთი სხვა ნაწილი კი – პალმის ხისაგან.

ბრინიკოვმა საწაღელს ექვსი წლის დაუღალავი შრომის შედეგად მიაღწია. მის მიერ შექმნილი საათი არა მარტო სილამაზითა და სიმტკიცით, არამედ გასაოცარი სიზუსტითაც გამოირჩევა და წარმოიდგინეთ, დღესაც მუშაობს.

ქართული ხეებისგან დამზადებული საათის ოსტატმა იმდენად გაითქვა სახელი, რომ მას პეტერბურგიდან, მოსკოვიდან და ევროპის ქალაქებიდან მოსდიოდა შეკვეთები. ერთ-ერთი საათი იმპერატორ ნიკოლოზ მეორესაც შეუძენია ათას ოქროს მანეთად. სულ კი ბრინიკოვმა ათი ხის საათის გაკეთება მოახერხა.



### „საცხვირო მანდილი“

ახლა ყველას შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, რომ ცხვირსახოცი, ურომლისოდ ცხოვრება თანამედროვე ადამიანს ვერც კი წარმოუდგენია, ხმარებაში მხოლოდ მე-13 საუკუნიდან შემოვიდა. მის სამშობლოდ იტალია ითვლება. პირველი, ვისაც ხელში ცხვირსახოცი სჭვრია, იშვიათი სილამაზის დიდგვაროვანი ვენეციელი მანდილოსანი ყოფილა.

საფრანგეთში ერთ-ერთი პირველი, ვის ხელშიც ცხვირსახოცი ნახეს, მშვენიერი სეფე-ქალი დიანა დე პუატიე იყო. შემდეგ, მისი მიბაძვით, სხვა პარიზელმა მანდილოსნებმაც დაიწყეს ძვირფასი ცხვირსახოცების ტარება.

1595 წლიდან ცხვირსახოცებს გერმანიასა და ინგლისშიც ატარებდნენ. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, ცხვირსახოცი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა და დიდი ხნის განმავლობაში მას მხოლოდ ქალები, ამასთან, მხოლოდ მაღალი ფენების წარმომადგენლები ხმარობდნენ. გერმანიაში, კერძოდ დრეზდენში, ბრძანებულებაც კი გამოსულა, რომელიც დაბალი ფენის ადამიანებს მის ტარებას უკრძალავდა. დიდგვაროვანი ქალბატონები ცხვირსახოცს თავისებურ საპარფიუმერიო საშუალებად იყენებდნენ: ესენციებში, სუნამოში ასველებდნენ, მაღამობით ჟღინთავდნენ და ღამიანობით იფარებდნენ სახეზე.

აღმოსავლეთში ცხვირსახოცებს მამაკაცები ქაშრებზე მიბმულს ატარებდნენ. თუ დიდებული ცხვირსახოცს თავისი ჰარამხანის რომელიმე ქალს ესროდა, ეს განსაკუთრებული წყალობის ნიშანი იყო.

როდის შემოვიდა ცხვირსახოცი საქართველოში, ზუსტად ვერ ვიტყვით, მაგრამ საინტერესოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ცხვირსახოცს „საცხვირო მანდილს“ უწოდებს. ძვირფას ცხვირსახოცებს ჩვენში კენიები ხმარობდნენ, გლეხები, ბუნებრივია – უბრალო ნაჭერს.


XIX საუკუნის დასასრულს ფრანგმა პროფესორმა გიუიომ ქალაღლის ცხვირსახოცის დამზადების იდეა წამოაყენა. უფრო ადრე ქალაღლის ცხვირსახოცი ხმარებაში იაპონიაში ყოფილა, სადაც თავისი ფუნქციის შესრულების შემდეგ, მისი ხელმეორედ ჯიბეში ჩადება დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

იმავე საუკუნის დამლევეს ამერიკაში გამოდიოდა გაზეთი „ცხვირსახოცი“, რომელიც ტილოზე იბეჭდებოდა და... წაკითხვის შემდეგ ცხვირსაწმენდად გამოიყენებოდა...

მონაგვლა

ბალაქტიონ ტაბანაშვილი






**გაგოსხალეთ თქვენი შემოქმედაბითი უნარი**  
**გაგოსხალეთ თქვენი შემოქმედაბითი უნარი**  
**გაგოსხალეთ თქვენი შემოქმედაბითი უნარი**  
**გაგოსხალეთ თქვენი შემოქმედაბითი უნარი**

ქვემოთ მოყვანილი თამაზი ძალიან ჰგავს ძველ ჩინურ თამაზს – ტანგრამს. სურათზე მოცემულია 15 გეომეტრიული ფიგურა. გაგოსხალეთ თქვენი შემოქმედებითი უნარი – შეეცადეთ, მოცემული ფიგურების გამოყენებით დახატოთ კატა, გემი, ქუდიანი კაცი და ძაღლი. ყოველი ნახატის შედგენისას უნდა გამოიყენოთ 13 გეომეტრიულ ფიგურაზე არანაკლები.


თქვენს განკარგულებაში 10 წუთია.

10 წუთის გასვლის შემდეგ, შეწყვიტეთ ხატვა. ჩვენ მიერ შემოთავაზებული პასუხები ნახატების შექმნის მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია. დაინერეთ 10 ქულა თითოეული



დასრულებული ნახატისთვის. 13 ფიგურაზე ნაკლების გამოყენების შემთხვევაში, თითოეული

გამოყენებული ფიგურისთვის გამოაკელით თითო ქულა.



**შეჯამეთ შედეგები**

35-40 ქულა შესანიშნავი შედეგია: თქვენ დიდი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანი ყოფილხართ.

25-34 ქულა საშუალო შედეგია, თქვენში ჩაბუდებულ შემოქმედებით უნარს გაღვიძება და სწორი მიმართულების მიცემა ესაჭიროება.

24 ქულაზე ნაკლები: შემოქმედებითი ნიჭი თქვენი დამახასიათებელი თვისება არ არის, ეცადეთ, თავი ისეთ საქმიანობაში გამოსცადოთ, რაც ნაკლებად მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას.

სრულყოფილი სიტამაზის მისაღწევად ადამიანებმა მრავალგვარი დიეტა გამოიგონეს: ზოგი მხოლოდ წინიბურის ფაფას შეეცვია, ზოგი – მხოლოდ იოგურტსა და მანონს, სხვები კი საქმეს უფრო რადიკალურად უდგებიან და უბრალოდ, შიმშილობენ. ამ დროს კი, თურმე სავსებით საყმარისია, რომ დააკვირდე თ ვარსკვლავებს...



ასტროლოგების აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელი პროდუქტებით ვიკვებით, დიეტა თურმე პირველ რიგში, იმას უნდა ეფუძნებოდეს, თუ რომელ ზოდიაქოს მიეკუთვნება ადამიანი. „ის, რაც რეკომენდებულია ლომებისთვის, კატეგორიულად არ შეეფერება თევზებს“ – არწმუნებან ასტროლოგები. ზოგიერთი ადამიანი ინტუიციით განსაზღვრავს, თუ რომელი პროდუქტი უფრო შეეფერება და თუ ბავშვი კატეგორიულად ამბობს უარს მანონის ფაფის ჭამაზე – არ დააძლიოთ, ვერ მისი პიროსკობი შეისწავლოთ. ზოდიაქოს მიხედვით კვების წესების დამრღვევებს სხვადასხვა დაავადება ეუქნებათ, მათ შორის – ალერგია, სიმსუქნე და ზასიათის გაუარესებაც კი.

ასტროლოგების აზრით, წყლის სტიქიის წარმომადგენლებმა – კირჩხიბებმა, ღრინაკლებმა და

თევზებმა კვების რაციონში აუცილებლად უნდა ჩართონ თევზი და ზღვის სხვა პროდუქტები. ცეცხლოვანი სტიქიის წარმომადგენლებმა – მშვილდოსნებმა, ლომებმა და ვერძებმა, სასურველია, საკვები ღია ცეცხლზე მოიწვადონ, რათა ის ცეცხლის ენერგიით დაიმუხტოს. მათ, ვინც სასწორის, მერწყულისა და ტყუპების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაიბადა – ე.ი. ჰაერის სტიქიას მიეკუთვნება, საკვებად, რაც შეიძლება ხშირად უნდა გამოიყენოს ფრინველის ხორცი. გარდა ამისა, მათ უნდა მიიღონ ბევრი ისეთი ხილი, რომელიც მიწიდან საკმაოდ მაღლა – ხეზე იზრდება. რაც შეეხება მიწიერ ნიშნებს – თხის რქას. ქალწულსა და კუროს – კვების ყოველდღიურ რაციონში მიწასთან ახლოს მზარდი კენკრა-ხილი და ნიადაგში მოყვანილი ბოსტნეული უნდა ჩართონ.

საკუთარი ზოდიაქოს შესაფერისი დიეტის შესადგენად აუცილებლად უნდა გახსოვდეთ, რომ ყოველ პლანეტას პროდუქტის გარკვეული სახეობა შეესაბამება. ასტროლოგებს მიაჩნიათ, რომ, მაგალითად, მთვარის ენერგიით დამუხტულია რძის პროდუქტები, საზამთრო და ნესვი. ასეთი საკვები ყველაზე მეტად, კირჩხიბის ზოდიაქოს ქვეშ დაბადებულებს რგებთ. ამასთანავე, ისინი ცხარე კრებებს უნდა მოერიდონ. სამეფოვრდ, ღრინაკლებსა და ვერძებს, რომლებიც პლანეტა მარსის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, აუცილებლად ესაზღვრობათ ცხარე, ხახვით შეკაზმული კრებები. სასწორი და კურო პლანეტა ვენერას ზეგავლენას განიცდიან და ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულებს განსაკუთრებით უყვართ ნამცხვარი და ტკბილეული. ლომებს მწნილური ყველაფერს ურჩევენიათ; თხის რქებმა და მერწყულებმა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სატურნთან, საკუთარ თავს ზედმეტი ფინჯანი ყფისა და ჭიქა ღვინის მირთმევის ნება შეიძლება დართონ. თევზები და მშვილდოსნები, რომლებზეც აქტიურ გავლენას ახდენს ოუპიტერი, უპირატესობას ყველანაირ მჟავე ხილს ანიჭებენ. რაც შეეხება ქალწულებსა და ტყუპებს, რომელთაც მერკური მართავს – ნაკლებად უნდა მიირთვიან ცხიმიანი ხორცი, სჯობს, ხშირად ჩართონ რაციონში ხილი, განსაკუთრებით – ხურმა.

საერთო რჩევების გარდა, ასტროლოგებმა ზოდიაქოს ყოველი ნიშნისთვის კონკრეტული რეკომენდაციები შეიმუშავეს. მათ იმით იხელმძღვანელებს, რომ ზოდიაქოს გარკვეული ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს ორგანიზმში თავიანთი სუსტი წერტილები აქვთ. ასტროლოგიური დიეტის მიზანი, რისკის ჯგუფის ორგანიზმისთვის დამცავი პირობების შექმნაა. ვერძი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ჯანმრთელი ნიშანია, მაგრამ ამ ნიშნის ქვეშ დაბადე-



ბურჯანოს მკერი ყარაბაზ... [Handwritten signature]	ბელეგადა- ცემა „...სტოპი“ [Handwritten signature]	ცხოვრების ნირი, წესა [Handwritten signature]	... ვაღენსა [Handwritten signature]	საომარი აღჭურვილობა [Handwritten signature]	ომის გამძაღვლები [Handwritten signature]																														
გ	ა	ხ	ს	ბ	ს	ი	ნ	ი	ნ	ი	მ	ი	ჭ	ი	ნ	ა	ნ	ი	ს	ა	ხ	ს	ღ	ი	მ	ი	ნ	ი	ე	მ	ა	ხ	ი	ნ	მ
ვინ გაბათვისუფლეს გოლგოთისხაგან [Handwritten signature]	გრამატიკაში: ანგონიმი, ომონიმი, ... [Handwritten signature]	ციმბირის წყლული [Handwritten signature]	თუთი- კუშის [Handwritten signature]	კ. გამსახურდია „დიონისოს ...“ [Handwritten signature]	რისამე სახელური [Handwritten signature]	„გა“ [Handwritten signature]																													



ბულებმა უნდა მიხედონ სისხლის მიმოქცევას, ნერვებსა და თირკმლებს. ამიტომ ვერძებმა ნაკლებად უნდა მიიღონ ყავა, ალკოჰოლური სასმელები და ხორცი. კურობი ადვილად ავადღებთან გრიპით და სიმსუქნისკენ აქვთ მიდრეკილება, ამიტომ მუდმივად უნდა ითვალონ კალორიები და იბუნტიტის ასამაღლებლად, ბევრი ვიტამინის შემცველი ხილი და ბოსტნეული მიირთვან. ტყუპების სუსტი ფილტვები და ნერვული სისტემა მუდმივ მზრუნველობას საჭიროებს. მათთვის საუკეთესო საკვებია „ბ“ ვიტამინით მდიდარი პროდუქტები, ყველი, კვერცხი, ნიგოზი და ფაფები, ყველაფერი ეს ნერვებს საგრძობლად ამავრებს. განსაკუთრებით მკაცრი დიეტა ესაჭიროებათ კირჩხიბებს, რომლებიც კარგი ჯანმრთელობით არ გამოირჩევიან. მათი „სუსტი წერტილი“ საჭმლის მომნელებელი სისტემაა. კირჩხიბებმა უარი უნდა თქვან შუქვარ-მონრა-კულზე და მეტი ზღვის და მყვან რძის პროდუქტები მიიღონ. საერთოდ კი, კირჩხიბებისთვის შესაფერისი იდეალური საკვებია, მათი შორეული ნათესავი – კობორჩხალაა. ძლიერი და ენერგიული ლომები სუსტი გულითა და სისხლძარღვებით გამოირჩევიან, მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა „აერიფონ“ ზედმეტი წონა. რადგან ლომი თავისი ბუნებით, ხორცის მჭამელია, ის ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე უარს ვერ იტყვის, და მაინც – ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ ხორცი ნაკლებად ცხიმიანი იყოს. ლომებისთვის ყველაზე შესაფერისი კათმის ან სხვა ფრინველის ხორცია.

ქალწულებს ხშირად აწუხებთ ნაწლავური დაავადებები, მათთვის იდეალურია ვეგეტარიანული საკვები. გარდა ამისა, ქალწულებმა დღის რეჟიმი უნდა დაიცვან – ყოველთვის ერთსა და იმავე, განსაზღვრულ დროს მიირთვან საკვები. სასწორებს არცთუ ისე იშვიათად აწუხებთ თირკმლები, მაგრამ ხშირად ამას ყურადღებას არ აქცევენ.

არადა, ისინი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, მარილიან, ცხარე და სანელებლებთან კერძებს უნდა მოერიდონ. ღრიანკალები ყელის გაცივებას უნდა უფრთხილდნენ, ხოლო ამ ზოდიას კვემ დაბადებულმა ქალებმა ხშირად უნდა მიმართონ ვინეკოლოგს. ავადყოფობის თავიდან ასაცილებლად კი, არ უნდა მიირთვან ცხარე და მარილიანი კერძები. მშვიდლოსნებმა განსაკუთრებული ყურადღება ღვიძლს, სისხლძარღვებსა და ნერვულ სისტემას უნდა მიაქციონ, სასურველია ცხოველური ცხიმი მცენარეულით შეცვალონ და შეძლებისდაგვარად, მიერიდონ ალკოჰოლურ სასმელებს. თხის რქებმა, რომელიც უმეტესად, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესი აქვთ დარღვეული, კვების ისეთი სისტემა უნდა გამოცადონ, როცა საკვებად ერთდროულად არ გამოიყენება ცილები და ნახშირწყლები. მერწყულე

ბმა, რომელთაც ხშირად აქვთ სისხლთან დაკავშირებული პრობლემები, შეძლებისდაგვარად უარი უნდა თქვან ხორცზე და ის, თევზითა და რძის პროდუქტებით შეცვალონ. რაც შეეხება თევზებს, მათი სუსტი წერტილი, ორგანიზმიდან შლაკების გამოდევნა; ისინი მოწამელის მიმართ განსაკუთრებით დიდი მგრძობილობით გამოირჩევიან, ამიტომ უნდა ერიდონ ქიმიური დანამატების შემცველ საკვებს – არ მიირთვან კონსერვები და კონსერვანტებიანი პროდუქტები.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ საკვები არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობაზე ახდენს გავლენას, არამედ ადამიანს ხასიათსაც უცვლის. ტემპერამენტიანმა და ვნებიანმა ლომებმა, ღრიანკალებმა და ვერძებმა თავი უნდა შეიკავონ ცხარე საკვებისა და მაგარი სასმელების მიღებისგან. ეს პროდუქტები ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს ზედმეტად თავშეუკავებლებსა და ფიცხებს ხდის. განრისხებულმა ლომმა უმჯობესია, მონარშული კათმის ბარკალი მიირთვას, გაბრაზებულმა ვერძმა და ღრიანკალმა – რძის კოქტეილი, პესიმისტმა მერწყულმა და თხის რქამ, რომლებიც ხშირად ვარდებიან დეპრესიაში, ნაღველის გასაქარვებლად საჭიროა მაგარი ჩაი და ხილის ჩირი მიირთვან. ურიგო არ იქნება, თუ თევზები და მშვიდლოსნები ანჩხლ ხასიათს თავლითა და ხილის წვენებით დაიტკბობენ. ქალწულებმა და ტყუპებმა თავის დასამშვიდელებლად, ნუში უნდა მიირთვან, მუდამ უკმაყოფილო კურობებმა და სასწორებმა ცოტათოდენი ტკბილეული უნდა გასინჯონ და გარშემო ყველაფერი უფრო მშვენიერი მოეჩვენებათ. და მართლაც, რა შეიძლება იყოს სულიერ სიმშვიდეა და პარმონიაზე უკეთესი?..



...- დისპან- სერი	ნორვეგიელი ფიგურისტი ... პენია	გუნდრი ... პაელოტი	ქართული მწერალი აკაკი ...	რა არის გამოთქმული გიგორაზე	გამზრებული სიროფიანი სასმელი
კენძულის“ ავტორი	ხილი	ერთ-ერთი პრესი- ეული პრემიის დამაპრსებელი	ბრე- ვიაგუ- საბკოთა	ჯიბის გიპის მანქანა	საგრძის საზღვაო ერთეული

**ი**დგა IX საუკუნე. ქართლში ისევ არაბები ბატონობდნენ, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ მაჰმადის რჯულს. ქართველებს შორისაც იყვნენ ისეთები, ვინც ისევე ირყეოდა, „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, დალატობდა ქრისტიანობას და მაჰმადიანდებოდა.

ამ დროს ქართლ-კახეთში ცხოვრობდა წარჩინებული და გამორჩენილი თავადი კონსტანტინე, რომელსაც კუთხური წარმომავლობიდან გამომდინარე, კახს უწოდებდნენ. როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანს შეჰფერის, თავადი კონსტანტინე საკუთარ თავს უცოდველესად მიიჩნევდა და ხშირად ამბობდა: „არავინაი ვესავ მოტყეებასა ცოდვათა, გარნა დათხევისა სისხლთა ჩემთათა მისთვის, რომელმან იგი დასთხივნა სისხლნი ჩვენთვის“.

კონსტანტი კახი ხშირად მოგზაურობდა და მოილოცავდა წმინდა ადგილებს. იგი იმყოფებოდა იერუსალიმსა და იორდანის უდაბნოში, რის შემდეგაც გასცემდა უხვ შემოწირულობას. იგი ყოველწლიურად 30.000 ვერცხლს აგზავნიდა იერუსალიმში.

853-54 წლებში ქართლს ბუღათურქის წინამძღოლობით, არაბთა მრავალათასიანი ლაშქარი შემოესია.



# უხუცესი ქართველი წმინდანი

არ შემდრკალა 85 წლის მთავარი კონსტანტინე. შეილთან – თარხუჯთან ერთად ხელთ იპყრა მახვილი და სათავეში ჩაუდგა ქართლის ლაშქარს. გორის მისადგომებთან ქართველთა და არაბთა შორის გამართულ უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. მტერმა ძვირფასი ტყვე – კონსტანტი კახიც იგდო ხელთ. მცირე ხნის შემდეგ ბორკილდადებული კონსტანტი კახი ქალაქ სამარაში (დღევანდელი ერავის ტერიტორია) გაიგზავნა ხალიფა ჯაფართან.

ჯაფართმა კარგად იცოდა კონსტანტი კახის ზეგავლენა იმდროინდელ ქართველობაზე და ამიტომ თავაზიანად უმასპინძლა მას. შემდგომ კი მზაკერულად, სარწმუნოების გამოცვლა შესთავაზა, თან დაემუქრა: „უკუეთუ არა ისმინო ჩემი, სიკუდილითა მოკუდე

შენ პირითა და მახვილისათა და ხორციანი შენნი მივსცნე საჭმელად მფრინველთა ცისათა...“

მამაცმა და ქრისტეს მიერ სულიერად განმტკიცებულმა მთავარმა მიუგო: შენს ხელთ მხოლოდ ჩემი სხეული არისო და არა სული, ამიტომ მე არ მეშინია შენი მახვილის და როგორც გენებოს, ისე მომექცეიო.

განრისხებულმა ხალიფამ კონსტანტი კახი საპყრობილეში ჩააგდო და ორი გამაჰმადიანებული სომეხი შეუჩინა: იქნებ, თქვენ მაინც შეასმინოთ და დაიყოლიოთ გამაჰმადიანებაზეო. მაგრამ ვერც მათ შეძლეს კონსტანტინის ურყევი ნების მოდრეკა. არც ცემათ და წამებამ გაჭრა იქ, რადგან სული ამაღლებული იყო სხეულზე. განრისხებულმა ხალიფამ ჯალათებს უბრძანა, თავი მოეკვეთათ ურყევი ქრისტიანისათვის. ჯალათმა კონსტანტი კახის მოკვეთილი თავი ხალიფას მიართვა, მსგავსად იოანე ნათლისმცემლისა, რომლის თავიც მიართვეს ჰეროდეს. კონსტანტი კახის მოწამებრივი აღსასრული დაემთხვა 854 წლის 10 ნოემბერს, წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს.

წმინდანის გვაში ხალხის დასანახად მაღალ ძელზე დაკიდეს, შემდგომ კი დამარხეს. რამდენიმე წლის შემდეგ ქართველებმა კონსტანტი კახის წმინდა ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს.

ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კონსტანტი კახი, იგივე კონსტანტინე ქართველთა მთავარი IX საუკუნეშივე შერაცხა წმინდანად.

„ზესთა გონებისა მბრძოლისა არა სისხლთა მიმართ და ხორცთა, და მხედარსა დიდ სახელსა, რჩეულსა ქრისტესსა, რომელმან მსთავრა მთავრობათა და ხელმწიფებათა ბნელისათა, და ზიარ გამოსწრა და ვნებათა საღმრთოთა. კონსტანტინეს შევასხმიდეთ გალობითა ძლევისათა და ვიტყვოდეთ: გიხაროდენ მოწამეო, ყოვლად უძლეველო!“ – ასე უგალობს დღეს უხუცეს ქართველ წამებულს მადლიერი ქართველობა.

ნიკო ტარყაშვილი



# სტალინის ვითება სფეროების ხარჯა საქართველოს ჰოტელების უნიკალური კოლექციის დაზარალება...

## ელენე სალარიძე

ყოფილა ვინმე მიხეილ ბოტკინი, საქართველოს საგანბურით მოხიბლული რუსი კოლექციონერი. განსაკუთრებით ქართული ტიხრული მინანქარი მოსწონდა თურმე. გასული საუკუნის დასაწყისში მოუვლია ჩვენი ქვეყანა, უგროვებდა და უგროვებდა, რაც კი რამ თვალში საცემი და ღირებული შეხვედრია. ჩალის ფასად უყვიადა გელათიდან, მარტვილიდან და ჯუმათიდან გატაცებული უბერფასესი ნივთები. გალატაკებულ თავად-აზნაურთა ოჯახებიდან ასევე გროშებდა ჩაუვლია ხელში ეროვნული სიმდიდრის უნიკალური ნიმუშები.

ჰოდა, ამდგარა ერთ მშვენიერ დღეს ეს გამდიდრებული ბოტკინი (ვირუსული ჰეპატიტის აღმოჩენი და მკურნალი არ გეგონოთ, ის სერგეი ბოტკინი იყო), აუკრავს საქართველოდან გუდა-ნაბადი, მე შენ გეტყვი და საზღვარზე შეამოწმებდა ვინმე (ახლა არ ამოწმებენ რიგა-ანად და მაშინ ვინ გაიცხლებდა თავს) და წაუღია ჩვენი საგანბური, — მუქთად, მაგრამ საკუთარი ფულით ნაყიდი... დარჩენილან ქართველი ხელოვნების მოყვარულნი გაოგნებულნი. თავიდან არავის ეგონა, ამხელა განძის მფლობელი თუ გახდებოდა ბოტკინი, მაგრამ ვისაც იმხანად მისი კოლექცია უნახავს და თანაც ქვეყანაზე გული შესტკიოდა, ძილი და მოსვენება დაჰკარგვია...

... მერე რუსეთის „ძღვეამოსილ რევოლუციას“ ყველაფერი „თავის ადგილზე“ დაუღაგებია. ამდგარან კომუნისტები და ბოტკინისთვის სულ პირწმინდად ჩამოურთმევით საქართველოში „მოპოვებული“ ავლა-დიდება...

ბოტკინის კოლექციას მოსკოვში, იმჟამინ-ფირფიტა „მირქმის“ გამოსახულებით



დელ სახელმწიფო საგანბურში მიაკვლია მალვა ამირანაშვილმა (შემდგომში აკადემიკოსმა, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო ქართული ხელოვნების განვითარებას). მიაკვლია, მაგრამ ცალი თვალითაც არ შეახედეს საგანბურში, ხუთი წლის შემდეგ (!) დაიბარეს რუსებმა...

ამ აქეთ-იქით სიბრბილში, ამირანაშვილს კრემლშიც მოუწია მისვლამ, სადაც სრულიად შემთხვევით შეხვდა სტალინის ქართველ მეცნიერთან, ა. სვანიძესთან ერთად, რომელიც თავად ყოფილა დაინტერესებული ბოტკინის კოლექციით. ამ კოლექციის ბედით „დიდი ბელადიც“ არანაკლებ დაინტერესებულა, ამირანაშვილისთვის თვითონვე ჩაუწერია საკუთარი ტელეფონის ნომერი, ხვალ II საათზე კრემლში დამირეკე, რამეს მოვიფიქრებო...

ამირანაშვილს ჭკუა უხმარია, სახელმწიფო საგანბურში გამოცხადებულა და მორიგი უარის სათქმელად გამზადებული რუსი დიდმოხელისთვის ტელეფონის ყურმილი გადაუცია, რომლის მეორე მხარეს თვით ოსებ ბესარიონის ძე მდგარა...

ასე „დაუბრუნდა“ საქართველოს ბოტკინის კოლექცია 1923 წელს.


ამ კოლექციაში იყო ჩვენი მკითხველისთვის კარგად ნაცნობი, გელათიდან მოპარული ლეთისმშობლის მინანქრის ხატის ფრაგმენტები (სახე და ხელის მტყეხები), რომელიც ხახულის კარედის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს.

აქ იყო ჯუმათისა და შემოქმედის ტაძრების მინანქრის ხატები, ჯვრები და მრავალი სხვა. და ეს უბერფასესი კოლექცია დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება.

ვესაუბრებით ამ მუზეუმის დირექტორის მოადგილეს, ბატონ გია მარსაგიშვილს.

— ბატონო გია, იქნებ უფრო დანჭროლებით აღგენერთ ძვირფასი ნივთები ბოტკინის კოლექციიდან...

— ამას თქვენი ჟურნალის მიუღია ნომერიც არ ეყოფა. ერთს გეტყვით მხოლოდ. ძალიან პოპულარული და ცნობილი მინანქრის ფირფიტა-ხატები — მირქმის, ლაზარეს აღდგინების, სულიწმადის მოფენის, წმინდა გიორგის ორი ხატი (ვეშაპის განმგმირავი და მეფის ასულის გამათავისუფლებელი) სწორედ ამ კოლექციიდან არის (მცირე დეტალი: თითოეული ეს ხატი, ზომით დაახლოებით 15X12 სმ-ა და გასაოცარი ფერთა გამით გამოირჩევა).



„წმინდა გიორგი ათავისუფლებს მეფის ასულს“

— და ყველა ეს ფირფიტა-ხატი ქართულ ხელობას განეკუთვნება?


— თქვენ წარმოიდგინეთ, ყველა და ხელობას კი არა, ხელოვნებას... აბა, ნახეთ, ლაზარეს აღდგინება, რა ფერებია, რა ლეითური სახეები. ან თუნდაც წმინდა გიორგი, რომლის წინაშე მეფის ასულიც მორჩილი და სათნოა. ისე, ბევრი ქართული ჟურნალის გარეკანზე მიწიერ ბანოვანთა მომხიბვლელ ფოტოკოლაჟს დროდადრო ასეთი ხატებიც რომ „ჩაენაცვლებოდეს“, ურიგო როდი იქნებოდა... არა მარტო რელიგიური თვალსაზრისით, არამედ იმიტაც, რომ ამ ქართულ ხელოვნებას კიდევ ერთხელ წარუდგენდით ხელოვნებას მონატრებულ მკითხველს.

— მე ერთი ჯვარცმაც „შეგარჩიე“ ბოტკინის კოლექციიდან, ქართული არ უნდა იყოს...

— მართალი ხართ. ბიზანტიური ხელობა, ბერძნული წარწერებით. ნამუშევარი აქაც დახვეწილია, ქრისტეს სხული ხშირი, ცისფერი ჭობით გაწყობილი ტიხარითაა შემკული... და ეს ჯვარი საქართველო-ბიზანტიის კულტურულ ურთიერთობას უსვამს ხაზს.

ბოტკინის კოლექციაში შუა საუკუნეების ქართული ტიხრული მინანქრის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია წარმოდგენილი. მაგრამ, საბედნიეროდ, მათ გარდა არაერთი უნიკალური ძეგლი მოგვეპოვება ამ „ფანრში“, რომელთა შესახებ მომავალ წერილში მოგიტხრობთ.

რას აღარ უწოდებდნენ მაიკლ ჯორდანს NBA-ში გატარებული ბრწყინვალე კარიერის მანძილზე, მაგრამ ამ დღით ბოძებული ნიჭის მქონე კაცისთვის ყველაზე შესაფერისი „წოდება“, მისი „მფრინავობა“ იყო. მართლაც, „ჩიკაგო ბულზის“ ყველაზე სახელოვანი მოთამაშისთვის, მოედანზე დედამიწის მიზიდულობის კანონი თითქოს აღარ მოქმედებდა. მაიკლ ჯორდანი ბურთით ხელში ისეთი სისწრაფით დაქროდა საკალათბურთო მოედნის „საჰაერო სივრცეში“, როგორც სამხედრო დავალების შესასრულებლად ცაში აჭრილი უახლესი მოდელის გამანადგურებელი. მაიკლ ჯორდანი არ ყოფილა მხოლოდ ექვსეზის NBA-სა და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, უამრავი რეკორდის მფლობელი, შეუდარებელი დრიბლიორი და სნაიპერი; ჯორდანი იყო კალათბურთის „ფერმწერი“, სპორტული ესთეტიკის შემქმნელი, ღვთის ერთ-ერთი რჩეული იმ მცირერიცხოვანთაგან, რომელთა სახელთანაც მთელ ეპოქას აიგივებენ, რომლებმაც თავიანთი ტიტანური შრომითა და ფერითი ნიჭის წყალობით, მეოცე საუკუნის სახე შექმნეს...




# მფრინავი მაიკლი და მისი მთავარი დუელი

## გზის დასაწყისი და პირველი მწვერვალი

წლების მანძილზე მაიკლ ჯორდანის თამაშს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მილიონობით ადამიანი ადევნებდა თვალს. ჯორდანის ათლეტურმა მონაცემებმა, ბურთის ფლობის ფენომენალურმა ტექნიკამ და ტყორცის უჩვეულო სიზუსტემ კალათბურთი საჰაერო აკრობატიკისა და ბალეტის ელემენტების შემცველ, თვალისმომჭრელ სანახაობად აქცია. მაიკლ ჯორდანი ურყევი, შეუპოვარი ხასიათის სპორტსმენია, რომელიც არასოდეს უშიშდებოდა ცხოვრებისეულ და სპორტულ სირთულეებს. თავისი ფანტასტიკური სპორტული მონაცემების წყალობით, მაიკლი 80-90-იან წლებში NBA-ს საკალათბურთო მოედნების ნამდვილი მეფე იყო, ის თრეუნავდა მოწინააღმდეგეებს შეტევაში და ელობებოდა დაცვაში. არ არსებობდა ისეთი ელემენტი, ისეთი ქმედება მოედანზე, რომლის შესრულებასაც ჯორდანი ვერ შეძლებდა.

აღსანიშნავია, რომ „ნორმალური ადამიანის“ ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარს მიღმა თამაშით მაიკლ ჯორდანი ჯერ კიდევ ბავშვობაში დაინტერესებულა. „სუთი წლის ასაკში პირველად ვიხილე კალათბურთის თამაში და ვინატრე, რომ NBA-ს პროფე-

**დოსია:**  
**სრული სახელი:** მაიკლ ჯეფრი ჯორდანი  
**დაბადების თარიღი:** 1963 წლის 17 თებერვალი  
**დაბადების ადგილი:** ბრუკლინი (ნიუ-იორკი)  
**სიმაღლე:** 198 სმ  
**წონა:** 98 კგ  
**პოზიცია:** მცველი  
**NBA-ში თამაშის გამოცდილება:** 13 სეზონი (ყველა „ჩიკაგო ბულზში“) და მიმდინარე სეზონი „ვაშინგტონ ვიზარდსში“



სიონალთა მსგავსად, კალათში ბურთი ზემოდან „ჩამეტენა“. 14 წლის ასაკში, როდესაც მერვე კლასში ვიყავი და ჩემმა სიმაღლემ 175 სმ-ს მიაღწია, პირველად შევხედი კალათში ბურთის ზემოდან ჩადება. ვარჯიშისას ეს არასოდეს გამომსვლია, აი, თამაშის დროს კი, არ ვიცი, რა დამემართა, ძალიან მაღლა ავხტი და ბურთი „ჩავეტენე“. ყოველდღიურმა მომქანცველმა ვარჯიშმა და საკუთარი თავის რწმენამ მაქცია ისეთად, როგორიც დღეს ვარ,“ – ამბობს ჯორდანი, რომლის პოპულარულ სპორტსმენად გახდომაც მოულოდნელი აღმოჩნდა – არა მარტო თავად მისთვის, არამედ ყველასთვის, ვინც მაიკლს ბავშვობიდან იცნობდა.

ის ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, როდესაც მისი ოჯახი ბრუკლინიდან ქალაქ უილმინგტონში (ჩრდილოეთ კაროლინა) გადავიდა საცხოვრებლად. ათლეტურ მონაცემებს ჯორდანი დედას უფრო უნდა უმაღლოდეს, ვიდრე მამას – ჯეიმს ჯორდანს, რომლის ნათესაობაშიც 183 სმ-ზე მაღალი არავინ იყო. ჯეიმსი ამბობდა, რომ მის ვაჟიშვილს სიმაღლეში გაზრდის დიდი სურვილი ბავშვობაშივე ჰქონდა: მაიკლს არასოდეს აკმაყოფილებდა თავისი სიმაღლე და ყოველთვის ნატრობდა, რომ უფრო მაღალი ყოფილიყო, ამიტომ, ამ მიზნის მის-

აღწევად სპეციალურ ვარჯიშებსაც ასრულებდა. შეიძლება, სწორედ ამ ვარჯიშების შედეგი იყო, რომ ერთ წელიწადში – 18-დან 19 წლამდე, მაიკლ ჯორდანმა სიმაღლეში 12,5 სმ მოიმატა.

ბავშვობაში მაიკლი თავის უფროს ძმას, ლარის, ერთი ერთზე ხშირად ეთამაშებოდა კალათბურთს. „ლარი ყოველთვის უგებდა ხოლმე მაიკლს, როდესაც პირველი 16 წლის, ხოლო მეორე – 12-ის იყო, მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა მაიკლი, მით უფრო მცირედებოდა ანგარიშში სხვაობა. 15 წლისამ კი, მოგებაც შეძლო“, – იხსენებდა თავისი ვაჟიშვილების შესახებ ჯეიმს ჯორდანი.

LANDEY HIGH SCHOOL არის სასწავლებელი, რომელშიც მაიკლ ჯორდანი სწავლობდა. მეცხრე კლასში ის მხოლოდ 183 სმ სიმაღლისა იყო და უკვე სურდა, რომ სკოლის გუნდის ძირითადად შემადგენლობაში ეთამაშა. თუმცა, მაშინ მას არ შეეძლო ისეთივე სარგებლობის მოტანა გუნდისთვის, როგორც ამას მისი უფროსკლასელი კოლეგები აკეთებდნენ. სხვათა შორის, თავისი საკალათბურთო კარიერის დასაწყისში მაიკლ ჯორდანი ბურთის ტყორცნის სნაიპერული სიზუსტით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მისმა ნებისყოფამ და გულმოდგინე ვარჯიშმა შედეგი მალე გამოიღო. როდესაც ჯორდანის ათლეტური მონაცემებისა და ტექნიკის სინთეზმა გარკვეულ პიკს მიაღწია, მან „პატარ-პატარა სათამაშო ემპაიების“ გამოგონებასაც მიჰყო ხელი. შემდგომში მაიკლის სწორედ ამ თვისებების გამო მის გვერდით ნებისმიერი მოწინააღმდეგე უსუსურად გამოიყურებოდა. მაგრამ ეს არ იყო ყველაფერი, რითიც თავიდანვე გამოირჩეოდა კალათბურთის ანალოგურად ვუნდერკინდი. არაერთი ადამიანი, ვისაც ჯორდანთან ჰქონდა ურთიერთობა, აღნიშნავს, რომ მას გამარჯვებისთვის იძულების გაღება შეეძლო, რადენიც სხვა მოთამაშეთა ფიზიკურ შესაძლებლობებს ბევრად აღემატებოდა. „მას აქვს ერთგვარი ვნება და შენშიც უნდა იყოს ისეთივე ვნება, ისეთივე ნებისყოფა, რათა იგი დაამარცხო“, – ამბობს ჯორდანის შესახებ „ჩიკაგო ბულზის“ ყოფილი მოთამაშე ბი ჯეი არმსტრონგი.

ერთი წლის განმავლობაში დაუზარეული ვარჯიშის შემდეგ, მაიკლ ჯორდანმა დაამტკიცა, რომ სკოლის გუნდის უძლიერესი მოთამაშე იყო. 18-19 წლის ასაკში (მე-11, მე-12 კლასში) მაიკლი საუკეთესო მოთამაშედ იქცა არა მარტო თავის სკოლაში, არამედ საერთოდ, მთელ ჩრდილო კაროლინის შტატში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯორდანმა სწავლა განაგრძო უნივერსიტეტ NORTH CAROLINA-ში, სადაც ყველაზე უკეთესი საკალათბურთო პროგრამა იყო. პირველკურსელი ჯორდანი ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდა უნივერსიტეტის გუნდის ძირითად შემადგენლობაში, თუმცა განაგრძობდა საკუ-



ბეისბოლი მაიკლს ბავშვობიდან იტაცებდა

თარი ფიზიკური მონაცემების, სათამაშო ტექნიკის დახვეწას და მწვრთნელის ყოველდღიურად ფურცლებით უგებდა ყურს. 1982 წელს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტთან გამართულ ფინალურ შეხვედრაში მაიკლმა შესრულა ტყორცნა, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა, ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტი ჩემპიონი გახდა. „ჩემი და დანარჩენი მოთამაშეების ნიჭისა და დიდებული მწვრთნელის ერთობლივმა მოქმედებამ ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტს გამარჯვება მოუტანა“, – იხსენებს მაიკლ ჯორდანი, რომლისთვისაც ეს პირველი, სერიოზული წარმატება იყო, მაშინ უკვე აშკარად ჩანდა, რომ მალე NBA-ში მისი სახით ბუნებისგან უჩვეული ნიჭით დაჯილდოებული სპორტსმენი უნდა გამოჩენილიყო. „მაიკლს ყოველთვის ჰქონდა თავისი თამაშის გაუმჯობესების სურვილი. ყოველდღიურად, თითოეულ ვარჯიშზე რაღაც ახალს სწავლობდა: იმის გამო კი, რასაც ის მოედანზე აკეთებდა, ჯერ კიდევ მაშინ, მეტსახელი AIR JORDAN („მფრინავი ჯორდანი“) შეარქვეს, – იხსენებს უნივერსიტეტ NORTH CAROLINA-ს საკალათბურთო გუნდის მწვრთნელი დენ სმიტი, – ვარჯიშებზე ჯორდანი თავის მეგობრებთან ერთად, კომბინაციებს აშუშავდა. მეგობრები იგონებენ, რომ ვარჯიშის შემდეგ მაიკლი იხსენებდა იმ ტყორცნებს, რომელიც მათი თავების ზემოთ შემხტარმა შეასრულა. მიუხედავად ამისა, ჯორდანი მაინც ყველას უეჭვარდა“.

ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტის გუნდი, რომელშიც ჯორდანი და სემ პერკენსი თამაშობდნენ სამი წლის მანძილზე უძლიერესი იყო ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტურ კალათბურთში. მესამე კურსის დახურვის შემდეგ მაიკლმა გა-

ნაცხადა, რომ უნივერსიტეტის დამთავრებამდე NBA-ს „დრაფტში“ მოხვედრის სურვილი ჰქონდა. მალე მეთხვე ნომრად CHICAGO BULLS-მა მაიკლ ჯორდანი აირჩია.


1984 წელს ლოს-ანჯელესმა ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა. ოლიმპიადის წინა სეზონში ჯორდანმა სტუდენტურ კალათბურთში თავისი სათამაშო ამპლუის შესაბამისი ყველა რეკორდი მოხსნა და ამერიკის ოლიმპიური ნაკრებისთვის შერჩეული 36 მოთამაშის სიაშიც მოხვდა. გუნდმა, რომლის კაპიტნებიც მაიკლ ჯორდანი და პატრიკ უინგი იყვნენ, ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, ჯორდანი კი ოლიმპიადის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. „როდესაც ის 11-12 წლის ბიჭი იყო, შეგვიპირდა, რომ ოდესმე ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა. მისი ნატვრა 1984 წელს ასრულდა. მაშინ მაიკლი 22 წლის იყო,“ – იხსენებს მაიკლ ჯორდანის დედა, დოლორესი.

### ის კალათბურთიდან მიდიოდა და კვლავ ბრუნდებოდა

90-იანი წლების დასაწყისში, „ჩიკაგო ბულზის“ შემადგენლობაში ჯორდანმა მიაღწია ყველაფერს, რის მიღწევაც შეიძლებოდა ეოცნება NBA-ში მოთამაშე ნებისმიერ კალათბურთელს. ალბათ ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ მაიკლმა ლიგის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა და 1993 წლის 6 ოქტომბერს გაკეთებული განცხადებით მთელი ამერიკა შოკში ჩააგდო: დიდი კალათბურთიდან მივედივარო. თუმცა, კალათბურთიდან მის წასვლას მხოლოდ ამერიკელები არ დაუშვებენ. ამ ფაქტის გამო რუსეთში ასეთი შემთხვევაც კი მომხდარა: მოსკოვის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ინგლისური ენის მასწავლებელს ტირილი ვერ შეუკავებია და ლექციაც შეუწყვიტა...

კალათბურთიდან მაიკლ ჯორდანის წასვლას წინ უსწრებდა ვარსკლავის 57 წლის ძმის, ჯეიმს ჯორდანის საზარელი მკვლელობა. რა თქმა უნდა, ამ ტრაგედიამ

მაიკლს მძიმე სულიერი ტრავმა მიაყენა. მისთვის კალათბურთის თამაშმა უკვე ყოველგვარი აზრი დაკარგა, თუმცა მაიკლს სპორტთან სრულიად განშორება არ სურდა. ჯეიმს ჯორდანს ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მისი ვაჟიშვილი ბეისბოლისტი ყოფილიყო. ოჯახური ტრაგედიის დასაფიქვლად, მაიკლმა სწორედ ბეისბოლში ვარჯიში დაიწყო, თუმ-





მისი სასახლე

ცა, სპორტის ამ სახეობაში მას დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია. 1994 წელს „ბირმინგემ ბერონზის“ შემადგენლობაში ჯორდანმა სეზონი ლიდერის აპლუაში დაამთავრა, ოღონდ ლიდერის შეცდომების სიმრავლის მიხედვით.

„ეჭვი არასოდეს მეპარებოდა, რომ NBA-ში დაბრუნება შემეძლო, მაგრამ ხანდახან ვაკრეაგავდი ემოციურ რწმენას, რომელიც ადრე ჩემში ყოველთვის იყო. მაშინ ცოლ-შვილის მხარდაჭერა ვიგრძენი. განსაკუთრებით, მეუღლე დამეხმარა. იმ დღეებში, როდესაც მწვრთნელთან მუშაობის სურვილი არ მქონდა, ის მაიძულებდა ამას. ის ჩემი სულის ერთგვარ მღვიმარად იქცა“, – იხსენებს ჯორდანი, რომლის NBA-ში დაბრუნებას კალათბურთის გულშემატკივერები მოუთმენლად ელოდნენ. 1995 წლის 18 მარტს მაიკლმა ორი სიტყვა წარმოთქვა, რომელმაც მიუღი ამერიკა კვლავ შოკში ჩაავლო: „მე ვბრუნდები!“

უკვე 1995 წლის 19 მარტს ჯორდანმა „ჩიკაგო ბულზის“ შემადგენლობაში ინდიანაპოლისში, „ინდიანასთან“ ჩატარებულ მატჩში მიიღო მონაწილეობა. იმ დღეს MARKET SQUARE ARENA-ს შესასვლელს უსაფრთხოების ასობით თანამშრომელი იცავდა. ათობით ათას ფანს დიდი სურვილი ჰქონდა, თავისი კერპისთვის შეხვედრის დაწყებამდე თუნდაც მხოლოდ თვალი მოეკრა. ბილეთის ფასი ასტრონომიულად იზრდებოდა, მაგრამ მაიკლის თავიანთსმცემლები მზად იყვნენ, მასში თუნდაც 1.000 დოლარი გადაეხადათ. ასობით ჟურნალისტი მატჩზე აკრედიტებას მოითხოვდა. „რა კარგია, რომ ჯორდანმა კალათბურთში დაბრუნების შესახებ მხოლოდ გუშინ განაცხადა – უცხოელმა ჟურნალისტებმა ჩამოფრენა ვერ მოასწრეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სომ აქ კომმარა იქნებოდა“, – სისარულს ვერ ფარავდა „ინდიანას“ დირექტორი...

ჯორდანმა „ჩიკაგო ბულზის“ შემადგენლობაში ექვსჯერ მოიგო NBA-ს ჩემპიონატი, ის ხუთჯერ აღიარეს ლიგის ყველაზე შედეგიან მოთამაშედ (ის მატჩში საშუალოდ 31,5 ქულას აგროვებდა): პროფესიულ ლიგაში თავის მე-13 სეზონში კი, ლეგენდარული კარიმ აბდულ ჯაბარის რეკორდიც მოხსნა, NBA-ს პლეი-ოფის თამაშებში დაგროვებული ქულების მიხედვით. ორჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი – 1984 და 1992 წლებში.

1998-99 წლების საკალათბურთო სეზონის წინ „მფრინავმა მაიკლმა“ თავისი განცხადებით კიდევ ერთხელ დაამწუხრა საკალათბურთო სამყარო. ის პრესკონფერენციაზე მეუღლესთან, ხუანიტასთან ერთად გამოცხადდა. „მორჩა, მე მივდივარ!“ – აღმოხდა ჯორდანს. – რამდენჯერ წარმოვიდგინე უკვე ეს მომენტი... შევდივარ დარბაზში, ვვადები მაგიდასთან და ვამბობ ორ სიტყვას: „მე მივდივარ“. ვდები და მივდივარ. მაგრამ ეს მძიმე განცდაა. ვხვდები, რომ მხოლოდ ამ ორი სიტყვით ვერ შემოვიფარვლები. მე ვცადე, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე გაემხდარიყავი და მივადღეი ამას. იმიტომ მივდივარ, რომ თავს გამოფიტულად ვგრძნობ. მაგრამ არა ფიზიკურად – მე შესანიშნავ ფორმაში ვარ. უბრალოდ, ჩემს სულში სიტყვა „კალათბურთი“ უკვე აღარ ბადებს პირველობის სურვილს ყოველ თამაშში, თამაშის ყოველ გაუღებებაში“. კალათბურთიდან ჯორდანის წასვლას მაშინ თვით ამერიკის პრეზიდენტი და მისი მეუღლეც დაუმწუხრებია. განსაკუთრებით ჰილარი კლინტონი ვერ ფარავდა სინანულს, რომელიც წარმოშობით ჩიკაგოელია. პრეზიდენტმა და მისმა მეუღლემ გააკეთეს განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მაიკლმა არა მარტო დაუმტკიცა თავის თავიანთსმცემლებს



მაიკლი ცოლთან ერთად

ადამიანის „ფრენის“ შესაძლებლობა, არამედ უჩვენა მათ, თუ როგორ შეიძლება დარჩე დიდი ჩემპიონის სტატუსსმცე კი, უბრალო, ღირსეულ ადამიანად.

**მილიარდები, რომელიც „მფრინავმა მაიკლმა“ სპორტულ ინდუსტრიას შესძინა**

ყოველთვის ბევრს ლაპარაკობდნენ მაიკლ ჯორდანის ფინანსურ მიღწევებზე და ეს არც არის გასაკვირი: როგორც კალათბურთელი, ის წელიწადში 33,14 მილიონ დოლარს იღებდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯორდანი სათამაშო მოედანზე გატარებული ყოველი წუთისთვის 10 ათასი დოლარით მდიდრდებოდა. მაგრამ „ჩიკაგო ბულზთან“ პირადი კონტრაქტი ფინანსური აისბერგის მხოლოდ წვერი იყო. მაიკლი მონაწილეობდა მრავალ სარეკლამო კამპანიაში, რისი წყალობითაც მისი საერთო წლიური შემოსავალი დაახლოებით 100 მილიონ დოლარს აღწევდა. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ჟურნალი (ეკონომიკის დარგში) „ფორჩუნი“ თუწყებოდა, რომ 1984 წლიდან, როდესაც მაიკლმა NBA-ში თამაში დაიწყო, სპორტული ინდუსტრიის შემოსავალი 10 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ჯორდანის მონაწილეობით გამართულ მატჩებზე დასასწრებად კი, 165 მილიონი დოლარით მეტი ღირებულების ბილეთი გაიყიდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. კომპანია NIKE-მა თავისი პროდუქციის რეკლამაში „ჩიკაგოელი ხარების“ გამოყენებით 5,2 მლრდ დოლარის ნაწარმი გაიყიდა, მათ შორის – 2,6 მლრდ-ის ღირებულების სპორტული ფეხსაცმელი, რომელზეც „უბრალო სიტყვები“ – AIR JORDAN – ეწერა.



ჯორჯიანის სპორტული და ფინანსური მიღწევების ფონზე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ის არასოდეს მიმართავდა საკუთარი პოპულარობის გასაზრდელად ისეთ „ტრიუკებს“, რომლის მეშვეობითაც ყურადღების ცენტრში იყო მისი კოლეგა „ჩიკაგო ბულზიდან“ – დენის როდმანი. გავიხსენოთ თუნდაც 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშები, როდესაც ამერიკის ნაკრებმა ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა, რისთვისაც პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) მთელი გუნდი თეთრ სახლში მიიწვია. საპატიო მიღებაზე ყველა გამოცხადდა, გარდა მაიკლ ჯორჯიანისა. შემდგომში გაოგნებულ ჟურნალისტებს მაიკლმა განუცხადა, რომ ის დღე თვითონ ერთად გაატარა, რადგან მას თავისი პროფესიის გამო, ახლობლებთან ყოფნისთვის ისედაც ძალიან ცოტა დრო რჩება...

როგორც ყველამ იცის, მაიკლ ჯორჯიანი სულ მცირე ხნის წინ კვლავ დაუბრუნდა დიდ კალათბურთს. ამჯერად იგი „ვამინგტონ ვიზარდის“ რიგებშია და პირველი შეხვედრა ჩაატარა კიდევ „დეტროიტ პისტონის“ წინააღმდეგ. ამ მატჩს 22 ათასი მაყურებელი დაესწრო. 38 წლის მაიკლმა მოედანზე 16 წუთი დაყო, ანგარიშიც გახსნა და თავის გუნდს 8 ქულაც შესძინა. რა თქმა უნდა, ეს შედეგი ვერ შეედრება იმ საოცრებებს, რომელსაც „მფრინავი მაიკლი“ თავის საუკეთესო წლებში ახდენდა მოედანზე, მაგრამ მას ეძლევა საშუალება იმის დასამტკიცებლად, რომ დიდი კალათბურთის თამაში 40 წელს მიტანებული კაცისთვისაც შესაძლებელია. მაიკლ ჯორჯიანმა ხომ, ჯერ კიდევ წლების წინ, ადამიანის ფიზიკურ-ფსიქოლოგიური შესაძლებლობები „დიდ ღუელში გამოიწვია“...



## მატაძინამ თქვის თპჯაცია გაიკეთა

შეგახსენებთ, რომ 10 ნოემბერს ბუენოს-აირესში მარადონას გამოსათხოვარი მატჩი არის დაგეგმილი, რომელშიც ერთმანეთს არგენტინის ეროვნული ნაკრები და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა გუნდი უნდა შეხვდნენ. ფეხბურთის არაერთი გულშემატკვარი შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ეს მატჩი შეიძლება არ ჩატარდეს, რადგან მოულოდნელად, დიეგო მარადონას ოპერაცია დასჭირდა. თავად მარადონა კოლუმბიაში გაკეთებული ქირურგიული ოპერაციის საჭიროებას იმით ხსნით, რომ შარშან კუბაში ავტოავარიაში მოჰყვა და მარცხენა მუხლი დაიზიანა. მიუხედავად ამისა, მარადონა იმედს არ კარგავს, რომ მატჩში მონაწილეობას მიიღებს. დიეგოს აზრით, ეს შეხვედრა მისთვის ახალი გამოწვევაა: „ვალდებული ვარ, გამოვიდე მოედანზე კლაუდიას (ცოლი), ჩემი ქალიშვილების, გილერმო კოპოლასა (მარადონას უახლოესი მეგობარი და აგენტი) და მრავალრიცხოვანი გულშემატკვარის გამო, რომლისთვისაც არასოდეს მიღალატია“, – განაცხადა არგენტინელმა ვარსკვლავმა. დიეგოს დიდი სურვილი აქვს აგრეთვე, არგენტინის ეროვნულ ნაკრებთან ერთად რამდენიმე დღე „ესეისას“ სპორტულ ბაზაზე ივარჯიშოს (სადაც ჩვეულებრივ, თეთრ-ცისფერმაისურიანები ემზადებიან ხოლმე) და თავისი მეგობრები, „ჩოლო“ (დიეგო სიმენე), „ვალდანიტო“ (ერნან კრესპო) და „ბატიგოლი“ (გაბრიელ ბატისტუტა) მოინახულოს.



## ჰთლითილდ-ბუიჯის თბთამბბთლა მაინც ჩინეთში შიდგემა



ჰოლივუდ-ბუიჯის ორთაბრძოლასთან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია გავრცელდა: შეხვედრა 24 ნოემბერს პეკინში ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ პრომოუთერ დონ კინგის განცხადების თანახმად (ჩინეთის მოსაზღვრე ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციების მიმდინარეობის გამო), ორთაბრძოლა ამერიკაში უნდა გამართულიყო. გაზეთ USA TODAY-სთვის მიცემულ ინტერვიუში პრომოუთერმა განაცხადა: „მე HBO-ს (კომპანია, რომელმაც შეხვედრის ტელეტრანსლაცია უნდა მოაწოდოს) და სახელმწიფო დეპარტამენტს ვუჭერ მხარს. ისინი როგორც იტყვიან, მეც ისე მოვიქცევი“.

## იატმინტ იაგტიმ ჰტუკის ისტტინაში ყუულაგუ ბუიტი კტნტტაქცი გაათტტმა

ჩეხმა სუპერფორვარდმა იარომირ იაგრიმ თავის ახალ კლუბთან, „ვამინგტონთან“, 8 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. კონტრაქტის თანახმად, ჩეხ ჰოკეისტს 88 მლნ დოლარი უნდა გადაეცეს. ეს ჰოკეის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული კონტრაქტია. იაგრი „ვამინგტონში“ თამაშისთვის პირველი 7 წლის განმავლობაში 77 მლნ დოლარს მიიღებს, მერვე წელს კი, კონტრაქტი, ორივე მხარის ურთიერთთანხმობით, გაგრძელდება. მკითხველს ვაცნობებთ, რომ დღემდე ჰოკეის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებულად აღექსეი იაშინსა და „აილენდერსს“ შორის დადებული 10 წლიანი ხელშეკრულება ითვლებოდა, რომლის თანახმადაც, ჰოკეისტს 87,5 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.



1970 წლის 21 ნოემბრის ღამის 3 საათზე, ამერიკელ სამხედრო ტყვეთა ჩრდილოვიეტნამური ბანაკის თავზე, რომელიც ხანოის მახლობლად დაბა შონ ტეიში მდებარეობდა, წყვილიანი შვეულმფრენების შუქმა გააპო, შემდეგ რაკეტებისა და საავიაციო ზარბაზნების ხმა გაისმა. ასე დაიწყო ე.წ. „მწვანე ბერეტების“ ცნობილი ოპერაცია, რომელიც ვიეტნამელთა მიერ ჩამოგდებული, დატყვევებული ამერიკელი მფრინავების გათავისუფლებას ისახავდა მიზნად.



# „მწვანე ბერეტები“ - აპერიკელი აერიოზ ღაბილა

ამ აქციის მომზადება ფლორიდაში მდებარე აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების საიდუმლო ბაზაზე მიმდინარეობდა. დაჭობებულ ტერიტორიაზე, რომელიც ვიეტნამური ბანაკის ზუსტ ასლს წარმოადგენდა, სექტემბრის დასაწყისიდან ინტენსიური წვრთნა მიმდინარეობდა. გათენებამდე ბანაკს საფუძვლიანად ნიღბავდნენ, რათა საბჭოთა თანამგზავრებს არ აღმოეჩინათ, ღამის დადგომისთანავე კი, წვრთნა გრძელდებოდა...

ნოემბრის დასაწყისისთვის, მომავალი ოპერაციის მონაწილენი ტაილანდში, უღონის სამხედრო ბაზაზე გადაისროლეს, 18 ნოემბერს კი, პრეზიდენტმა ნიქსონმა გასცა საბოლოო ბრძანება ოპერაციის დაწყების შესახებ.

20 ნოემბერს, შუაღამეზე, ცაში აიჭრა „მწვანე ბერეტები“ დატვირთული შვეულმფრენები, რომლებმაც, მოიერიშე „თანამომკითა“ თანხლებით, შონ ტეისკენ აიღეს გეზი. სამ საათში ისინი მიზანს მიუახლოვდნენ. შვეულმფრენებიდან, ექვს-ლულიანი „მიჩიგანის“ ტიპის ზარბაზნებიდან ვიეტნამელთა ბანაკის სათვალთვალო კომპიუტერები და ბადრავის ყაზარმები გაანადგურეს, ამის შემდეგ გადმოსხმული მოიერიშე ჯგუფის მემორები კი თითოეულ მეტრს ამოწმებდნენ, მოწინააღმდეგეთა ჯარისკაცებს ანადგურებდნენ და ტყვეებს ეძებდნენ. მოულოდნელი თავდასხმით დაბნეულ ვიეტნამელებს თითქმის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ყველაფერი ათიოდე წუთში დასრულდა. მაგრამ ოპერაცია... მაინც ჩავარდა: ბანაკში არც ერთი სამხედრო ტყვე არ აღმოჩნდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, რეიდამდე ცოტა ხნით ადრე, ისინი სხვა ადგილას გადაეყვანათ, რადგან წყალდიდობას ბანაკის ნაგებობათა ნაწილი გაენადგურებინა.

და მაინც, ამერიკელებმა შედეგს მიადწიეს: ხანოიდან 40 კმ-ის დაშორებით მათმა გამოჩენამ ვიეტნამის სარდლობაში ნამდვილი პანიკა გამოიწვია, მით უმეტეს, რომ ამ ოპერაციამ აშშ-ის სპეცრაზმელთა შეუზღუდავი საბრძოლო შესაძლებლობები გამოამჟღავნა.

## ჩინგაჩჰუიდან ბუდაპეშტამდე

აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალთა ისტორია XVIII საუკუნის ჩრდილოეთ ამერიკაში მიმდინარე ომების ეპოქიდან იღებს სათავეს (ეს ომები ინდიელი ჩინგაჩჰუის შესახებ გადაღებულ რომანტიკულ ფილმებშია ასახული): სწორედ მაშინ გაჩნდნენ პროფესიონალი მემორები, რომლებსაც სხვადასხვაგვარ ვითარებაში შეეძლოთ ბრძოლა. „რეინჯერთა“, როგორც მათ უწოდებდნენ, საყვარელ ხერხს, ჩასაფრება და მოულოდნელი თავდასხმა წარმოადგენდა, იერიშებს კი, ჩვეულებრივ, ღამობით ახორციელებდნენ ხოლმე.

შემდგომში რეინჯერთა ფორმირებებს აშშ-ის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და სამოქალაქო ომის დროს აქტიურად იყენებდა ორივე დაპირისპირებული მხარე. მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული, საუკუნე-ნახევრის მანძილზე, ამერიკის უშფოთველმა ისტორიამ სპეცრაზმელთა სამსახური დაივიწყა კიდევ.

კარგად გაწვრთნილი, არატრადიციული ხერხებით მოქმედი და მტრის ზურგში ბრძოლის უნარის მქონე მცირერიცხოვანი რაზმების ჩამოყალიბების პრაქტიკას ამერიკელი სამხედროები მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს დაუბრუნდნენ. 1942 წლის 9 ივლისს მონტანის შტატის ფორტ-ჰარისონის სამხედრო ბაზაზე შეიქმნა სპეცდანიშნულების ერთობლივი ამერიკულ-კანადური რაზმი, რომელიც „ემშაკეული ბრიგადის“ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში. მისმა

მემორებმა სახელი გაითქვეს იტალიასა და საფრანგეთში ჩატარებული ბრძოლებით, რომლის დროსაც, გამარჯვებულები გამოდიოდნენ ურთულესი სიტუაციებიდან.

ნორმანდიაში შეკავშირეთა გადმოსხმის დროს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი „ღერბის რეინჯერებმა“ – რეინჯერთა პირველი ბატალიონის მებრძოლებმა, რომლებსაც ასე, მათი მეთაურის უილიამ ღერბის პატივსაცემად ეძახდნენ. ბატალიონისათვის დასახულ ამოცანაში, გერმანელთა დაცვაში დაბნეულობის შეტანა, ძირითადი ძალების მოსვლამდე სხვადასხვა პლაცდარმის აღება და შენარჩუნება, მტრის ზურგში ჯაშუშურ-დივერსიული აქციების ჩატარება შედიოდა. ყველა ამოცანას რეინჯერებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი.

მაგრამ ყველაზე მეტად, სახელი მაინც „მერილის მაროდორებმა“ – პოლკოვნიკ ფრენკ მერილის რაზმის მებრძოლებმა გაითქვეს, რომლებიც იაპონელებს ებრძოდნენ ბირმის ჯუნგლებში. დესანტის ელვისე-ბური გადმოსხმით, მტრის ბაზებზე უეცარი თავდასხმებით, ტროპიკული ჯუნგლების ცხოვრებისთვის შეუფერებელ პირობებში მრავალდღიანი მოძრაობით „მაროდორები“ აოგნებდნენ იაპონელებს...

ომის შემდგომ ყველა სპეცრაზმი დაშალეს. სამხედრო თეორეტიკოსებსა და „მრავალვარსკვლავიან“ გენერლებს მიანდათ, რომ ყველა ამ „რეინჯერს“, „სკაუტს“, „მაროდორსა“ და სხვა ამგვარ „პარტიზანობას“ მომავალი არ ჰქონდა. „ცივი ომის“ დაწყებიდან მოყოლებული, მსოფლიო მრავალათასიანი სატანკო შეტაკებისთვის ემზადებოდა, რომელიც ბირთვული იარაღის გამოყენებით წარიმართებოდა.

მაგრამ სულ მალე სიტუაცია ჩიხში შევიდა: პარიტეტის მიღწევისთანავე, მოწინააღმდეგე მხარეებმა დაინახეს, რომ ვე-

რაფრით გამოიყენებდნენ თავიანთ უდიდეს პოტენციალს, რადგან ადეკვატურ პასუხს მიიღებდნენ და თვითმკვლელობამდე მივიდოდნენ. ამერიკელ ექსპერტთა თვალსაზრისით, ძალთა ასეთი თანაფარდობა გამორიცხავდა ჩვეულებრივ ომს, სამაგიეროდ, ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა პარტიზანულ მოქმედებას. ყველაზე პერსპექტიულ რეგიონად ამ მხრივ ისინი აღმოსავლეთ ევროპას მიიჩნევდნენ.

კომანდოსები კვლავ დასჭირდათ. აღორძინებული სპეცდალების მამამთავრებად, პოლკოვნიკები აარონ ბენკი და რასელ უოლკმანი მოგვევლინნენ. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ უმაღლესი კლასის პროფესიონალთა მცირერიცხოვან ჯგუფს სავსებით შეეძლო, დაბნეულობა გამოეწვია მოწინააღმდეგის რიგებში და ოპერაციის, ზოგჯერ კი, ომის დაგვირგვინების საქმეშიც, შეესრულებინა გადაწყვეტილი როლი, თანაც, მინიმალური დანაკარგებით.

1952 წლის 19 ივლისს ოფიციალურად შეიქმნა სპეციალური დანიშნულების მე-10 ჯგუფი, რომელიც სულ 10 კაცს აერთიანებდა. მათ უნდა შეერჩიათ მომავალი უნივერსალური ჯარისკაცები, რომლებიც შეძლებდნენ, ხმელეთით, წყლითა და საჰაერო გზით შეეღწიათ მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ჩამოეყალიბებინათ მოწინააღმდეგეთა ძალები სპეციალური ოპერაციების ჩასატარებლად. იმავე წლის დამლევსთვის, 2500 კანდიდატი, საბრძოლო მომზადების პროგრამაში არსებული შუალედების დროს, უკვე გამაღებთ სწავლობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის რუკებს – ე.ი. იმ რეგიონებს, სადაც, ამერიკელ ანალიტიკოსთა აზრით, პარტიზანული ომების ჩატარება მოუწევდათ.

სპეცრაზმელობის ყველა კანდიდატს უმკაცრესი გამოცდები და საჰაერო-სადესანტო მომზადება უნდა გაეყოლო. უპირატესობას წარმოშობით აღმოსავლეთ ევროპელებსა და საბჭოთა კავშირის მკვიდრთ ანიჭებდნენ. მომზადებაგაავლილი ჯარისკაცებით, ურთიერთშეთავსებადობის

ფსიქოლოგიური ტესტის შედეგების გათვალისწინებით, მცირერიცხოვანი ჯგუფები ყალიბდებოდა. ჯგუფში აუცილებლად შედიოდნენ: ექიმი, ფსიქოლოგი, თარჯიმანი, ოპერატიული და აგენტურული საქმის სპეციალისტები; თითოეულ მათგანს პროფესიონალი მკვლელის თვისებებიც უნდა ჰქონოდა.

ამერიკელ სპეცრაზმელთა დებიუტი უნგრეთში 1956 წელს მომხდარი მოვლენების დროს შედგა. ცნობილია, რომ „მწვანე ბერეტები“ ბავარიასა და ავსტრიაში მდებარე თავიანთ ბაზებზე უნგრელ ბოევიკებს ამზადებდნენ.

**მწვანე ბერეტი**

მთელ მსოფლიოში ცნობილი მწვანე ბერეტებით რეინჯერთა იმ დანაყოფების თავები შეიძულო, რომლებიც მიუნხენში იყვნენ დაბინავებული. ეს იყო „ქმევიდან წამოსული ინიციატივის“ კლასიკური მაგალითი: შეიარაღებული ძალების ელიტის წარმომადგენელ სპეცრაზმელებს არ სურდათ ჩვეულებრივი ფეხოსნების ქუდები დაეხურათ, ისინი რაღაცით უნდა ყოფილიყვნენ გამორჩეულები! ატრიბუტის შექმნაში მათ მოხერხებული გერმანელი მკერავი დაეხმარა, რომელმაც მთელ მიუნხენურ რაზმს მწვანე თავსაბურავები შეუკერა. მოდა სწრაფად გავრცელდა სხვა ქვედანაყოფებშიც.

მაგრამ ამერიკელი გენერლები, ისევე როგორც მათი კოლეგები მთელ მსოფლიოში, ვერ იტანდნენ წესების დარღვევას. მწვანე ბერეტების წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა: ჯარისკაცებს ჩხრეკდნენ, ბერეტებს ართმევდნენ, მათ მფლობელებს კი სხვადასხვაგვარად სჯიდნენ. ფორტ ბრეგის – სპეცდალების მთავარი ბაზის კომენდანტმა, გენერალმა პოლ ადამსმა მწვანე ბერეტების აკრძალვის ბრძანებასაც კი მოაწერა ხელი. მაგრამ სპეცრაზმელები დანებებას არც ფიქრობდნენ, უფრო მეტიც – მათ უფრო განუმტკიცდათ თავიანთი გამორჩეულობის რწმენა.

უფროსობასთან რეინჯერთა კონფლიქტი ფორტ ბრეგში პრეზიდენტ ჯონ კენედის ვიზიტის დროს დასრულდა. საზე-

იმო მარშის დროს, იმ ტრიბუნასთან მიმართებით, რომელზეც პრეზიდენტი და უმაღლესი სამხედრო ჩინოსნები იდგნენ, ერთმა სპეცრაზმელმა ოფიცერმა უბიძან ამოიღო აკრძალული ბერეტი და დემონსტრაციულად ჩამოიფხატა თავზე. ამან გენერლები შოკში ჩააგდო. მაგრამ კენედიმ სამოქალაქო პირისთვის ჩვეული თავისუფალი აზროვნების შესაბამისად შეაფასა ეს აქტი: მას მოეწონა კაპიტანი იარბოროს შესტი და ორიოდე დღეში, პრეზიდენტის საგანგებო ბრძანებით, მრავალჭირნახული ბერეტი სპეციალური ოპერაციების ძალთა მერძოლების ოფიციალურ თავსაბურავად დამტკიცდა. სპეცრაზმელები დღემდე თავიანთ „ნათლიად“ მიიჩნევენ კენედის, რისი ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა, რომ მოკლული პრეზიდენტის კუბოსაც მის მიერ დაკანონებული მწვანე ბერეტი ამშვენებდა.


**ვიეტნამური სადაგი დღეები**

ქვეყნის საზღვრებს გარეთ „მწვანე ბერეტების“ შესახებ ვიეტნამის ომის დროს შეიტყვეს. მათ შესახებ ლეგენდები დადიოდა – ზოგი აღტაცებით საესე, ზოგიც, საშინელი. ორივე უკიდურესობას თავისი სერიოზული საფუძველი ჰქონდა.

პირველად სპეცრაზმელები ვიეტნამში 1961 წელს გამოჩნდნენ. მათ იმთავითვე თითქმის ამოუხსნელი ამოცანა დაუსახეს – „ხო ში მინის ბილიკით“ გაუწებელყოფა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერია, რომლის შემეფობითაც ცხოვრებისა და ბრძოლისთვის საჭირო ყველა აუცილებელი საშუალებით ამარაგებდნენ სამხრეთვიეტნამელ პარტიზანებს. ამ „ბილიკით“ მოძრაობის მთლიანად აღკვეთა უტოპური იყო, მაგრამ ამ მოძრაობის ინტენსივობის შემცირება კი სავსებით რეალური ჩანდა. სწორედ ამგვარ ამოცანათა გადაწყვეტა უნდა იკისროს სპეცრაზმმა, რომელსაც არასტანდარტულ სიტუაციებში მოქმედება ძალუძს.

„მწვანე ბერეტების“ პატარ-პატარა ჯგუფები უდაბური ცენტრალური მთიანეთის სოფლებში „სახლდებოდნენ“ და აქტიურად ითრევდნენ ადგილობრივ აბორიგენებს კონტრაპარტიზანულ რაზმებში. ძალიან მალე, „ბილიკის“ გასწვრივ საფუძვლიანად გამაგრებული დასახლებული პუნქტების მწკრივი გაჩნდა, რომელშიც „მწვანე ბერეტების“ ხელმძღვანელობით მოქმედი, კარგად გაწვრთნილი ადგილობრივი მეომრებით დაკომპლექტებული გარნიზონი იყო ჩამოყალიბებული...

სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის მეომრებისთვის ე.წ. „არასამტატო“ სიტუაცია არ არსებობს, უფრო სწორად, „სამტატოში“ ისინი უბრალოდ, არც მუშაობენ. სპეცრაზმელებს მობილიზებისა და ყოველ-



გვარ ფათერაკში წონასწორობის შენარჩუნების უნიკალური უნარი ახასიათებთ. ამის მკაფიო მაგალითად, ჩვეულებრივ, 1968 წლის 23 აგვისტოს მომხდარ ამბავს იხსენებენ ხოლმე.

სპეცდანიშნულების ძალების სამმართველოს სუპერსაიდუმლო ბანაკ „ჩრდილოეთს“, რომელიც დანანგის რაიონში მდებარეობდა, ჩრდილოვითქანამულ დივერსანტთა სამი ასული დაესა თავს. მათ ადვილად გააუწებელყვეს სამხრეთი-ეთნამელთა დაცვა და ცეცხლი დაუშინეს ყაზარმებსა და ოფიცერთა საცხოვრებლებს. მძინარე რეინჯერებს ფანჯრებიდან ყუმბარები შეუგდეს. თითქოსდა, მთელი მართვის სისტემა და ჩრდილოეთ სექტორის სპეცდალთა რეზერვი განადგურებული იყო. მაგრამ მოხდა სასწაული: მტრის მოულოდნელი თავდასხმით თავზარდაცემულმა „ბერეტებმა“ არა მარტო მოიგერიეს იერიში, არამედ ყველა თავდასხმელის განადგურებაც შეძლეს. საინტერესოა, რომ ამ დროს, რეინჯერთა უმრავლესობა მხოლოდ „კოლტის“ ტიპის პისტოლეტებით იყო შეიარაღებული: ეს ზურგის რაიონი იყო, ამიტომ ავტომატები და ტყვიამფრქვევები საცავში ინახებოდა. ამ ბრძოლაში „მწვანე ბერეტებმა“ 17 მეომარი დაკარგეს – იმაზე მეტი, ვიდრე ნებისმიერ სხვა შეტაკებაში, სამაგიეროდ, მთელმა მსოფლიომ შეიტყო, თუ რა ძალასთან ჰქონდა საქმე...

**უარყოფილი და ხელახლა აღიარებული**

ვიეტნამში მიღწეულმა წარმატებებმა „ბერეტებს“ დიდი ოინი მოუწყო: გენერლებმა, რომლებიც სპეცრაზმელთა მაღალ დონეში დარწმუნდნენ, „უნივერსალურ ჯარისკაცთა“ „კონვეიერზე გადაყვანა“ გადაწყვიტეს. ორ წელიწადში სპეციალურ ოპერაციათა ძალების საერთო რაოდენობა ხუთჯერ – 1800-დან 10000 კაცამდე გაიზარდა. მაგრამ რიცხობრივი ზრდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ხარისხისთვის საზიანო აღმოჩნდა. ძალიან

მაღე, მაღალორგანიზებული, გაწვრთნილი, ინტელექტუალური მეომრების ნაცვლად, რომლებიც უპირველესად, გონით მოქმედებდნენ, სპეცდალეები დაკუნთული ბიჭებით შეივსო, რომელთა ძირითად კოზირს, ზუსტი სროლა, პარაშუტით ხტომა და გუშაგებისთვის კისრების მოტეხა წარმოადგენდა.

ბუნებრივია, სპეცრაზმელთა მიერ ჩატარებული ოპერაციების ეფექტიანობაც შესუსტდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჟურნალისტები, რომლებიც ადრე მათი საგმირო საქმეებით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, ახლა მათ მხოლოდ აქილიკებდნენ და ლაფში სვრიდნენ, ვიეტნამში აშშ-ის ჯარების სარდალმა კრეიტონ აბრამსმა კი, „მწვანე ბერეტებს“ ინდოჩინეთიდან წასვლამდე გამართულ სამხედრო აღლუმში მონაწილეობაც აუკრძალა. ერთი წლის შემდეგ, როცა ამერიკული არმიის გენერალური შტაბის უფროსად დანიშნეს, მან სპეცდალეების მხოლოდ საწვრთნელ ნაწილებად გადაქცევაც კი სცადა.

მაგრამ ვიეტნამი აშშ-სთვის უკანასკნელი ომი როდი იყო. და სპეცდალეებიც კვლავ დასჭირდათ გენერლებსა და პოლიტიკოსებს.

**სპარსეთის ყურეში**

აღორძინებული „მწვანე ბერეტების“ პირველ დიდ პოლიგონად სპარსეთის ყურის ომი იქცა. ანტიერაყული კოალიციის ჯარების პირველ ემელონში სწორედ რეინჯერები მოქმედებდნენ, რომლებიც უმოწყალოდ ანადგურებდნენ ბუნკერებს, დოტებსა და მოწინააღმდეგის სხვა დასაცავ ნაგებობებს. ერაყელთა ზურგში კი, „ბერეტების“ პატარ-პატარა ჯგუფები ზემსუბუქი ავტომობილებით – ე.წ. ქვიშის ბაგით დათარეშობდნენ და მათზე დამონტაჟებული ტყვიამფრქვევებითა და ავტომატური ნაღმტყორცნებით მუსრს ავლებდნენ მტრის ფეხსხეებს. სწორედ ამ მობილური ტრანსპორტისა და რეინჯერთა უნარიანი მოქმედების წყალობით, ვერც ერთი „ბერეტი“ თუ ერაყელთა მიერ ჩამოგდებული თვითმფრინავების პილო-

ტი მოწინააღმდეგეებმა ვერ ჩაიგდეს ხელთ.

„უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციის დაწყებამდე, სპეცდალეების მთავარ შტაბში – ფორტ ბრეგში, სხვადასხვაგვარი უნიკალური ოპერაციის განსახორციელებელი რამდენიმე რაზმი შეიქმნა. მათ იმდენად რთული ამოცანები დაუსახეს მიზნად და, რაც მთავარია, იმდენად ეფექტურად გაართვეს ყოველივეს თავი, რომ თვით „ბერეტებმა“, რომლებიც აღნიშნული რაზმების მიღმა დარჩნენ, ერაყში მოქმედ მებრძოლებს „ჯადოქრები“ შეარქვეს. ამ „ჯადოქრების“ დონის დასადასტურებლად, ერთი ოპერაციის დასახელებაც კი საკმარისია, რომლის დროსაც, „მწვანე ბერეტების“ ორმა რაზმმა, ყოველგვარი გასროლის გარეშე, ერაყული დივიზიის მთელი შტაბის დატყვევება მოახერხა.

**„მწვანე ბერეტის“ ფიცი**

აშშ-ის სპეციალურ ოპერაციათა ძალები ამჟამად 45 ათას კაცს შეადგენს, რომელიც ნებისმიერ მომენტში მზად არის, ჩაერთოს საბრძოლო მოქმედებაში. მათ, როგორც მშვიდობიან, ასევე ომის ვითარებაში, როგორც დაჯგუფების შემადგენლობაში, ასევე ავტონომიურად მოქმედება ძალუძთ.

სპეცოპერაციათა ძალების შესანახი თანხები 1998 წელს 3 მლრდ დოლარს შეადგენდა. 1992 წელს 2000 „ბერეტმა“ 144 ქვეყანაში განახორციელა სხვადასხვა მასშტაბის ოპერაცია.

აშშ-ის სპეცდალეებში სამსახური, ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ხელობად ითვლება. შემთხვევითი არ არის, რომ თეთრი სახლის სპეციალურ მემორანდუმში მწვანე ბერეტი „უპირატესობის სიმბოლოდ, სიმამაცის ნიშნად, თავისუფლებისთვის ბრძოლის აუცილებელ ნიშანსვეტად“ არის გამოცხადებული. სპეცრაზმელებს მომზადების პირველი დღიდანვე უნერგავენ გამორჩეულობის, საკუთარი ძალებისა და იმ საქმის სამართლიანობის რწმენას, რომლისთვისაც ისინი იბრძვიან.

ამასვე ემსახურება რეინჯერთა სიმბოლიკის აქტიური რეკლამირება, რომელიც კოკარდების, ისრებისა და „ლევების“ მეშვეობით ხორციელდება. ემოციური მუხტის მქონე სხვა სიმბოლო წარმოადგენს სპეცრაზმელის „ლოცვა“, რომლის ხშირი გამეორება ჯარისკაცის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს.

ყოველივე ეს ქმნის „მწვანე ბერეტების“ – აშშ-ის არმიის ამ „მშვენიერების“ ქვედანაყოფებში არსებულ განუმეორებელ ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელიც მათი უნიკალურობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.





# ახალი ბელნიეჩის პოლონიუი

**„ოსკარების“ გადაცემის ცერემონიის მეორე დღეს, რომელზეც პელენ პანტი ოქროს ქანდაკების მფლობელი გახდა, თავყანისმცემელთა მიერ გაგზავნილ მისალოც წერილებს შორის, დაუდევრად დაწებებული კონვერტი აღმოაჩინეს, რომელზეც მისამართი გაკრული ხელით იყო დაწერილი. ბარათი სალანძღავი სიტყვებითა და მუქარით იყო საფხე და ქეით უინსლეტის თავყანისმცემელს ეკუთვნოდა. ავტორი იმით იყო აღშფოთებული, რომ „ოსკარი“ „ტიტანიკის“ ვარსკვლავს არ ერგო. პელენს გული შეუნუნდა, ის იძულებული გახდა, დაცვა გაეძლიერებინა და სპეცსამსახურის აგენტები დაეჭირავენინა, რომლებიც მის სახლს ადევნებდნენ თვალყურს.**

**პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში მსახიობი აღნიშნავდა, რომ ჯილდო მეტისმეტად დიდია და არ უხდება მის ინტერიერს, ვერ თავსდება თაროზე და მას საერთოდ ურჩევნია მოიშოროს თვალთანედვის არეიდან, რადგან „ოსკარს“ მხოლოდ უსიამოვნებები მოაქვს მისთვის.**

2001 წლის იანვარში პელენი კალიფორნიის პატარა ქალაქ ვან-ნაისში მამამისის, გორდონ ჰანტის სახლში იჯდა და მელანქოლიური განწყობით მიერთმევდა თავის საყვარელ დაბრაწულ, კარაქწასმულ ტოსტებს, მაგრამ გემოს საერთოდ ვერ გრძობდა. ჰენკთან გაყრის შემდეგ, მას მხოლოდ მამის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, რომელსაც ადრე გაურბოდა კიდევ...

თავის დროზე სწორედ მამამისმა — ცნობილმა კინორეჟისორმა განსაზღვრა პელენის ბედი. გოგონა მხოლოდ 9 წლის იყო, როცა გორდონმა მას ფილმში „ქალი-პიონერი“ შეუერთა როლი. ნები-



**ჰანგმაკ და ნიკოლსონმაკ „ოსკარი“ მიიღეს ფილმისთვის — „უკეთესი რა შეიძლება იყოს?!“ 1998 წ.**

სმიერი სხვა გოგონა სიხარულით ცას ეწეოდა, მაგრამ პელენი ეკრანზე თამაშს ღირებულ საქმედ არ მიიჩნევდა, გადაღების პროცესი კი საერთოდ არ მოეწონა. მას შემდეგ პელენი კინოსინჯებზე მამას თითქმის ძალით მიჰყავდა, ის არაფრად ავდებდა ჰოლივუდის საუკეთესო რეჟისორებს და კამერის წინ დემონსტრაციულად ბერავდა სადეკი რეზინის ბუშტებს, ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ იმავე სინჯებში მონაწილე მიხანსწრაფული ჯოდი ფოსტერი, რომელმაც კარგად იცოდა საკუთარი თავის ფასი, ცხვირწინ ააცლიდა ხოლმე როლებს. ჯოდი ცდილობდა, პელენი აბუჩადაც აეგდო,

მაგრამ ჰანტი არც ამას აქცევდა ყურადღებას.

ჭეშმარიტად მნიშვნელოვან საქმედ გოგონა სწავლას მიიჩნევდა და მუდამ განიცდიდა, როცა რაიმე საგანში „ოთხიანი“ მიიღებდა. ფრიალი შეფასების ამერიკული ანალოგის — A-ს გარდა, მისთვის სხვა ნიშანი არ არსებობდა. პელენს შეეძლო, მთელი ღამე მჯდარიყო თავის ოთახში, რათა მეორე დღისთვის დანიშნული საკონტროლოსთვის საფუძვლიანად მომზადებულიყო. მას ფილოლოგიურ ფაკულტეტზე უნდოდა სწავლის გაგრძელება, სურდა სერიოზულად შეესწავლა შექსპირი, პრიმიტიული სიუჟეტების მქონე კინოში გადაღებაზე კი, მხოლოდ მამის სურვილის დასაკმაყოფილებლად თანხმდებოდა.

ამ საშუაოსადმი ესოდენ გულგრილი დამოკიდებულების მიუხედავად, ოცდაორი წლის ასაკისთვის პელენის აქტივში უკვე 15 როლი იყო. უნივერსიტეტისთვის მოსამზადებლად მას დრო არ ჰყოფნიდა და პელენიც ბედს შეურიგდა. ამასთანავე, გოგონას ძალიან მოსწონდა ჰონორარების მიღება — ის ხომ თითო სერიისთვის 500 ათას დოლარს აღწევდა. ბოლოს და ბოლოს ჰანტმა იფიქრა, რომ რადგან ამ ბიზნესში მოხვდა, შესაბამისი პროფესიული ღონისთვისაც უნდა მიეღწია. მსახიობობის პარალელურად, მან რეჟისურისა და პროდიუსერობის შესწავლაც დაიწყო. მიღწეული წარმატებები თავად პელენისთვისაც კი გამოაგნებელი აღმოჩნდა: „ემის“ სამი პრემია, ოთხი „ოქროს გლობუსი“ და მრავალრიცხოვანი მეორეხარისხოვანი ჯილდო წვიმის მსგავსად ეფრქევიდა თავზე. გარეგნულად პელენი სავსებით კმაყოფილი ჩანდა, აი, მამასთან შეხვედრა კი საერთოდ არ სურდა: ვერ აპატია, რომ გორდონ ჰანტმა მას თავისი ბედის დამოუკიდებლად განსაზღვრის საშუალება არ მისცა.

და აი, კარიერის კულმინაცია! ფილმისთვის „უკეთესი რა შეიძლება იყოს?“ ქალის საუკეთესო როლის ნომინაციით პელენმა „ოსკარი“ მიიღო. ცერემონიისთვის მზადებისას პელენმა საოცარი გაღიზიანება იგრძნო: მას მომენტისთვის შესაფერის სამოსზე უნდა ეფიქრა, ის კი საერთოდ ვერ იტანდა დეკოლტეს და შლეიფებს. ფილმში მისმა პარტნიორმა — ჯეკ ნიკოლსონმა ბევრი დრო მონადობა პელენის დარწმუნებას იმაში, რომ საკუთარი წესებისთვის ელალაბა და ამ, მისთვის შეუფერებელ როლში მოვლენოდა საზოგადოებას. ის იმდენად დამაბული იყო, რომ როცა

ჰკითხეს, როგორ შეარჩია თავისი იმიჯი ცერემონიისთვის, ველარ მოითმინა და განაცხადა: „საერთოდ, აქ ოლიმპიური თამაშების შესაფერისი სპორტული ტანსაცმლით მოსვლას ვაპირებდი, ლოყებზე კი წარწერა „აშშ“ უნდა გამეკეთებინა!“ – და ამ სიტყვებით უმაღლესი მოიშორა სცენის უკან შეკრებილი ჟურნალისტები. შემდეგ კი „ოსკარი“ მიიღო და სიხარული არც უგრძობია. ბედი თითქოს დასცინოდა ჰელენს, რადგან იმას უსრულებდა, რაზეც მას არასოდეს უოცნებია და არ არგუნა ის, რასაც ჰელენი ჭეშმარიტად ნატრობდა. ჰანტი მხოლოდ წელიწადზე ოდნავ მეტი ხნის მანძილზე იყო ბელნიერი – ჰენკ აზარიასთან ქორწილიდან – მასთან განქორწინებამდე...

ჰელენი, ვარსკვლავი მამაკაცების ყურადღებით იყო გარემოცული: ჯეკ ნიკოლსონი, მელ გიბსონი, რიჩარდ გირი, კევინ სპეისი... ნებისმიერი სხვა ქალი დიდი სიამოვნებით შეიფერებდა ამ ყურადღებას, მაგრამ ჰელენი სულ სხვა იყო. მას მართლაც არ ესმოდა, რა ჰქონდათ კარგი ამ წარმატებაზე გადარეულ თვითკმაყოფილ ტიპებს. მათი შარში ხომ მხოლოდ ეკრანზე არსებობდა. ცხოვრებაში კი, ჰელენის აზრით, ყველა ამ ვარსკვლავისთვის მხოლოდ პირობითად შეიძლებოდა გეწოდებინა მამაკაცი... „რა სამწუხაროა, – ფიქრობდა ჰანტი, – მაგრამ მგონი, ჩემს წრეში არ არის ადამიანი, რომელთანაც ბედის დაკავშირებას



ჰელენ ჰანტისა და ჰენკ აზარიას ქორწინებამ ჰელენს ბელნიერების ერთი წელიწადი აჩუქა. 1999 წ.

შეეძლებოდა“.

ერთხელ ჰელენი კინოსტუდიის ღერეფანში მიაბიჯებდა, როცა ნაცნობი ხმა შემოესმა: „რაიმეს ხომ არ დალევდით, მემ?“ ჰელენი შეკრთა, შებრუნდა და ახალგაზრდა კაცი დაინახა. ამ სახეს ის აშკარად პირველად ხედავდა, მაგრამ საიდან ეცნობოდა მისი ხმა? და უცებ, ჰელენმა გაიხსენა: ეს ტავერნა „მოს“

მფლობელი იყო – იდიოტური (ჰელენის აზრით, რა თქმა უნდა) მულტსერი-ალიდან „სიმფსონები“. ჰელენი მართალი აღმოჩნდა, ეს ჰენკ აზარია იყო, ფილმის – „შენზე გაგიჟებული“, მომავალ სერიებში მისი საგარაუდო პარტნიორი. თუმცა, ქალმა ისიც შეამჩნია, რომ ჰენკი საკმაოდ სიმპათიური იყო.

წარმოშობით ბერძენი ჰენკ აზარია იბლიან მსახიობად არ ითვლებოდა, თუმცა ჰელენის თვალში ეს ფაქტი კაცს სულაც არ უკარგავდა ღირსებას. გაცნობიდან ორიოდე თვის შემდეგ, ის თავგამოდებით აქებდა ჰენკს ჟურნალისტებთან: „ის მომხიბლავია, მასთან ურთიერთობა ძალიან საინტერესოა“. მათ მთელი მსოფლიო მოიარეს, შეიძინეს სახლი ბევერლი-ჰილზზე 2,5 მლნ დოლარად (რა თქმა უნდა, ჰელენის ხარჯით). იმ დროისთვის ჰანტი უკვე მეტი სმეტად გულახდილი გახდა და იმასაც ამბობდა, რომ სურდა, მის გოგონას ჰენკის მსგავსი თვალები ჰქონოდა. პრესაში მათი მომავალი ქორწილის თარიღიცა და ადგილიც კი დაასახელეს: 1997 წლის ივნისი, ჰავაი. ეს ადგილი კი, შემთხვევით არ შეურჩევიათ – სწორედ იქ უყვარდა დასვენება ჰელენს. მაგრამ უეცრად, ყველაფერი ერთ წამში დაინგრა: ჰელენმა შეიტყო, რომ ჰენკი სხვა ქალს ხვდებოდა.

ყველა ცდილობდა მიმხვდარიყო, რა გახდა ჰენკის ღალატის მიზეზი, ის ხომ სულსაც არ იშურებდა ჰელენისთვის, ახალი მეგობარი ქალი კი ყველაფრით ჩამორჩებოდა ჰანტს. მაგრამ ერთხელ აზარიამ მეგობრების წრეში განაცხადა, რომ განშორების მიზეზი... ჰელენის უსაზღვრო წარმატებები გახდა: მას ზღიზღედ სთავაზობდნენ მომგებიან კონტრაქტებს, მხოლოდ კინოსერიალში „შენზე გაგიჟებული“, შესრულებული როლისთვის მისმა ჰონორარმა 55 მლნ დოლარზე მეტი შეადგინა. ჰენკი, როგორც ყველა თავმოყვარე მამაკაცი, იმან შეაშინა, რომ სახელგანთქმული კინოვარსკვლავის „დანამატად“ გადაიქცეოდა. ის განშორებისთვის შესაფერის მიზეზს ეძებდა და ღალატი საუკეთესო საბაბად ჩათვალა – დარწმუნებული იყო, რომ ამის შემდეგ ჰელენი შეიძულებდა და თავად გაწვევებდა მასთან ურთიერთობას.

მთელი ორი წელი ჰელენსა და ჰენკს, იშვიათი სატელეფონო ზარების გარდა, აღარაფერი აკავშირებდათ. და აი, ერთ საღამოს, ჰელენის კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ზღურბლზე ჰენკი იდგა, ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა და დამნა-



შვეესავით იღიმებოდა. „ჰელ, მგონი, დღეს თავისუფალი საღამო გაქვს. შეიძლება შემოვიდე?“ – და ჰელენიც „დადნა“: ე.ი. ის ჰენეს კვლავაც უყვარდა, სცადა, დაევიწყებინა და ვერ შეძლო? რა ბედნიერება!

1999 წლის ივლისში ჰელენმა (ქალი იმ დროს 36 წლის იყო) და ჰენემ საიდუმლოდ იქორწინეს უახლოესი მეგობრების თანდასწრებით. გაბადრული ჰენე ყველას უზიარებდა თავის ბედნიერებას. ჰელენიც მხიარულად გამოიყურებოდა: მან რამდენიმე წელიწადი გაატარა ამ მოვლენის მოლოდინში და აი, როგორც იქნა, ყველაფერი შესანიშნავად დაგვირგვინდა. მხოლოდ ერთ-ერთ მეგობარს მოხვდა თვალში ყვითელი ყვავილების თაიგული, რომელიც პატარძლის ხელში, ცუდად ენიშნა.

ჰელენი საქორწინო მოგზაურობაზე ოცნებობდა, ჰენე კი ამაზე უარი უთხრა: მას გადაღებები ჰქონდა. ჰენე ყველანაირად ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ისიც წონიანი მსახიობი იყო. მან ვერ აპატია ჰელენს, რომ ქალის წარმატებები (სწორედ ის წარმატება, რომელსაც თავად ჰენე ნაკლებად აფასებდა) გაცილებით სჯაბნდა მის მიღწევებს.

ქორწილიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ჰოლივუდში ახალი ჭორი გავრცელდა: ამბობდნენ, როცა ჰელენი ფილმის – „ფული წინასწარ“ გადაღებებზე გაემგზავრა, ჰენე მამინვე „ფლეიბოს“ რომელიღაც მოდელთან გააბა რომანი და რომ ისეთ წვეულებებზეც ერთობოდა, სადაც ჩვეულებრივ, დაოჯახებული მამაკაცები არ დადიან. ერთხელ კი ლოს-ანჯელესის სასტუმრო „ბელ-ვირის“ მოსამსახურემ, კარგი ჰონორარის საფასურად, ჟურნალისტებს უამბო, რომ მსახიობმა მუქი სათვალე მოირგო, სასტუმროში სხვისი სახელით დაბინავდა და ვიღაც ქალთან ერთად ჩაიკეტა ნომერში. სიტუაციას პიკანტურობას ის ფაქტიც ანიჭებდა, რომ ჰელენს ჰენე უთხრა, თითქოს ამ დროს, უბედურებაში ჩავარდნილ ძველ, უნივერსიტეტულ მეგობართან მიემგზავრებოდა. ჟურნალისტებმა სენსაციური ფოტოსურათები გადაიღეს და სკანდალმა მთელი ძალით იფეთქა.

მსახიობების პრესაგენტები ჟურნალისტების დამშვიდებას ცდილობდნენ და მეუღლეებს შორის არსებულ „მეგობრულ ურთიერთობაზე“ ლუღლუღებდნენ. როცა ჰენეს ჟურნალისტებმა პირდაპირ ჰკითხეს, დას-

რულდა თუ არა მისი კავშირი ჰელენ ჰენტონთან, მან გაუბედავად მიუგო: „მე ხომ კვლავ ცოლიანი კაცი ვარ“, რაზეც ჟურნალისტმა უპასუხა: „მხმინო, ჰენეს ხომ იგივე არ არის, რომ გეთქვით – კვლავ შეყვარებული ვარო!..“ 2000 წლის დეკემბერში ცოლქმარი გაიყარა. არც ერთმა მათგანმა პრესისთვის არანაირი განცხადება არ გააკეთა. ჰენეს პრესმდივანი კომენტარზე უარს ამბობდა, ჰელენის მდივანი კი განქორწინების პროცესში „შეზღუდვებში გაემგზავრა“.

ქონების გაყოფისას ყოფილი მეუღლეები სხვადასხვანაირად იქცეოდნენ: ჰენე საქმიანად იცავდა ბევრლიპილზის სახლზე თავის უფლებებს (სხვათა შორის, სახლი საბოლოოდ, სწორედ მას ერგო), ჰელენისთვის კი ყველაფერი სულერთი იყო. მემკვიდრეობად თავისი ქორწინებიდან ქალმა მხოლოდ მძიმე დეპრესია მიიღო.



რინარდ გირთან ერთად ფილმში – „ექიმი გი და მისი ქალები“

ჰელენს ცხოვრებამ ჯერ ბედნიერება არგუნა, შემდეგ კი ამისთვის, სოლიდური ანგარიში წარუდგინა. ქალი მზად იყო, ამაშიც მამამისი დაედანაშაულებინა – სწორედ მან, ჰელენის სურვილის საწინააღმდეგოდ, უბიძგა და კინოს დაწყველილ სამყაროში შეაგლო, სადაც უცხო ხილია ნორმალური ადამიანური ურთიერთობები, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ რაც უფრო ბრაზობდა ჰელენი მამაზე, მით უფრო უნდოდა მისი ნახვა. ბოლოს და ბოლოს, გორდონზე ახლობელი მას ხომ არავინ დარჩა...

ჰელენიც მამასთან გაემგზავრა. მათ თითქმის არ უნახავთ ერთმანეთი ხუთი-ექვსი წლის მანძილზე, რადგან ჰელენს მამისთვის არ ეცალა... ახლავა შეამჩნია, რომ კაცი საგრძნობლად დაბერებულიყო. მხოლოდ თვალები უბრწყინავდა ძველებურად და მათში ჰელენისადმი უსაზღვრო სიყვარული იკითხებოდა. „მას მართლაც სურდა ჩემთვის ბედნიერება“, – მიხვდა, ბოლოს და ბოლოს, ჰელენი, – და ვერც იტყვის ვინმე, რომ ის ცდებოდა. კინოში გატარებული წლების მანძილზე ჰელენმა ვერც კი შენიშნა, როგორ მიეჯაჭვა ამ საქმეს – გადაღებების ფორიაქს, მონტაჟის დასაწყისის შემაშფოთებელ მოლოდინს. რაც შეეხება ოჯახს – შესძლოა, ჰელენის ახალი ბედნიერებაც არ არის შორს... თანაც, ამას წინათ ექიმებმა ჰენე დაარწმუნეს, რომ 38 წლის ასაკის მიუხედავად, ქალი საუცხოო ფორმაშია და ბევრი შვილის გაჩენაც შეუძლია...



# ზვარჯი

თინა ღალაქიშვილი  
ლალ ნაპირელი

დასაწყისი იხ. გზა №38-42

მისო და იგორი კაფეში საუბრობდნენ.

— კარგი ახლა. ანზორის გამოსვლაძღე ხომ არ ვისხდებით ასე გულხელდაკრეფილნი. ანზორას „სროკი“ გაუვა და, ნუ გეშინია, არ დაგვკარგავს, მოგვკებნის... იმის გარეშე „საქმეზე“ წასვლა ღალატია თუ რაა? ისე, კაცმა რომ თქვას, მე და შენ მაგრად ვმუშაობთ. რამდენი „საქმე“ „გაფაიმასქნეთ“ და ჯერ არ ჩავვარდნილვართ... — სამჯერ გადააფურთხა მისომ, — ფუი ეშმაკს... საკუთარი თავი არ დავთარსო ამ ჩემი გრძელი ენით.

იგორს ჩაეცინა. კიდევ ერთი ღვეზელი გადაიღო თეფშზე. შემდეგ ღიმონათით შეავსო ჭიქები.

— მოკლედ, მაგარი საქმეა. სახლის პატრონს, კარლოს, ცოლ-შვილი აგარაკზე ჰყავს გაგზავნილი. სამი დღის შემდეგ, ე.ი. პარასკევს, შეფის დაბადების დღეზეა დაპატიჟებული და გასაგებია, რომ გვიანობაძღე არ მივა სახლში...

— დარწმუნებული ხარ, რომ სახლში არავინ იქნება? — შეეკითხა იგორი.

— ასპროცენტინანია... — დამაჯერებლად დააქნია თავი მისომ.

— მაშინ დროა, საქმეს შეუდგეთ. წავიდეთ, დავათვალიეროთ იქაურობა.

— ა, ბიჭო. ძლივს არ დავითანხმე?! — გაეხარდა მისოს.

— იგორ... — თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა მისო, — შენ კარს მიხედვე კიდევ ერთხელ შემოვუვლი სახლს, დავათვალიერებ...

— ყურადღებით იყავი, დავისტვენ, როცა მზად იქნება, — საკეტზე ანიშნა საქმეში გართულება იგორმა. უცებ ტკაცანის სუსტი ხმა გაისმა. სახელური ჩამოწია. კარი გაიღო.

— მორჩა. მზადაა, — ჩუმად დაუსტვინა.

— მორჩი უკვე, ბიჭო? — მისო მიუახლოვდა.



იგორმა თავი დაუქნია. ფრთხილი ნაბიჯებით ჰოლში შევიდა. უცებ იგორმა ხელით შეაჩერა მისო და ანიშნა: პირდაპირ მდებარე ოთახის ნახევრად შეღებული კარიდან მკრთალი შუქი გამოდიოდა, ტელევიზორის ციმციმს ჰგავდა. ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ კარს.

— მოიცა, ვილაცაა, — ჩურჩულით ჩაილაპარაკა იგორმა.

„პატრონი ასე ადრე დაბრუნდა ვითომ?“ — გაიფიქრა მისომ და იგორს მიუბრუნდა.

— პატრონი არაა. კარლო მხარბეჭიანი კაცია, ეს კი ჩიაა... მოიცა, რას უყურებს?..

მისო და იგორი ტელევიზორის ეკრანს მიაჩერდნენ.

— ხედავ? კარლო და ვილაც კიკიტაა გადაღებული... ბიჭო, კარლო... „ცისფერი“ ყოფილა? — მისომ გაკვირვებისაგან ხელები გაშალა. ხელი გვერდზე მდგომ ღარნაკზე მოუხვდა, რომელიც გაღმოვარდა და ხმაურით იატაკზე დაენარცხა.

ტელევიზორთან მჯდომი სწრაფად წამოხტა, ჩამრთველს ხელი დააჭირა და ოთახი განათდა.

— ვინ არის? — ხმამაღლა დაიფიქრა. მისი მზერა ორ უცნობ მამაკაცს შეეჩხრა. იგორი უცნობისაკენ წავიდა. გამხდარმა, ქალური აღნაგობის უცნობმა იარაღი ამოიღო შარვლის უკანა ჯიბიდან და იგორს დაუმიშნა.

სროლის ხმა გაისმა. იარაღმომარჯვებული ძირს დაეცა. იგორმა უკან მიიხედა.

— რა ქენი, ბიჭო?! — ხმადაკარგულმა წამოიძახა.

— მე რომ არ მომეკლა, შენ მოგკლავდა, — მოკლულს მიუახლოვდა, მაჯა გაუსინჯა. — მკვდარია, — უცებ სახეზე დააჩერდა და წამოიძახა,

ხა, — ეს ისაა, — თქვა და თითო ტელევიზორისაკენ გაიშვირა...

იგორმა ამრებით შეხვდა უცნობს და მისოს უთხრა:

— აბა, წავედით...

— მოიცა, ჯერ რაც წასაღებია, მოვაქურთო...

იგორმა ვიდეომაგნიტოფონიდან კასეტა ამოიღო და პიჯაკის ჯიბეში ჩაიღო...

ნახევარ საათში დატოვეს სახლი, რომელსაც კვალის დაფარვის მიზნით, ცეცხლი წაუკიდეს...

სასამართლო პროცესზე ია ბოლო რიგში იჯდა. თავი ხელებში ჩაერგო. ისე იყო გაბრუებული, რომ მოსმენილს ბოლოძღე ვერ აღიქვამდა, სირცხვილის, ტკივილის, იმედგაცრუების გრძნობას შეეპყრო.

„როგორ მატყუებდა... ჰმ, წარმატებული ბიზნესი, ბევრი ფული... აი, თურმე საიდან... როგორ გაიმეტა ამხანაგი დასაწვავად! ღმერთო ჩემო, რა დავაძღვე ასეთი, რომ ამდენი განსაცდელი მომივიღინე...“

ფიქრებიდან მჭახე ხმამ გამოარკვია...

— ბრალდებული იგორ სტრელცოვი და მოკლული მისო ღალაქიძე, ძარცვის მიზნით, შევიდნენ კარლო X-ის ბინაში და მოიპარეს ძვირფასეულობა, ფული... ნაძარცვის გაყოფისას, კამათი მოუვიდათ. სტრელცოვმა რევოლვერით მოკლა ამხანაგი და კვალის დაფარვის მიზნით, სახლს ცეცხლი წაუკიდა.

იგორი გაუნძრევლად იჯდა. თითქოს ფუტკრების სკაში იმყოფებოდა. მოსამართლის ხმა ზუზუნით ჩაესმოდა.

— ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ? — ჩაესმა სტრელცოვს.



იგორი ხმას არ იღებდა.

— ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?! — ხმას აუწია მოსამართლემ.

იგორის გარშემო საგნები დატრიალდა. ყველაფერი ერთმანეთში აირია... ნელ-ნელა სიბნელეში ჩაიძირა... გონების დაკარგვამდე მხოლოდ დის საყვედურით სავსე, ცრემლიანი სახე აღბეჭდვოდა და მისი სიტყვები ესმოდა: „შენ მატყუებდი... იცოდე, მე შენთვის აღარ ვარსებობ, აღარ დამენახვო... შენ ადამიანი მოკალი...“

ციხის საავადმყოფოში იგორს ანზორმა მიაკითხა. გაუხარდა მისი ნახვა. ანზორმა კარგა ხანს უცქირა მის გამხდარ სახეს, თვალის უპეებს, ჩავარდნილ ყვრიმალეებს... თავი გადააქნ-გადმოაქნია და სახეზე ხელი მოუსვა.

— არ მომწონხარ... — გაჩერდა, იგორის ნაღვლიან ღიმილს ღიმილითვე უპასუხა და განაგრძო, — ნუ გეშინია. საქმე კარგად არის. ჩემმა მეგობარმა კარლო ნახა. იმ კასეტის ასლი მიუტანა. ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც საჭირო იყო. ზომ იცი, ასეთი რამეები არ გვეშლება. იმის შიშით, რომ მისი „ცისფერობა“ არ გამჟღავნდეს, კარლო შენს გათავისუფლებას თვითონ კისრულობს. მეც შექმელო შენი დახმარება, მაგრამ არ მინდა, ბევრ საქმეში ვჩანდე. ჩემი ძმაკაცი ორივე კასეტას გადასცემს.

როდესაც იგორის გაკვირვებულ სახეს წააწყდა, აუხსნა:

- მეორე კასეტა — ასლია...
- კარგი, — მიხვდა იგორი.
- გასაგებია?

იგორს თანხმობის ნიშნად რაღაც უნდოდა ეთქვა. უცებ ხველა აუტყდა. ცხვირსახოცი პირზე აიფარა. დიდხანს ახველებდა. როგორც იქნა, დაწყნარდა.

— მიხოს მე მოუვლი, — გააგრძელა ანზორმა, — თქვენი ნაშოვნი ფული თვითონ ჩაიჯობა და გაქრა — ისე, რომ შენს დასახმარებლად თითიც არ გაუხმრევი. თავიდანვე რაღაცით არ მომწონდა ეგ ბიჭი, მაგრამ ფაქტზე ვერ ვიჭერდი. ინტუიცია მქონდა მხოლოდ... გამართლდა კიდევ! ის თავისას მიიღებს! კიდევ კარგი, გამოვედი, თორემ რა გეშველებოდა?.. თავს უნდა მოუარო. ექიმს ველაპარაკე. ტუბერკულოზი აგიკიდებია ციხეში. გამოხვალ თუ არა, კარგ სპეციალისტთან მიგიყვან. ფული თუ დაგჭირდა, არ

მომერიდო. ახლა მომაგრება გინდა: კარგი დასვენება, კარგი კვება. აბასთუმანში დასასვენებელი სახლის „პუტიოვკას“ გიშოვი. ეს ზაფხული, იცოდე, იქ უნდა გაატარო. არ ვიცი რატომ, მაგრამ შევილივით გიყურებ. შენში არ შეგმცდარვარ. კარგი კაცი დადექი. ვიცი, რაზეც ნერვიულობ — მომიყვენ. და არ გაგწირავს... იმასაც უნდა გაუგო. საწყალი, საშინელ დეპრესიაში იქნება.

- იგორმა შუბლზე ხელი მოისვა.
- დამნაშავე ვარ მის წინაშე...
- არაფერში არ ხარ დამნაშავე, — გააწყვეტინა ანზორმა, — ცხოვრება შეგხვდა ასეთი. მე შენ შესახებ ყველაფერი ვიცი. ვიცი, რომ რუსთაველი ცხოვრობდი, მამა ადრე დაგეღუპა. ისიც ვიცი, დედას როგორ უვლიდი.



დისპანსერშიც დაწვინე...

იგორი გაკვირვებული უცქერდა ანზორს.

— როცა კაცთან საქმეს ვიჭერ, მისი ასავალ-დასავალი უნდა ვიცოდე. იცი, რატომ მომწონხარ? ნაღდი ხარ! ნაღდი! კეთილი გული გაქვს... მუდამ სხვაზე ზრუნავდი, შენს თავზე კი არ გიფიქრია.

ანზორი წამოდგა.

— აბა, მალე გარეთ გნახავ! თავს მიხედე, გაუფრთხილდი. მაგ ავადმყოფობას ნუ ეხუმრები!

ამ სიტყვებით გამოემშვიდობა ანზორი.

გაზაფხულის თბილი დღე იდგა. ჩიტების ყვირილ-ხივილი ავსებდა ქუჩას. ბავშვები გარეთ გამოფენილ-

იყვნენ, დიასახლისები აივანზე სარეცხს ფენდნენ. ქურები ხალხით იყო სავსე. სითბოს მონატრებულები გარეთ გამოფენილიყვნენ.

იგორი ნელა მიაბიჯებდა. ვერ გადაეწყვიტა, მისულიყო თუ არა დასთან. ძალიან უჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა... ეშინოდა დასთან შეხვედრის. იქვე, ხესთან შეჩერდა. ხველა აუტყდა. პირზე ხელი აიფარა, როდესაც სისველე იგრძნო, ცხვირსახოცი მოიშველია. ტურები მოიწმინდა, დახედა. სისხლის ლაქები ჩანდა... ხელი ჩაიქნია.

დის კორპუსს მიუახლოვდა. მოპირდაპირე კორპუსთან შეჩერდა და ავტოფარეხს ამოეფარა. იას ბინის აივანს მიაშტერდა. როგორ უნდოდა დის ნახვა... რაც ციხეში იჯდა,

მისთვის თვალიც არ მოუკრავს.

უცებ აივანზე ია გამორჩნდა... გრძელი თმა კეფასთან შეკრული ჰქონდა, თბილი, ყვლიანი სვიტერი ძალიან უხდებოდა.

— გეგა, იგორი ქვიშაში თამაშობს, ამოიყვანე, ჭამის ღროა, — გადმოსძახა ეზოში კაცებთან მოსაუბრე ქმარს...

იგორს თავისდა უნებურად ცრემლი წამოუვლიდა, რომელიც სახეზე და ნიკაპთან ენასკვებოდა. ტიროდა იგორი და არ რცხვენოდა, ტიროდა, სიხარულისგან ტიროდა...

კარგა ხანს იდგა ასე. მერე მიტრიალდა და ქუჩას დაუყვავა... მიდიოდა... სად — არ იცოდა... მის გზას „არსაით“ ერქვა.



### „თეატრალური სარდაფი“ ახალ სარდაფს ძმნის

„თეატრალური სარდაფი“ უახლოეს მომავალში ვაკეში ფილიალის გახსნას აპირებს. ინფორმაციის დასაზუსტებლად, „თეატრალური სარდაფის“ ერთ-ერთ წამყვან მსახიობს, ნატუა გულინაშვილს მივმართეთ:

— „თეატრალური სარდაფი“ ნამდვილად აპირებს ფილიალის გახსნას. ახალი სარდაფი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტის ფიზკულტურის ძველ დარბაზში დაიდებს ბინას.

— რამ გამოიწვია ფილიალის გახსნის აუცილებლობა?

— ჩემი აზრით, „თეატრალური სარდაფის“ სივიწროვემ, — ის მხოლოდ 110 მაყურებელს იტევს.

— პრეზენტაცია ალბათ პრემიერით ჩაივლის?

— კონკრეტულად ჯერ არაფერი ვიცი. ყოველ შემთხვევაში, რეჟისორები სარემონტო სამუშაოებში თავადაც აქტიურად მონაწილეობენ და ახალ სპექტაკლზე ჯერ მუშაობა არ დაწყებულა.

— მსახიობები ალბათ მოუთმენლად ელით ახალ „არენას“...

— რა თქმა უნდა! ახალი შენობა — ახალი სტიმულის მომცემია.

## „სიესტა“ — გიმი ცოცხალი მუსიკის მთავარქოთათვის

ხანმოკლე პაუზის შემდეგ, ახალი შემართებით შეუდგა მუშაობას კვარტეტი „სიესტა“, რომელმაც საკმაოდ გაანებივრა ქართველი მსმენელი ქალაქური სიმღერების ცოცხალი შესრულებით. კვარტეტის ერთ-ერთი წევრის განცხადებით, „სიესტას“, საკუთარი რეპერტუარის რუსულენოვანი სიმღერებით გამდიდრებაც აქვს დაგეგმილი. მიუხედავად იმისა, რომ კვარტეტს სპონსორი არ ჰყავს, მაინც მოახერხა ერთ-ერთ კლუბში სოლო კონცერტის ჩატარება, რომელსაც მსმენელთა დიდი მოწონება ხვდა წილად. გოგონებს სასცენო იმიჯზე ზრუნვაც ჯერჯერობით თავად უხდებათ — მიუხედავად იმისა, რომ ქალაქური სიმღერებისათვის შესაფერისი კლასიკური სტილის შენარჩუნება საკმაოდ ძვირი უჯდებათ.

„სიესტამ“ თავის თავყანისმცემლებს სასიამოვნო საჩუქარი მოუშალა: მხედველობაში გვაქვს აუდიოკასეტა, რომელ-



შიც სხვა ქართველ შემსრულებლებთან ერთად, კვარტეტის პოპულარული სიმღერებია შესული.

„სიესტის“ წევრები კვლავაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან კონცერტზე ფონოგრამის გამოყენებას, რადგან მიაჩნიათ, რომ საუკეთესო ლაზერული ჩანაწერიც კი ვერ შეედრება ცოცხალ შესრულებას.

## ტაც ლამაზია, ყულათუტი უნდა ჩანდეს!



არ გაუმარჯვიათ. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ სტუდიამ დააფუძნა ხელოვნების სკოლა, რომლის კურსდამთავრებული პროფესიონალი მოცეკვავის დიპლომს მიიღებს. ვესაუბრებით სტუდიის ხელმძღვანელსა და ხელოვნების სკოლის დამაარსებელს ნინო ფრიდონაშვილს:

— რამდენადაც ვიცი, მრავალფეროვანი შოუპროგრამა გაქვთ და საკმაოდ თამამი ჩაცმის სტილითაც გამოირჩევიან. როგორია მოცეკვავეთა მშობლების რეაქცია?

— სტუდია ყველა ასაკის მოცეკვავეებით არის დაკომპლექტებული. მოზრდილთა ჯგუფი უკვე პროფესიულ საქმიანობას ეწევა. კომპლექსები, როგორც ყველა ქართველს, რა თქმა

ბოლო დროს დიდი პოპულარობით სარგებლობს საესტრადო ცეკვების სტუდია „მეჯიქ შოუბალეტი“, რომელსაც განსაკუთრებული წარმატება მოუტანა შარშან, თბილისში ჩატარებულმა ხელოვნების ფესტივალმა „ოქროს მართვებ“. მისი მთავარი პრინციპი საესტრადო სტუდიის დაჯილდოება მართლაც უპრეცედენტო იყო, რადგან მანამდე აღნიშნულ ფესტივალზე ჩვეულებრივ, ქართული ეროვნული ხელოვნების წარმომადგენლებს

უნდა, ჩვენც გვაქვს, მაგრამ არა ისეთი, რომ „ცეცხლოვანი“ ცეკვების შესასრულებლად კოჭებადღე „შეფუთულები“ გამოვიდეთ. სტუდიის პრინციპი ასეთია: „რაც ლამაზია, ყველაფერი უნდა ჩანდეს!“ მშობლებსაც ადეკვატური რეაქცია აქვთ. მთავარია, რომ მიუღებელს არაფერს ვაკეთებთ და ძალიან გვიყვარს ეს საქმე, რაც აუცილებელი პირობაა კარგ მოცეკვავედ ჩამოყალიბებისთვის.

მომავალ რეპო კაბანიშვილმა

## მილიტნი დელატი ცთლისგან

ამბოზენ, ჯენიფერ ლოპესმა თავის ქმარს, კრის ჯადს უზარმაზარი ხელფასი დაუნიშნა და 30 წლის მოცეკვავეს თავის კონცერტებსა და კლიპებში ცეკვების დადგმაზე პასუხისმგებლობაც დააკისრა. კრისი მეუღლისგან ხელფასის სახით, წელიწადში 1 მილიონ დოლარს მიიღებს. ვარსკვლავის აზრით, ეს ფაქტი მის ქმარს თვითდამკვიდრებაში დაეხმარება. როგორც ჩანს, ჯენიფერი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქმარს შოუბიზნესის ციცაბო კიბეზე ასვლაში დაეხმაროს.



## „ტსკაბის“ მთვულა და დასტრტმა შეუძლოქელია

ამერიკული კინოაკადემიის პრეზიდენტმა ფრენკ პირსონმა საჭიროდ ჩათვალა, ჟურნალში VARIETY „ოსკარი 2002“-თან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაეკეთებინა.

„მას შემდეგ, რაც ტელევიზიის ამერიკულმა აკადემიამ EMMY-ს პრემიების გადაცემის ცერემონია აღარ ჩაატარა, ხშირად მეკითხებიან, როგორ მოვიქცევით ჩვენ? კინოხელოვანთა მიღწევების აღნიშვნის



ნის დღესასწაულზე, ნაციონალური ტრამის მიუხედავად, უარი არ უნდა ვთქვათ. მართალია, 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიო შეიცვალა, მაგრამ „ოსკარების“ გადაცემის ცერემონია მარტში შედგება – როგორც ტარდებოდა მეორე მსოფლიო ომის, ვიეტნამისა და კორეის ომების დროს. თუმცა, რა თქმა უნდა, ცერემონიაში გარკვეულ კორექტივებს შევიტანთ. ცერემონია რომ არ გავმართოთ და საერთოდ, უარი რომ ვთქვათ ჩვეულ საქმიანობაზე. ეს იმის დადასტურება იქნება, რომ ტერორისტებმა ომი მოიგეს“, – აცხადებს პირსონი.

## მთმ დილანი და მისი მცული ძალქი

ბობ დილანი თავისი ახალი ალბომის საპრეზენტაციოდ, აშშ-ში ტურნეს ატარებს. ორეგონში, სადაც მისი გამოსვლა იყო დაგეგმილი, ბობს დაცვასთან მოუვიდა კონფლიქტი, რადგან საკუთარ კონცერტზე არ შეუშვეს. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ქალებით დაკომპლექტებულმა დაცვის წევრებმა უბრალოდ, ვერ იცნეს მომღერალი, თუმცა კონცერტის მენეჯერმა კონფლიქტის მიზეზი სხვაგვარად ახსნა: „რომც ეცნოთ ბობი, საბუთების გარეშე არავის შეშვების უფლება მაინც არ ჰქონდათ, რადგან გამონაკლისი არ დაიშვება“.




დილანი, რა თქმა უნდა, აღშფოთდა და მაშინვე სიტუაციაში გარკვევა მოისურვა, გაბრაზებულმა, დაცვის წევრების მოხსნა მოითხოვა. მენეჯერმა ბრძანება შეასრულა, თუმცა, ამასთანავე, ქალები შეაქო და უთხრა – თქვენი მოვალეობა საუცხოოდ შეასრულეთო.

მომავალში, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ახალ მცველებს ბობ დილანის ფოტოსურათები უჩვენეს და გააფრთხილეს: „უსაბუთოდ არავინ შეუშვათ – დილანის გარდა. გახსოვდეთ – მხოლოდ ერთი გამონაკლისი არსებობს“.

## დირქ ნთვიცვი ჟუბი ჰტლიქულთან თავის ინფიმუბ რტთიქტთმას რატყთუს

აშშ-ის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშემ დირკ ნოვიციკიმ უარყო ცოტა ხნის წინ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც მისი და ინგლისელი პოპ-ვარსკვლავის, ჯერი ჰოლიუელის რომანს შეეხებოდა. „რა თქმა უნდა, მე ჯერის რამდენჯერმე შევხვდი, კინოშიც ვყოფილვართ – ეს იყო და ეს“, – აღნიშნა PLAYBOY-ს გერმანული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში „დალას მევერიქსის“ კალათბურთელმა. ნოვიციკის არც ის დაუმაღავეს, რომ მომავალში განზრახული აქვს ოჯახის შექმნა, ბავშვების ყოლა. „თუმცა ამჟამად ამაზე ფიქრი ჩემთვის ძალიან ნაადრევია: ჯერ ხომ მე თვითონ ვარ ბავშვი“, – დასძინა ნოვიციკიმ.



ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრან:

- 1. მარგარეტ ტეტჩერის მამა ყასაბი იყო.
- 2. ტერმიტები ბრძობენ არიანს.



3. ერთი წლის ჯიხვს ღურაყი ჰქვია.

4. ამერიკის შეერთებულ შტატებში 52 მილიონი ძალი ცხოვრობს.

5. რუსული ესტრადის პოპულარული სოლისტი, ალექსანდრ როზენბაუმი თავის დროზე სასწრაფო დახმარების ექიმად მუშაობდა.

6. ლევან თედიაშვილმა აფხაზეთის ომის დროს ქართულ გვარდიას შვეულმფრენი აჩუქა და გადარჩენის ფონდში 2 მილიონი მანეთი გადარიცხა.

7. იაკობ ნიკოლაძე როდენტან მუშაობდა.

8. კერძის დეგუსტირებისას დეგუსტატორი მძღარი უნდა იყოს. მშვიერ ადამიანს ყველანაირი საჭმელი გემრიელი ეჩვენება.

9. იმპერატორ კალიგულას ბრძანებით, გარეულ მხეცებთან ბრძოლის დაწყებამდე მათ ყურებზე და არენაზე მხეცებთან შეყარეს. მანამდე მათ ენები დააჭრეს, რათა იმპერატორის ლანძღვა-გინება არ შესძლებოდათ.

10. პელ – ასე ერქვა კოლის ჯიშის ძაღლს, რომელიც პირველი გადაიღეს ავსტრალიურ სერიალ „ღესისში“. მოგვიანებით, ფილმში ამ ძაღლის შვიდმა მომდევნო თაობამ მიიღო მონაწილეობა. P.S. სცენარის მიხედვით, ლესი დედალი ძაღლია, მაგრამ რადგან ამ ჯიშის დედალი ძაღლები ბევრი ეკრანზე ნაკლებად ეჩვენებიან ჩანდა, მისი როლის ყველა შემსრულებლად სხვაი შეარჩიეს.

11. მხატვარი ანრი ტულუზ-ლოტრეკი ერთთავად ბორღლებში ცხოვრობდა. იგი ძაღზე ყურადღებიანი ადამიანი იყო და ყველა მემკვიდრის დაბადების დღე ზეპირად ახსოვდა.

12. ატომური ბომბი ამერიკელებმა ხიროსიმაში 6 აგვისტოს, ნაგასაკიში კი 9 აგვისტოს ჩამოაგდეს.

13. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიხაილ გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირის დაშლის წინ უკანასკნელად ოლეგ იანკოვსკისა და ალა პუგაჩოვას მიანიჭა.

14. „მე რომ ბავშვობიდან ხეიბარი არ ვყოფილიყავი, აუცილებლად ფირალი ვიქნებოდი“, – ამბობდა ექვთიმე თაყაიშვილი. P.S. ხშირად იგი ვინმე კერძო პირს იშვიათი ნაკეთობის ნივთს გამოართმევდა და ეტყობდა: მე ამ ნივთს სახლში წავიღებ,

Mini თანდათან მიახლოება

ომის შემდგომი პერიოდის ლეგენდა – ახალი Mini, რომელიც შარშან შემოდგომაზე გამოვიდა, მალე სხვადასხვა მოდიფიკაციით წარმოვიდგება. „მინის“ მარკის მფლობელი BMW-ს კონცერნის ხელმძღვანელებს მაჩნია, რომ მხოლოდ ერთი ასეთი მოდელი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ პოპულარული კომპაქტური ავტომობილების ბაზარი დაიპყრო. სწორედ ამიტომ, უკვე მომავალი წლის მაისში, Mini Cooper-ისა და Mini One-ის შემდეგ, მოდური ჰენკის მესამე ვერსია გამოვა. სპორტული ხასიათის ეს მოდელი – Mini Cooper S 1,6 ლიტრიანი ძრავით იქნება აღჭურვილი, რომელიც 163 ცხ.ძ-ს განავითარებს.



ამ მანქანის გარდა, 2004 წლისთვის დაგეგმილია „მინის“ ბაზარზე შექმნილი კაბრიოლეტის გამოშვება. კაბრიოლეტის ძარით სამივე ვერსია – One, Cooper-ი და Cooper S-ი ჩაეშვება წარმოებაში. გარდა ამისა, კონცერნის მესვეურებს განზრახული აქვთ, შექმნან დაგრძელებული ბაზის მქონე „მინი“, უნივერსალი და პიკაპიცი კი. პერსპექტიული გეგმის მიხედვით, 2010 წლისთვის, როცა დღის სინათლეს ახალი თაობა მოევიწყება, სულ 500 ათასამდე „ნამცეცას“ წარმოებას ვარაუდობენ.

ახალი სტილის ხმოსტეხი

კონცერნი BMW ახალი მოდელების მთელი პლეადის გამოშვებას გეგმავს. შარშან წარმოებულ 835 ათას ავტომობილს შორის ძალზედ ბევრი, ძვირად ღირებული მოდელია, რაც იმას მოწმობს, რომ ბავარიული კონცერნი ჩვეულ სიმაღლეზე და ყველა ახალ ჩანაფიქრსაც წარმატებით განახორციელებს. მათ შორის, ბევრი თვალსაზრისით საინტერესოა მეორე თაობის როდსტერი Z3, რომლის დიზაინი „ცეცხლოვან“ კონცეპტ-კარს – X COUPE-ს ეხმიანება, რომელიც წლეულს დეტროიტის ავტოსალონზე იყო წარმოდგენილი.

სპეციალისტთა აზრით, Z3 ევროპული ბაზრის ისეთ ჰიტებს გაეჯიბრება, როგორებიც არის: PORSCHE BOXSTER, MERCEDES SLK, AUDI TT, ALFA ROMEO SPIDER და HONDA S2000. პირველი თაობის როდსტერთან შედარებით, Z3-ის გაბარიტები გაზრდილია, საბაზო ძრავად კი, 140 ცხ.ძ-ისაა, 2,0 ლიტრიანი ავრეგატს გამოიყენებენ.



M-ROADSTER-ის მოდიფიკაცია 6 ცილინდრიანი ძრავით აღიჭურვება, რომლის სიმძლავრე 343 ცხ.ძ-ს მიაღწევს. ამ ძრავას როდსტერი RODSTER BMW M-3-ს დაესესხება.



## ყვედაზე ევროპული „მატიცი“

1998 წელს შექმნილმა Daewoo Matiz-მა, ევროპულ ბაზარზე არცთუ ისე აქტიური გავრცელების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მაინც მიღწია კომერციულ წარმატებას. როგორც მარშან, ისე წლეულსაც, „მატიცი“ კორეული ავტომობილებიდან ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული მარკაა. შესაძლოა, ეს რეკორდს არ ნიშნავს, მაგრამ უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ მანქანა ევროპელთა გემოვნების სტანდარტებში ზის. სხვათა შორის, „მატიცს“ ცნობილი ფირმა Italdesign, კერძოდ, ფაბრიციო ჯუჯარო – სახელგანთქმული ჯორჯეტოს შვილი ქმნიდა.

ყველაზე მეტად, „მატიცი“ ცენტრალური ევროპის, უფრო კონკრეტულად – ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშია პოპულარული, სადაც 2000 წელს რეალიზაციის მაჩვენებლებით მე-3 ადგილი დაიკავა – ადგილობრივი ბესტსელერის, Skoda Felicia და Fiat Seicento შემდეგ.

„დეუ მატისის“ წინამორბედი „დეუ ტიკოა“, რომელსაც ის, უპირველესად, სავალი ნაწილის კონსტრუქციით ჰგავს. რაც შეეხება გარეგნულ მხარეს – ახალი მოდელი არა მარტო გაფორმებით, არამედ გადიდებული გაბარიტებითაც განსხვავდება, რის შედეგადაც, მანქანა გაცილებით ტევადი გახდა.

ჩვეულებრივ, ევროპელებს კორეული ავტომანქანები მოუხეშავად მიაჩნიათ, „მატიცის“ უპირატესობა სწორედ ის არის, რომ ის პროპორციული და ჰარმონიულია და თუმცა საკმაოდ მაღალი და ვიწროა, ძალზედ სადა და ლაკონური დიზაინით გამოირჩევა, ადვილად დასამასხოვრებელ-

იც არის და, ამავე დროს, ინდივიდუალურიც.

ინტერიერის სტილისტიკა ნაკლებად დახვეწილია, თუმცა არც დიდად განსხვავდება გარეგნული იერისგან: ისიც სისადავითა და გემოვნებით გამოირჩევა. სალონში მხოლოდ მაგარი პლასტიკა გამოყენებული. სალონი საკმაოდ ტევადია. „მატიცი“ იმ იშვიათ მცირეგაბარიტიან ავტომობილთა რიგს განეკუთვნება, რომლის უკანა სავარძელში ადამიანი საკმაოდ ხალვათად და კომფორტულად იგრძნობს თავს. თუმცა, ეს საბარგულის დააბატარავების ხარჯზე მიღწეული, რომლის ტევადობა – 165 ლიტრი – საკმაოდ მოკრძალებულია და დიდი ჩემოდნისა ან რამდენიმე ჩანთის გადატანის შემთხვევაში მანქანა ავტომატურად, ორადგილიანად გადაიქცევა, რადგან ეს მხოლოდ უკანა სავარძლის აკეცვის გზით მოხერხდება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მატიცი“ არ არის ალჭურვილი უსაფრთხოების ბალიშებით, ABS-ითა და სარკების ელექტროამბრაჟით, თუმცა აქვს კონდიციონერი და მაგნიტოლა.

რაც შეეხება ძირითად ტექნიკურ მახასიათებლებს – „მატიცი“ ალჭურვილია სამცილინდრიანი ბენზინის ძრავით, რომლის სიმძლავრე 52 ცხ.ძ-ს შეადგენს; მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 144 კმ/სთ-ია, საწვავის ხარჯი 5,2-დან 8,4 ლ-მდე მერყეობს.



## ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

### ეოზა დვალის უბის წიგნაკიდან:



შევისწავლი და ხვალ დავიბრუნებ. მეორე დღეს კი ვაზეთში აქვეყნებდა ინფორმაციას, რომ ამა და ამ ადამიანმა საქართველოს მუხეუმს ესა და ეს ნივთი ნებაყოფლობით უსახსოვრაო.

15. ცელნამგალა ვეშაბებზე არავინ ნადირობს. ისინი საკუთარი სიკვდილით კვებიან.

16. პეტრე ჩაიკოვსკის, ბალეტ „მაცნატუნაში“ ქართული „იავნანის“ მქოლდა აქვს გამოყენებული. P.S. ჩაიკოვსკი ხუთჯერ იყო საქართველოში ნამყოფი.



17. „ლაჩრები ყოველთვის ქალაქებში იბადებიან, მამაცები კი – სოფელში.“ – ამბობდა ჰიმლერი. P.S. ესესის მომავალი შუფი ახალგაზრდობაში, საკუთარ სოფელში, ქათმების მოშენებით იყო დასაქმებული.

18. ანდროპოვმა ბრეჟნევის სიძე, ჩურბანოვი, გახმაურებული ეწ. „უზბეკეთის ბამბის“ საქმეში, მილიარდ-ნახევარი მანეთის გაფლანგვისთვის დაიჭირა.

19. მეორე მსოფლიო ომის სახელგანთქმული თვითმფრინავი „სპიდ ფაიერი“ „როლს-როისის“ ფირმის მოტორით იყო აღჭურვილი.

20. ლექსს, რომლის თავკილური ასოები-საგან სიტყვა ან წინადადება გამოდის, აკროსტიქი ეწოდება.

21. პაბლო პიკასო, ჰანრიხ შლიმანი, აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, სალვადორ დალი – ყველა აქ ჩამოთვლილ პიროვნებას რუსი ეროვნების ცოლი ჰყავდა.

22. ერთხელ ქართლის მიმართულებით მიმავალმა ვახუშტი კოტეტიშვილმა გზად ერთი გლეხი ჩაისვა მანქანაში. ცოტა ხანში შეამჩნია, რომ მის თანამგზავრს თავპირი სულ დალილავებული ჰქონდა. – რა დაგემართა?! – ჰკითხა ბატონმა ვახუშტიმ. – ქორწილში ვიყავი, თამადას ლექსი ვუთხარი და მცემეს, – უპასუხა გლეხმა. – მაინც რა ლექსი უთხარი ასეთი? – „კარგი თამადა იყო, ერთთავად ფეხზე იდგა და სულ გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებს ამბობდა. ძალიან მომეწონა და ვუთხარი: კარგი თამადა ყოფილხარ, ერთი ბუღბუღსა ჰგავხარო, ნეტავი ჩემი ... იყო, ამდენ ხანს ფეხზე დგახარო!“ P.S. რას იზამ, თურმე ამქვეყნად პოეზიაც მსხვერპლს ითხოვს.

# უზვილობა



რუბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამასაშვილი

XX საუკუნის ბოლოს უშვილობა განვითარებული ქვეყნების ჭირად იქცა და, როგორც ჩანს, ეს ტენდენცია ახალ ათასწლეულშიც არ შეიცვლება, მაგრამ უნაყოფობის იმ ფორმისთან ერთად, რომელიც მკურნალობას საჭიროებს ან საერთოდ უკურნებელია, არსებობს „მსუბუქი“ ფორმებიც, რომელიც რაიმე სერიოზულ პათოლოგიასთან არ არის დაკავშირებული. შეიძლება, მათთვის ყურადღება არც მიგვექცია, რომ არა ამ პრობლემის ფართო გავრცელება, ის დამატებითი და ნევროზული მდგომარეობა, რასაც უშვილობა წარმოშობს ათასობით ოჯახში.

ეს მდგომარეობა თავისი არსით, არც არის უნაყოფობა, რადგან ორივე პარტნიორს შენარჩუნებული აქვს შვილოსნობის უნარი. მაგრამ იგი დაქვეითებულია სხვადასხვა მიზეზის გამო. ასეთ მდგომ-

მარეობას სუბფერტილურს უწოდებენ.

მსგავსი მოვლენა ყველაზე მეტად, მდიდარი დასავლური ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. მისი მიზეზი სექსისა და შვილოსნობის ფუნქციის განცალკევებაში უნდა ვეძებოთ. იმ ხალხში, სადაც პატრიარქალური კანონები მოქმედებს, სექსუალური კავშირი ყოველთვის მხოლოდ შთამომავლობის შექმნის საშუალებად აღიქმებოდა. შესაბამისად, კონტაქტთან დაკავშირებული ყველა წესი და ნორმა, მომავალი ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ამ ამოცანისაგან გათავისუფლებული სექსი კი, თავისი კანონებით იწყებს ცხოვრებას და მაშინ ბავშვის ჩასახვა, მხოლოდ და მხოლოდ შეცდომად იქცევა ხოლმე. ეს ეხება არა მხოლოდ დაუოჯახებელ ახალგაზრდებს, არამედ იმ დაქორწინებულ წყვილებსაც, რომლებიც ბავშვების დაბადებას უკეთესი დროისათვის გადადებენ ხოლმე.

როგორ ავიცილოთ თავიდან შიდსი და არასასურველი ორსულობა, დღეს თითქმის ყველა მოსწავლემ იცის. მაგრამ, სხვათა შორის, იმავე ამერიკაში ოცდათხუთმეტი წლის განათლებული ადამიანებიც მხოლოდ შვილის გაჩენის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ცხოვრებაში პირველად იგებენ ხოლმე, რომ ამ მიზნისათვის განკუთვნილი საუკეთესო წლები უკვე ხელიდან გაუშვეს.

როგორც ჩანს, ამ ინფორმაციის გავრცელება ხელს ბევრს არ აძლევს. ახალგაზრდა, ჯანმრთელი წყვილები, რომლებიც ექიმის დახმარების გარეშე მრავლდებიან, ცუდი კლიენტურაა. მაგრამ აი, ორმოცს მიღწეულებს უკვე სათანადო პრობლემებიც აქვთ და ფულიც. მათი ვადა იწურება და ამიტომ, ნებისმიერ ხარჯებზე მიდიან. თუ ერთი წლის განმავლობაში ჩვეულებრივი მეთოდით ჩასახვა შეუძლებელია, მაშინ ისინი ძალიან ძვირად ღირებულ რეპროდუქციულ მეთოდებს მიმართავენ ხოლმე.

## ინტერნეტი დაგეხმარებათ

გასაგებია, რომ ექიმების, სინჯარების და ქიმიური პრეპარატების დახმარებით გამრავლება ბევრში ალტაცებას არ იწვევს. იმ სუბფერტილური წყვილებისათვის, რომლებსაც სურთ, ექიმის დახმარების გარეშე, საკუთარი ძალებით მიაღწიონ მიზანს, ინტერნეტში ჯერ კიდევ 1996 წლიდან არსებობს ფილოსოფიის დოქტორის როჯერ ჰანტის საიტი. მისი სახელწოდება ასე შეიძლება ითარგმნოს: „მარტივი მეთოდები ბავშვის ჩასახვის დასახმარებლად“.

საიტი შეიცავს საკმაოდ დიდი რაოდენობით სხვადასხვა ინფორმაციას. თუ გსურთ, გაზარდოთ რაიმე მოვლენის ალბათობა, უნდა იცოდეთ, რომელ მომენტებზე გაამახვილოთ ყურადღება.

ჩამოთვლილია კვების და ცხოვრების სტილის სხვადასხვაგვარი ცვლილება, რომელმაც შესაძლოა, გაზარდოს თქვენი შანსი. დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ყველაზე საუკეთესო დრო ჩასახვისათვის.

შეუძლებელია, დავასახელოთ სუბფერტილობის ერთი, ხუთი ან ათი მიზეზი. ის ბევრია და განსხვავებული: ქალის ჰორმონული სტატუსის ასაკობრივი ცვლილებებიდან დაწყებული, საკმაოდ „აგრესიული“ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით დამთავრებული. ასევე, მამაკაცებში მავნე პროფესიული ფაქტორების გავლენით სპერმის მაჩვენებლების გაუარესებიდან დაწყებული, ათი წლის თანაცხოვრების შემდეგ ერთი ან ორივე პარტნიორის სექსუალური აპათიით დამთავრებული. ზოგიერთისთვის საკმარისი ხდება მხოლოდ ორგანიზმის „გამოფხიზლება“ ვიტამინებით და მინერალებით, სხვებს მთელი პროგრამის ყველა პუნქტის შესრულებაც კი არ შეეღობა.

არის პრობლემები, რომლის გადაწყვეტა ვერ ხერხდება კო-

მპიუტერული კონსულტაციებით. მაგალითად, მამაკაცთა უნაყოფობის ხშირი მიზეზი – ვარიკოცელე (სათესლე ბაგირაკის ვენების გაგანიერება), მხოლოდ ქირურგიულ მკურნალობას საჭიროებს. მაგრამ შემთხვევათა რაოდენობა, როცა უექიმოდ შეიძლება დადებითი შედეგის მიღება, ნაკლები არ არის იმ შემთხვევათა რაოდენობაზე, როცა ექიმის ჩარევა აუცილებელია.

ყველაზე ხშირად, მიზეზია არა ფიზიოლოგიური, არამედ ფსიქოლოგიური ფაქტორები.

როცა საზოგადოების ქცევა ეწინააღმდეგება ბუნებაში დადგენილ ნორმებს, პრობლემები გარდაუვალია. ეს შეეხება დაბადებულ ბავშვთა რაოდენობასაც და ხარისხსაც. ეს პრობლემა ვერც ვიტამინებით, ვერც ცივი წყლის აბაზანებით, ვერც სივარეტის გადაღებით ვერ გადაწყდება.

საზოგადოებაში, რომელშიც გოგო სკოლის მერხიდან იმაზე ფიქრობს, თუ როგორ არ უნდა დაორსულდეს, გარდაუვალია ფსიქოლოგიური უნაყოფობის წარმოქმნის პრობლემა. ქალი, რომელიც 14 წლის ასაკიდან იწყებს ჩასახვის საწინააღმდეგო აბების ყლაპვას და 20 წლის განმავლობაში აკეთებს ამას, იცვლის არა მხოლოდ ორგანიზმის ბიოქიმიას, არამედ – საკუთარ ფსიქიკასაც. დაორსულებისაგან ოცწლიანი თავდაცვის შემდეგ, შეუძლებელია, აღამიანმა უეცრად შვილის გაჩენის

სურვილით გაიდვიდოს. დღეს უკვე ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ ფსიქიკა ფიზიოლოგიაზეც ახდენს გავლენას და ეს გავლენა, ნებისმიერ სხვაზე, უფრო ძლიერია. ორსულობის ქვეცნობიერი წინააღმდეგობა ზოგჯერ უნაყოფობის გამწვევტი ფაქტორია.

ამ მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა, ორივე სქესის მოზარდებში თავიდანვე ჩაინერგოს ორსულობისადმი და ბავშვის გაჩენისადმი დადებითი განწყობა.

ქალის სუბფერტილობა შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სიმსუქნესთან ან სიგამხდრესთან, უფრო ზუსტად, ორგანიზმში ცხიმის ჭარბ ან ნაკლებ შემცველობასთან. ზოგჯერ მისი მიახლოება რეკომენდებულ შეფარდებასთან (ნორმაში ცხიმი საერთო წონის 20-28%-ია), ხსნის ხოლმე პრობლემას.

ზედმეტმა ფიზიკურმა დატვირთვამ ან ხშირმა სტრესებმა ყოველდღიურ ცხოვრებაში ასევე შეიძლება გამოიწვიოს ქალთა ნაყოფიერების დაქვეითება. იგივე ფაქტორების გავლენა მამაკაცთა სუბფერტილობაზე დადასტურებული არ არის.

ყურადღება უნდა მივაქციოთ კვების საკითხს, კვებით დანამატებს და სამკურნალო ბალახებს. სპეციალისტთა მტკიცებით, ყველაზე კარგი ეფექტი მამაკაცებში აქვს თუთიის პრეპარატებისა და C ვიტამინის დამატებით მიღებას,

ხოლო ქალებში – ჩინურ მცენარეულ ნარევეებს (ერთიც და მეორეც – მკაცრად დაცული დოზებით).

## გინდათ ბავშვი?

### უარი თქვით რძემე

მკვლევარებმა აღმოაჩინეს აშკარა კავშირი ქალის უნაყოფობასა და მის მიერ რძის დიდი რაოდენობით მიღებას შორის. რძის პროდუქტები გალაქტოზას შეიცავს. იგი კვერცხუჯრედისათვის მაგნე შაქარს წარმოადგენს. ქალები, რომლებიც ვერ ორსულდებიან, უნდა დაფიქრდნენ, თუ რა როლს ასრულებს მათ კვებაში რძე.

ამერიკელი და ფინელი მეცნიერების ჯგუფი იუწყება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც რძის როდუქტების მოხმარების დონე ძალიან მაღალია, საგრძნობია ქალთა განაყოფიერების დაქვეითება ასაკის ზრდასთან ერთად, რადგან, როგორც აღმოჩნდა, აღამიანი კარგავს ლაქტოზის ათვისების უნარს, რაც, თავის მხრივ, რძის პროდუქტთა ათვისებლობას იწვევს.

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის გინეკოლოგი – დანიელ კრამერი და მისი კოლეგები იკვლევდნენ, თუ რა კავშირშია ერთმანეთთან ლაქტოზის გამოყენება და საკვერცხეების სიმსივნის რისკი. ეს კავშირი რეალური აღმოჩნდა. მაშინ მკვლევარებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ შესაძლოა, ლაქტოზა ჩასახვაზეც ახდენდეს გავლენას. მართლაც, დადგინდა, რომ – ეს ასეა. ტაილანდში, სადაც მოსახლეობის 98% არ იღებს რძის შაქარს, ქალთა უნაყოფობა 39 წლის ასაკში 26%-ია, ხოლო ავსტრალიასა და დიდ ბრიტანეთში, სადაც მხოლოდ 5% არ იღებს რძის პროდუქტებს, ქალთა უნაყოფობაც იგივე ასაკში 82%-ს აღწევს.

სხვა წყაროებითაც დგინდება გალაქტოზის გავლენა კვერცხუჯრედზე, რაც არარეგულარულ ციკლებში, უნაყოფობაში, ადრეულ მენოპაუზაში (კლიმაქსის დასაწყისი), აგრეთვე ხშირ სოკოვან ინფექციებში აისახება.



# თაფლი

## სასუნთქი სისტემის ორგანოთა მკურნალობა

სუნთქვის ორგანოების თაფლით მკურნალობა შეიძლება ჩატარდეს აეროზოლის და ელექტროფორეზის მეთოდით, აგრეთვე თაფლის მიღებით.

თაფლის სამკურნალო მოქმედება ხორციელდება მისი მრავალმხრივი თვისებებით: ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, ანტიალერგიული, ამოსახველებელი, კვებითი და იმუნომასტიმულირებელი. ამ თვისებათა ერთდროული თანაარსებობა განაპირობებს თაფლის კომპლექსურ მოქმედებას ორგანიზმზე.

## მწვავე და ქრონიკული სურდო

ყვავილების თაფლის სამკურნალო მოქმედებას ბულგარელი ექიმები აკვირდებოდნენ ავადმყოფებზე, რომელთაგან 308 ქრონიკული ფორმით იყო დაავადებული, ხოლო 12 – მწვავე სურდოთი. მათ შორის 132 იყო ქალი, ხოლო 188 – მამაკაცი. დაავადებულები იყვნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, რაც შეეხება ასაკს – ჯგუფში შედიოდნენ ბავშვებიც, მოზრდილებიც და ხანში შესულებიც.

ელს (ПОЭ) მომატებული ჰქონდა 54 ავადმყოფს, ლეიკოციტოზი აღენიშნებოდა 36-ს, ხოლო ყნოსვა დარღვეული ჰქონდა 48-ს. ავადმყოფთა უმეტესობა ნამკურნალები იყო სხვადასხვა მეთოდით, მაგრამ – უშედეგოდ. თაფლით მკურნალობა გრძელდებოდა 10-დან 20 დღემდე. თაფლის შეყვანა ხორციელდებოდა აეროზოლის (ინჰალაციის) გზით, ელექტროფორეზით ცხვირის ნესტოებიდან და შიგნით მიღებით.

ავადმყოფები, რომლებიც მხოლოდ ინჰალაციით მკურნალობდნენ, ყოველდღიურად იტარებდნენ 2 პროცედურას 20 წთ-ის ხანგრძლივობით. ამ დროს ავადმყოფს უნდა ესუნთქა მშვიდად: ჩა-



სუნთქვა ხორციელდებოდა ცხვირით, ხოლო ამოსუნთქვა – პირით. უშუალოდ ინჰალაციის დამთავრებისთანავე აღენიშნებოდათ ცხვირიდან გამონადენის უმნიშვნელო მატება, რაც გრძელდებოდა 2 სთის განმავლობაში.

ადგილობრივად, თაფლი გამოიყენებოდა ცხვირის ნესტოებში ჩასაწვეთებლად. ეს პროცედურა საკმაოდ მტკივნეულია. ამიტომ თაფლის გამაღიზიანებელი მოქმედების შემცირების მიზნით, მას უმატებდნენ ანესთეზინს. ეფექტის გასაძლიერებლად, თაფლს შეიძლება დაემატოს ანტიბიოტიკები და ქიმიოთერაპიული პრეპარატები, ცხვირიდან გამონადენში აღმოჩენილი ბაქტერიის მგრძობელობის მიხედვით. პროცედურის დამთავრების შემდეგ, ორი საათის განმავლობაში ავადმყოფს აღენიშნება ჭარბი გამონადენი ცხვირიდან.

თაფლით ელექტროფორეზის მეთოდით მკურნალობა ისევე ხორციელდება, როგორც ანტიბიოტიკებით ელექტროფორეზი. ყოველდღიურად კეთდება თითო პროცედურა 50%-იანი თაფლის წყალხსნარით.

ავადმყოფთა უმრავლესობა სამკურნალო პროცედურებს კარგად იტანს. მხოლოდ ზოგიერთებს

აღენიშნებათ ალერგიული რეაქცია. თუ ანამნეზში ავადმყოფს აქვს ალერგია, მას პროცედურები უტარდება შედარებით დაბალი განზავების ხსნარით და პარალელურად ანტიალერგიული საშუალებები ეძლევა.

სამივე მეთოდით მკურნალობა ავადმყოფებში დადებით შედეგებს იძლევა. პაციენტებისთვის ყველაზე სასიამოვნოა ინჰალაციური მკურნალობა.


მაგალითი. ავადმყოფი მრ. 34 წლის, 2 წლის წინ ავად იყო გრიპით, რის შემდეგაც ქრონიკულად აღენიშნება გამონადენი ცხვირიდან. დაკარგა ყნოსვა. ცხვირში გაუჩნდა შეკრული, ჩირქიანი სეკრეტი, რომელიც სწრაფად ხმებოდა და ცხვირს უკეტავდა. რამდენჯერმე იმკურნალა საავადმყოფოში, სოფიის უმაღლეს სამედიცინო და უმაღლეს სამხედრო-სამედიცინო ინსტიტუტებში, მაგრამ მდგომარეობა არ გაუმჯობესდა.

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმის მიერ დაუდგინდა დიაგნოზი: ქრონიკული ატროფიული სურდო, ანოსმია (ყნოსვის არარსებობა).

მკურნალობა: იტარებდა თაფლის ინჰალაციას ორჯერ დღეში და ერთხელ იწვეთებდა ცხვირში. მკურნალობის მე-5 დღეს აღენიშნა გამონადენის შემცირება, იგი აღარ იყო ჩირქოვანი. ცხვირის არხები გამავალი გახდა. მე-10 დღეს ცხვირი სრულებით გასუფთავდა, ცხვირის ლორწოვანი გარსი მოლურჯო-წითელი გახდა. მე-8 დღიდან ავადმყოფმა სხვადასხვა სუნი შეიგრძნო, ხოლო მე-18 დღეს აღარ ჰქონდა არავითარი უსიამოვნო შეგრძნება, გამონადენი საერთოდ აღარ აღენიშნებოდა. გაეწერა ჯანმრთელი. რამდენიმე წლის შემდეგაც ავადმყოფი თავს კარგად გრძნობს.

ქრონიკული სურდოს თაფლით მკურნალობის შედეგები მყარია, რასაც ნამკურნალებ ავადმყოფთა ანკეტების გაცნობა ადასტურებს.





**კითხვა:** მაქვს კუჭის წვენი დაბალი მჟავიანობა. ხშირად მიგრძობა ლორწო. სამი წლის წინ ვიმკურნალე ექიმის მეთვალყურეობით, მაგრამ შედეგი არ მიმიღია. ამბობენ, რომ დაბალი მჟავიანობა არ იკურნება. გთხოვთ, განმმარტოთ: შესაძლებელია თუ არა განკურნება მედიკამენტებით ან ხალხური მედიცინის დახმარებით.

პასუხი: ჰიპოაციდური გასტრიტი (კუჭის ლორწოვანის ანთება, რომელსაც თან ახლავს მჟავიანობის დაქვეითება) ქრონიკული პროცესია და იმ ჯირკვლების გამოფიტვასა და ფუნქციის დაქვეითებასთან არის დაკავშირებული, რომელიც კუჭის წვენს გამოყოფს. ეს კი კუჭში მონელების პროცესის დარღვევას იწვევს. კლინიკურად ჰიპოაციდური გასტრიტი ჭამის შემდეგ კუჭის სისავსისა და სიმძიმის შეგრძნებით გამოვლინდება, რადგან კუჭს არ შეუძლია, მონელოს მიღებული საკვები. შეიძლება, ავადმყოფს ყრუ ტკივილიც ჰქონდეს, ვინაიდან კუჭში მარილმჟავას ნაკლებობაა, ქვეითდება რკინის ათვისება ორგანიზმის მიერ, რადგან მარილმჟავა აუცილებელი კომპონენტია რკინის შეწოვისათვის (მას გადაჰყავს სამკვლევანტიანი რკინა ორვალენტურად, რომელიც ადვილად ათვისდება ლორწოვანის მიერ). ამიტომ ჰიპოაციდურ გასტრიტს მუდამ თან ახლავს რკინადეციფიციური ანემია. ქრონიკული გასტრიტის ფონზე შეიძლება განვითარდეს B ჯგუფის ვიტამინთა ნაკლებობა.

ჰიპოაციდური გასტრიტის მკურნალობაში დიდი მნიშვნელობა აქვს კუჭის წვენისა და მარილმჟავას სეკრეციის სტიმულაციას. რადგან კუჭის ლორწოვანას ანთებით პროცესს ძალიან ხშირად თან ახლავს სანაღვლე გზების ანთება, კოლიტი, პანკრეატიტი (პანკრეასის ანთება), საჭიროა აგრეთვე მათი მკურნალობა.

სამკურნალო მცენარეებიდან გირჩევთ შემდეგ რეცეპტს:

- აბზინდა (ბალახი) 10 გ.
- კოთხოჯი (ძირები) 10 გ.
- სამყურა (ფოთლები) 10 გ.
- ძირა (ნაყოფი) 10 გ.

ნარევის 1-2 სუფრის კოვზს მომინანქრებულ ჭურჭელში დაასხით 1,5 ჭიქა მდულარე წყალი და დადგით მდულარე წყლის ორთქლზე 15 წთ-ით. მიიღეთ 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20-30 წთ-ით ადრე. ნაყენი ასტიმულირებს კუჭის სეკრეციას, აუმჯობესებს მონელებას.

თქვენ მუდმივად თანამგზავრი უნდა იყოს ბორჯომის მინერალური წყალი, რომელიც უნდა სვით ჭამამდე 10 წთ-ით ადრე (გაზგასული, შემთბარი, 1 ჩაის ჭიქა).

თქვენ საკვები უნდა იყოს ადვილად მოსანელებელი და მადისაღმძვრელი. საჭიროა მარილიანი კერძების დამზადება ძმრით, ტყემლით, ტომატით, დასაშვებია სანელებლების ზომიერი ხმარება. საჭმელი უნდა ჭამოთ დღეში 3-4-ჯერ, მცირე ულუფებით, კარგად დალეკეთ. გესაჭიროებათ ვიტამინები: C, B1, B2, B6, B12 ფოლიუმის მჟავა. დასაშვებია ცოტაოდენი ყავა, ღვინო, ჩაი. დილაობით, უზმოზე, კუჭის ამორეცხვა ჭარბი

ლორწოს მოსაშორებლად, შეიძლება მინერალური ან უბრალო წყლითა და სოდის ხსნარის მეშვეობით.

თუ ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარების შედეგად მდგომარეობა უცვლელი დარჩა, ეს იმის მანიშნებელია, რომ კუჭის ლორწოვანის ჯირკვლებს ღრმა გამოფიტვის გამო აღარ გააჩნია სარეზერვო ფუნქცია და ამიტომ მასტიმულირებელი საშუალებები მათზე აღარ მოქმედებს. ამ შემთხვევაში, მონელებისთვის საჭიროა, ხელოვნურად შევიყვანოთ კუჭის წვენი და მარილმჟავა. ავადმყოფს ენიშნება აციდინ-პეფსინი.

**კითხვა:** ჩემს ნათესავს ექიმმა ეგზემის დიაგნოზი დაუსვა. გთხოვთ, ორიოდ სიტყვით აგვიხსნათ, გადაამდებია თუ არა ეს დაავადება და რა იწვევს მას?


პასუხი: ეგზემა კანის ანთებითი არაგადამდები დაავადებაა, იწვევს სხვადასხვა გარეგანი და შინაგანი ფაქტორი. მის განვითარებას ნევროგენული და ალერგიული მექანიზმით ხსნიან. დამახასიათებელია გამონაყარი, ბუშტუკები, ჩირქვროვა, ქავილი. უფრო დაწვრილებით ინფორმაციას შემდგომში შემოგთავაზებთ.

**კითხვა:** ჩემს ახლობელს დაუდგინეს ალკოჰოლური პანკრეატიტი. იგი ლოთი არ არის: სვამს მხოლოდ დღესასწაულებზე, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი. მართალია თუ არა, რომ ალკოჰოლის გამოყენება პანკრეატიტს იწვევს და იკურნება თუ არა ეს დაავადება?

პასუხი: ალკოჰოლის დაუდევრად გამოყენებას ბევრი უსიამოვნების მოტანა შეუძლია. დადგენილია, რომ კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებითი დაავადებების 80% ალკოჰოლის მოქმედებით არის გამოწვეული. პირდაპირი კავშირია აგრეთვე ალკოჰოლის ხანგრძლივ გამოყენებასა და კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნეს შორის.

პანკრეატიტის შეტევის გამოწვევისათვის სულაც არ არის აუცილებელი, ადამიანი ლოთი იყოს. პროვოცირება შეუძლია სულ ერთ ჭიქა სპირტიან სასმელს: არაყს, პორტვინს, მშრალ ღვინოს და ლუდსაც კი. შეტევის დროს ტკივილი იმდენად ძლიერია, რომ ადამიანი გონებას კარგავს. როგორც წესი, შემდგომში ირკვევა ხოლმე, რომ პაციენტმა წინა დღეს დალია სპირტიანი სასმელი და ჭამა ცხიმოვანი საჭმელი (ქონი, შემწვარი ხორცი, ცხვრის ხორცის კერძი და სხვა). ერთხელ გადატანილი მწვავე პანკრეატიტი ქრონიკულში შეიძლება გადავიდეს. ქრონიკული ალკოჰოლური პანკრეატიტის პირველი ნიშნები ჩნდება ხოლმე ალკოჰოლის ჭარბად გამოყენების დაწყების დღიდან 5-10 წლის შემდეგ. ამასთან, ქალებში იგი 2-ჯერ უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მამაკაცებში. ქრონიკული ალკოჰოლური პანკრეატიტის დროს ირღვევა მთელი კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქცია. ავადმყოფთა 1/3-ს უვითარდება შაქრიანი დიაბეტი. პანკრეატიტი არ განიკურნება, თუ ავადმყოფი ალკოჰოლზე უარს არ იტყვის. როცა პაციენტი წყვეტს სპირტიანი სასმლის მიღებას, მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯირკვლის ფუნქციის ნაწილობრივი აღდგენა ხდება.

1985 წელს პარიზში, მიხაილ გორბაჩოვის ვიზიტთან დაკავშირებით, ელისეს მინდვრების მთელ გაყოლებაზე ორი ბავშვის გამოსახულებიანი პლაკატები იყო გამოფენილი. ბავშვები სურათზე ერთმანეთს ეკოცნდნენ. ერთი მათგანი, ვარსკვლავებიან-ხოლოებიან ეოსტეუმში იყო გამოწყობილი, მეორეს კი, საბჭოთა ეავშირის ნითელი დროშის ფერის სამოსი ეცვა. აშშ-ისა და საბჭოთა ეავშირის შესაძლო დაახლოების გამომხატველი ამ სიმბოლური სურათის ეუთხეში United Colors of Benetton-ის პატარა, მწვანე ლოგოტიპი იყო მოთავსებული. გადმოცემის თანახმად, გორბაჩოვმა მაშინვე შეამჩნია უჩვეულო რეკლამა და იეითხა – რას წარმოადგენს ეს ბენეტონიო...



# BENETTON

## აშენიკული მასშტაბის იტალიელი მამნატი

„რას ვუპასუხებდი გორბაჩოვს, იმ დროს მის გვერდით რომ ვყოფილიყავი? – სინიორ ლუჩანო წამით ჩაფიქრდა. – ალბათ ვეტყვი: ეს ფრიად ორიენტილი ხალხია, რომელსაც ძალიან უყვარს მუშაობა!...“ ორიენტილობა ბენეტონს მართლაც ახასიათებს. ეს რესპექტიბელი ადამიანი იტალიის რესპუბლიკის სენატორის არჩევნებში მონაწილეობის დროს, სარეკლამო პლაკატზე მოშვლად იყო გამოსახული, ინტიმურ ადგილს კი, ასეთი სიტყვები უფარავდა: „მომეცით ტანისამოსი!“ ამგვარად მან უქონელთათვის ტანსაცმლის შეგროვების აქციას გამოუცხადა სოლიდარობა. მთელ ევროპაში ესოდენ პოპულარული პერსონის გამომწვლებამ საგრძნობი ეფექტი მოახდინა: საქველმოქმედო მართონის ორგანიზატორმა – წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციამ 460 ათასი კილოგრამი ტანსაცმლის შეგროვება მოახერხა.



ამ ფოტომ მილანის კარდინალისა და მუნიციპალიტეტის უკმაყოფილება გამოიწვია

ბენეტონის მარკის ორიენტილობას მისი მრავალრიცხოვანი სარეკლამო კამპანიაც ადასტურებს. ყოველი ახალი რეკლამის გამოჩენისთანავე ურუნალისტები სტატიებს შემდეგი სიტყვებით იწყებენ: „ბენეტონმა ისევ გაგვაკვირვა...“ შეიძლება ითქვას, რომ ბენეტონის ოჯახმა – სამმა ძმამ

და ერთმა დამ, იტალიის თანამედროვე ოცნებას შეასხა ხორცი: პატარა საოჯახო ფირმამ, საქმე 50-იან წლებში, ომის შემდგომი დღეებისთვის უჩვეულოდ მრავალფეროვანი პულოვერის წარმოებით დაიწყო. რამდენიმე ათწლეულში კი ბენეტონი მძლავრ საერთაშორისო სავაჭრო კომპანიად იქცა. იტალიაში ბენეტონთა ოჯახი ყველაზე მდიდარ, ყველაზე სახელგანთქმულ და ორიენტილურ ოჯახად ითვლება. საყვარელ საქმეს ახლა ისინი შვილებთან ერთად აკეთებენ.

მათ ყველა კონტინენტის დაპყრობა შედეგად: დღესდღეობით, United Colors of Benetton-ის სახელით, დედამიწაზე მთელი სამყარო არსებობს, რომელიც საკუთარი კანონებით ცხოვრობს. თავად ლუჩანო ბენეტონს ცხვირზე ლითონისჩარჩოიანი სათვალე აქვს დაკოსებული, გამჭოლი მზერის მქონე 63 წლის მამაკაცი სპორტიული აღნაგობით იწონებს თავს. მას მუდამ დემოკრატიულად აცვია, უმეტესად – თავისივე ფირმის ყვითელი, წითელი და მწვანე პულოვერებით დადის, საზეიმო შემთხვევაში კი, საუკეთესო ხარისხის რუხ კოსტიუმს ირჩევს ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ბენეტონმა უმსხვილესი საერთაშორისო კომპანია შექმნა, რომელიც პოპულარობით, მასობრივი კულტურის მონსტრებსაც არ უდებს ტოლს, თავად ლუჩანო ნამდვილ ევროპელად – იტალიელად რჩება. ის პრინციპულად არ საუბრობს ინგლისურად, თუმცა ახალგაზრდობაში ნანახი ვესტერნების გავლენით, ამერიკის დაპყრობაზე ოცნებობდა და ახლაც ხშირად აცვია ამერიკული წარმოების პერანგი. მას საფუძვლიანი განათლება არ მიუღია, მაგრამ ინტერესების მრავალმხრივი სფერო აქვს, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი, შუა საუკუნეების იაპონურ ხელოვნებასა და ფილოსოფიას უკავია. გულ-

ღია ღიმილის მიუხედავად, ადამიანებთან ურთიერთობაში მუდამ ახერხებს დისტანციის შენარჩუნებას. კითხვებსაც თითქოს ხალისით პასუხობს, მაგრამ პოპულარული ჟურნალების მიმომხილველები ამბობენ, რომ ჯერ არ დაბადებულა ჟურნალისტი, რომელიც ლუჩანო ბენეტონის გულახდილ საუბარში ჩათრევას მოახერხებს. „რომელი დღე იყო თქვენთვის ყველაზე ბედნიერი?“ – „ყველა სამუშაო დღე ჩემთვის სასიხარულო და ბედნიერია“. „როდის მიხვდით, რომ სასურველ წარმატებას მიაღწიეთ?“ – „წარმატებას ჩემთვის არასოდეს ჰქონია განსაკუთრებული მნიშვნელობა“. „რას ნანობთ ყველაზე მეტად?“ – „ცხოვრებით აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ“. თავის თავშეკავებულ პასუხებს სინიორ ლუჩანო ასეთ კომენტარს უკეთებს: „ყოველთვის მიჩვენია სხვების საუბარს ვუსმინო. მე თავშეკავებული ადამიანი ვარ“. ამ მოკრძალებულ და „თავშეკავებულ ადამიანს“ მსოფლიოს 120 ქვეყანაში 7000 მალაზია ეკუთვნის...

Benetton-ის იმპერია წვრილმანიდან – ყვითელი სვიტერის დაიწყო, რომელიც ახალგაზრდობაში თავის უფროს ძმას – ლუჩანოს დამჯერებლად მოუქსოვა. ომის შემდგომი იტალიის მალაზიებში სვიტერის შექმნა შეუძლებელი იყო, ამიტომ, ყველა მეგობარი დაინტერესდა, საიდან ჰქონდა იგი ლუჩანოს. კომერციული აღიარებით დაჯილდოებულ ახალგაზრდას იდეა გაუჩნდა: დას რომ რამდენიმე ასეთი სვიტერი მოექსოვა, ლუჩანო ახლობელთა წრეში გაყიდდა.

ომის შემდგომი წლების პირველ რეალობაში ლუჩანოს სვიტერი ეგზოტიკურ ფრინველს ჰგავდა. ბენეტონების ღარიბი ოჯახისთვის ის წარმატების მომტანი ჩიტად იქცა. ბავშვებს მამა ომის დამთავრებისთანავე გარდაეცვალათ, დედას კი, ოთხი მოზარდი შვილი დარჩა, რომელთა შორის ლუჩანო იყო უფროსი. 14 წლის ასაკში მან თავი დაანება სკოლას, ჯერ მშობლიური ქალაქის – ტრევიზოს რკინიგზის სადგურში გაზეთებს ყიდდა, შემდეგ პატარა მალაზიაში დაიწყო მუშაობა, რომელიც ერთდროულად, ტანსაცმლითა და სურსათით ვაჭრობდა და ბოლოს, სამუშაოდ ძმებ დელასიეების მალაზიაში მიეწყო, სადაც ქსოვილის, მისი ფერისა და ხარისხის საკითხებში გაერკვა.

ეს იმდროინდელი იტალიის მალაზიის ერთ-ერთი ტიპური ნიმუში იყო: გრძელი დახლი გამყიდველს სავაჭრო დარბაზისგან ყოფდა, მთელი საქონელი დახლს უკან იყო მოთავსებული და ცნობისმოყვარე თვალისგან საგულდაგულოდ დაფარული, ვიტრინაში კი, მხოლოდ რამდენიმე სახეობის მოდელს ფენდნენ. მალაზიაში შესული ადამიანი გამყიდველს უყვებოდა, თუ რა საქონელი ესაჭიროებოდა, ნოქარს კი კლიენტის აღწერილობის შესაბამისი რამდენ-


იმე ნიმუში გამოჰქონდა. „როგორი მოსახერხებელი იქნებოდა მყიდველისთვის, ყველაფერი რომ თვალწინ ჰქონოდა“, – ფიქრობდა ლუჩანო, როცა საჭირო ნივთის საძებნელად, მუყაოს კოლოფებში იქექებოდა...

დელასიეებთან ლუჩანო ბენეტონის მუშაობა იმ წლებს დაემთხვა, როცა ხალხმა ნელ-ნელა ომის დავიწყება დაიწყო. თანდათან მოსახლეობაში საშუალო ფენა ჩამოყალიბდა. ხალხმა ერთ დროს მივიწყებული უქმე დღეები და შევებულებები გაიხსენა და მას მყარი ადგილიც დაუმკვიდრა თავის ცხოვრებაში. სპორტისადმი ინტერესიც იზრდებოდა. ლუჩანოს თანატოლები თამაშობდნენ კალათბურთს, გატაცებულნი იყვნენ ნიჩბოსნობით. სწორედ მაშინ შეინშა ბენეტონმა, რომ მომხმარებელი მალაზიიდან სულ უფრო ხშირად გადიოდა ხელცარიელი: ის სასურველ ტანსაცმელს ვერ პოულობდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ყველა ერთსა და იმავე ნივთს ეძებდა: სადას, იაფფასიანს, რომელიც მოხერხებული იქნებოდა როგორც სეირნობის, ასევე სპორტული თამაშის დროსაც; ის ლამაზიც უნდა ყოფილიყო და უფრო ნათელი ფერის, ვიდრე ის, რასაც მასობრივად ატარებდნენ იმდროინდელ იტალიაში... ე.ი. სწორედ ისეთს, როგორც ჯულიანას მიერ მოქსოვილი სვიტერი იყო. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, და-ძმამ საკუთარი საქმე წამოიწყო: და ქსოვდა, ძმა კი ყიდდა. მათ საქსოვი მანქანისთვის ფულს შეგროვება დაიწყეს და ორ თვეში, რამდენიმე სვიტერის გაყიდვის შემდეგ, მალაზიაში გაემგზავრნენ და საქსოვი ტექნიკის იმდროინდელი საოცრება შეიძინეს. პირველი კოლექციის შესაქმნელად, სამსახურიდან დაბრუნებული ჯულიანა ღამეებს ათენებდა, ადრიან დილით კი, როცა ჯერ კიდევ ყველას ეძინა, დედა პულოვერის მზა ნაწილებს ერთმანეთს აკერებდა. პირველი ასეთი სვიტერი ლუჩანოსგან მეზობელმა შეიძინა, ის ლაჟვარდისფერი იყო. აღებულმა ფულმა 20 წლის მეწარმეს ისეთი სიხარულის გრძობა მოჰკვარა, რომელიც მხოლოდ იმ მეცნიერის გრძობას შეედრებოდა, სამეცნიერო თეორიის პრაქტიკულად დამტკიცება რომ შეძლო.

თავიდან და-ძმამ თავის პროდუქციას მარტივი, მაგრამ ძალიან ნაზი, ფრანგული სახელი – Tres Jolie უწოდა, რაც „ძალიან მშვენიერს“ ნიშნავს. საქმის დაწყებიდან ოთხი თვის შემდეგ ახალგაზრდები კვირაში ოცი სვიტერის გაყიდვას ახერხებდნენ. 1956 წელს ოჯახმა კიდევ ორი საქსოვი მანქანა შეიძინა და თანდათან, სახლი პატარა საწარმოს დაემსგავსა: საქსოვი მანქანები სულ უფრო მეტ ადგილს იკავებდა და ირგვლივ უამრავი შალის ნართი ეყარა. ზოგჯერ ლუჩანოს ეჩვენებოდა, რომ სახლში კი არა – ცხვრის სადგომში ცხვოვრობდა.

1957 წელს ბენეტონების ოჯახს უკვე ხუთი მქსოველი ჰყავდა და ამიტომ, მინიატურული ფაბრიკა მეზობელ სახლში გადაიტანეს. საწარმო, რომელსაც 22 წლის ჰაბუკი ხელმძღვანელობდა, თავისი პროდუქციით რეგულარულად ამარაგებდა ვენეციის ახლომდებარე ქალაქ ტრევიზოს მალაზიებს. საქმე თანდათან წინ მიიწეოდა და 1965 წელს ოჯახმა, Benetton ჯგუფი დააარსა. დასა და ძმებს შორის განაწილებული როლები კვლავ უცვლელი დარჩა: ლუჩანო, რომლის იდეის წყალობითაც შეიქმნა კომპანია, გასაღებასა და მარკეტინგს ხელმძღვანელობდა, ჯულიანა, როგორც ადრე, წარმოებას უძღვებოდა, უკვე გაზრდილი უმცროსი ძმა – ჯილბერტო ფინანსურ საქმიანობებს განაგებდა, კარლო კი, ფაბრიკას უვლიდა, თანამშრომლებს არჩევდა და ჯულიანას ეხმარებოდა. თავიდანვე ფირმა Benetton-ის ნაწარმმა ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი და ახალგაზრდების მიერ შექმნილი ტანსაცმლის სახელი დაიმკვიდრა. ოთხი წლის შემდეგ, ოჯახმა პირველი მალაზია პარიზშიც გახსნა.

„რომელია თქვენი ყველაზე ეფექტური ინვესტიცია?“ – ჟურნალისტის მიერ დასმულმა ამ კითხვამ სინიორ ლუჩანო უმაღლესი გამოაცოცხლა: „მოტლანდიის წინდების ფაბრიკაში ძველი საქსოვი მანქანების შექმნა; ჩვენ ისინი პულოვერების საქსოვად გადავაკეთეთ: მანქანები ორჯერ უფრო იაფი ღირდა და მათი წყალობით, ჩვენ ორჯერ გავზარდეთ წარმოების მოცულობა.“





ოლივიერო გოსკანიძე

1972 წელს კომპანიამ 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ნათელი ფერების პულოვერების გამოშვება დაიწყო. 1974 წელს ზრდასრულთათვის განკუთვნილი კოლექცია შარვლებით, ქვედაბოლოებით, პიჯაკებით და პერანგებით შეიქმნა, რომელშიც ფირმამ თავის მთავარ პრინციპს – ფერს არ უღალატა. კოლექცია ქალაქელი ადამიანების აქტიური ცხოვრებისთვის იყო განკუთვნილი: ელევანტური, უბრალო და ამავე დროს, სპორტული. მისი ჩაცმა სამსახურშიც შეიძლებოდა და წვეულებაზეც, ამასთანავე, ტანსაცმელი საუცხოოდ ერწყმოდა ერთიმეორეს. ფირმა მუდმივად ატარებდა გამოკვლევებს ქსოვილების საკითხში – ცდილობდა მიეღწია იმისთვის, რომ სამოსი პრაქტიკული ყოფილიყო და ადვილად არ დაჭმუჭნილიყო. იმავე 1974 წელს Benetton-მა ახალგაზრდული მარკა Sisley შეიქმნა, რომელიც, მრავალთა აზრით, ოდნავ უფრო დახვეწილი სტილით გამოიჩინა. 1982 წელს ფირმამ აქსესუარების გამოშვებაც დაიწყო, რომელთა შორისაც ყველაზე დიდი კვალი თანამედროვე მოდაში, ფერადზოლებიანმა ქოლგებმა დატოვა, რომელიც წვიმიან ამინდში მთელი მსოფლიოს გოგონებს ეჭირათ ხელში. 1988 წელს გაჩნდა მარკა Zerodondo, რომელიც სპეციალურად ახალდაბადებული და ორ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი. ეს ტანსაცმელი მხოლოდ ნატურალური და ჰიპოალერგენული მასალისგან მზადდებოდა. 90-იან წლებში Benetton-ის ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ ცნობილი სპორტული მარკები Prince, Rolleriate, Nordica, Killer Loop, Asolo, kastle და Ekieton. ყოველი მათგანი, ლიდერად ითვლება წარმოების შესაბამის სფეროში – ჩოგბურთის ჩოგნები იქნება ეს, გორგოლაჭიანი ციგურები, სათხილამურო ფეხსაცმელი თუ სნოუბორდები. ეს სავსებით შეესაბამება Benetton-ის პრინციპს: მუდამ იაროს წინ. კომპანიამ AutoGrill-ის სწრაფი კვების ქსელიც კი შეიქმნა და

ამით, ყოვლისმომცველი „მაკონალდსი“ გამოიწვია პაექრობაში.

სხვა მრავალი მსხვილი კომპანიისგან განსხვავებით, რომლებიც გაფართოებასთან ერთად, იაფი მუშახელის ქვეყნებში წარმოების გადატანასაც ცდილობენ, Benetton-მა თავისი ძირითადი საწარმოები სამშობლოში – ქალაქ ტრევიზოს მახლობლად დატოვა. „ჩვენ ვვჯერა, რომ სიტყვები: Made in Italy ჯერ კიდევ მუშაობს“, – ამბობს ლუჩანო ბენეტონი და თავის მთავარ მიღწევას იმაში ხედავს, რომ იტალიურმა მოდამ მსოფლიო აღიარებას მიაღწია.

დღესდღეობით, ნათელი ფერისა და დემოკრატიული სტილის ყოველდღიური ტანსაცმლით მოვაჭრე ამ მარკის მაღაზიები მთელ მსოფლიოში უღამაზეს ქუჩებსა და მოედნებზე განთავსებული, დახვეწილი ბუტიკების გვერდით იწონებს თავს. თავად სინიორ ლუჩანოს ძალიან უყვარს მოგზაურობა, საერთოდ, მოძრაობა. „თუ ორი კვირის მანძილზე ერთ ადგილას მიწევს ყოფნა, ჭკუიდან ვიშლები, აუცილებლად უნდა შევიცვალო გარემო. პირველ რიგში, ეს ჩემი სამუშაოსთვის არის აუცილებელი. ამასთანავე, ძალიან ცნობისმოყვარე ვარ. მე ხომ თვითნასწავლი კაცი ვარ, ამიტომ მიყვარს მოგზაურობა და სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაზე დაკვირვება“.

Benetton-ის ჯგუფის ცნობილი სარეკლამო სტრატეგია 80-იან წლებში გაჩნდა. იმ დროისთვის ფირმას 14 სახელმწიფოში ჰქონდა მაღაზიები. საქმე კარგად მიდიოდა, საჭირო იყო მხოლოდ ისეთი რეკლამა, რომელიც ხალხს მონუსხავდა და თავს დაამახსოვრებდა. ერთხელ ლუჩანო ბენეტონს უჩივს, ფოტოგრაფი ოლივიერო ტოსკანისთვის მიემართა. ტოსკანიმ Valentine, Esprit, Fiorucci, Jesus Jeans სარეკლამო კამპანიის შექმნაში მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ ხმაურიანი განაცხადიც გააკეთა. მისი ორიგინალური ნამუშევრები იბეჭდებოდა ჟურნალებში ELLE, Vogue, Harper's Bazaar. რაც მთავარია, ის თავისუფლად მოაზროვნე, ჭეშმარიტად შემოქმედი ადამიანის სახელით იყო ცნობილი. ტოსკანის შექმნილი, ყველაზე უჩვეულო პროექტისთვის მოეკიდა ხელი. სინიორ ლუჩანომ მას გაუზიარა თავისი იდეები მარკის სარეკლამო ნიშნის შეცვლის შესახებ და მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა. ახალი სარეკლამო კამპანია 1984 წლის გაზაფხულზე დაიწყო და თანამედროვე მასობრივ ხელოვნებასა და რეკლამის ისტორიაში ახ-

სოლუტურად ახალი ფურცელი ჩაწერა.


ეს კომუნიკაციის სრულიად ახლებური, ნოვატორული სტრატეგია იყო, როცა რეკლამაში არ ფიგურირებდა თავად პროდუქტი. პირველ წელს სარეკლამო კამპანიის მთავარი სიტყვები იყო All The Colors of the World („სამყაროს ყველა ფერი“), მომდევნო წელს კი იგი შეცვალა ლოგოტიპმა United Colors of Benetton („ბენეტონის გაერთიანებული ფერები“), რომელიც შემდგომში ფირმის მარკა გახდა. ამ მომენტთან კომპანია Benetton მართლაც საერთაშორისო და საქვეყნოდ ცნობილი გახდა.

ყველა შესაძლო ხუმრობის გარდა, – მაგალითად, ისეთის, როგორიცაა ის რეკლამა, სადაც ჯინსის ქურთუკში გამოწყობილი ევა თანამედროვე გოგონას სახით არის წარმოდგენილი, ლუჩანო ბენეტონმა და ოლივიერო ტოსკანიმ ომის, ავადმყოფობის, დაბადების, სიკვდილის, სიყვარულის თემებს მიმართეს.

სულ მალე ისინი ცინიზმსა და სისასტიკეში დაადანაშაულებს. განსაკუთრებული კამათი Benetton-ის 1991 წლის სარეკლამო კამპანიის იმ ფოტომ გამოიწვია, რომელსაც ერქვა – „თვით ცხოვრებაც აწყობს სკანდალებს“: მასზე გამოსახული იყო ახალდაბადებული გოგონა, ჯერ კიდევ გადაუჭრელი ჭიპლარით. მილანის მუნიციპალიტეტმა ქალაქში ამ პლაკატის გამოფენა აკრძალა და თავისი ტაბუ შემდეგნაირად ახსნა: „თემა მეტისმეტად შემძვერელი და სასტიკია“. „არად დაგიღვეთ საზოგადოების გრძობებს“ – ასე ჟღერდა სარეკლამო დისციპლინური ჟიურის ბრალდება. ოლივიერო ტოსკანიმ თავისი ქმნილების დაცვა სცადა. „ყველაფერი ის, რაც ბუნებრივია, არ შეიძლება იყოს ვულგარული“, – ამბობდა იგი. „მე ყოველთვის მაკვირვებდა, – აღნიშნავდა მოგვიანებით ფოტოგრაფი, – რა ადვილად იღებენ ადამიანები სიყალბეს, ტყუილს – და როგორი გააფთრებით ეწინააღმდეგებიან რეალობას. რატომღაც, არავის გაუანალიზებია ის ზიანი,

**თავის რევოლუციურ აღმოჩენებში Benetton-ის ფანგაშია უსაზღვრო იყო**





ლუჩანო ბენეტონი

რომელიც ხალხს ფასეულობათა დამახინჯებული სისტემით შექმნილმა კომერციულმა რეკლამამ მიაყენა.

გარკვეული დროის შემდეგ, ახალდაბადებული გოგონას ფოტოს შინაარსს ჩასწვდნენ და სათანადოდ შეაფასეს. ქალაქ ბოლონიის ერთ-ერთმა პოლიკლინიკამ კომპანია Benetton-ს პლაკატის სამშობიარო განყოფილებაში გაკერის უფლებაც კი სთხოვა. გარდა ამისა, ფოტო შვეიცარიული Societe Generale d'Affichage-ს პრემიით აღინიშნა და როტერდამის Baymans-van-Beuningen მუზეუმში გამოიფინა დედობისადმი მიძღვნილ ხატურების გამოფენაზე.

თავის რევოლუციურ აღმოჩენებში Benetton-ის ფანტაზია უსაზღვრო იყო. მიუღიეს სკანდალი ატყდა მღვდლისა და მონაზვნის იმ ფოტოსურათის გამო, რომელზეც ისინი ერთმანეთს კოცნიდნენ, მაგრამ როცა ენებათაღელვა დაცხრა, სინიორ ლუჩანომ მიიღო წერილი, რომელშიც ეწერა: „ვფიქრობ, ამ ფოტოსურათში ბევრი სინაზე, სიმშვიდე და მშვიდობაა“. ეს წერილი მას მონაზონმა ქალმა გამოუგზავნა...

ფოტომ, რომელზეც გამოსახულნი იყვნენ ღამის ქოთნებზე ერთმანეთის პირისპირ მსხლოში თეთრკანიანი და შავკანიანი ბავშვები, მილანის კარდინალისა და მილანის მუნიციპალიტეტის უკმაყოფილება გამოიწვია. მათ პლაკატის მოედანზე გამოიფინა იმ მოტივით აკრძალეს, რომ ამით მორწმუნეთა გრძნობები შეილახებოდა. სკანდალი იმ სარეკლამო ფოტომაც გამოიწვია, რომელზეც სამი – თეთრი, შავი და ყვითელი – რასის ენაგამოყოფილი ბავშვები არიან გამოსახულნი. კანის სხვადასხვა ფერის მიუხედავად, მათი ენების ფერი ერთი და იგივეა... ამ სურათს „პორნოგრაფიული“ უწოდეს და არაბულმა ქვეყნებმა მისი

გამოყენება იმ მოტივით აკრძალეს, რომ მასზე ადამიანის შინაგანი ორგანო იყო აღბეჭდილი.

სინიორ ბენეტონისა და სინიორ ტოსკანის რეალობისადმი დამოკიდებულების მწვერვალი გახდა COLORS – „გლობალური ჟურნალი ლოკალურ კულტურაზე“, რომლის გამოცემაც კომპანია Benetton-მა 1991 წელს დაიწყო. მისი დევიზი იყო: „არავითარი ცნობილი ხალხი, არავითარი მოდა, არავითარი სიასლე!“ – და სრულიად უარყოფდა საჟურნალო ბიზნესში მანამდე გაბატონებულ ტრადიციებს. ჟურნალის ყოველი ნომერი კონკრეტული თემის გაშუქებას ისახავდა მიზნად: ერთი მთლიანად ომს ეძღვნებოდა, მეორე – რელიგიას, მესამე – რასებს, მეოთხე – თამბაქოს წევას. ყველა ამ პრობლემას COLORS მიუღიეს მსოფლიოდან მიღებული მასალების საფუძველზე ანალიზებდა.

„ჩვენ არ ვაპირებთ მიღწეულზე შეჩერებას“, – ზშირად იმეორებს ფირმის თავკაცი მისი მისამართით აუღერებული კრიტიკის საპასუხოდ.

სულ ახლახან, ფირმის ახალი რეკლამის გამო კიდევ ერთი სკანდალი გაჩაღდა: ფოტოზე გამოსახული იყო სამი მამაკაცის გარემოცვაში მყოფი ხნიერი ნუდისტი ქალი. რეკლამა ფრანგული ყოველდღიური გამოცემის Liberation ფურცლებზე დაბეჭდა და მაშინვე საზოგადოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ახალი სარეკლამო კამპანია მოხალისეთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ათი აქტივისტის ფოტო შევიდა. მათ შორის იყვნენ: ტრანსვესტიტი გვატემალიდან, რომელიც უფასო პრეზერვატივებს ავრცელებდა, ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი ყოფილი დამნაშავე სალვადორიდან, ავღანელი, რომელიც პაკისტანში მღებარე ლტოლვილთა ცენტრს ხელმძღვანელობს.

ნუდისტი ქალი, რომლის ფოტომაც ყველაზე დიდი რეზონანსი გამოიწვია, – გერმანელი ფოტოგრაფი მარიანა ჰანდლერია, რომელიც ამჟამად პენსიაზეა და მოხალისედ მუშაობს ადგილობრივ ნუდისტურ პლაჟზე – „პლაჟის დედად“. მის მოვალეობაში სისუფთავისა და წესრიგის დაცვა შედის. „ჩემი მთავარი ამოცანა იყო, მესწავლებინა ხალხისთვის, რომ „გამიშვლებული“, სულაც არ ნიშნავს „გარყვნილს“ – აღნიშნავს იგი.

კომპანიის სარეკლამო სტრატეგიის ავტორებმა ყველაფერი სწორად გაიანგარიშეს: მუდმივი სკანდალების მიუხედავად, ფირმა აყვავებას განიცდის, მუდამ ყურადღების ცენტრშია და მისი პოპულარობა დღითი დღე იზრდება.

მოამზავა მანანა ლოლოპრიძე

# ბესტი პრუდენიაზე

1. მს/შ. „უდიპლომო სასი-ქომში“ აპაკი კვანტალიანის მიერ განსახიერებულ გიორს ეროქვა:




- ა) ვარლამი;
- ბ) ვარდენი;
- გ) ვარსკენი.

2. სამკურნალოდ ძირითადად იყენებენ:



- ა) ქაცვის ზეთს;
- ბ) ქაცვის გამხმარ ფესვებს;
- გ) ქაცვის მოხარშულ ფოთლებს.

3. რა არის პიროქინეზი?



- ა) ადამიანის აალება;
- ბ) ცხოველის აალება;
- გ) ფრინველის აალება.

4. სტალინი ჰიტლერზე:



- ა) უფროსი იყო;
- ბ) უმცროსი იყო;
- გ) ტოლები იყვნენ.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



### საფრანგეთის პრეზიდენტის მამსილაჯაული მეგობრები

საფრანგეთში გამოიცა ჟაკ შირაკის ყოფილი მძღოლის ჟან-კლოდ ლომონის მეგობრების წიგნი, რომელიც ძირითადად, პრეზიდენტის სასიყვარულო თავგადასავლებს ამხელს. „ოცდახუთი წელიწადი მის გვერდით“ – ასე ჰქვია თხზულებას, რომელსაც ქვეყანაში, მძღოლის შურისძიებად მიიჩნევენ: 1997 წელს პრეზიდენტმა თავისი ცოლის – ქალბატონი ბერნადეტის დაქვინებული მოთხოვნით, ლომონი სამსახურიდან დაითხოვა.

თუ ავტორს დავევრება, შირაკთან შედარებით, მექალთანეებად ცნობილი ბილ კლინტონი და ფრანსუა მიტერანი უმანკო ბიჭები არიან. ლომონი წერს: „მას კავშირი ჰქონდა პარტიულ აქტივისტ ქალებთან, მსახიობებთან, ჟურნალისტებთან... საერთოდ, ნებისმიერ ქალთან, რომელსაც თუნდაც ხუთიოდე წუთით ჩაიგდებდა ხოლმე ხელში...“ ლომონის თქმით, შირაკის პარტიის შტაბბინის თანამშრომელ ქალბატონებს შირაკისთვის ასეთი მეტსახელიც დაურქმევიათ: „სამი-წუთი-შხაპის-ჩათვლით“. წიგნში ნახსენებია 1997 წლის აგვისტოს ის დღე, როდესაც პარიზში პრინცესა დაიანას დალუპვის გამო, საფრანგეთის პრეზიდენტთან ბევრ სახელმწიფო მოღვაწეს სურდა დაკავშირება და გარკვეული ხნის მანძილზე ამას ვერ მიაღწია. როგორც ლომონი წერს, ბატონი ჟაკი ამ დროს ერთ-ერთ საყვარელთან ერთად იყო გამოკეტილი...

საინტერესოა, რომ არც პრეზიდენტი და არც რომელიმე მისი წარმომადგენელი, ვერჯერობით წიგნის გამოსვლას არანაირად არ გამოხმაურებია. როგორც ჟურნალისტები ქილიკობენ – როგორც ჩანს, პრეზიდენტი კვლავ მეტისმეტად დაკავებულია... ■

## თანაპლროვი კანიბალთა კულინარიული ცდაები

ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათაში ხმაურიანი სასამართლო პროცესი დასრულდა, რომელზეც კაციჭამიებს ასამართლებდნენ. როგორც გამოძიებამ დაამტკიცა, ბანდის მსხვერპლი, ორი წლის მანძილზე, სულ ცოტა, შვიდი მეძავი ქალი გამხდარა. კანიბალები გზაზე მდგარ ქალს ირჩევდნენ, ერთ-ერთი ბანდიტის ბინაში მიჰყავდათ, ათრობდნენ ან ნარკოტიკით აბრუებდნენ და შემდეგ კლავდნენ. გვამის დანაწევრების შემდეგ, კაციჭამიები მისი ზორცისგან მწვადს ან ფარშს ამზადებდნენ და ამ კერძებით, თავიანთ ნათესავეებსაც კი უმასპინძლებოდნენ, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ზორცის შესახებ.

ასეთ საშინელ ბედს მხოლოდ ორმა ქალმა დააღწია თავი. სწორედ



მათ აცნობეს პოლიციას კანიბალთა ბანდის შესახებ.

მოსამართლებს აშკარად არ ეჭამნიკათ კაციჭამიათა კულინარიული ცდები: ორ ბოროტმოქმედს დახვრეტა, მესამეს კი – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ■

## 10 მილიონი უკვილო სურვილისთვის

ნიუ-იორკის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი სახლის მფლობელმა თავის მდგმურს ბინ ლადენტან შედარების გამო, სასამართლოში უჩივლა.

მდგმური დენიელ ზავილოცი სახლის მეპატრონეს – მორის გერმანს გაუნაწყენდა და მთელ კვარტალში მსოფლიოს პირველი ტერიორისტის ფოტოსურათები ასეთი წარწერით გააკრა: „ოსამა მორის

გერმანი. სქესი – დაუდგენელი, ეროვნება – უიღბლო“. პლაკატის დასამზადებლად მან ძიებათა ფედერალური ბიუროს „ათი ყველაზე საშიში ძიებნილის“ ტრაფარეტი გამოიყენა.

მორის გერმანმა მდგმურის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, 10 მლნ დოლარს მოითხოვს. ■

## „შროშანის“ თმის მოვლის ინსტიტუტი თმის გვენის შეჩერება და გახშირება

10 ლლიანი ბაბაჯანსაღაპალი მასაჟის კურსი, თავის კანის მკვებაში კრემაში, ლოსიონი და მენარაჟული შამპუნი; ჯანსაღება თმის ძირები; იკურნება კანის ქავილი, ლაჟიმპლობა, ქმრტლი.

- აბრეთივე შთაჟაგობი:
1. გამწმენდ რძეს და კრემს სახისა და სხეულისათვის: აქრობს ჩირქოვან და ალერგიულ გამონაყარს, ასწორებს და იცავს კანს დანაოჭებისაგან და გათმინებისაგან, აუფერულებს ჭორფლს და ლაქებს.
  2. ჭარბთმინობის მკურნალობას მრავალკომპონენტიანი მცენარეული ექსტრაქტის თმის ბუდეებში შეზღვევის ორიგინალური საფირმო მეთოდით.
  3. გახლომას და ორგანიზმის გაწმენდას წილებისგან, უდიეგოლ, მხოლოდ მცენარეული ნაკრების საშუალებით.
  4. ხველების დამამშვიდებელ მცენარეულ წვეთებს (აჯანსაღებს ფილგვებს, ასუფთავებს ბრონქებს, აძლიერებს ორგანიზმის იმუნიტეტს გრი პისა და გაცივებისაღმძი).
  5. ღრძილების სამკურნალო მცენარეულ საველებს (ანთება, ღაწვევა, მტკივანი და სისხლმდენი ღრძილები).
  6. ტილისა და წილის მოსაცილებელ მცენარეულ ლოსიონს.

უმუშაობთ ყოველდღე, 10-18 სო-მდე, კვირის გარდა  
მის: ჭავჭავაძის 5, ვაკის ლეკომბინატი, „მშენიერების ცენტრი“ –  
„შროშანის“ კაბინეტი. ☎ 25 00 74



# კვირის (29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

## ღრიანკალი - 24/X-22/XI



მეტი ყურადღება დაუთმეთ ფინანსურ საკითხებს: თქვენ შემოსავლის ახალი წყაროების ძებნა გპართებთ, თანაც, მომჭირნეობაც უნდა ისწავლოთ. მართალია, ეს არცთუ ისე სასიამოვნოა, მაგრამ სხვა გზა არ არის... სამაგიეროდ, უქმე დღეებში საუცხოოდ დაისვენებთ: შესაძლოა, სპექტაკლს ან კონცერტს დაესწროთ, ან ხალხმრავალ და მხიარულ წვეულებაზე მიხვდეთ.

## მეზილდოსანი - 23/XI-21/XII



კვირის დასაწყისში თავს შევსვენებთ დიდი ხნის წინ ნაკისრი ვალდებულებები. ეს გარემოება გვემბებს აგრეთვე, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველა საქმეს თავს დაადგამთ, ამიტომაც, უქმე დღეებში უარს ნუ იტყვით მეგობრებთან შეხვედრაზე, რადგან ერთ-ერთი მათგანი სერიოზული და ფრიალ საინტერესო საქმიანი წინადადებით მოგმართავთ.

## თხის რქა - 22/XII-20/I



რისიკანი ნაბიჯებისა და აზარტული თამაშებისგან თავი უნდა შეიკავოთ, რადგან ერთბაშად საკმაო თანხა შეიძლება წაგოთ. საერთოდ, უმჯობესი იქნება, თუ ამ კვირას შინ გაატარებთ: თქვენს ოჯახში ხომ სრული იდილია და სიმშვიდე სუფევს.

## მეწყვილი - 21/I-19/II



ამ კვირამ წარმატება უნდა მოგიტანოთ. განსაკუთრებით, ისეთ საქმეში, რომელიც შინაგან დისციპლინასა და გულმოდგინებას მოითხოვს. ხუთშაბათი კი, ყველა მოლოდინს გადააჭარბებს: ყოველი თქვენი ნაბიჯი - მოზომილი, ნებისმიერი გადაწყვეტილება - გაწონასწორებული და უნაკლო, ნებისმიერი ღიმილი კი - „პოლივუდური“ იქნება.

## თაყვანი - 20/II-20/III



თუ მასწავლებელი ხართ, ე.ი. თქვენს მოსწავლეებს გაუმართლათ, რადგან ამ კვირაში საოცრად მჭევრმეტყველი და ენაწყლიანი, ურთიერთობაში კი - ძალზედ ტაქტიანი იქნებით. თუ პედაგოგი არ ბრძანდებით, მაგრამ სამსახურში ადამიანებთან აქტიური ურთიერთობა გიწევთ, თქვენთან კონტაქტი ყველას ესიამოვნება. კვირის მეორე ნახევრიდან კი, ფინანსური კეთილდღეობის პერიოდი გეწევბათ.

## მეჩვი - 21/III-20/IV



ამ კვირაში საქმეების კეთება ნამდვილად არ მოგიწევთ. სამაგიეროდ, ყველა პრობლემას, მათ შორის წვრილმანსაც, თქვენთვის სასიკეთოდ გადაწყვეტთ. პირად ურთიერთობებში, ახლობელ ადამიანებზე ზეწოლას მოერიდეთ, სჯობს, პირიქით - მეტი თავისუფლება მისცეთ მათ.

## მეძრო - 21/IV-21/V



საკმაოდ მშვიდი კვირა გელით. საქმეში თავის გამორჩენის შანსი მხოლოდ პარასკევს მოგეცემთ. მანამდე კი, შესაძლოა, დიდი ხნის უნახავ ადამიანთან შეხვედრა და ძველი მეგობრობისა ან სიყვარულისკენ მიბრუნება მოგიხდეთ. უქმეებში ახლობლებთან შეკამათება გელით, მაგრამ, საბედნიეროდ, სერიოზული არაფერი მოხდება.

## მარცხვილი - 22/V-21/VI



კვირის დასაწყისში, თქვენზე უფროსი ადამიანის რჩევები ძალზედ სასარგებლო იქნება თქვენთვის, ამიტომ, ყური დაუდგეთ და ეცადეთ, თქვენი გრძნობებიც აკონტროლოთ. ამ კვირაში ენერჯის მოზღვაგებას იგრძნობთ და შეიძლება ექსცენტრიკულადც მოიქცეთ.

## ბორცხვილი - 22/VI-22/VII



სამწუხაროდ, ამ კვირაში თქვენი შესაძლებლობები თქვენს სურვილებს არ დაემთხვევა. ისეთი ნიუთების ყიდვა მოგინდებთ, რომელზეც ხელი არ მიგიწვდებათ, უფროსების დავალებები კი, რადიკალურად შეცვლის ყველა თქვენს გეგმას, ხოლო უქმეებში ნორმალურად დასვენების საშუალებაც არ გექნებათ.

## ლომი - 23/VII-23/VIII



უფერული და უმფოთველი კვირა გექნებათ. მართალია, კვირის მეორე ნახევარში შორეული საქმიანი მოგზაურობა გელით, მაგრამ ყველაფერი მეტისმეტად გაურკვეველი იქნება. თუმცა, რაც უფრო მეტ ინიციატივას გამოიჩენთ, მით უფრო სწრაფად მიხვდებით, როგორ უნდა იმოქმედოთ და ყველა გაუგებრობასაც თავიდან აიცილოთ.

## ქალწული - 24/VIII-23/IX



ორშაბათიდანვე დაბებული შრომა მოგიწევთ. ძალიან მცირე ხანში, ძალზედ მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება უნდა მოასწოროთ. ხუთშაბათიდან კი, საოჯახო პრობლემებს მიხედეთ: გაზუდმებით საქმით გართულს, ხშირად გავიწყლებათ საოჯახო საზრუნავი, არადა, თქვენი ოჯახის წევრებს თქვენი დახმარება და მხარში დგომა ესაჭიროებათ.

## სასწორი - 24/IX-23/X



კვირის დასაწყისში სამსახურში მატერიალურად წაგახალისებენ. ეს ახალ და საპასუხისმგებლო საქმესთან იქნება დაკავშირებული. თქვენ მას, რა თქმა უნდა, თავს გაართმევთ, მაგრამ ერთ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ: თუ ვინმემ თქვენთან გაჯიბრება გადაწყვიტა, საქმეს სერიოზულ შესლა-შემოხლამდე ნუ მიიყვანთ.





# როგორ ვგუჯობთ ასალბასნობილ ადამიანებს?

**1) სშირად გეპატიჟებთან თუ არა მეგობრები დაბადების დღეზე, წვეულებასა და ქორნილში?**

- ა) თქვენ გარეშე არც ერთი ასეთი ღონისძიება არ ჩაივლის - 3;
- ბ) გეპატიჟებთან, მაგრამ არც ისე სშირად - 1;
- გ) არსად არ გეპატიჟებთან, რადგან იციან, რომ სმაურიანი შეკრებები არ გნობლავთ - 0.

**2) შეგიძლიათ თუ არა, შეუერთდეთ თქვენთვის სრულიად უცნობი ადამიანების კომპანიას და თავი კომფორტულად და თავისუფლად იგრძნობთ?**

- ა) ეს თქვენი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა - 3;
- ბ) ხანდახან, როცა კარგ გუნებაზე ხართ - 1;
- გ) არ შეგიძლიათ, ამისთვის თქვენ მეტისმეტად გულჩათხრობილი

ხართ - 0.

**3) თუ იგრძნობთ, რომ უცრად, საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდით, როგორ იგრძნობთ თავს?**

- ა) მშვენივრად, თქვენ ეს ძალიან მოგწონთ - 3;
- ბ) თავს უხერხულად გრძნობთ, მაგრამ ეს საინტერესოა - 1;
- გ) ძალიან იძაბებით, როცა ყველა თქვენ გიყურებთ - 0.

**4) რას იგრძნობთ, თუ პირველად მოგიწევთ გამოსვლა უცნობი აუდიტორიის წინაშე?**

- ა) მსუბუქ მღელვარებას - 0;
- ბ) გაურკვეველ შიშს - 1;
- გ) ძალიან მშვიდად იქნებით - 3.

**5) გეხერხებათ თუ არა, მთელი კომპანიის ყურადღების ცენტრში ყოფნა და ხალხის გართობა?**

- ა) ეს ძალიან გეხერხებათ და მოგ-

წონთ - 3;

ბ) ყველაფერი კომპანიასა და თქვენს განწყობაზე დამოკიდებული - 1;

გ) ყურადღების ზედმეტად მიჰყრობა არ გიყვართ - 0.

**6) შეგიძლიათ თუ არა, დახმარებისათვის მიმართოთ სრულიად უცნობ ადამიანს?**

- ა) ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებთ - 0;
- ბ) შეგიძლიათ, მაგრამ ამ დროს უხერხულობას იგრძნობთ - 1;
- გ) ეს თქვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს - 3.

**7) გიყვართ თუ არა, კომპანიაში და მეგობრების წრეში ანეკდოტებისა და სასაცილო ამბების მოყოლა?**

- ა) დიახ, ეს ხალხს უფრო აახლოებს ერთმანეთთან - 3;
- ბ) ხანდახან, მხოლოდ შესაფერის სიტუაციაში - 1;
- გ) თვითონ არ ჰყვებით, მაგრამ სიამოვნებით ისმენთ სხვების მონაცოლს - 0.

**8) გეხერხებათ თუ არა, შესაბამის სიტუაციაში შესაფერისი სიტყვების პოვნა?**

- ა) დიახ, ეს ნამდვილად გეხერხებათ - 3;
- ბ) სიტუაციაზე დამოკიდებული - 1;
- გ) ეს თქვენი საქმე არ არის - 0.

**9) თუ სრულიად უცნობ ადამიანებს უნდა შეხვდეთ, წაიყვანთ თუ არა თან ახლობელს ან მეგობარს?**

- ა) აუცილებლად, როცა გვერდით თქვენიანია, თავს უფრო თავდაჯერებულად გრძნობთ - 0;
- ბ) ხანდახან ეს აუცილებელი და საჭიროა - 1;
- გ) არა, მხოლოდ შესაფერის დეტალებზე ფიქრობთ - 3.

## დააჯავით ქულები

0-9 ქულა: დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებთან ურთიერთობა გიჭირთ. ეს კი იმიტომ ხდება, რომ გამოკვეთილი ინდივიდუალურობის მქონე პიროვნება ხართ და საკუთარ თავს უდრმავედებით, მაგრამ ეს თვისება სულაც არ უშლის ხელს თქვენს მეგობრებსა და ახლობლებს, რომ უყვარდეთ და გაფასებდნენ.

10-19 ქულა: გარეგნული ბუნება გაქვთ: ზოგჯერ საკუთარ თავში იკეტებით და მორცხვობთ, ზოგჯერ კი, იმდენად ადვილად ითქვიფებით კომპანიაში და

მხიარულობთ, რომ თავადაც გიკვირთ. ეს თქვენი განწყობიდან გამომდინარეობს და თქვენს სურვილზე სულაც არ არის დამოკიდებული.

20-27 ქულა: „არტისტული“, „მომხიბლავი“, „კომპანიის სული და გული“ - ყველა ეს ეპითეტი თქვენ გეკუთვნით: ნებისმიერ სიტუაციაში თავს თავისუფლად გრძნობთ, სხვებსაც ართობთ და გარშემომყოფებზე მუდამ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებთ. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს, თქვენი ბუნებრივი თვისებაა და მუდამ ძალდაუტანებლად გამოგდით ყველაფერი.

# საბედისწეო ქალი აჩაჩომატეოსმა მამაჯაცებმა დაღუპეს



ცნობილ მოცეკვავეს და საბედისწეო ქალს FEMME FATALE – მატა ჰარის, რომლის ბიოგრაფია და გამოსახულება ახლაც გარკვეულ ინტერესს იწვევს ძლიერი სქესის წარმომადგენლებში, დახვრეტიდან 84 წლის შემდეგ აღვოკატები გამოუჩნდა და მისი ღირსების დაცვაც მონიღომეს.

მატა ჰარის დახვრეტა ჯაშუშობის ბრალდებით მიუსაჯეს პირველი მსოფლიო ომის დროს, მაგრამ აღვოკატი ტიბო დე მონბრიალი მატა ჰარის – იგივე მარგარიტა ცელე მაკუოდის მიმართ გამოთქმულ ყველა ბრალდებას უარყოფს. აღვოკატები ქალაქ ლუეპარდენის მცხოვრებლების – ჯაშუშისა და მოცეკვავის თანამემამულეთა და მატა ჰარის ფონდის თავმჯდომარის სახელით მოქმედებენ.

აღვოკატები მზად არიან, სასამართლოს იმის დამადასტურებელი საბუთები წარუდგინონ, რომ „საბედისწეო ქალს“ არ გადაუცია საიღუმლო ინფორმაცია

გერმანული სპეცსამსახურებისთვის – ის უბრალოდ, იმ მამაკაცების მსხვერპლი გახდა, რომლებსაც თავიანთ პოლიტიკურ თამაშებში ჰყავდათ ჩაბმული.

## @ სიმბოლო XVI საუკუნეში გაჩნდა

თურმე @ სიმბოლოს ჯერ კიდევ XVI საუკუნის ვენეციაში იყენებდნენ და მისი საშუალებით, წონის ერთეულს – ამფორას აღნიშნავდნენ. ამჟამად ინგლისელები მას „ატ“-ს უწოდებენ, ბერძნები – „სტო“-ს, არაბები – „ფი“-ს, იაპონელები – „ატო მააკუ“-ს, ინდონეზიელები კი „უჰ“-ით მოიხსენიებენ. მსგავსების თვალსაზრისით კი, ამ ჩახვეულმა სიმბოლომ ყველა ზღვარს გადააჭარბა: მას „მაიმუნის კუდს“ უწოდებენ გერმანიაში, პოლანდიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სლოვენიაში; პოლონეთსა და სერბიაში კი უბრალოდ, „მაიმუნად“ მოიხსენიებენ. დანიისა და შვეციის ელექტრონულ მისამართებში „ხორთუმი“, ჩეხეთსა და სლოვაკეთში – „ქაშაყის რულეტი“, იტალიისა და კორეის საიტებში კი – „ლოკოკინა“ დაცოცავს. ტაივანელებს ეს სიმბოლო თავგს აგონებთ, ნორვეგიელებს და უნგრელებს – „ღორის კუდი“ მოსწონთ, თურქეთში კი მას „ყურს“ ეძახიან.



## „მეხსედესი“ – ჯოცნის საფასუხად

ინგლისელმა მეხანძრემ „მერსედესი“ მას შემდეგ დაისაკუთრა, რაც ორი დღე-ღამის განმავლობაში კოცნიდა ამ ავტომობილს. ინგლისის საგრაფო ესექსის ქალაქ ტაროკის ადგილობრივმა რადიოსადგურმა გადაწყვიტა დაედგინა, ვინ შეძლებდა ყველაზე ღირსანს ეკოცნა ავტომანქანისთვის და ამ კონკურსის გამარჯვებულისთვის პრიზად MERCEDES A160 დააწესა. 28 წლის მეხანძრე, ქეთი ფლინი მთელი გულმოდგინებით ასრულებდა ამ დავალებას 56 საათის (!) განმავლობაში, სანამ ჟიურიმ არ შეაწყვეტინა. „მიუხედავად ათწუთიანი შესვენებისა, რომელიც საათში ერთხელ მეძლეოდა, ეს ადვილი საქმე ნამდვილად არ იყო, – განაცხადა გამარჯვებულმა ავტომოყვარულმა, – განსაკუთრებით, ღამით გამიჭირდა“.

როგორც ფლინმა თქვა, მას ყველაზე მეტად, ახალი მანქანა კი არა, ის ახარებს, რომ სამუდამოდ მოიშორებს თავის ძველ „ფორდ-სიერას“.

## ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ქალბატონმა ირინა სარიშვილმა, ბატონებმა გოჩა ფიფიამ და ჯაბა იოსელიანმა. ვულოცავთ ქალბატონ ირინას, ბატონ გოჩას და ბატონ ჯაბას და ვუსურვებთ წარმატებებს!

### მერორისონი ბარდასახვა

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (30 ოქტომბრის) 13 საათამდე.





6/24/12

**„ფანტაზია“**  
**ტერორისტის**  
**გარდასახვა**



**„ფანტაზიორებს**  
**გკითხველი“**  
**დანარჩენი**

